

ზახტანგ ბარელი

ნთუ ქტბღანია

პტლიფიკუტი პტბტბუფი

1869–1953

გამბეცუმტმა „ინფილუქტი“
თბილისი
1999

VAKHTANG GOUROULI

NOÉ JORDANIA

PORTRAIT POLITIQUE

1869 – 1953

TBILISSI

1999

ნაშრომი წარმოადგენს ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტის შექმნის პირველ ცდას. გამოკვლევა ეყარება ავტორის მიერ სხვადასხვა აქტში მოხსენიებულ დოკუმენტებსა და მასალებს, XIX-XII საუკუნეების ქართულ და რუსულ პერიოდულ გამოცემებში, ასევე ქართულ ემიგრანტულ პერიოდიკაში გამოქვეყნებულ მასალებს, ქართველ სოციალ-დემოკრატთა მემუარებს.

რედაქტორი- პროფესორი აბოლონ სილაგაძე

რეცენზენტები: პროფესორი მერაბ ვაჩნაძე
პროფესორი დიმიტრი შველიძე
დოცენტი გელა საითიძე

ბადაუსდელი ვალი (წინათქმა)

დადგა დრო, ქართულმა ისტორიოგრაფიამ, ქართულმა საზოგადოებრიობამ აღიაროს ათწლეულების მანძილზე უგულებელყოფილი ჭეშმარიტება: ნოე ჟორდანიას, როგორც მოაზროვნე და როგორც პოლიტიკური მოღვაწე, სრულიად ორიგინალური მოვლენა იყო საქართველოს ახალ ისტორიაში. ამ პიროვნებას დიდი და საპატიო მისიის აღსრულება არგუნა განგებამ. 1905-1907 წლების რევოლუციამ საქართველოში უკიდურესად გაამწვავა სოციალური და ეროვნული წინააღმდეგობანი. დიდმა სოციალურმა კატასტროფამ, რევოლუციამ, კლასთა და სოციალურ ფენათა შეჯახებით, პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა დაპირისპირებით ისე დაძაბა სიტუაცია, რომ სამოქალაქო მშვიდობის მიღწევა, ქართველი ერისათვის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ნორმალური პირობების შექმნა თითქმის შეუძლებელი ჩანდა. ასეთ ვითარებაში 1907 წელს მოკლეს ილია ჭავჭავაძე. ილიას შემცველი მოაზროვნე და პოლიტიკური მოღვაწე რომ ქართველ ხალხს არ ჰყავდა, ეს იმთავითვე ყველასათვის ნათელი იყო. ნათელი იყო ისიც, რომ ერი პოლიტიკური ლიდერის გარეშე ვერ გააგრძელებდა დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას. ნოე ჟორდანიას არ იყო ამბიციური პიროვნება. მას არასდროს აზრადაც არ მოუვიდოდა ერის პოლიტიკური ლიდერის ტვირთს შესჭიდებოდა, არც ილიას სიცოცხლეში და არც ილიას სიკვდილის შემდეგ. ყველაფერი ბუნებრივად მოხდა: როცა ილიას მკვლელობის შემდეგ დაისვა კითხვა, ვინ უნდა იყოს ერის წინამძღოლი, საერთო-საზოგადოებრივმა აზრმა ეს მისია ნოე ჟორდანიას დააკისრა. ცხადია, საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური ძალა, ყველა პოლიტიკური მოღვაწე არ დაეთანხმებოდა ნოე ჟორდანიას პირველკაცობას. მაგრამ არ იყო ალტერნატივა, არ იყო პოლიტიკური მოღვაწე, რომელიც პირველობაში შეეცილებოდა განსაკუთრებული ნიჭისა და

ერუდიციის პოლიტიკოსს. ამას აღიარებდა ყველა — „მოყვარეცა“ და „მტერიც“. ეს იყო პირველი დიდი გამარჯვება, რომელიც ნოე ჟორდანიამ მოიპოვა, როგორც მოაზროვნემ და როგორც პოლიტიკურმა მოღვაწემ.

ერის წინამძღოლის მძიმე და საპატიო ტვირთი ნოე ჟორდანიამ მუხლჩაუხრელად ატარა 1907 წლიდან 1921 წლამდე. მისი პოპულარობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. ამას ხელს ვერ უშლიდა ვერც რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტი და ვერც ოხრანკა, ვერც პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა (ვ. ლენინის, ი. სტალინისა და სხვათა) გამუდმებული თავდასხმები. ნოე ჟორდანიას რომ ერის აღიარებული პოლიტიკური ლიდერი იყო, ეს კიდევ ერთხელ მთელი სიცხადით გამოემჟღავნა 1917 წელს — რუსეთის იმპერიის ნგრევის შემდეგ. ამ ურთულესმა ეპოქამაც იგივე დაადასტურა: ნოე ჟორდანიას, როგორც ერის წინამძღოლი, კონკურენტის გარეშე იღგა. ამიტომაც სულაც არ იყო მოულოდნელი, რომ საქართველოს I ეროვნულ ყრილობაზე (1917 წლის 19-24 ნოემბერი) მთავარი მომხსენებელი სწორედ ნოე ჟორდანიას იყო. მოხსენების ავტორს საქვეყნოდ უნდა გაეცა პასუხი ურთულეს კითხვაზე — რა უნდა მოიმოქმედოს ქართველმა ერმა შექმნილ პოლიტიკურ სიტუაციაში? ეს კითხვა ეპოქამ დასვა, მაგრამ მასზე პასუხის გაცემა, თუ ბოლომდე შევიგრძნობთ ქართველი ერის იმჟამინდელ ცხოვრებაში ამ პასუხის მნიშვნელობას, აღემატებოდა ჩვეულებრივი მოკვდავის შესაძლებლობებს. სხვა ასპექტებთან ერთად აქ გაბედულების, სიმამაცის, გმირობის მომენტიც იყო. ნოე ჟორდანიამ უპასუხა დასმულ კითხვას. პოლიტიკური სტრატეგია და ტაქტიკური ხაზი, რომელიც მან ეროვნულ ყრილობას წარუდგინა, მრავალმხრივ იყო ორიგინალური. მის მთავარ შედეგს კი 1918 წლის 26 მაისი წარმოადგენდა. 1917 წლის მარტიდან 1918 წლის მაისამდე ნოე ჟორდანიამ ისეთი დიდი პოლიტიკური ალღო გამოიჩინა, რომ თითქმის უიმედო სიტუაციაში განჭვრიტა გამარჯვების ერთადერთი გზა. ამასთან ერთად, ნოე ჟორდანიას მიზნის მიღწევისათვის ბრძოლაში არასდროს აუღია ხელი მისი პიროვნებისათვის ასე მახასიათებელ დემოკრატიზმსა და ჰუმანიზმზე და ეს მაშინ, როცა პირველი მსოფლო ომის (1914-1918 წწ.) შემდგომ თითქმის

ყველა ქვეყანაში დაიწყო შეტევა დემოკრატიის პრინციპებზე, ზედიზედ აღმოცენდა დიქტატორული რეჟიმები თვით დემოკრატიზმის პრინციპების ერთგულებით ცნობილ დასავლეთ ევროპის ქვეყნებშიაც კი. დღეს ჩვენ თამამად ვლაპარაკობთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921 წწ.) უდიდეს მნიშვნელობაზე ქართველი ერის ისტორიაში. მოვა დრო, როცა ასევე თამამად ვისაუბრებთ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის უდიდეს საერთაშორისო მნიშვნელობაზე, რადგან დიქტატორული რეჟიმების ბატონობის ეპოქაში საქართველო მოგვევლინა ჰუმანიზმისა და დემოკრატიზმის ოაზისად. ამ შემთხვევაშიც დაფინის გვირგვინს ნოე ჟორდანიას ვერავინ შეეცილება.

ემიგრაციის მძიმე წლებმა (1921-1953 წწ.) კიდევ ერთხელ ცხადყო ნოე ჟორდანიას, როგორც მოაზროვნისა და როგორც პოლიტიკური მოღვაწის, განსაკუთრებული შესაძლებლობანი. იგი გარდაცვალებამდე ქართული ემიგრაციის ერთადერთ აღიარებულ ლიდერად დარჩა. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის უთანასწორო, უიმედო ბრძოლას ნოე ჟორდანია სიცოცხლის ბოლო დღეებამდე აგრძელებდა. ამ ბრძოლას მხოლოდ სამშობლოს უსაზღვრო სიყვარული შთააგონებდა... ამასთან ერთად, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნოე ჟორდანიამ ჯერ კიდევ ჩვენი საუკუნის 20-იანი წლების დამდეგს თითქმის მათემატიკური სიზუსტით იწინასწარმეტყველა საბჭოთა სისტემის აღსასრული და, რაგინდ დაუჯერებელიც უნდა იყოს, ასევე ზუსტი აღმოჩნდა საბჭოთა სისტემის კრახის შემდგომი პერიოდის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების განვითარების მისეული პროგნოზი. მსგავსი დასკვნები საბჭოეთის ბედის მიმართ მხოლოდ 30-40 წლის შემდეგ გააკეთეს დასავლეთის ცნობილმა სოვეტოლოგებმა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტის შექმნა, მისი ნააზრევისა და ნაღვაწის ზოგადი შეფასება; იმ ადგილისა და როლის განსაზღვრა, რაც ამ ტრაგიკული ზეედრის მოღვაწეს ეკუთვნის საქართველოს ასაღ ისტორიაში. ჩვენთვის ნათელია, რა ძნელ საქმესაც შევეჭიდეთ. უკვე გვესმის მომავალი ოპონენტების ზმაც... მიუხედავად ამისა, ნაშრომის გამოქვეყნების აუცილებლობაში ღრმად ვართ დარწმუნებულნი, რადგან გვეჯერა: ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტი გვჭირდება ჩვენ, დღევანდელ ქართვე-

ლეს. ის პრობლემები, რომელთა გადაჭრა ნოე ჟორდანიას დროინდელ ახალგაზრდა სახელმწიფოს უხდებოდა, დღესაც მთელი სიმწვავეით დგას ქართველ პოლიტიკოსთა წინაშე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ტროუზმუცა და მარცხიც არაერთ სასარგებლო გაკვეთილს მისცემს ქვეყნის უკეთესი მომავლისათვის მებრძოლთ. ხოლო ნოე ჟორდანიას მსოფლმხედველებრივი მრწამსი და ზნეობრივი პოზიცია დიდ სულიერ საზრდოს წარმოადგენს დღევანდელი პოლიტიკური მოღვაწისათვის.

ნოე ჟორდანიამ პირნათლად მოიხადა ვალი ღეთისა და ერის წინაშე. ჩვენ კი ვალი მის წინაშე ჯერაც არ მოგვიხდია. ეს წიგნიც იმ გადაუხდელი ვალის ხანგრძლივი ტკივილიანი განცდის ნაყოფია.

**„ქუთაისის გუბერნიის მმართველი...“
(ზოგიერთი ბიოგრაფიული ცნობა)**

ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პროგრესის შექმნას ძალზე აძველებს მისი მეცნიერული ბიოგრაფიის არარსებობა. სამწუხაროა, მეტიც, მოუტყუებელია, რომ სადღეისოდ ჩვენ ხელთ არა გვაქვს XX საუკუნის გამოჩენილი მოაზროვნისა და დიდი სახელმწიფო მოღვაწის მეცნიერული ბიოგრაფია. სადღეისოდ ყველაზე დიდი მასალა ნოე ჟორდანიას ბიოგრაფიისათვის ისევ მის მემუარებშია დაცული.¹ თუ რამ ნოე ჟორდანიას ბიოგრაფიის შესახებ ჩვენში დაწერილა, მთლიანად ან ძირითადად ამ მემუარებს ეყრდნობა. სამწუხარო, უფრო სწორად, სამარცხვინო ფაქტია, რომ დღეს ნოე ჟორდანიას დაბადების ზუსტი თარიღიც კი დაუდგენელია. მოგონებებში თავად ავტორი აღნიშნავს, რომ დაიბადა 1868 წლის 2 იანვარს.² ეს თარიღი დომინირებს ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაშიც.³ რუსულ სამეცნიერო და საცნობარო ლიტერატურაში კი მითითებულია 1870 წელი.⁴ რამდენიმე წლის წინ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში მივაკვლიეთ დოკუმენტს, რომელშიც ნოე ჟორდანიას დაბადების თარიღად 1869 წლის მაისია მითითებული.⁵ ეს გახლავთ ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში 1901 წლის 9 ივლისს შედგენილი დოკუმენტი – ცნობები პასუხისგებაში მიცემულ ნოე ჟორდანიას შესახებ. ამ დოკუმენტში აღნიშნულია: „დაბადების დრო – 3 მაისი 1869 წელი“. ცნობილია, რომ ჟანდარმერია და ოხრანკა დაპატიმრებული პირის დაბადების თარიღს ადგენდა არა დაპატიმრებულის პირად განცხადებაზე დაყრდნობით, არამედ ეკლესიაში დაცული მეტრიკული ჩანაწერის საფუძველზე. ჩანს, იმ ეკლესიის მეტრიკული ჩანაწერების წიგნში, სადაც მოინათლა ნოე ჟორდანია, მისი დაბადების თარიღად 1869 წლის 3 მაისი იყო მითითებული.

ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პროგრესის შექმნისას გვერდს ვერ აუკვლით მისი ბიოგრაფიის უმთავრეს მონაცემებს. ამჯერად კი დასაწყისში მკითხველს ვთავაზობთ მასალას ქუთაისის გუბერნიის

ჟანდარმერიის სამმართველოში 1901 წლის 9 ივლისს შედგენილი ზემოთ ხსენებული „ცნობებიდან“:

„— გვარი სახელი მამის სახელი — ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე.

— დაბადების დრო — 3 მაისი 1869 წელი.

— დაბადების ადგილი — სოფელი ლანჩხუთი, ოზურგეთის მაზრა, ქუთაისის გუბერნია.

— აღმსარებლობა — მართლმადიდებელი.

— წარმოშობა — ქუთაისის გუბერნიის მემამულეთაგან.

— ეროვნება — გერული.

ქვეშევრდობა — რუსეთის ქვეშევრდომი.

— წოდება — პუბლიცისტი-მწერალი.

— მუდმივი საცხოვრებელი ადგილი — სოფელი ლანჩხუთი, ოზურგეთის მაზრა, ქუთაისის გუბერნია.

— მიწერის ადგილი — სოფ. ლანჩხუთი.

— საქმიანობა — ადგილობრივ ჟურნალებში, ტუზემცების პრესაში თანამშრომლობა.

— ცხოვრების სახსარი — პირადი შრომა.

— ოჯახური მდგომარეობა — უცოლშვილო.

— ნათესავური კავშირები — ჰყავს მამა — ნიკოლოზი, 70 წლის; დედა — ქრისტინე, 60 წლის; გაუთხოვარი და — მარიამი, 27 წლის; ბიძა — იოსებ ჟორდანია, 55 წლის; ბიცოლა — ვარვარა, 45 წლის; ბიძაშვილები — ძმები დიმიტრი იოსების ძე და კონსანტინე იოსების ძე ჟორდანიები, დები დესპინე და ლიუდმილა. ყველანი ცხოვრობენ ლანჩხუთში, გარდა დესპინესი, რომელიც ცხოვრობს ქ. ოზურგეთში.

— შშობლების მუდმივი საცხოვრებელი ადგილი — სოფ. ლანჩხუთი.

— შშობლების ეკონომიური მდგომარეობა — მიწათმფლობელები, ფლობენ ნათესავეებთან (ოჯახის წევრებთან — ვ. გ.) გაუყოფელ 200 ქცევიდან 300 ქცევაძღე მიწას, რომელიც ოჯახის თითოეული წევრის კუთვნილებაა.

— აღზრდის ადგილი — თავდაპირველად ოზურგეთის სასულიერო სასწავლებელი, დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარიის კურსი; ვარშავის ვეტერინალური ინსტიტუტის მეორე კურსიდან გამოვიდა ავადმყოფობის გამო; ბერლინისა და მიუნხენის უნივერსიტეტები, სადაც იმყოფებოდა ერთი წლის ვადით თითოეულში; ჟენევის უნივერ-

სიტეტი, სადაც დაჰყო ორი წელი. განათლების მიცემა დაუწყევს 9 წლის ასაკიდან; სემინარიაში შევიდა 15 წლისა, დაამთავრა 21 წლისამ; ვარშავის ინსტიტუტი მიატოვა 23 წლისამ; 24 და 25 წლის ასაკში იმყოფებოდა ბერლინსა და მიუნხენის უნივერსიტეტებში, ხოლო 27 წლისამ დაამთავრა ენევის უნივერსიტეტი.

– ვის ხარჯზე სწავლობდა – მშობლების ხარჯზე.

– იმყოფებოდა თუ არა საზღვარგარეთ, როდის, სად და რა მიზნით – იმყოფებოდა გერმანიაში, შვეიცარიაში, საფრანგეთსა და ინგლისში 1893 წლის ივლისიდან 1897 წლის ოქტომბრამდე. თავდაპირველად სწავლობდა, შემდეგ მოგზაურობდა“.

როგორც ვხედავთ, წინამდებარე დოკუმენტი ბევრ საინტერესო ცნობას იძლევა ნოე ჟორდანიას ბიოგრაფიის ცალკეული დეტალის დაზუსტებისათვის, მათ შორის, მისი დაბადების ზუსტი თარიღის დადგენისათვის. ძნელი წარმოსადგენია, რომ მეტრიკული ჩანაწერების წიგნში დაბადების თარიღი, ისევე როგორც ნათლობის თარიღი, შეცდომით ყოფილიყო აღნიშნული. ამდენად, ნოე ჟორდანიას დაბადების თარიღად უნდა მივიჩნიოთ არა 1868 წლის 2 იანვარი, ან 1870 წელი, არამედ 1869 წლის 3 მაისი.

**„ბრალდებულია „საქართველოს თავისუფლების ლიგის“
საქმესთან დაკავშირებით...“**

(პოლიტიკური მოღვაწეობის დასაწყისი)

ნოე ჟორდანიას მსოფლმხედველობის გარკვევა თბილისის მართლ-მადიდებელთა სასულიერო სემინარიაში სწავლის პერიოდში (1884-1890 წწ.) ძნელდება სათანადო სანდო მასალის სიმცირის გამო. მის მემუარებს ამ თვალსაზრისით გადამწვევტ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებთ. მოვონებებს თუ ვერწმუნებით, ამ პერიოდში ნოე ჟორდანია მეტწილად სოციალური პრობლემებით ყოფილა დაინტერესებული,⁷ რაც მთლიანად არ დასტურდება სხვა უფრო სანდო მასალით. ჩვენს მიერ ზემოთ რამდენჯერმე ხსენებულ დოკუმენტში – პატიმრობაში მყოფ ნოე ჟორდანიას შესახებ 1901 წლის 9 ივლისს ქუთაისის გუბერნიის ფანდარმერიის სამმართველოში შედგენილ „ცნობებში“ – ვკითხულობთ: „ – იმყოფებოდა თუ არა წინათ პასუხისგებაში – 1894 წელს მიცემულ იქნა პასუხისგებაში ქუთაისის გუბერნიის ფანდარმერიის სამმართველოს მიერ, როგორც ბრალდებული „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ სახელწოდებით ცნობილი წრის საქმესთან დაკავშირებით“.⁸ ამ ფაქტის შესახებ ნოე ჟორდანია თავის მემუარებში ღუძს, ალბათ, პოლიტიკური მოსაზრებით... („საქართველოს თავისუფლების ლიგა“ ეროვნულ-დემოკრატიული ხასიათის ორგანიზაცია იყო, მისი წევრები: არჩილ ჯორჯაძე, გიორგი გვაზავა და სხვ. შემდეგში ნოე ჟორდანიას იდეური მოწინააღმდეგეები გახდნენ). სამაგიეროდ, საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში მივაკვლიეთ კიდევ ერთ დოკუმენტს, რომელიც ადასტურებს, რომ XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგს, ვარშავაში სწავლის პერიოდში ნოე ჟორდანია აქტიურად მონაწილეობდა „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ შექმნასა და მოღვაწეობაში. კერძოდ, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის 1895 წლის 26 მაისის № 4252 საიდუმლო ცირკულარში ძებნილ პირთა სიაში იხსენიება ნოე ჟორდანია, იმავე ცირკულარში ნოე ჟორდანიას შესახებ ვკითხულობთ:

„ჟორდანია ნოე ნიკოლოზის ძე, 1892 წ. ლექციებს ისმენდა ვარშავის ვეტერინალურ ინსტიტუტში, მეცნიერების კურსი არ დაუძმავრებია, დაბრუნდა სამშობლოში — ქუთაისის გუბერნიის ოზურგეთის მაზრის სოფელ ლანჩხუთში. პასუხისგებაში უნდა იქნეს მიცემული როგორც დამნაშავე ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში წარმოებული ფარული რევოლუციური ორგანიზაციის „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ საქმესთან დაკავშირებით. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის მიერ 1893 წლის 22 მაისს გაცემული № 214 პასპორტით გაემგზავრა საზღვარგარეთ 6 თვით. ცხოვრობს ჟენევაში, საიდანაც კორესპონდენციებს აგზავნის თბილისში გამოძავალ ქართულ ჟურნალებში „მოამბე“ და „ივერია“.“

ამდენად, საკვებით ცხადი უნდა იყოს, რომ ნოე ჟორდანია „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ აქტიური წევრი ყოფილა, ე. ი. მას ოდენ სოციალური საკითხით ცალმხრივი დაინტერესება სულაც არ ახასიათებდა. ნოე ჟორდანია საშოლვაწყო ასპარეზზე გამოვიდა როგორც ეროვნული მოძრაობის აქტიური მონაწილე. წინააღმდეგ შემთხვევაში, იგი პატრიოტული მისწრაფებებით ცნობილ „საქართველოს თავისუფლების ლიგაში“ (1891-1893 წწ.) არ შევიდოდა.

მხოლოდ სოციალური საკითხით დაინტერესებულ მოღვაწედ ნოე ჟორდანიას წარმოდგენას სხვა ფაქტებიც ეწინააღმდეგება. 1893 წლის იანვრიდან ოფიციალურად ანასტასია თუმანიშვილი-წერეთლის, ფაქტობრივად კი გიორგი წერეთლის რედაქტორობით გამოვლას იწყებს გაზეთი „კვალი“. ილია ჭავჭავაძესა და მის „ივერიასთან“ მკვეთრად დაპირისპირებულმა გიორგი წერეთლის „კვალმა“ დიდი ადგილი დაუთმო სოციალურ თემატიკას. თუ ნოე ჟორდანია მხოლოდ სოციალური თემატიკით იყო დაინტერესებული, იგი მთლიანად „კვალის“ ბანაკს უნდა მიმხრობოდა. 1893-1894 წლებში, ე. ი. „მესამე დასის“ შექმნის შემდეგაც კი, ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძის „ივერიაში“ თანამშრომლობას თავს არ ანებებს. როგორც ირკვევა, 1893 წელს გიორგი წერეთელს შვეიცარიაში მყოფი ნოე ჟორდანიასათვის ეგნატე ნინოშვილის მეშვეობით „კვალში“ თანამშრომლობა შეუთავაზებია. ნოე ჟორდანიას ამ საპატიო წინადადებაზე უარი უთქვამს. 1893 წლის 6 დეკემბერს ეგნატე ნინოშვილი გიორგი წერეთელს ნაწყენი ტონით წერდა: „შვეიცარიელმა ჟორდანიამ უარი გვითხრა. იმას და არავიპირელს (შიო არავვისპირელი — ვ. გ.) მეტად მოსწონებია „ივერია“.¹⁰ მართალია, ილია ჭავჭავაძე და ნოე ჟორდანია იმხანადაც ვერ

თანხმდებოდნენ ბევრ მნივშნელოვან საკითხზე, მაგრამ 1893 წელს ნოე ჟორდანიას მინც თანამშრომლობს „ივერიაში“.¹¹ ახალგაზრდა პუბლიცისტი ილიასთან თანამშრომლობას აგრძელებს 1894 წელსაც. 1895 წელს საზღვარგარეთ მყოფი ნოე ჟორდანიასათვის ილია ჭავჭავაძეს „ივერიაში“ გამოსაქვეყნებლად შეუკვეთია წერილების სერია „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა გერმანიაში“. ავტორს შეკვეთა ოპერატიულად და დიდი პასუხისმგებლობით შეუსრულებია. იმავე წელს „ივერიაში“ დაიწყო კიდევ ამ წერილების ბეჭდვა. მაგრამ, ჩანს, რედაქტორი და პუბლიცისტი რაღაცაში ვერ შეთანხმდნენ, „ივერიაში“ ნოე ჟორდანიას ნაშრომის პუბლიკაცია შეწყვიტა, თუმცა ავტორმა ხსენებული მასალა 1905 წელს ცალკე წიგნად გამოსცა, ოღონდ შეცვლილი სათაურით: „გერმანიის ახალი ისტორიიდან“.¹²

უთანხმოების მიუხედავად, ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას ურთიერთობა 1893-1897 წლებში მაინც გრძელდება: 1893 წელს ილია „ივერიაში“ აქვეყნებს ნოე ჟორდანიას ვრცელ მასალას სათაურით: „წერილები შვეიცარიიდან“. იმავე, 1893 წელს ილია, პრინციპული მოსაზრებიდან გამომდინარე, არ ბეჭდავს ნოე ჟორდანიას ნაშრომს „რა ვაკეთოთ“ (იგივე „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა“), 1895 წელს, როგორც აღვნიშნეთ, ილიამ ნოე ჟორდანიას დაუკვეთა წერილების სერია სათაურით „პოლიტიკური პარტიების წარმოშობა გერმანიაში“, რომლის ბეჭდვაც „ივერიაში“ რამდენიმე წერილის გამოქვეყნების შემდეგ შეწყვიტა. მიუხედავად ყოველივე ამისა, ილია ჭავჭავაძე ნოე ჟორდანიას მაინც აფასებდა და მისი თაობის მოღვაწეებს შორის გამოარჩევდა კიდევ. სწორედ ამის დადასტურება იყო 1897 წლის ბოლოს ილია ჭავჭავაძის მიერ „ივერიის“ თანარედაქტორად ნოე ჟორდანიას მიწვევა. ეს უკანასკნელი ამ პერიოდისათვის უკვე ქართული სოციალ-დემოკრატიის აღიარებული ლიდერი იყო. ილიას მიწვევაზე ნოე ჟორდანიას მიერ უარის თქმა პოლიტიკური მოსაზრებით განხლდათ განპირობებული.¹³ ეს იყო ბოლო შესაძლებლობა ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას შორის შეთანხმების მიღწევისა. ძნელია იძის თქმა, თუ რამდენად რეალური იყო ამ ორი პოლიტიკური მოღვაწის მორიგება 1897 წლისათვის, მით უფრო ძნელია იწინასწარმეტყველო ამ მორიგების რეალური შედეგები...

„თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა...“

(ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერი)

სოციალური პრობლემატიკა ქართულ სინამდვილეში სოციალ-დემოკრატებს არ შემოუტანიათ. სოციალური პრობლემატიკა მკვიდრდებოდა თავისთავად ქართველი ერის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების კვალდაკვალ. სოციალურმა საკითხმა ასახვა ჰპოვა XIX საუკუნის მეორე ნახევრის ქართული პერიოდული გამოცემების: „ივერია“, „დროება“, „მოამბე“, „კვალი“ და სხვ. ფურცლებზე. სოციალური უსამართლობა და ამ უსამართლობის აღმოფხვრის იდეები ფართოდ აისახა თერგდალეულთა შემოქმედებაში. ილია ჭავჭავაძის „გლახის ნამბობი“, „რამდენიმე სურათი ანუ ეპიზოდი ყაჩაღის ცხოვრებიდან“, „1871 წ. 23 მაისი“, „აჩრდალი“, „ოთარაანთ ქვრივი“ და სხვ. სწორედ ამის დადასტურებაა. მაგრამ ქართულ ისტორიოგრაფიასა და ლიტერატურისმცოდნეობაში ხშირად გარკვევით არ არის გამოიჯნული ორი მოვლენა: პირველი, სოციალური პრობლემატიკის ასახვა ქართულ მწერლობაში, ქართულ პუბლიცისტიკაში და მეორე – სოციალური საკითხის გამწვავებისაკენ მოწოდება, რომლის მიზანი იყო ქართველი ერის გათიშვა და მისი გადაჩეხვა დიდ სოციალურ კონფლიქტში. პირველი ქართულ სინამდვილეში აღმოცენდა, როგორც წმინდა ლიტერატურული ხასიათის მოვლენა, ხოლო მეორე გარედან ინსპირირებულ, სრულიად ნათლად გამოკვეთილ პოლიტიკური ხასიათის ფაქტს წარმოადგენდა.

სოციალური კონფლიქტის გამწვავებით დიდი სოციალური ძვრების (რევოლუციის) გამოწვევა და ამ გზით სოციალიზმის მიღწევის იდეა რუსმა ნაროდნიკებმა წამოაყენეს XIX საუკუნის 60-იან წლებში. შემდეგომ ხანებში ამ იდეამ საქართველოშიც შემოადგინა რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის ქართველი მიმდევრების წყალობით. ილია ჭავჭავაძემ იმთავითვე იგრძნო რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის იდეების საქართველოში დამკვიდრების დამლუპველობა. რუსეთის იმ-

პერიის მიერ დაპყრობილი ქართველი ერი, თუ დიდი სოციალურ კონფლიქტში გადაიწეხებოდა, ილიას მიერ შემუშავებული ეროვნული პროგრამის განხორციელება შეუძლებელი გახდებოდა. ამიტომ ილია ჭავჭავაძემ რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის იდეებისა და მისი ქართველი მიმდევრების წინააღმდეგ დაიწყო კარგად გააზრებული ბრძოლა. 1888 წლის 2 ნოემბერს „ივერიის“ მოწინავეში ილია უკვე მერამდენედ იმეორებდა: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად, ერთიანის მეცადინეობითა და გარჯით ჰკდილობს ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად და საყოველთაოდ“.¹⁴

XIX საუკუნის 80-იანი წლების დასასრულისა და 90-იანი წლების დამდეგისათვის ილია ჭავჭავაძის მცდელობით რუსული ნაროდნიკული სოციალიზმიდან მომდინარე საფრთხე ქართველმა საზოგადოებამ თავიდან აიცილა. მოუხედავად ამისა, ნაროდნიკული სოციალიზმის იდეების მიმდევრებმა მაინც შეძლეს სოციალური რევოლუციის იდეის პოპულარიზაცია. ეს უკვე სერიოზული დარტყმა იყო ეროვნული მოძრაობისათვის. მით უფრო, რომ ცოტა ადრე ილია ჭავჭავაძესთან სოციალური საკითხების ირგვლივ უთანხმოების გამო თერგდალეულთა დასს (პირველ დასს) გაემიჯნენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი. თუმცა, საბოლოოდ, ამ ბრძოლებიდან ილია ჭავჭავაძე მაინც გამარჯვებული გამოვიდა. მაგრამ, ისიც უნდა დავძინოთ, რომ ილიას ეროვნული პროგრამის სოციალური (და არა სოციალისტური) იდეებით გამდიდრება მაინც დღის წესრიგიდან არ მოხსნილა.

XIX საუკუნის მეორე ნახევარში ევროპაში სოციალისტური მოძრაობის მძლავრი აღმავლობის პერიოდია. კაპიტალიზმი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში უკვე მივიდა განვითარების იმ დონემდე, როცა აუცილებელი გახდა საშუალო წოდების დამცველი იდეოლოგიის შემუშავება. საშუალო ფენის ინტერესების დაცვა თავს იღო სოციალისტური დოქტრინის რამდენიმე მიმდინარეობამ. მათ შორის ყველაზე პოპულარული იყო სოციალ-დემოკრატიული იდეოლოგია.

ნოე ჟორდანიამ რომ ილია ჭავჭავაძის ეროვნული პროგრამის სოციალიზაციის მოთხოვნა დააყენა, ორიგინალური არ ყოფილა. მისი

„წინაპრები“ ამ მხრივ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი იყვნენ. საკითხის დაყენება სწორედ მათ ეკუთვნოდათ. შესაფერისი სოციალური დოქტრინის ძიებაში ნოე ჟორდანიამ შეისწავლა რუსული ნაროდნიკული სოციალიზმი, ხოლო შემდეგ — მარქსიზმი. ნოე ჟორდანიამ მალევე შენიშნა რუსული ნაროდნიკული სოციალიზმის იდეების შეუსაბამობა ქართულ სინამდვილესთან. ნოე ჟორდანიამ ასევე მალევე შენიშნა, რომ მარქსიზმს თვით დასავლეთ ევროპაში გამოუჩნდნენ სერიოზული კრიტიკოსები ედუარდ ბერნშტაინისა და კარლ კაუცკის სახით. ედუარდ ბერნშტაინმა და კარლ კაუცკიმ მარქსიზმში უარყვეს მთავარი: 1) ბურჟუაზიული საზოგადოების რევოლუციის გზით მოსპობის აუცილებლობა; 2) პროლეტარიატის მიერ პოლიტიკური ძალაუფლების დაპყრობის გარდუკალობა. ამ მოაზროვნეთა აზრით, საშუალო ფენის მდგომარეობა უნდა გაუმჯობესებულიყო ბურჟუაზიული წყობილების ეკონომიკური და სოციალური განვითარების კვალობაზე, რასაც შედეგად უნდა მოჰყოლოდა პოლიტიკური სისტემის დემოკრატიზაცია. მარქსიზმის ოპონენტებმა კლასობრივი ბრძოლის უმთავრეს ფორმად ეკონომიკური ბრძოლა აღიარეს, ხოლო პოლიტიკური ძალაუფლების მოპოვების ერთადერთ გზად — პარლამენტური ბრძოლა. ნოე ჟორდანიას XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგისათვის მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მისი სოციალური პროგრამის საფუძველად შეიძლებოდა ედუარდ ბერნშტაინისა და კარლ კაუცკის მოძღვრების გამოყენება. ნოე ჟორდანიას არჩევანი იმითაც იყო საყურადღებო, რომ მან არა მარტო სწორად შეაფასა მარქსიზმთან შედარებით ე. ბერნშტაინისა და კ. კაუცკის მოძღვრების პროგრესულობა, დემოკრატიზმი და ჰუმანურობა, არამედ ზუსტად დაინახა ის საფრთხე, რომელიც მარქსიზმის გავლენით XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან რუსული სოციალ-დემოკრატიის სახით მოველინა რუსეთსა და საერთოდ, იმპერიაში მცხოვრებ ყველა ხალხს. ნოე ჟორდანიამ იმავეთვე შენიშნა, რომ რუსულმა სოციალ-დემოკრატიამ ჯერ გიორგი პლენხანოვის, ხოლო შემდეგ ვლადიმერ ლენინის სახით თავის თავში გააერთიანა ყოველივე ტოტალური, ანტიხალხური, დიქტატორიული, ექსტრემისტული, რაც კი გააჩნდა სოციალისტური დოქტრინის სხვადასხვა მიმდინარეობებს: მარქსიზმს, ანარქიზმს, ბლანკიზმს, რუსულ ნაროდნიკულ სოციალიზმს.

1891-1892 წლებისათვის ნოე ჟორდანიას უკვე ნათლად გრძნობდა, რომ სოციალ-დემოკრატიულ იდეოლოგიაზე დაყრდნობით ახალი დასის, ახალი პოლიტიკური მიმდინარეობის პროგრამის შემუშავება ისე უნდა მომხდარიყო, რომ ეროვნული ინტერესები არ შესწირვოდა სოციალურ საკითხთა მოგვარების მცდელობას, არ მომხდარიყო დემოკრატიზმისა და ჰუმანიზმის პრინციპების ხელყოფა. ეს აზრი ნოე ჟორდანიას პიროვნებაში 1891-1892 წლებში, კარშავაში სწავლის პერიოდში, მომწიფდა.

თავის შეხედულებას ნოე ჟორდანიამ პრინციპული მნიშვნელობა მიანიჭა საქართველოში დაბრუნების შემდეგ და კერძოდ კი, „მესამე დასის“ პირველ კონფერენციაზე (ყრილობაზე), რომელიც 1892 წლის დეკემბრის ბოლოს გაიმართა ზესტაფონში (ყვირილაში). „მესამე დასის“ პირველი კონფერენციის მონაწილეთა უმრავლესობა ნაროდნიკული სოციალიზმის ან რუსული სოციალ-დემოკრატიის იდეების გავლენის ქვეშ აღმოჩნდა. მათთვის უცნობი იყო ელუარდ ბერნშტაინისა და კარლ კაუცკის მოძღვრების შინაარსი და მნიშვნელობა. ყოველივე ამის გამო ის შეთანხმება, რომელიც კონფერენციაზე იქნა მიღწეული, აშკარად ეროვნული მოძრაობის წინააღმდეგ იყო მიმართული. შეხვედრის მონაწილეთა უმრავლესობამ სოციალური პროგრესის ერთადერთ გზად რევოლუცია აღიარა.¹⁵ ნოე ჟორდანიამ ბოლომდე გააცნობიერა „მესამე დასის“ პირველი კონფერენციის უმრავლესობის შეხედულებათა დამღუპველობა. მან შეძლო ეგნატე ნინოშვილისა და სილიბისტრო ჯიბლაძის დაყოლიება. გადაწყდა მოეწვიათ „მესამე დასის“ მეორე კონფერენცია, რომელსაც უნდა მიეღო ორგანიზაციის პროგრამა. პროგრამის პროექტის შედგენა ნოე ჟორდანიამ ითავა. „მესამე დასის“ პროგრამის პროექტი მას უკვე მზად ჰქონდა 1893 წლის იანვარში. ხელნაწერში ნაშრომს ეწოდებოდა „რა ვაკეთოთ?“ (გამოქვეყნდა 1894 წელს სათაურით „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა“). პროგრამის პროექტი საკმაოდ ვრცელი იყო, დასკვნებსა და განზოგადებებთან ერთად შეიცავდა დიდძალ ფაქტობრივ მასალას.¹⁶ ნოე ჟორდანიამ პროგრამის პროექტი „მესამე დასის“ მეორე კონფერენციას წარუდგინა. კონფერენცია გაიმართა თბილისში 1893 წლის თებერვლის ბოლოსა და მარტის დამდეგს. კონფერენციამ განხილვის შემდეგ ნოე ჟორდანიას მიერ შედგენილი პროგრამის პროექტი დაამტკიცა.¹⁷

„მესამე დასის“ ისტორიისათვის ეს უმნიშვნელოვანესი დოკუმენტი ასეთი დასკვნით მთავრდება: „I. ნივთიერი კეთილდღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა; 2. თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა, როგორც ხელ-შემწყობი პირობა უმთავრესი სურვილის მისაღწევით და როგორც უახლოესი საგანი მოწინავე დასის მოქმედებისა; აქედან, 3. ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსებანი თითოეული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქნას ეკონომიურ ნიადაგზე.“¹⁸ დასკვნის ეს სამი პუნქტი ნოე ჟორდანიამ მეორე ვარიანტითაც წარმოადგინა: „I. ეკონომიური კეთილდღეობა -- როგორც უმთავრესი პირობა ადამიანთა ბედნიერებისა; II. ვაჭრობა და წარმოება -- როგორც ძველი კარ-ჩაკეტილი ცხოვრების დამარღვეველი და ერის და კაცობრიობის გამაერთიანებელი ძალა (პროგრესიული მოვლენა). ა) ერის და თითოეულის პირის თავისუფლება -- როგორც საუკეთესო საშუალება მეორე მუხლში მოხსენებული სურვილის განსახორციელებლათ; აქედან, III. გაძლიერება ბურჟუაზიული წეს-წყობილებისა და უმრავლესობის ნივთიერათ გაღარიბება, ადგილ-მამკლის ხელიდან გაცლით და უმცირესობის ბატონობით (რეგრესიული მოვლენა); IV. გაღარიბებული ნაწილის შეკავშირება და პირველ მუხლში მოხსენებულ სურვილისაკენ მიმართვა -- როგორც პირ-და-პირი იარაღი კეთილდღეობის მოპოვებისა (პროგრესიული მოვლენა)“.¹⁹

შემდგომ წლებში ნოე ჟორდანიას კიდევ უფრო სრულყოფს „მესამე დასის“ პროგრამას. 1895 წელს იგი აქვეყნებს ნაშრომს „მოამბე“, „ივერია“ და „ეროვნობა“, ხოლო 1897 წელს -- „გაზ. ივერია“ და „ეროვნობა“. ორივე ნაშრომი ერთი და იმავე შინაარსის ვრცელი დასკვნით მთავრდება. აი, ზოგიერთი პუნქტი ამ დასკვნიდან:

– „ეროვნული განვითარება ნიშნავს ეკონომიურ განვითარებას. ეს იხატება შემდეგში: ძველი პატრიარქალური წარმოება ირღვევა და მის ალაგს დგება კაპიტალისტური“;

– „ეკონომიური განვითარება ერს ყოფს დასებათ და ახდენს პოლიტიკურ ცვლილებებს“;

– „ჩვენი ქვეყანა უკვე ჩადგა მოქალაქეობრივ ხანაში. ეს იხატება პატრიარქალურ წყობილების რღვევაში და კაპიტალისტურის დამკვიდრებაში. ქართველი ხალხის ცხოვრება ევროპიელდება“.

– „გაეკროპელება სწარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცხოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა – აი, რა წერია ახალ დროშაზე“.²⁰

ნოე ჟორდანიას ეს დასკვნები მრავალმხრივია საყურადღებო. პირველი და უმთავრესი კი მაინც ისაა, რომ ეს დასკვნები სრულიად ორიგინალურია ქართული საზოგადოებრივი აზრის ისტორიაში. ამ ნაშრომებით ეყრებოდა საფუძველი ქართული პოლიტიკური აზროვნების ახალ ეტაპს.

ბუნებრივია, ისმის კითხვა: რით საზრდოობდა ნოე ჟორდანია, როდესაც „მესამე დასის“ პროგრამას ადგენდა? უმთავრესი იდეური წინამძღვარი: მისთვის, როგორც მთავროვნისათვის, იყო ნიკო ნიკოლაძის (1839-1928), გიორგი წერეთლისა (1842-1900) და სერგეი მესხის (1845-1883) შეხედულებანი. ნოე ჟორდანია არა მარტო იცნობდა ხსენებულ მოაზროვნეთა შეხედულებებს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ პრობლემებზე, არამედ ზედმიწევნით ზუსტად ჰქონდა გააზრებული ერთის მხრივ, ილია ჭავჭავაძესთან ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და სერგეი მესხის უთანხმოების მიზეზები, ხოლო, მეორეს მხრივ, ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის უთანხმოების საფუძველი. ნოე ჟორდანიამ დაინახა, რომ ილია ჭავჭავაძესთან მისი ყოფილი თანამებრძოლების – ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლისა და სერგეი მესხის დაპირისპირება გამოიწვია ილია ეროვნული პროგრამის სოციალიზაციის საკითხმა. თვითონ ილია ჭავჭავაძე, ცხადია, წინააღმდეგი არ იყო ეროვნული პროგრამის სოციალიზაციისა („ოთარანთ ქერივის“ ავტორს ამის აუცილებლობა ალბათ სხვებზე უკეთაც ესმოდა). ილიას მხოლოდ ის აფიქრებდა, რომ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სერგეი მესხი მკვეთრ ზღვარს ვერ ავლებდნენ ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალიზაციასა და ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნას შორის. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ილია ჭავჭავაძე პრინციპული წინააღმდეგი იყო ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალიზაციისა კარლ მარქსისა და ფრიდრიხ ენგელსის შეხედულებათა მიხედვით. ილია ჭავჭავაძე მარქსიზმში ხედავდა არა ეროვნული მოძრაობის გამაძლიერებელ, არამედ მის დამანგრეველ, გამანადგურებელ ძალას. ილიას უკიდურესად უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა მარქსიზმისადმი და ეს ყველასათვის ცხადია. ილია მარქსიზმს არ თანაურგძნობდა ბევრი მიზეზის გამო.

უმთავრესი კი ის იყო, რაც გაცილებით გვიან ასე ჩამოაყალიბა ოსკალდ შპენგლერმა: „... ჰეგელი დგას მაღლა, მისი მოწაფე მარქსი — დაბლა, ისტორიული ფაქტობრიობის სიბრტყეზე. თუ ჰეგელს ჩამოვაშორებთ მის მეტაფიზიკას, აღმოვაჩინებთ სახელმწიფო მოაზროვნეს სინამდვილის ისეთი ძლიერი შეგრძნებით, რომლის მსგავსს ახალ ფილოსოფიაში ვერ იპოვი. როგორც პრუსიელი სულიერი ნათესაობით, ჰეგელი განვითარების მისეული, ძალზე ღრმა გოთური კონკრეციის ცენტრში ისეთივე დამაჯერებლობით აყენებს სახელმწიფოს, როგორც ინგლისელებთან სულიერად მონათესავე მარქსი მისეული მექანიკურ-დარვინისტული „ეკოლუციის“ ცენტრში აყენებს მეურნეობას. ჰეგელისათვის სახელმწიფო ისტორიის შემოქმედია, პოლიტიკა ეს ისტორიაა. „ადამიანთა საზოგადოება“ ეს მისი სიტყვები არ არის. ბისმარკის თაობის მაღალი რანგის მოხელეები სასტიკი ჰეგელიანელები იყვნენ. მარქსი კი ისტორიას გაიაზრებს სახელმწიფოს გარეშე, — ისტორია, როგორც პარტიათა არენა, ისტორია, როგორც კერძო სამეურნეო ინტერესების ორთაბრძოლა“.²¹

ილია ჭავჭავაძე, როგორც აღვნიშნეთ, არ იყო ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალიზაციის წინააღმდეგი, მაგრამ ნიკო ნიკოლაძისა, გიორგი წერეთლისა და სერგეი მესხისაგან განსხვავებით, სხვა გზას ეძებდა. ეს გზა მარქსიზმზე არ გადიოდა. არც სოციალისტური დოქტრინის სხვა მიმდინარეობანი იზიდავდა ილიას. იგი ვერ იწამებდა იმ იდეოლოგიას, რომელიც საერთო ეროვნულ ინტერესებზე მაღლა კერძო სამეურნეო ინტერესებს აყენებდა. ენისა და სახელმწიფოს გაგებაში ილია ჭავჭავაძე წმინდა წყლის ჰეგელიანელი იყო. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, თუ რით დამთავრდებოდა ეროვნული მოძრაობის პროგრამის დაუფიქრებელი, ხელაღებით სოციალიზაცია. ამ ფიქრსა და განსჯაში წერდა ილია „ოთარაანთ ქერივს“ (1887-1888 წწ.), ამ ფიქრისა და განსჯის ნაყოფია 1888 წელს დაწერილი პატარა ერის პოლიტიკური ცხოვრების ფორმულა: „ჩვენი გულითადი რწმენა ყოველთვის ისა ყოფილა და არის, რომ ერის წარმატება, ქონებრივი თუ გონებრივი, შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ერი წოდებათა დაუყოფლად, დიდპატარაობის გაურჩევლად და გამოუკლებლად ერთიანის მეტადინეობითა და გარჯით ცდილობის ცხოვრების გზა გაიკვალოს და ბურთი ბედისა გაიტანოს წუთისოფლის მოედნიდამ ყველამ ერთად და საყოველთაოდ“.²²

ნოე ჟორდანიამ ილია ჭავჭავაძის, ნიკო ნიკოლაძის, გიორგი წერეთლის, სერგეი მესხის შეხედულებათა ანალიზის, ასევე მათ შორის გამართული პოლემიკის შინაარსის გარკვევის საფუძველზე, ეღუარდ ბერნშტაინისა და კარლ კაუცკის შეხედულებათა გათვალისწინებით, 1893-1897 წლებში გააკეთა შემდეგი დასკვნები:

პირველი. საჭიროა ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალური (და არა სოციალისტური) მოთხოვნებით შევსება;

მეორე. ეროვნული მოძრაობის პროგრამის სოციალიზაცია დაკავშირებულია დიდ საფრთხესთან, დაუფიქრებელი ნაბიჯი შეიძლება საბედისწერო შედეგებით დამთავრდეს;

მესამე. ეროვნული მოძრაობის სოციალიზაცია არ შეიძლება მარქსიზმის საფუძველზე, რადგან ეს მოძღვრება არ ცნობს ერსა და სახელმწიფოს, იგი საერთო ეროვნულ, სახელმწიფოებრივ ინტერესებზე მაღლა აყენებს თითოეული ადამიანის, მოქალაქის კერძო სამეურნეო (ეკონომიკურ) ინტერესებს;

მეოთხე. ბურჟუაზიული წყობილების მძლავრი აღმავლობა საქართველოში ქართველი ერის გადარჩენის აუცილებელი პირობაა;

მეხუთე. აუცილებელია საზოგადოების დემოკრატიზაცია და ჰუმანიზაცია, ადამიანის უფლების დაცვა;

მეექვსე. ადამიანის უფლების დაცვის აუცილებელი პირობაა კერძო საკუთრება — პიროვნების ეკონომიკური დამოუკიდებლობა;

მეშვიდე. ბურჟუაზიული წყობილება წარმოადგენს იმ წყობილებას, რომლის შიგნითაც შეიძლება ახალი სოციალური პროგრამის შემუშავება და განხორციელება, ეროვნული ინტერესების დაცვა. ეროვნული და სოციალური საკითხების გადაჭრის დაკავშირება ბურჟუაზიული წყობილების მოსპობასთან წმინდა წყლის დემაგოგიაა.

სწორედ ასეთი აზროვნების დამადასტურებელია შემდეგი ადგილები ნოე ჟორდანიას ზემოთ ხსენებული ნაშრომიდან: „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა“, (1894 წ.), და „გაზ. „ივერია“ და ეროვნობა“ (1897 წ.):

- „თავისუფლება მთელი ერისა და თითოეული პიროვნებისა“;
- „ერის და თითოეულის პირის თავისუფლება“;
- „ეროვნული გრძნობა მთელი ხალხისა და ადამიანური უფლებანი, კაცური ღირსებანი თითოეული პირისა აღზრდილი და აღორძინებული უნდა იქნას ეკონომიურ ნიადაგზე“;

– „ნივთიერი კეთილ-დღეობა, როგორც დედა-ბოძი ადამიანის ცხოვრებისა“;

– „ეკონომიური კეთილ-დღეობა – როგორც უმთავრესი პირობა ადამიანთა ბედნიერებისა“;

– „ვაჭრობა და წარმოება – როგორც ძველი კარ-ჩუკტილი ცხოვრების დამარღვეველი და ერის და კაცობრიობის გამაერთიანებელი ძალა“;

– „ეროვნული გრძნობა ნიშნავს – ეკონომიურ განვითარებას“;

– „გავეროპიელება სწარმოებს ქართულ ნიადაგზე, ქართულ კულტურაზე. სამშობლო და უცოეთი, საქართველო და ევროპა, ქართველობა და ევროპიელობა“;

– „ვერც ერთი ხალხი ვერ ევროპიელდება გონებით, პოლიტიკურათ, თუ ის ვერ ევროპიელდება ცხოვრებით, ეკონომიურათ“.

ამრიგად, ნოე ჟორდანიას, როგორც მოაზროვნე, სამოღვაწეო ასპარეზზე გამოვიდა არა როგორც ილია ჭავჭავაძისა და საერთოდ სამოციანელთა (თერგდალეულთა) თაობის (ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, სერგეი მესხი და სხვა) ალტერნატივა, როგორც მათი უარყოფა, არამედ როგორც დიდი ეროვნული საქმის გამგრძელებელი, ქართველი ერის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური განვითარების ახალი, ორიგინალური კონცეფციის შემმუშავებელი.

ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ ნოე ჟორდანიას, როგორც პოლიტიკოსი, დასავლური ორიენტაციის თავგამოდებული მომხრე იყო.

ნოე ჟორდანიას სამოღვაწეო ასპარეზზე გამოსვლით ახალი ეტაპი დაიწყო ქართული პოლიტიკური აზროვნების ისტორიაში.

„ჩვენი მსაჯული ისტორია“
(პოლემიკა ილია ჭავჭავაძესთან)

ნოე ჟორდანიას ურთიერთობა ილია ჭავჭავაძესთან ძალზე მნიშვნელოვანი და ამავე დროს ქართველი საზოგადოებისათვის უაღრესად საინტერესო საკითხია.

ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას ურთიერთობა ათწლეულების მანძილზე, პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, არასწორად შუქდება. საკითხის გაყალბებაში აშკარად შეინიშნება ორი ეტაპი. პირველი. ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდგომ ხანებში საქართველოში არსებულმა პოლიტიკურმა პარტიებმა და ცალკეულმა მოღვაწეებმა არასწორი შეფასება მისცეს ნოე ჟორდანიას პოლემიკას ილია ჭავჭავაძესთან, თავიანთ სასარგებლოდ გააყალბეს არამარტო პოლემიკის შინაარსი, არამედ საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებიც. ამ წამოწყების პოლიტიკური მიზანი იყო ნოე ჟორდანიას და საერთოდ ქართული სოციალ-დემოკრატიის დისკრედიტირება, პოლიტიკურ ბრძოლაში ზედმეტი ქულების მოპოვება. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა ნოე ჟორდანიას „მამხილებელ“ პოლიტიკურ მოღვაწეებს თვითონ არანაკლები უთანხმოება და პოლემიკა ჰქონდათ ილია ჭავჭავაძესთან. მეორე. საბჭოთა (კომუნისტურმა) იდეოლოგიამ, ასევე პოლიტიკური მიზნებიდან გამომდინარე, ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკა, ისევე როგორც მისმა წინამორბედმა, ნოე ჟორდანიასა და საერთოდ, ქართული სოციალ-დემოკრატიის (მენშევიკების) დისკრედიტირებისათვის გამოიყენა. 1921 წლიდან 80-იანი წლების ბოლომდე საბჭოთა (კომუნისტური) იდეოლოგია დაჟინებით არწმუნებდა საზოგადოებას: ნოე ჟორდანია ეროვნულ მოღვაწედ ვერ ჩაითვლება, რადგან მას პოლემიკა ჰქონდა ილია ჭავჭავაძესთან. და ეს ხდებოდა მაშინ, როცა საბჭოთა იდეოლოგიის მიერ გაღმერთებული „მამალი ბოლშევიკი“ ფილიპე მახარაძე ჟურნალ „მოგზაურიდან“ ისეთი უკადრისი სერხებით ებრძოდა ეროვნული მოძრაობის მედროშეს, რომ დღესაც კი ბინძური პოლიტიკური ინტრიგის მაგალითად რჩება.

ნოე ჟორდანიასთვის პოლემიკის დროს მიუღებელი იყო პრინციპი: „მიზანი ამართლებს საშუალებას“. მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, ნოე ჟორდანიას პოლემიკისას შემდეგი პრინციპით ხელმძღვანელობდა: „ძრავალ სხვა და სხვა გვარ მოღვაწეებთან მოგვიხტა შეტაკება, კამათი და უსიამოვნება. მაგრამ ყოველთვის მათში ვებრძოდი ყალბ მიმართულებას, შემცდარ აზრებს და არასოდეს პიროვნებას. მე ისინი მუდამ მიმანდა პატიოსან, მარა შემცდარ, მოაზრეთ. ამ ხანგრძლივ ბრძოლაში არასოდეს არ გამირეკვა პირადი ანგარიშები, კერძო ინტერესები, არაფერი ისეთი, რაც იდგა საკმაოდ პრინციპების გარეშე. ერთი სიტყვით, პუშკინის სიტყვებით რომ ვთქვა, მუდამ პატიოსნად მძულდა, გულწრფელად მიყვარდა...“²³

ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძესთან პოლემიკის დროსაც. სამოციანელთა (თერგდალეულთა) თაობის და, ცხადია, პირველ რიგში ილია ჭავჭავაძის ნააზრევისა და ნაღვაწის შეფასება ნოე ჟორდანიამ მოგვცა 1894 წელს გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულ ნაშრომში „მოამბის“ პუბლიცისტიკა (წერილები შორეული ქვეყნიდან)“. ნოე ჟორდანიას წერდა: „...ღიდათ ვაფასებთ იმ თაობას, რომელმაც დაუფასებელი ღვაწლი დასდგა მთელ საქართველოს. შეგვიქმნა მწერლობა, შეგვიმუშავა სალიტერატურო ენა, შეებრძოლა ძველ წესებს და ჩაგრულთა მომხრეთ გამოვიდა. ერთი სიტყვით, ეს თაობა იბრძოდა წინსვლის, პროგრესისათვის და თვით ეს ბრძოლა გულწრფელი, უანგარო იყო...“²⁴ 1896 წელს იმავე გაზეთ „კვალში“ გამოქვეყნებულ ნაშრომში „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება (თ. რ. ერისთავის იუბილეს გამო)“ სამოციანელთა თაობის ღვაწლს ერის წინაშე ნოე ჟორდანიას ასე აფასებდა: „რ. ერისთავი ეკუთვნის მესამოცე წლების მოღვაწეთა გუნდს. აღფრთოვანებული დღესასწაული დაიმსახურა არა პირადად რაფიელმა, არამედ იმ აზრებმა, რასაც ის სთესავდა ცხოვრებაში. მარა ეს აზრები, მეტ-ნაკლებათ, შეადგენდნენ კუთვნილებას მთელი გუნდისას; მისი წევრნი სხვა და სხვა ფორმით, სხვა და სხვა სახით, ემსახურებოდნენ ერთსა და იმავე იდეას, ადგენდნენ ერთ და იმავე მიმართულებას. რ. ერისთავის იუბილე იყო იმავე დროს იუბილე ამ მიმართულების, ამ აზრების, ამ გუნდის. დღეს ჩვენ ამას ვაფასებთ, პატივს ვცემთ“²⁵

ცხადია, ნოე ჟორდანიას მიერ სამოციანელთა (თერგდალეულთა) დასის ასეთი მაღალი შეფასება, პირველ რიგში, მისი ლიდერის – ილია

ჭავჭავაძის ნაღვაწის აღიარებას ნიშნავდა. ამავე დროს ეს სიტყვები საუკეთესოდ მიგვიანიშნებს მათი ავტორის მრწამსზე. გაურკვეველი და სადავო აქ არაფერია. ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძისა და საერთოდ სამოციანელთა დასის მოღვაწეობას პროგრესულად თვლის XIX საუკუნის 60-იანი წლების დამდეგიდან... გარკვეულ პერიოდამდე. ამ მოღვაწეობის მთავარი შედეგი, ნოე ჟორდანიას აზრით, ქართველი ერის გადარჩენა იყო, ხოლო მომდევნო ხანებში, კერძოდ კი 80-90-იან წლებში ილია ჭავჭავაძისა და მისი თანამოაზრეების მოღვაწეობა უკვე აღარ იყო პროგრესული, უფრო მეტიც, მათი იდეები, ზოგადად მათი ბრძოლა საზოგადოებრივ ასპარეზზე ერის განვითარების შემაფერხებელიც კი გახდა. რაში მდგომარეობდა მაინც უთანხმოების უმთავრესი მიზეზი? ნოე ჟორდანიას ამ კითხვას პასუხობს ზემოთ ხსენებულ ნაშრომში - „მოამბის პუბლიცისტიკა“. მას შემდეგ, რაც საესეებით ზუსტად დობიექტურად განსაზღვრა სამოციანელთა თაობის ფასდაუდებელი ღვაწლი ქართველი ერის წინაშე, ნოე ჟორდანიას აგრძელებს: „მაგრამ ნება მოგვეცით, ამავე თაობის დღევანდელ მოქმედებაში ეჭვი შევიტანოთ. ეს თაობა (უკეთ ვთქვათ, ძველი დასი) დღევანდელ ცხოვრებასა და მესამოცე წლების სათვალეებით უცქერის, მაშინ როდესაც თვით ცხოვრება საშინლად შეიცვალა, დაიბადნენ ახალი პირობები, აღმოცენდნენ ახალი კითხვები. აი, აქ იწყება ამ დროის უკანდახვევა, ჩამორჩენა და განზე გადახვევა. ეს უკან-უკან სიარული იმ წერტილამდის მივიდა რომ ერთი ამ დასის წარმომადგენელთაგანი (აგრეთვე ბევრი სხვებიც) ბ-ნ ნიკოლაძე, მათ ქსელში ჩაეარდნინლა, რომლის დაუძინებელი მტერ თვითონ იყო წინააღ²⁶ სამოციანელთა თაობის მოღვაწეობის კრიტიკ დაახლოებით ასევეა წარმოდგენილი ნოე ჟორდანიას მეორე ნაშრომში „მესამოცე წლების მოღვაწენი და დღევანდელი ცხოვრება“ (1896 წ.)

ვინც ორივე წერილს გაეცნობა, დაგვერწმუნება, რომ ნოე ჟორდანიას არც ერთში ილია ჭავჭავაძეს არ ახსენებს, მაგრამ ცხადია, სამოციანელთა თაობის შესახებ ნათქვამი, პოზიტიურიცა და ნეგატიურიც ილია ჭავჭავაძის უშუალოდ ეხება.

თერგდალეულთა იდეური წინამძღოლის პერსონალურად მოხსენიების გარეშე ამ თაობის ბოლო პერიოდის (XIX საუკუნის 80-90 იანი წლების) მოღვაწეობის საკმაოდ მწვავე კრიტიკა მოცემული ნოე ჟორდანიას ნაშრომში „საზოგადო მოღვაწეობა“, რომელიც 1891 წელს გამოქვეყნდა გაზეთ „კვალში“.²⁷

ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას ურთიერთობა ნელ-ნელა იძაბებოდა. ილია ჭავჭავაძემ აშკარად უარყოფითი პოზიცია დაიკავა „მესამე დასის“ მიმართ. ილიას არ მოსწონდა მესამედასელთა პუბლიცისტური მოღვაწეობა გაზეთ „კვალის“ ფურცლებზე. მიუხედავად ამგვარი ანტიპათიისა, თერგდალეულთა ბელადი პერსონალურად ნოე ჟორდანიას მაინც არ შეხებია. 1896 წლამდე თვით „მესამე დასის“ შესახებაც არ გამოუთქვამს აზრი. 1896 წელს ილია ჭავჭავაძემ „ივერიაში“ გამოაქვეყნა ბრწყინვალე ფელეტონი „ჩვენი ეხლანდელი სიბრძნე-სიცრუე“. ფელეტონში მისთვის ჩვეული განუმეორებელი სატირული სიმახვილით წარმოადგინა ილიამ გიორგი წერეთელი, მისი გაზეთი „კვალი“ და მთელი „მესამე დასი“. ნოე ჟორდანიას პერსონალური მოხსენებისაგან ილია ჭავჭავაძემ ამჯერადაც შეიკავა თავი.²⁸ მიუხედავად ამისა, ქართველი სოციალ-დემოკრატებისა და ილია ჭავჭავაძის ურთიერთობა აშკარად იძაბებოდა. ეს სავსებით ცხადად გამოძჟღავნდა 1897 წელს – ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 60 წლის იუბილეს მზადებასთან დაკავშირებით. თუმცა ამ შემთხვევაშიც ილია ჭავჭავაძე და ნოე ჟორდანიას პირდაპირ და აშკარად არ შეჯახებიან, დაპირისპირებული მხარეები ამჯობინებდნენ მოიარებით ეთქვათ სათქმელი. 1893 წელს ფსევდონიმით „მე გახლავარ“ გამოიცა საიუბილეო ბროშურა „თ. ილ. ჭავჭავაძე, ბიოგრაფიული და კრიტიკული ეტიუდები“. ამ ბროშურამ ქართველი სოციალ-დემოკრატების მკვეთრად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია. „კვალმა“ გამოაქვეყნა ფილიპე მახარაძის ძალზე აგრესიული ტონით დაწერილი წერილი.²⁹ ნოე ჟორდანიას კვალელების „ლაშქრობაში“ არც ამჯერად ჩაბმულა...

1900 წლის იანვარში გარდაიცვალა გიორგი წერეთელი. სამოციანელთა თაობის ცნობილი წარმომადგენლის დაკრძალვას უამრავი ხალხი დაესწრო. ილია ჭავჭავაძე გ. წერეთლის ცხედარს არ დამშვიდობებია, თუმცა „ივერიის“ თანამშრომელი დასაფლავებას დაესწრო და სიტყვაც წარმოთქვა. კვალელებმა ეს საკმარისად არ ჩავთალეს და ილია ჭავჭავაძეზე ხელახალი თავდასხმის საბაბად გამოიყენეს. როგორც ჩანს, თერგდალეულთა ლიდერის პოზიციით ნოე ჟორდანიაც ძალზე განაწყენდა. ეს ცხადად იგრძნობა 1900 წლის 23 იანვარს „კვალში“ გამოქვეყნებული წერილიდან „საგულისხმო მოვლენა“. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ წერილი ილია ჭავჭავაძის წინააღმდეგ იყო მიმართული, თუმცა ნოე ჟორდანიას კვლავ თავს იკავებს ადრესატის სახე-

ლის მოხსენიებისაგან.³⁰ ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას ფარულ, მაგრამ ცხარე პოლემიკაში ეს იყო პუბლიკაცია, რომელშიც ნოე ჟორდანიამ მაინც შეძლო თავი აერიდებინა ილია ჭავჭავაძის პერსონალური დასახელებისათვის.

1900 წლის 30 იანვარს გაზეთმა „კვალმა“ სათაურით „პრესა“ დაიწყო ნოე ჟორდანიას წერილების სერიის გამოქვეყნება. ბოლო მეცხრე წერილი გამოქვეყნდა იმავე წლის 25 ივნისს.³¹ 1900 წელსვე „კვალში“ დაბეჭდილი წერილების სერია ავტორმა ცალკე წიგნადაც გამოსცა სათაურით: „ქართული პრესა (ვუშინ და დღეს)“.³² როგორც ირკვევა, ნოე ჟორდანიას ნაშრომზე დიდხანს, 1899 წლის დამლევდიან რეჟიმობდა. წიყნის მიზანს წარმოადგენდა ქართული პრესის ობიექტური, მოუსყიდველი შეფასება. ნაშრომს ავტორი იწყებს გაზეთ „დროების“ შეფასებით, შემდეგ თხრობა გადადის „ივერიაზე“, რომელსაც ნაშრომის ორ შესამდებზე მეტი ეთმობა. წიგნში ასევე დახასიათებულია გაზეთ „კვალისა“ და უურალ „მოამბის“ მოღვაწეობა. „ივერის“ შეფასება, ცხადია, ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობის შეფასებასაც ნიშნავდა, რადგან „ივერის“ იდეურ მიმართულებას სწორედ მისი რედაქტორი განსაზღვრავდა. „ივერის“ იდეური მიმართულებები ნოე ჟორდანიას მიერ აშკარად უარყოფითად არის შეფასებული დადებითა მისი შესედულება „დროებაზე“. ავტორი წერს: „მეფობა „დროების“ არის მეფობა პროგრესის; მეფობა „ივერის“ არის მეფობა რეაქციის“.³³ კიდევ უფრო კატეგორიულია მისი განაჩენი 90-იანი წლების „ივერის“ მიმართ: „ასეა თუ ისე, დღეს ჩვენ მწერლობაში „ივერის“ წინამძღოლათ ყოველ-მხრივი რეაქციაა, რეაქცია აზრის ზნეობის, მოქალაქეობის, ქართული სიტყვიერების“.³⁴

ნოე ჟორდანიას კარგად გრძნობდა მის მიერ დაყენებული საკითხების დიდ მნიშვნელობას. ცხადია, იგი იმასაც გრძნობდა, რომ ქართულ სინამდვილეში ილია ჭავჭავაძის კრიტიკა არ იყო ჩვეულებრივი მოვლენა. ბოლო წერილის დასასრულს ავტორი აღნიშნავდა: „ჩვენ კარგად ვიცით, თუ რა როლი ვიკისრეთ ამ წერილების გამოქვეყნებით ვიცით ისიც, თუ რა მოუფერებელი და შეუბრალებელი ვიყავით ზოგ მოღვაწეთა მიმართ. მაგრამ ყველა ამაში ვხელმძღვანელობდით მხოლოდ სიმართლით და სამშობლოს ღრმა სიყვარულით“.³⁵ ბოლო წერილს ნოე ჟორდანიას ასე ამთავრებს: „ჩვენ ვებრძვით მათ (ე. ი. ილია ჭავჭავაძისა და სხვებს — ვ. გ.) არა როგორც კერძო პირთ,

არამედ როგორც განსაზღვრული აზროვნების მატარებელთ. ჩვენ მათ აზრთან გვაქვს საქმე და არა მათ პიროვნებასთან. შეიძლება მოღვაწეს პირადად დიდი პატივს ვცემდე, მაგრამ მის მოღვაწეობას არ თანავუგრძნობდე. ყველაზე მეტათ ამ წერილებში შევეხეთ თ. ი. ჭავჭავაძის და ეს ასეც უნდა ყოფილიყო... მაგრამ ჩვენ ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ წინააღმდეგ იმ უსაქმურთა, რომელნაც აქა-იქ ჭორაობენ, რომ ვითომ თ. ჭავჭავაძის პიროვნება გვყავდეს ამოჩემებული და იმას ვებრძოდეთ. ამას იტყვის მხოლოდ ის, ვისაც ეს წერილები არ წაუკითხავს და თუ წაიკითხა, იქიდან სახელების მეტი არაფერი გამოუტანია. ვიმეორებთ, ჩვენ ვებრძვით თ. ი. ჭავჭავაძის მიმართულებას, რამდენათაც ეს მის პუბლიცისტურ მოღვაწეობაში გამოიხატა, და არა მის პიროვნებას. აზრის სხვა-და-სხვაობა არ ნიშნავს პირად მტრობას და შურის ძიებას. ჩვენ ეს ასე გეწამს და დეე, სხვებმა, როგორც უნდათ, ისე იწამონ. ჩვენი მსაჯული ისტორიაა“.³⁶

უკეთეს კომენტარს ნოე ჟორდანიას პოზიციის, მისი შეხედულებების შესახებ ვერც გააკეთებ! ნოე ჟორდანიას ჭეშმარიტების ბოლო ინსტანციად არ მიიჩნევს თავს — იგი წერდა იმას, რასაც ფიქრობდა, როგორც სწამდა. გარდა ამისა, ნოე ჟორდანიას როგორ იმჟამინდელი, ისე შემდგომი დროის ოპონენტები რატომღაც „ივიწყებენ“, რომ „ივერიის“ მიმართულებას და ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს ასევე უარყოფითად აფასებდნენ ნიკო ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი და სხვები. უფრო მეტიც, ნიკო ნიკოლაძემ და გიორგი წერეთელმა ილია ჭავჭავაძის მსოფლმხედველობა სხვა მხრივაც შეაფასეს უარყოფითად. რატომღაც, ეს მოვლენა ნოე ჟორდანიას ოპონენტებს ან ავიწყლებათ, ან მას სრულებითაც არ იყენებენ ნიკო ნიკოლაძისა და გიორგი წერეთლის დისკრედიტირებისათვის, მაშინ, როცა თერგდალეულთა წინამძღოლის შეხედულებების კრიტიკას მესამედასეულთა ლიდერის მიერ ათწლეულების მანძილზე ამ უკანასკნელის სახელის გატეხის მიზნით იხსენებენ მხოლოდ. ცხადია, ეს შემთხვევით არ ხდება. ჩვენი აზრით, ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას დაპირისპირება იყო არაორი პიროვნების, არამედ ორი ეპოქის, ორი სხვადასხვაგვარი გაგების დაპირისპირება. ეს დაპირისპირება რთული ეპოქის შედეგი იყო და იგი რაიმე ფორმით აუცილებლად უნდა არსებებდყო. ზემოთ თქმული იმასაც გულისხმობს, რომ ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას დაპირისპირება ქართულ სინამდვილეში მოხდა, ე. ი. ეს პოლემიკა

საქართველოს ისტორიის ერთი ფურცელია და მისი მხოლოდ თეთრ ან შავ ფერში შეფასება არ შეიძლება. გაუმართლებელი, მიუღებელი და, რაც მთავარია, საზიანოა ცდა მოკამათე მხარეთაგან რომელიმეს მოკვეთისა, რომელიმეს სახელის ამოშლისა საქართველოს ისტორიიდან. ეს არ არის ქართული იტორიოგრაფიის მიზანი. ეს არ სჭირდება ქართველ ერს. ეს პოლიტიკოსთა კარგად ცნობილი მანევრია, კონკრეტული მიზნის მისაღწევად გათვლილი და თუ პოლიტიკოსები ჯერ კიდევ თამაშობენ ქართველი ერის, ჩვენი საზოგადოების გრძნობებზე, ეს ქართული ისტორიოგრაფიის სისუსტის ბრალია. თუ საქართველოს ისტორიიდან ვინმეს მოკვეთის ტენდენცია დროზე არ აღმოიფხვრა, ისინი, ვინც ნოე ჟორდანიას მოკვეთას ცდილობენ, მარტო ერთ პიროვნებას არ დასჯერდებიან. თუ ეს პოლიტიკური მიზნის მისაღწევად გახდა საჭირო, ნოე ჟორდანიას, არჩილ ჯორჯაძესა და სხვა ბევრ გამოჩენილ მოღვაწესაც არ დაინდობენ!..

არჩილ ჯორჯაძე ჩვენ შემთხვევით არ გვიხსენებია. ილია ჭავჭავაძეს თავის დროზე ზომ ისიც დაუპირისპირდა. ეს კონფრონტაციაც ორი ეპოქის, ერთი და იმავე პრობლემის ორი სხვადასხვაგვარი გაგების შედეგი იყო. ჩვენ ზემოთ მოვიტანეთ ნაწყვეტები ნოე ჟორდანიას მიერ 1894-1900 წლებში გამოქვეყნებული ნაშრომებიდან, სადაც იგი აკრიტიკებს ილია ჭავჭავაძის შეხედულებებს. ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკის შემდეგ 1901 წელს არჩილ ჯორჯაძე წერს თავის ცნობილ ნაშრომს „პუბლიცისტი — ილია ჭავჭავაძე“. ალბათ მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება არჩილ ჯორჯაძის მიერ გაკეთებული დასკვნები ერის სულიერი მამისა და მოძღვრის მოღვაწეობის შესაფასებლად:

1) „ჩვენ ვაპბობთ, რომ ამ საერთო შრომის საჭიროებას ილია ჭავჭავაძემ ჩაუგდო საძირკველი და თუ ამ ბოლო ხანებში ჩვენმა მწერალმა თითქოს აუსვია თავისივე ფეხით გათლილ ბილიკს, ეს ჩვენ არ უნდა გვაშინებდეს. ვიქონიოთ სრული პატივი იმისი, რაც პატივისაღებია. ზოლო ნუ შევდრკებით და თამამათ გამოვეცალოთ ჩვენს მწერალს იქ, საცა ჩვენი გზები ერთმანეთს შორდებიან“.

2) „გამოაშკარავდა, რომ უმთავრესი საგანი ჩვენის უთანხმოებისა, ეკონომიური ნიადაგია. ჩვენი ავტორი (ილია ჭავჭავაძე — ვ. გ.) წოდებათა წყობილების გაღონიერების ზრუნვაშია, რადგან ჰგონია, რომ

ამ წყობილების დაურღვევლად შესაძლებელია საერთო ეკონომიური კეთილდღეობა“.

3) „ილია ჭავჭავაძეს არა აქვს მკაფიოდ დაყენებული დემოკრატიული პრინციპი“.

4) „ჩვენ მხოლოდ იმას ვამბობთ, რომ ის ფარ-ხმალი, რომლითაც ესარჩლება ავტორი ხალხს, ომში გამოუსადეგარია, რადგან არა კვლავს ნამდვილ მიზეზს ხალხის დაქვეითებისას და ძირიან-ფესვიანად არ არღვევს წოდებათა შორის ქონებრივ უთანასწორობას“.³⁷

დიდი დაკვირება არ არის საჭირო იმის დასადგენად, რომ ნოე ჟორდანიას უფრო მეტი, ან უფრო მწვავე ილია ჭავჭავაძის შეხედულებების კრიტიკის თვალსაზრისით არაფერი უთქვამს.

ვფიქრობთ, დროულია დაისვას კითხვა: თუკი ილია ჭავჭავაძის კრიტიკა ასე სულრგმელად ეპატია (დაუფიქვით) არჩილ ჯორჯაძეს, რატომ ხდება ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკის რეკლამირება ამ უკანასკნელის სახელის გატეხის მიზნით? ჩვენი პასუხი ასეთია: ჯერაც გრძელდება პოლიტიკოსთა ბინძური თამაში, პოლიტიკოსთა ბატონობა ისტორიოგრაფიაზე ჯერაც არ დასრულებულია.

ნოე ჟორდანიას „პრესის“ ბეჭდვა ჯერ არც კი დამთავრებულიყო, რომ „ივერიაში“ „ახალმოსულის“ ფსევდონიმით დაიბეჭდა ილია ჭავჭავაძის – პასუხი „უმეცრობის ფართი-ფურთი“,³⁸ რასაც პასუხად მოჰყვა ნოე ჟორდანიას წერილი „გზა-და-გზა“, გამოქვეყნებული „კვალში“.³⁹ ილია ჭავჭავაძემაც არ დაახანა და ნოე ჟორდანიას მიმართ დაწერილ პირველ მკვახე პასუხს კიდევ სამი წერილი მიაყოლა „ივერიაში“ ისევ „ახალმოსულის“ ფსევდონიმით.⁴⁰ ამით პოლემიკა დასრულდა.

დღეს თუ ხვალ მაინც დასრულდება პოლიტიკოსთა ბატონობა ისტორიოგრაფიაზე, უზნეო თამაში დამთავრდება და მომავალი თაობები ირწმუნებენ ჭეშმარიტებას: ნოე ჟორდანია ილია ჭავჭავაძის მტერი არ ყოფილა, მას არასოდეს უცდია ერის წინამძღოლის ნაზრვისა და ნაღვანის უარყოფა. მათი პოლემიკა მხოლოდ და მხოლოდ იმის მაჩვენებელი იყო, რომ ორმა განსხვავებულმა ეპოქამ საქართველოს ხსნის ორი განსხვავებული პროგრამა წამოაყენა და ამდენად, ილია ჭავჭავაძისა და ნოე ჟორდანიას პოლემიკა სრულიად ბუნებრივ მოვლენად უნდა განვიხილოთ.

„ლენინიზმი ააფეთქებს სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას...“

(ღამოკიდებულება რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან)

ნოე ჟორდანია, როგორც სოციალ-დემოკრატი, საერთაშორისო მასშტაბის მოღვაწე იყო. ამ თვალსაზრისით იგი უპირველეს ყოვლისა. ყურადღებას იმსახურებს, როგორც ლენინიზმის (ბოლშევიზმის) მეცნიერული კრიტიკის ფაქტობრივი ფუძემდებელი. ნოე ჟორდანიას დაპირისპირებას რუსულ სოციალ-დემოკრატიასთან და კერძოდ, ვლადიმერ ლენინთან თავისი მიზეზები ჰქონდა.

ნოე ჟორდანია იმთავითვე დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის მიმდევარი იყო. ალბათ ამან განაპირობა, რომ იგი, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, მტკიცედ იდგა დასავლეთ ევროპულ ორიენტაციაზე.

ნოე ჟორდანიას დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის მიმართ სიმპათიები ჯერ კიდევ ვარშავაში განათლების მიღების პერიოდში (1891-1892 წწ.) გაუჩნდა. 1893-1897 წლებში, სხვადასხვა ქვეყანაში სწავლისა თუ მოგზაურობის პერიოდში იგი ედუარდ ბერნშტაინისა და კარლ კაუცკის მტკიცე მიმდევარი ხდება. „მესამე დასი“ – პირველი ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია – სწორედ დასავლეთ ევროპული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმას იზიარებდა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ქართულ სოციალ-დემოკრატიაში უკვე XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან (1892-1893 წწ.) იმარჯვებდა დასავლური ორიენტაცია. დაახლოებით ამავე პერიოდიდან სამოღვაწეო ასპარეზზე გამოდის ვლადიმერ ლენინი, რომელიც იული ცედერბაუმიან (ლ. მარტოეთან) ერთად 1895 წლის დეკემბერში ქმნის „სანკტ-პეტერბურგის მუშათა კლასის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კავშირს“. ვ. ლენინის მიზანი იმთავითვე ცხადი იყო: 1) ვ. ლენინსა და მის მომხრეებს სურდათ მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით, როგორც ველიკოროსიაში, ისე კოლონიურ მხარეებში, დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის გავლენის ამოძიკვა, იმპერიაში

არსებული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების. მათ შორის ეროვნული ორგანიზაციებისაც, როგორც იდეური ისე თეორიული თვალსაზრისით რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე დადგომა; 2) ვ. ლენინი და მისი მიმდევრები თვლიდნენ, რომ მთელი იმპერიის მასშტაბით უნდა შექმნილიყო ერთი სოციალ-დემოკრატიული პარტია. ამ პარტიას უნდა გაეერთიანებინა არა მარტო ველიკოროსიაში არსებული ორგანიზაციები, არამედ ცალკეული ერების სოციალ-დემოკრატიული ჯგუფები და წრეები. ამდენად, ვ. ლენინი მოღვაწეობის დასაწყისშივე დაუპირისპირდა ნოე ჟორდანიას. რადგან ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერი თვლიდა: 1) ქართული სოციალ-დემოკრატია უნდა დარჩენილიყო დასავლურ ორიენტაციისზე; 2) საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი“ არც ორგანიზაციულად და არც იდეურად არ უნდა დაქვემდებარებოდა დიდ სოციალ-დემოკრატიულ ცენტრებს, „შრომის განთავისუფლების“ ჯგუფი იქნებოდა ეს, თუ „ბრძოლის კავშირი“, არ უნდა შესულიყო საერთო-რუსულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში, რომლის შექმნასაც აპირებდნენ ვ. ლენინი და მისი მომხრეები. როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანიასა და ვლადიმერ ლენინის დაპირისპირებას თავიდანვე მწვავე, პრინციპული ხასიათი უნდა ჰქონოდა. ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა და მისმა მიმდევრებმა მოახერხეს ის, რომ „ბრძოლის კავშირმა“ ერთი ორგანიზაციაც კი ვერ შექმნა საქართველოში. ნოე ჟორდანიას დამსახურება იყო ის, რომ ქართულმა სოციალ-დემოკრატებმა მონაწილეობა არ მიიღო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის I ყრილობის მუშაობაში (1898 წლის მარტი). 1900 წლიდან ვ. ლენინი და მისი მომხრეები ახალი ძალით იწყებენ რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის ბრძოლას. ამ ბრძოლაში დიდ როლს თამაშობდა საზღვარგარეთ გამოჩენილი გაზეთი „ისკრა“ (რედაქტორები: გ. პლენხანოვი, ვ. ლენინი, ლ. მარტოვი, პ. აქსელროდი, ვ. ზასულიჩი). „ისკრა“ დიდი მონღომებით ამუშავებდა საერთო-რუსული სოციალ-დემოკრატიული პარტიის ორგანიზაციული და თეორიული მშენებლობის პრინციპებს. გიორგი პლენხანოვისადმი გარკვეული სიმპათიის მიუხედავად, ნოე ჟორდანიას გაზეთ „ისკრასთან“ თანამშრომლობისაგან თავი შორს ეჭირა, არც რსდმპ II ყრილობის მოწვევისათვის გაჩაღებულ მუშაობაში მიუღია მონაწილეობა.

საქართველოში მოკლევნები აშკარად გ. პლენხანოვისა და ვ. ლენინის გეგმების საწინააღმდეგოდ ვითარდებოდა. რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერებმა ბრძოლის ტაქტიკა შეცვალეს. ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იანი წლების დამდეგიდან, განსაკუთრებით დიდი ინტენსივობით კი – 90-იანი წლების შუა ხანებიდან, რუსეთის დიდმა სოციალ-დემოკრატიულმა ცენტრებმა საქართველოს შემოუსიეს რუსი და არარუსი ეროვნების სოციალ-დემოკრატები (ო. კოვანი, ი. ლუზინი ნ. კოზერენკო, იპ. ფრანჩესკი, გ. ფრანჩესკი, ნ. ბოგორაზი, ვ. კურნა-ტოვსკი და მრავალი სხვა), რომელთა მისიას შეადგენდა „მესამე დასის“ დასუსტება და საქართველოს სოციალ-დემოკრატიის რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე გადაყვანა. რუსეთიდან მოვლინებულმა ემისრებმა მოიკალათეს თბილისში, ბათუმში, შემდეგ – ქუთაისსა და სხვა ქალაქებში. რუსეთიდან საქართველოში გამოგზავნილ სოციალ-დემოკრატებს, რა თქმა უნდა, არ შეეძლოთ თეორიული ბრძოლა ეწარმოებინათ ნოე ყორდანიასთან ან საერთოდ მესამედასე-ლებთან: სილიბისტრო ჯიბლაძესთან, ისიდორე რამიშვილთან, ნიკოლოზ (კარლო) ჩხეიძესთან, ვლადიმერ (ლადო) დარჩიაშვილთან და სხვებთან. სამაგიეროდ, მათ აქტიური მოღვაწეობა გააჩაღეს მუშათა შორის, განსაკუთრებით არაქართველ მუშებში და ნელ-ნელა დაიწყეს ნიადა-გის მომზადება ქართული სოციალ-დემოკრატიის შერწყმისათვის რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ გ. პლენხანოვსა და ვ. ლენინს მიზნის მიღწევა ძალზე გაუჭირდებოდათ, რომ თვით საქართველოში არ აღმოცენებულიყო რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე მდგარი ორგანიზაცია – „რე-ვოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ (1901 წ.). „რევოლიუ-ციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ „მესამე დასის“ საპირისპირო პლატფორმაზე იდგა. ახალი დასის იდეური და პრაქტიკული ხელმძღვანე-ლი იოსებ ჯუღაშვილი იყო. ორგანიზაციის ბირთვის მასთან ერთად შეადგენდნენ ვლადიმერ კეცხოველი და აბელ ენუქიძე. მათვე მი-იმხრეს ქართველ მუშა სოციალ-დემოკრატთა პირველი თაობის ცნო-ბილი წარმომადგენლები: ვ. სტურუა, გ. ჩხეიძე, მ. ბოჭორიძე, მ. ჩო-დრიშვილი, ზ. ჩოდრიშვილი და მრავალი სხვა. „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასმა“ 1901 წლის სექტემბერში გამოისცა გაზეთი „ბრძოლა“. „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ თავდა-პირველად ორგანიზაციულად დამოუკიდებელი იყო – რუსეთის დიდ

სოციალ-დემოკრატიულ ცენტრებს არ ექვემდებარებოდა. იგი რსდმპ ნაწილად ცოტა მოგვიანებით იქცა.

ამრიგად, 1901 წლისათვის დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიულის პლატფორმაზე მდგარი საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია „მესამე დასი“ ორმაგი დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა: ერთი მხრიდან მას უტყველენ რუსეთიდან საქართველოში მოვლინებული სოციალ-დემოკრატები, ხოლო მეორე მხრიდან – „რევოლუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ (გაზეთ „ბრძოლის“ ბანაკი). ამ გადამწყვეტ მომენტში „მესამე დასმა“ სერიოზული დარტყმები განიცადა. 1901 წლის 6 ივლისს დააპატიმრეს ნოე ჟორდანიას⁴¹. ამით ისარგებლეს იოსებ ჯულაშვილმა და მისმა თანამოაზრეებმა და ჯერ „მესამე დასისაგან“ ფარულად 1901 წლის 11 ნოემბერს შექმნეს თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია,⁴² ხოლო შემდეგ, 1901 წლის დეკემბრის ბოლოს, იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციად გამოაცხადეს. ნოე ჟორდანიას ამ მოვლენის შესახებ ასე იგონებს: „1902 წლის ღამეებს ციხეში მივიღეთ თფილისის კომიტეტის ფურცელი, რამაც განგვაცვიფრა იმით, რომ თავზე ეწერა: რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია. გამიკვირდა, რა შუაშია რუსეთის პარტია. როლის შევერთოდით, რა პირობით – არაფერი არავინ იცოდა“⁴³. მალე ბათუმის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციასაც იგივე ბედი ეწია. იოსებ ჯულაშვილის ძალისხმევით 1901 წელს შექმნილი ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაცია 1902 წელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციად გამოცხადდა.

ამასობაში ძალას იკრებდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნისათვის დაწყებული მოძრაობა. როგორც ვხედავთ, საქართველოში მოვლენები უკვე ვ. ლენინის გეგმის მიხედვით ვითარდებოდა. მალე გაირკვა, რომ ვ. ლენინი ახალ დარტყმას უმზადებდა ნოე ჟორდანიასა და „მესამე დასს“.

რუს სოციალ-დემოკრატთა ლიდერს კარგად ესმოდა: სანამ არსებობდა „მესამე დასის“ იდეური და ორგანიზაციული პლატფორმა, სანამ ნოე ჟორდანიას ითვლებოდა ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერად, რუსული სოციალ-დემოკრატიის პოზიციებს საქართველოში ყოველთვის საფრთხე ემუქრებოდა. კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებზე სრული დიქტატის განხორციელების მიზნით

ვ. ლენინმა გადაწყვიტა სამხარეო ორგანიზაციის — რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნა. ფაქტობრივად, საქმე ეხებოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებზე გაბატონებას, რადგან თბილისსა და ბათუმის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების გარდა, კავკასიაში მხოლოდ ერთი — ბაქოს ორგანიზაცია ფუნქციონირებდა, სადაც რუსულ სოციალ-დემოკრატთა თავიდანვე ძლიერი პოზიციები ჰქონდა. ნოე ჟორდანიას პატიმრობაში ყოფნამ ვ. ლენინს მხრები გაუხსნა თავისი მზაკვრული გეგმის განსახორციელებლად.

1903 წლის მარტში რსდმპ კავკასიის კავშირი შეიქმნა. მალე რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა უფლება მიიღო კავკასიიდან რსდმპ II ყრილობის დელეგატები დაეინიშნა. რსდმპ II ყრილობის დელეგატებად საქართველოდან რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ვ. ლენინისათვის სასურველი დელეგატები დანიშნა: თბილისიდან — დიომიდე თოფურიძე, ბათუმიდან — სომეხი არშაკ ზურაბოვი. ცხადია, დიომიდე თოფურიძე და არშაკ ზურაბოვი რსდმპ II ყრილობაზე „მესამე დასის“ იდეურ და ორგანიზაციულ პლატფორმას ვერ დაიცავდნენ.⁴⁴

საქართველოდან ყრილობაზე მიწვეულ დელეგატებს 1903 წლის 23 ივლისს, ყრილობის მეთორმეტე სხდომაზე სათათბირო ხმით დამატა ნოე ჟორდანიას. ამრიგად, საბოლოოდ საქართველოს სოციალ-დემოკრატია ყრილობაზე წარმოდგენილი იყო ამგვარი შემადგენლობით: დიომიდე თოფურიძე (კარსკი), არშაკ ზურაბოვი (ბეკოვი), ნოე ჟორდანიას (კოსტროვი). დ. თოფურიძესა და ა. ზურაბოვს გადასწყვეტი ჰმა ჰქონდათ, ხოლო „მესამე დასის“ ლიდერს — სათათბირო ხმა.⁴⁵

უცნაურ ვითარებაში მოხდა ნოე ჟორდანიას ყრილობის დელეგატად „მიწვევა“. ყრილობის გახსნის მომენტისათვის იგი ემიგრაციაში (შვეიცარიაში) იმყოფებოდა. უნევაში მან გ. პლენანოვის მეუღლისაგან შეიტყო, რომ ბრიუსელში მიმდინარეობდა რსდმპ II ყრილობა, სადაც იგი სათათბირო ხმით მიუწვევიათ დელეგატად.⁴⁶ ნ. ჟორდანიას მიწვევის საკითხი ყრილობის მეოთხე სხდომაზე 19 ივლისს დააყენეს კავკასიის კავშირის მიერ არჩეულმა დელეგატებმა. ლ. მარტოვმა შეიტანა წინადადება, რომ ნოე ჟორდანიას მიწვევის საკითხი განეხილა საორგანიზაციო კომიტეტს. ვ. პოპოვმა (როზანოვმა) ყრილობას მოახსენა, რომ საორგანიზაციო კომიტეტს ყრილობის შემადგენლობის

დადგენის შემდეგ უფლება არ ჰქონდა მისა შეცვლისა. ამის საპასუხოდ დიომიდე თოფურიძემ, ითვალისწინებდა რა ნოე ჟორდანიას დიდ დამსახურებას საქართველოში სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის აღმოცენებისა და განვითარების საქმეში, ყრილობაზე განაცხადა: თუ საორგანიზაციო კომიტეტს უფლება არა აქვს მოახდინოს ყრილობის შემადგენლობის ცვლილება, ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ „მან (ყრილობამ – ვ. გ.) დაკარგოს მენსიერება“. დიომიდე თოფურიძის ასეთი მწვავე გამოსვლის შემდეგ ყრილობამ მხარი დაუჭირა ნოე ჟორდანიას მიწვევას, ოღონდ სათათბირო ხმით. როგორც აღვნიშნეთ, ნოე ჟორდანია ყრილობაზე დაგვიანებით. მეთორმეტე სხდომაზე გამოცხადდა, 1903 წლის 23 ივლისს.⁴⁷

ამო გამოდგა ქართველი დეპუტატის თავგამოდება, ნოე ჟორდანიას ავტორიტეტმა საქმეს ვერ უშველა. ქართულმა სოციალ-დემოკრატიამ რსდმპ II ყრილობაზე რუსული სოციალ-დემოკრატიის წინაშე სრული კაპიტულაცია გამოაცხადა. ნოე ჟორდანია იგონებს: „გაიხსნა ყრილობა. გამოჩნდა ისეთი ატმოსფერა, რომ თფილისელებმა ვერ გაბედეს თავისი პროგრამის არამც თუ წარდგენა, გამოჩენაც კი“.⁴⁸ ამ შემთხვევაში ნოე ჟორდანიას მხედველობაში ჰქონდა რსდმპ კავკასიის კავშირის მიერ მიღებული პარტიის პროგრამის პროექტი, რომელიც ნოე ჟორდანიას პროექტის დაწუნების შემდეგ იქნა მიღებული. მიუხედავად ამისა, ყრილობის მთელ მუშაობაში ქართველმა დელეგატებმა აქტიური მონაწილეობა მიიღეს.

თუმცა ნოე ჟორდანია, როგორც აღვნიშნეთ, მხოლოდ მეთორმეტე სხდომიდან შეუერთდა ყრილობას, პირველად მისი გამოსვლა მეთექვსმეტე სხდომაზე აღინიშნა. იხილებოდა საკითხი პარტიის პროგრამის, კონკრეტულად კი მისი საერთო პოლიტიკური ნაწილის შესახებ. პროგრამის ამ ნაწილის განხილვისას განსაკუთრებული მნიშვნელობა შეიძინა ცალკეულ ეროვნებათა სოციალ-დემოკრატიისათვის საოლქო თვითმმართველობის უფლების მინიჭების საკითხმა. ლ. მარტოვმა თავისი პოზიცია ასე ჩამოაყალიბა: „თემების თვითნებურ კავშირს ჩვენ ვერ დავიცავთ. მაგრამ რუსეთის უზარმაზარი სივრცე და ჩვენი ცენტრალ-იზებული მართვის გამოცდილება გვაძლევს საბაბს იმისათვის, რომ აუცილებელად და მიზანშეწონილად მივიჩნიოთ საოლქო თვითმმართველობის არსებობა ისეთი მსხვილი ერთეულებისათვის, როგორცაა ფინეთი, პოლონეთი, ლიტვა, და კავკასია“.⁴⁹ გამოძვინარე ზემოთ

ოქმულიდან, ლ. მარტოვი საჭიროდ თვლიდა პარტიის პროგრამის შესაძენი პარაგრაფი ჩამოეყალიბებინათ შემდეგ რედაქციით: „ფართო ადგილობრივი თვითმმართველობა; საოლქო თვითმმართველობა იმ განაპირა მსარეებისათვის, რომლებიც თავიანთი საყოფაცხოვრებო პირობებითა და მოსახლეობის შემადგენლობით განსხვავდებიან საკუთრივ რუსული ტერიტორიისაგან“.⁵⁰ ეს ის პოზიცია იყო, რომელიც ნაწილობრივ ესმინებოდა „მესამე დასის“ პლატფორმას, კერძოდ, ნოე ჟორდანიას შესვლულებებს. ლ. მარტოვი ამ შემთხვევაში აშკარად დაუპირისპირდა როგორც გ. პლენანოვს, ისე ვ. ლენინს, რაც მაშინვე გახდა ამ უკანასკნელთა მხრიდან უარყოფითი რეაქციის საბაბი. მიუხედავად ამისა, ნოე ჟორდანიამ უყოყმანოდ დაუჭირა მხარი ლ. მარტოვის ფორმულირებას. მან აღნიშნა, რომ საოლქო თვითმმართველობის მოთხოვნის პარტიის პროგრამაში შეტანას „ექნება ფართო სააგიტაციო მნიშვნელობა და პარტიაში მოიზიდავს ახალ ძალებს. ზოგიერთ ადგილას, მათ შორის ჩვენთან, კავკასიაში, საოლქო თვითმმართველობის იდეა ძალზე პოპულარულია“.⁵¹ მიუხედავად იმისა, რომ ნოე ჟორდანიას პოზიცია არგუმენტირებული და დამაჯერებელი იყო, იგი მაინც მიუღებელი აღმოჩნდა ველიკოდერჟავული მსოფლმსედველობის მქონე ყრილობის უმრავლესობისათვის.

ეროვნული სოციალ-დემოკრატიისათვის დიდი მნიშვნელობა ჰქონდა რსდმპ პროგრამის პროექტის მეხუთე პარაგრაფის განხილვას. ეს პარაგრაფი პროექტში ასეთი სახით იყო ჩამოყალიბებული: „სინდისის, პრესის, კრების, გაფიცვებისა და კავშირების შეუზღუდავი თავისუფლება“.⁵² მ. ლიბერმა შეიტანა წინადადება სიტყვა „პრესის“ შემდეგ დაემატებინათ სიტყვები „და ენების“. ამ წინადადებას დელეგატების ნაწილის სიცილი მოჰყვა. მ. ლიბერმა განაცხადა: „თუმცა ამან (ე. ი. მ. ლიბერის წინადადება — ვ. გ.) მხიარული განწყობილება შექმნა, მაგრამ მე იგი პრინციპულად მიმარნია. კომისიაში ამხ. ლენინმა წინადადება შემოიტანა „ენებზე“ მითითება მეექვსე პუნქტში გადაგვეტანა. ასეთი გადატანა უადგილოდ გვეჩვენება, რადგან იდეენება არა მოქალაქე ენის გამოყენებისათვის, არამედ იდეენება თვით უფლება ენის გამოყენებისა, თითოეული მოქალაქის უფლება ყოველ დაწესებულებაში ილაპარაკოს მშობლიურ ენაზე, სახელმწიფო ენისაგან განსხვავებით, შევიწროებელია. მაგალითად, პოლონელები გერმანიაში სარგებლობენ სამოქალაქო თანასწორუწყლებიანობით, მაგრამ ამავე დროს

მათი ენა იღვევება“.⁵³ ლ. მარტოვის აზრით, „ენების თავისუფლება“ ბუნდოვანი ცნება იყო, ხოლო რაც შეეხება „ყველა მოქალაქის თანასწორობას, ეს გულისხმობს რომელიც გნებავს ენაზე თავისუფალი ლაპარაკის უფლებას“. ლ. მარტოვს არ დაეთანხმა დიომიდე თოფურიძე. მან აღნიშნა: ეს მნიშვნელოვანი უფლებაა და არა წერილმანი. იგი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სამართალწარმოებასა და ადგილობრივ დაწესებულებებში“. მ. ლიბერის შესწორება რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერთა მომხრეების მიერ დიდი უმრავლესობით იქნა უარყოფილი. საბოლოოდ, მეხუთე პარაგრაფი ასეთი ფორმულირებით შევიდა პარტიის პროგრამაში: „სინდისის, პრესის, კრებების, გაფიცვებისა და კავშირების შეუზღუდველი თავისუფლება“.⁵⁴ ამრიგად, ენების საკითხმა პარტიის პროგრამის მეხუთე პარაგრაფში ასახვა ვერ ჰპოვა, რაც რუსეთის იმპერიაში შემავალი მცირერიცხოვანი ერების უფლებათა შელახვას მოასწავებდა.

ენის საკითხი კვლავ დადგა ყრილობის იმავე, მეთექვსმეტე სხდომაზე, როცა იხილებოდა საკითხი პარტიის პროგრამის პროექტის მეშვიდე პარაგრაფის შესახებ. პროექტი ამ პარაგრაფის ასეთ ფორმულირებას იძლეოდა: „წოდებათა მოსპობა და ყოველი მოქალაქის სრული თანასწორობა, დამოუკიდებლად სქესისა, რელიგიისა, რასისა, ეროვნებისა, ენისა“.⁵⁵ ამ საკითხთან დაკავშირებით ყრილობაზე სხვა შესწორებებთან ერთად კენჭი უყარეს ნოე ჟორდანიას წინადადებას. მან ასეთი ფორმულირება შესთავაზა დელეგატებს: „ენების თანასწორობა ყველა სკოლაში, დაწესებულებასა და კრებებზე“. ამ წინადადებას მიიღო 24 ხმა, წინააღმდეგი იყო 23. ამრიგად, საბოლოოდ ნ. ჟორდანიას შესწორება იქნა მიღებული.⁵⁶ ალბათ ინტერესმოკლებული არ იქნება აღვნიშნოთ, რომ ამ წინადადების წინააღმდეგ ხმა მისცეს გ. პლევანოვმა, ვ. ლენინმა, ლ. მარტოვმა, რ. ზემლიაჩკამ (ზალკინდმა), მ. სოროკინმა (ბაუმანმა) მ. ლიადოვმა (მანდელშტამმა).⁵⁷ ყრილობის მომდევნო, მეჩვიდმეტე სხდომაზე კენჭი უყარეს მთლიანად პარტიის პროგრამის პროექტის მეშვიდე პარაგრაფს. ნ. ჟორდანიას შესწორებამ საბოლოოდ მიიღო 24 ხმა, წინააღმდეგ გამოვიდა 24.⁵⁸ საბოლოოდ, მეშვიდე პარაგრაფი პარტიის პროგრამაში ამ სახით შევიდა: „წოდებათა მოსპობა და ყველა მოქალაქის სრული თანასწორუფლებიანობა, მიუხედავად სქესისა, რელიგიისა, რასისა და ეროვნებისა“.⁵⁹ ეს იმას ნიშნავდა, რომ გ. პლევანოვმა, ვ. ლენინმა და მათმა მომხრეებმა მიაღწ-

იეს რსდმპ პროგრამის მეშვიდე პარაგრაფიდან ენის საკითხის ამოღებას.

ნოე ჟორდანიას რსდმპ II ყრილობაზე სხვა საკითხებზეც გამოვიდა, მაგრამ ამ გამოსვლებს ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიისათვის დიდი მნიშვნელობა არ ჰქონია.

რსდმპ II ყრილობაზე ვ. ლენინისა და ლ. მარტოვის მომხრეთა შორის არსებული იდეური და ორგანიზაციული ხასიათის წინააღმდეგობა დამთავრდა იმით, რომ ცენტრალური კომიტეტის არჩევნებში მონაწილეობა არ მიიღო ლ. მარტოვის მომხრე 15 დელეგატმა (19 ხმა). მათ მხარი დაუჭირეს ყრილობაზე სათათბირო ხმის უფლებით მოწვეულმა დელეგატებმა ვ. ზასულიჩმა, პ. აქსელროდმა, ა. პოტრესოვმა (სტაროვერმა), ე. ალექსანდროვმა (შტიინმა), რ. გალბერშტადტმა (ფიშერმა), ბ. გინზბურგმა (კოლცოვმა) და ნ. ჟორდანიამ (კოსტროვმა).⁶⁰

რსდმპ II ყრილობამ დააფიქსირა პარტიაში ორი მიმდინარეობის, ბოლშევიზმისა და მენშევიზმის, არსებობა.

რსდმპ II ყრილობის შედეგებისადმი ნოე ჟორდანიას დამოკიდებლობას თუ შეევაჯამებთ, შეიძლება თამამად ვთქვათ, რომ ვ. ლენინის მიმდინარეობის გამარჯვებაში ნოე ჟორდანიამ დიდი საფრთხე დაინახა. იმხანად (1903 წ.) ლენინიზმიდან (ბოლშევიზმიდან) მომდინარე საფრთხე სრულად ვ. ლენინის ისეთ ცნობილ მოწინააღმდეგეებსაც კი არ ჰქონდათ გააზრებული, როგორებიც იყვნენ ლ. მარტოვი, პ. აქსელროდი, ა. მარტინოვი და სხვ.

ვ. ლენინმა ყრილობაზე გამარჯვებას მრავალი დარღვევის წყალობით მიაღწია. ამაში მას სრულ სოლიდარობას უცხადებდა გ. პლეხანოვი. ყრილობის შემდგომ პერიოდში ვ. ლენინი, ისევე გ. პლეხანოვის მხარდაჭერით, ცდილობდა რუსეთში ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს არ შეეტყობთ რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი განსუთქილებისა და, რაც მთავარია, იმ დარღვევების შესახებ, რომელთა წყალობითაც ვ. ლენინმა გამარჯვება მოიპოვა. მალე ცხადი შეიქნა, რომ ვ. ლენინი, რომელსაც მხარს უჭერდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტი, ჩიხანს აღწევდა.

ვ. ლენინის ძითითების თანახმად მიქმედებდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი. რსდმპ II ყრილობის დელეგატები კავკასიიდან არმაც ზურაბოვი და ბოგდან კუნუნიანცი დაჰყენენ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის ნებას: სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს

მათ დაუმალეს რსდმპ II ყრილობაზე მომხდარი დარღვევებისა და განხეთქილების ამბავი. მესამე დელეგატი კავკასიიდან (თბილისიდან) დიომიდე თოფურიძე შეეცადა სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციებისათვის ეცნობებინა რსდმპ II ყრილობაზე შექმნილი ვითარების შესახებ, რისთვისაც იგი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა ჩამოაცილა პარტიულ მუშაობას. რსდმპ კავკასიის კავშირში შექმნილი ვითარება ცნობილი გასდა ნოე ჟორდანიასათვის, რომელიც იმხანად უენევაში იმყოფებოდა.

კავკასიის კავშირში შექმნილი ვითარება გახდა საბაბი იმისა, რომ ნოე ჟორდანიას დაეწერა საინტერესო ნაშრომი „წერილი კავკასიის კომიტეტებს“ (იგულისხმება რსდმპ თბილისის, ბათუმისა და ბაქოს კომიტეტები). ნაშრომის წერა, თუ ნოე ჟორდანიას მემუარების მიხედვით ვიძსჯელებთ, მას დაუწყია რსდმპ II ყრილობის დამთავრებიდან ერთი თუ ორი თვის შემდეგ, ე. ი. 1903 წლის სექტემბერსა ან ოქტომბერში.⁶¹ „წერილი კავკასიის კომიტეტებს“ ნოე ჟორდანიას დაუსრულებია 1904 წლის 15 მაისის შემდეგ. წერილი ავტორმა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტს გაუგზავნა. ნოე ჟორდანიამ მემუარებში აღნიშნავს, რომ წერილი რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტმა დამალა.⁶²

საინტერესო ბედის აღმოჩნდა ეს წერილი. იგი შემდგომ ხანებში მისმა ავტორმა ვეღარ იპოვა და დაკარგულად ითვლებოდა. ხანგრძლივი ძიების შემდეგ ჩვენ მივაკვლიეთ წერილის კვალს. დიდი რაოდენობით საარქივო მასალის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ ნოე ჟორდანიას „წერილი კავკასიის კომიტეტებს“ თბილისში მიღების შემდეგ ბოგდან კნუციანცს რუსულად უთარგმნია და ვ. ლენინისათვის გაუგზავნია საზღვარგარეთ. წერილის ეს თარგმანი 20-იანი წლების დამდეგს რსდმპ არქივთან ერთად მოსკოვში ჩამოიტანეს და ინახებოდა ჯერ რუსეთის კომუნისტური პარტიის (ბოლშევიკების) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის კომისიის (პარტისის) არქივში, ხოლო შემდეგ — რკ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ლენინის ინსტიტუტში. შემდეგში, ნოე ჟორდანიას „წერილი კავკასიის კომიტეტებს“ (ბ. კნუციანციუსული თარგმანი) ინახებოდა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის ცენტრალურ პარტიულ არქივში (მოსკოვი), საიდანაც წერილის ფოტოპირი ჩამოტანილ იქნა თბილისში და ამჯერად ინახ-

ება საქართველოს პრეზიდენტის არქივში. წერილზე ნოე ჟორდანიას ხელს აწერს ფსევდონიმით „მიხაელიდისი“.

ნოე ჟორდანიას წერილის ქართულ დედანს ვერ მივაკვლიეთ. შეიძლება დედანი რუსული თარგმანის შესრულების შემდეგ გაანადგურეს კიდეც...

„წერილი კავკასიის კომიტეტებს“ დაიწერა თანადროულად ლ. მარტოვის საყოველთაოდ ცნობილი წერილისა „ჩვენი ყრილობა“⁶³ აგრეთვე პ. აქსელროდის ასევე არანაკლებ მნიშვნელოვანი წერილებისა: „რუსეთის სოციალ-დემოკრატიის გაერთიანება და მისი ამოცანები“⁶⁴ და „ჩვენი ორგანიზაციული უთანხმოების წყაროებისა და მნიშვნელობის საკითხისათვის“.⁶⁵ ამ ნაშრომებით დაიწყო ბოლშევიზმის (ლენინიზმის) თეორიისა და პრაქტიკის კრიტიკა. სამწუხაროდ, ნოე ჟორდანიას წერილი 1996 წლამდე არ გამოქვეყნებულა,⁶⁶ რის გამოც იგი სათანადოდ ვერ დაფასდა. აქვე ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ნოე ჟორდანიას, როგორც ლენინიზმის (ბოლშევიზმის) კრიტიკოსი, გაცილებით მაღლა დგას თავის რუს თანამოაზრეებზე. ლ. მარტოვისა და პ. აქსელროდის კრიტიკა არ იყო საფუძვლიანი და ყოვლისმომცველი, იგი უფრო მიმდინარე კონკრეტული საკითხებით იფარგლებოდა და გლობალურად ვერ აფასებდა იმ დიდი საფრთხეს, რომელსაც პერსპექტივაში უქადაღა ლენინიზმი სოციალ-დემოკრატისა. გარდა ამისა, ლ. მარტოვი და პ. აქსელროდი რსდმპ II ყრილობაზე მომხდარ განხეთქილებას ჩვეულებრივ, ლოკალური მნიშვნელობის მოკლენად თვლიდნენ, ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის შეთანხმება შესაძლებლად მიაჩნდათ. ისიც სათქმელია, რომ ლ. მარტოვი და პ. აქსელროდი გრძნობდნენ თავიანთ პირად დანაშაულს ვ. ლენინის მიმდინარეობის გაძლიერებაში, რის გამოც ბევრ საკითხზე თვალს ხუჭავდნენ.

რაც შეეხება ნოე ჟორდანიას „წერილი კავკასიის კომიტეტებს“, იგი დაწერილია უადრესად მამხილებელი ტონით, მტკიცეა და ლოგიკურია და ემყარება დიდ ფაქტობრივ მასალას. ჯერ კიდევ 1903-1904 წლებში ნოე ჟორდანიამ ზუსტად ამოიცნო ლენინიზმის (ბოლშევიზმის) არსი, იმდენად ზუსტად, რომ ეჭვიც კი შეიძლება შეეპაროს მკითხველს ნაშრომის დაწერის თარიღის თაობაზე. ვ. ლენინის ცნობილმა მოწინააღმდეგეებმა ეღუარად ბერნშტაინმა და კარლ კაუტსკიმ, საერთოდ, მეორე ინტერნაციონალის ცნობილმა მოღვაწეებმა, ლენინიზმის ასეთი ზუსტი და მეცნიერული შეფასება გაცილებით გვიან მოგვცეს.

ჩვენ ვითვალისწინებთ წერილის უადრესად დიდი მნიშვნელობას, ასევე იმას, რომ იგი მიკვლევულ იქნა დაწერიდან 92 წლის შემდეგ და წიგნის ბოლოს დანართის სახით ვბეჭდავთ მის სრულ ტექსტს. აქ კი შევეცდებით მოკლე დასკვნებად ჩამოვყალიბოთ ნოე ჟორდანიას მიგნებები ლენინიზმის არსის შესახებ:

1. ლენინიზმი, ე. ი. ბოლშევიზმი არ არის სოციალისტური იდეოლოგია;

2. ლენინიზმი არ არის პროლეტარიატის განთავისუფლების იდეოლოგია;

3. ლენინიზმი არის ტოტალიტარული, ანტიხალხური, ანტიპროლეტარული იდეოლოგია;

4. ლენინიზმის ორგანიზაციული პრინციპები ითვალისწინებს არა სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის შექმნას, არამედ შეთქმულთა ორგანიზაციის, სექტის ჩამოყალიბებას.

5. ლენინიზმი დიდი საფრთხეს უქადის რუსეთის სოციალ-დემოკრატიას.⁶⁷

ნოე ჟორდანიას წინასწარმეტყველური სიტყვები, რომ ლენინიზმი ააფეთქებდა სოციალ-დემოკრატიულ მოძრაობას, სულ მალე დადასტურდა. ის, რომ ვ. ლენინსა და მის მიმდევრებს თავის დროზე არ გაუწიეს სათანადო წინააღმდეგობა, ძვირად დაუჯდა არა მარტო რუსეთის სოციალ-დემოკრატიას, არამედ თვით რუსეთის სახელმწიფოს, მთელ კაცობრიობას. რაღა თქმა უნდა, ლენინიზმმა წარმოუდგენლად დიდი ზიანი მოუტანა ქართულ სოციალ-დემოკრატიას, ქართველ ერს.

* * *

1903-1904 წლები უმნიშვნელოვანესი პერიოდია ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. რუსული სოციალ-დემოკრატიის ველიკოდერჟავულ პოზიციაზე მდგარი ლიდერების (გ. პლენანოვის, ვ. ლენინის, ლ. მარტოვის, პ. აქსელროდისა და სხვათა) აქტიური ბრძოლის წყალობით ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა 1903 წელს ვეღარ შეძლეს დამოუკიდებელი საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის „მესამე დასის“ შენარჩუნება. 1903 წელს მესამედასელთა (ნოე ჟორდანიას, სილიბისტრო ჯიბლაძისა და სხვათა) მონაწილეობა რსდმპ კავკასიის კავშირის შექმნასა და მოღვაწეობაში, ასევე რსდმპ II ყრილობაში თავისთავად ნიშნავდა „მესამე დასის“,

როგორც ორგანიზაციისა და პოლიტიკური მიმდინარეობის, ლიკვიდაციას. აქ აუცილებელია დავაზუსტოთ ტერმინი „ლიკვიდაცია“. ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა ჩათრევას ჩაყოლა ამჯობინეს და დასთანხმდნენ ქართული სოციალ-დემოკრატიის გაერთიანებას რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში. ეს იყო პოლიტიკური მანევრი, დროებითი დათმობა. სინამდვილეში, „მესამე დასის“ ლიდერსა და მის თანამოაზრეებს საშუალოდ არ უთქვამთ უარი ძველ შეხედულებებზე — „მესამე დასის“ პოლიტიკურ მრწამსზე.

ობიექტურობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ საერთო-ქართული დამოუკიდებელი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის — „მესამე დასის“ წინააღმდეგ ბრძოლაში, როგორც ზემოთ აღინიშნა, რუს სოციალ-დემოკრატიებთან ერთად, მნიშველოვანი როლი შეასრულეს მათმა ქართველმა თანამოაზრეებმა, „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასის“ წევრებმა. 1903 წელს ნოე ჟორდანიას რომ არ დაეთმო, სულ ერთია, ორი მხრიდან თავდასხმას „მესამე დასი“ მაინც ვერ გაუძლებდა. უფრო მეტიც, შექმნილ სიტუაციაში ქართული სოციალ-დემოკრატიის სათავეში სწორედ იოსებ ჯულაშვილი და მისი თანამებრძოლები აღმოჩნდებოდნენ. ამ შემთხვევაში კი მესამედასელებს და კერძოდ ნოე ჟორდანიას, როგორც სოციალ-დემოკრატს, საერთოდ უნდა დაეტოვებინა პოლიტიკური სარბიელი. რუსული სოციალ-დემოკრატიის ლიდერების მიერ ზურგამაგრებული გაზეი „ბრძოლის“ ბანაკი „მესამე დასის“ უკიდურესად შეაფიროვებდა და თუ სრულ განადგურებას ვერ მიაღწევდა, უაღრესად დააკნინებდა მაინც მის გავლენას საზოგადოებრივ მოძრაობაზე. ამ წარმოუდგენლად რთულ სიტუაციაში ნოე ჟორდანიამ გადადგა ძალზე შორსგამიზნული ნაბიჯი. „მესამე დასის“ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაერთიანება, მარაალია, ეროვნული თვალსაზრისით სულაც არ იყო სასურველი მოვლენა, მაგრამ ისიც უდავოა, რომ „მესამე დასის“ ლიდერმა ამ დათმობით ორ მიზანს მიაღწია:

პირველი. „მესამე დასის“ გაერთიანებით რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გამოირიცხა იმის საფრთხე, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის მეწინავეობას ხელთ ივდებდა რუსული სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე მდგარი „რევოლიუციონერ სოციალ-დემოკრატთა დასი“ — იოსებ ჯულაშვილი და მისი თანამოაზრენი. სურდათ თუ არ სურდათ, ვ. ლენინსაც და ი. ჯულაშვილსაც ანგარიში უნდა გაეწიათ იმისათვის, რომ ნოე ჟორდანია მნიშველოვან პოლიტიკურ ფიგურას წარმოადგენდა მთელს რუსეთის სოციალ-დემოკრატიაში — მას საქართველოში ლიდერობას ვერავინ შეეცილებოდა.

მმორამ. „მესამე დასის“ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში გაერთიანების მიუხედავად, ნოე ჟორდანიამ შეინარჩუნა „მესამე დასის“ ძირითადი ბირთვი – სილიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, ვლადიმერ დარჩიაშვილი და სხვები, ასევე მესამედასელთა იდეებზე აღზრდილი ახალი თაობა: აკაკი ჩხენკელი, ნოე რამიშვილი, ეგგენი გეგეჭკორი და სხვ. ესენი სწორედ ის სოციალ-დემოკრატები იყვნენ, რომელთაც 1917 წლიდან განაახლეს ბრძოლა „მესამე დასის“ პოლიტიკური მიმდინარეობის აღორძინებისათვის.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, ნოე ჟორდანიასა და სხვა მესამედასელების შესვლა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიაში სხვა მხრივაც არის საყურადღებო. 1903-1917 წლებში ბოლშევიზმის ოპოზიციას, რაგინდ პარადოქსულადაც უნდა გვეჩვენებოდეს, განსაზღვრავდნენ: ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, ირაკლი წერეთელი, აკაკი ჩხენკელი, ეგგენი გეგეჭკორი და არა ლ. მარტოვი, პ. აქსელროდი, ა. მარტინოვი და სხვები. თვით გ. პლეხანოვის ბრძოლა ბოლშევიზმის წინააღმდეგ გაცილებით ნაკლები მნიშვნელობისა იყო, ვიდრე ნოე ჟორდანიასი. გ. პლეხანოვი მაინც ველიკოდერჟაევულ მსოფლმხედველობაზე რჩებოდა, რაგინდ თავგამოდებითაც უნდა ებრძოლა ვ. ლენინისა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ. ე. ი. ამ თვალისაზრისით იგი არაფრით განსხვავდებოდა ვ. ლენინისაგან.

და ბოლოს, ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ის, რომ ნოე ჟორდანიასა და იოსებ ჯულაშვილის დაპირისპირება პარტიული საკითხებით არ ამოიწურებოდა. ამ დაპირისპირებაში განმსაზღვრელი საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა იყო. როცა ნოე ჟორდანია დამოუკიდებელი საერთო-ქართული სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის – „მესამე დასის“ – შენარჩუნებისათვის იბრძოდა, ე. ი. უარს ამბობდა ქართული სოციალ-დემოკრატიის საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანებაზე, ამით იგი სრულიად გარკვეულ ანტირუსულ ორიენტაციას აღიარებდა. როცა იოსებ ჯულაშვილი ქართული სოციალ-დემოკრატიის საერთო-სარუსეთო სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში გაერთიანებას უჭერდა მხარს, ამით ისიც სრულიად გარკვეულად გამოხატავდა თავის პრორუსულ მსოფლმხედვას.

ამრიგად, ნოე ჟორდანიას ბრძოლა ლენინიზმის წინააღმდეგ ვიწრო, პარტიული მნიშვნელობის მოვლენა არ იყო. ამ ბრძოლას მკვეთრად გამოკვეთილი ეროვნული ხასიათი ჰქონდა.

**„ქართველები ნუ ერევიტ რუსების საქმეებში...“
(რუსეთის აირველი რევოლუციის წლები)**

რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში (1905-1907 წწ.) ცხადი შეიქნა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატია ნოე ჟორდანიას წინამძღოლობით წარმოადგენდა სერიოზულ ძალას. განსაკუთრებით ანგარიშგასაწევი მისი ინტელექტუალური შესაძლებლობანი იყო. ვ. ლენინი ჯერ კიდევ XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დამდეგს მიხვდა, თუ რა საფრთხეს უქმნიდა მას ქართული სოციალ-დემოკრატია. ამიტომაც შეეცადა იმთავითვე გაენადგურებინა „მესამე დასი“, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა. 1903-1904 წლებში განცდილი გარკვეული წარუმატებლობის მიუხედავად, რუსეთის პირველი რევოლუციის პერიოდში ქართულმა სოციალ-დემოკრატამ თავისი ინტელექტუალური შესაძლებლობანი სრულად გამოავლინა როგორც რსდმპ IV და V ყრილობაზე, ისე რუსეთის პირველი და მეორე სახელმწიფო სათათბიროებში მოღვაწეობისას. ნოე ჟორდანიას არჩევა რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობისა (1906 წ.) და რსდმპ V ყრილობის (1907 წ.) დელეგატად, ასევე რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს (1906 წ.) წევრად, იმაზე მიუთითებდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატის ლიდერმა მყარად მოიკიდა ფეხი რუსეთის სოციალ-დემოკრატის ელიტაში.

1905-1907 წლების რევოლუციის დასაწყისისათვის ბოლშევიზმს საქართველოში საკმაოდ ძლიერი პოზიციები ჰქონდა. ეს განპირობებული იყო იმით, რომ რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტი ბოლშევიკურ პლატფორმაზე იდგა. ბოლშევიზმის პოზიციების შესუსტება საქართველოში საგრძნობი ზღვება ნოე ჟორდანიას დაბრუნების შემდეგ.

ნოე ჟორდანია ჟენევიდან თბილისში 1905 წლის თებერვალში დაბრუნდა. იგი კოოპტაციის წესით იქნა არჩეული რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის წევრად მენშევიკური ფრაქციიდან. 1905 წლის აპრილში ნოე ჟორდანია იწყებს მენშევიკური მიმართულების ჟურნალ

„სოციალ-დემოკრატიის“ გამოშვებას.⁶⁸ ნოე ჟორდანიას საერთო ხელმძღვანელობით ქართველმა სოციალ-დემოკრატებმა (მენშევიკებმა) უძნელეს პირობებში შექმნეს პირველხარისხოვანი პარტიული პრესა, რომელსაც თავისი იდეურობითა და პოლიტიკური სიმწიფით ბადალი არ გააჩნდა მთელს რუსეთის იმპერიაში. ქართულ სოციალ-დემოკრატიულ პერიოდიკაზე რომ ვსაუბრობთ, მხედველობაში გვაქვს გაზეთები: „სხივი“ (1905), „გზა“ (1906), „გრივალი“ (1906), „ლამპარი“ (1906), „სიმართლე“ (1906), „შიკრიკი“ (1906), „წინ“ (1906), „დილა“ (1907), „ლაზვარი“ (1907), „საყვირი“ (1907), „სინათლე“ (1907) და სხვ.

თბილისში ჩამოსვლისთანავე ნოე ჟორდანიამ მიზნად დაისახა აღეკვეთა ბოლშევიკური ექსტრემიზმი, არ დაეშვა უმიზნო სისხლისღვრა, ეროვნული და სოციალური დაძაბულობის ესკალაცია. მალე ნოე ჟორდანია მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ბოლშევიკებთან თანამშრომლობა შეუძლებელი იყო. 1905 წლის აპრილიდან ბოლშევიკური რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტის პარალელურად თბილისში ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით მოქმედებს იწყებს მენშევიკური რსდმპ კავკასიის ბიურო.

ბოლშევიკური ფრაქციიდან ნოე ჟორდანიას უპირისპირდებიან იოსებ ჯულაშვილი, მიხა ცხაკაია, ალექსანდრე წულუკიძე, ფილიპე მახარაძე, არშაკ ზურაბოვი, სტეფანე შაუმიანი, ბოგდან კნუნიანცი და სხვები. მესამედსეულთა პირველმა თაობამ, ისიღორე რამიშვილმა, კარლო ჩხეიძემ, სილიბისტრო ჯიბლაძემ და სხვებმა, ნოე ჟორდანიას ხელმძღვანელობით უკვე 1905 წლის გაზაფხულზე ზედიზედ დაამარცხა ბოლშევიკების ფრაქცია რსდმპ თბილისის კომიტეტში, რსდმპ ბათუმის კომიტეტსა და შემდეგ — რსდმპ გურიის კომიტეტში. ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა შეძლეს ჩაეშალათ რსდმპ III ყრილობის დელეგატების არჩევნები საქართველოში. ყრილობის ბოიკოტს თითქმის ყველა კომიტეტმა დაუჭირა მხარი. ვ. ლენინი იბულებული გახდა რსდმპ III ყრილობის (1905 წ. აპრილი) დელეგატები საქართველოდან ადგილობრივი კომიტეტების გვერდის ავლით „დაენიშნა“. ასე მაგალითად, მ. ცხაკაია ყრილობის დელეგატი გახდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტიდან, ხოლო პ. ჯაფარიძე — რსდმპ კავკასიის კავშირიდან. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ რსდმპ III ყრილობისათვის საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ არც ერთ

სოციალ-დემოკრატიულ კომიტეტს დელეგატი არ აურჩევია. ბოლშევიზმის მარცხი საქართველოში სასეზე იყო.

ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები დარაზმეს რსდმპ III ყრილობის გადაწყვეტილებებისადმი ბოიკოტის მისაღწევად. მართალია, მათ თავიდან ვერ აიცილეს ბოლშევიკების ექსტრემისტული ტაქტიკის შედეგი — უმიზნო სისხლისღვრა, მაგრამ ის მაინც შეძლეს, რომ სისხლისღვრის მასშტაბები მნიშვნელოვნად შეამცირეს. ექსტრემიზმი მაშინ მთელ რუსეთს მოედო და ცხადია, საქართველო განზე ვერ დარჩებოდა...

1905 წელი ნოე ჟორდანიასა და ვლადიმერ ლენინის დაუსწრებელ დუელში მიიღია. ნოე ჟორდანიამ შესანიშნავად იცოდა, რომ ქართული სოციალ-დემოკრატიის გადაგვარების გეგმებს ვ. ლენინი ადგენდა. ამ უკანასკნელმაც ასევე კარგად იცოდა, რომ საქართველოში მისი გეგმები მარცხს მარცხზე სწორედ ნოე ჟორდანიას წყალობით განიცდიდა. ორი იდეური მოწინააღმდეგე პირისპირ ერთმანეთს რსდმპ IV (გამაერთიანებელ) ყრილობაზე შეხვდა. უკომპრომისო ორთაბრძოლაში დამარცხებული კვლავ ვ. ლენინი აღმოჩნდა...

რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ორი ფრაქციის — მენშევიკურისა და ბოლშევიკურის — გაერთიანება შეუძლებელი იყო. სხვა ობიექტურ და სუბიექტურ ფაქტორებთან ერთად (პრინციპული განსხვავება სტრატეგიასა და ტაქტიკაში და სხვ.) არც თუ უკანასკნელ როლს თამაშობდა პიროვნული მიზეზი — ვლადიმერ ლენინის ფაქტორი. ვ. ლენინი ლიდერობას არ თმობდა, ამას კი ვერ შეურიგდებოდნენ გ. პლეხანოვი, ლ. მარტოვი, პ. აქსელროდი და სხვები. ან ვ. ლენინი უნდა ჩამოსცილებოდა პოლიტიკურ მოღვაწეობას, ან რსდმპ კვლავ ორად გათიშული უნდა დარჩენილიყო. უფრო ღრმად თუ გავიაზრებთ საკითხს, ცხადი სდება: ბოლშევიკებს შერიგება წარმოედგინათ მხოლოდ მენშევიკების მხრიდან დათმობის ხარჯზე, მენშევიკებს კი — პირიქით, მხოლოდ ბოლშევიკების მხრიდან დათმობით ეგონათ შესაძლებელი გაერთიანება. ე. ი. გამაერთიანებელ ყრილობას ფაქტობრივად ან ბოლშევიზმის ლიკვიდაცია უნდა მოეხდინა, ან მენშევიზმისა. ეს კი შეუძლებელი იყო. გამაერთიანებელი ყრილობა წინასწარ განწირული აღმოჩნდა.

რსდმპ IV (გამაერთიანებელი) ყრილობა მიმდინარეობდა 1906 წლის 10(23) აპრილიდან 25 აპრილამდე (8 მაისამდე) სტოკჰოლმში.

ყრილობას ესწრებოდა 112 დელეგატი გადამწყვეტი ხმით, 22 დელეგატი სათათბირო ხმით, 12 დელეგატი წარმოადგენდა ეროვნულ სოციალ-დემოკრატიას. დაახლოებით 62 ხმა ეკუთვნოდათ მენშევიკებს, 46 – ბოლშევიკებს. რამდენიმე ხმა შეირიგებლებს, ე. წ. „ცენტრს“ ეკუთვნოდა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ყრილობაზე საკმაოდ მრავალრიცხოვანი დელეგაციით იყო წარმოდგენილი. თბილისის ორგანიზაციიდან დელეგატებად არჩეულნი იყვნენ: ნოე ჟორდანიას (კოსტროვი), კალისტრატე გოგუა (დავიდოვი), გრიგოლ ურაგლაძე (გრაიშინი), ვლასა მგელაძე (ტრიაძე), ისიდორე რამიშვილი (ბერიევი). იოსებ ჯულაშვილი (ივანოვიჩი), გიორგი ერაძე (ბრადინი), გარინი, ბანიძე, ივანოვი, სოლომონოვი (ბოლო ოთხი დელეგატის ზუსტი ვინაობა უცნობია – ვ. გ.); ქუთაისის ორგანიზაციიდან; ნიკოლოზ ჭიჭინაძე (ქართველოვი), ვლადიმერ ჯიბლაძე (პეტროვი); გურიის ორგანიზაციიდან: ბიკენტი ლომთათიძე (ვორობიოვი), ჟაკოვი, შაითანოვი (ბოლო ორი დელეგატის ზუსტი ვინაობა უცნობია – ვ. გ.); ბათუმის ორგანიზაციიდან: თურმანიძე (ბაჟანოვი); ფოთის ორგანიზაციიდან: იორდანიოვი (ზუსტი ვინაობა უცნობია – ვ. გ.). საქართველოს წარგზავნილი 18 დელეგატიდან 17 მენშევიკი იყო. ერთადერთი დელეგატი, იოსებ ჯულაშვილი წარმოადგენდა ბოლშევიკურ ფრაქციას. მარტო ეს თანაფარდობაც კი გარკვევით მიგვანიშნებს ძალთა განაწილებაზე საქართველოს სოციალ-დემოკრატიამში.

ყრილობის დღის წესრიგში იდგა 15 საკითხი: აგრარული პროგრამის გადასინჯვა, თანამედროვე მომენტი, დამოკიდებულება სახელმწიფო სათათბიროსადმი, დამოკიდებულება ეროვნულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებთან და ორგანიზაციებთან, გაერთიანება და სხვ.

აგრარულ საკითხზე ყრილობამ მოისმინა ორი მოხსენება: ბოლშევიკებიდან ვ. ლენინისა, მენშევიკებიდან – პ. მასლოვისა. ვ. ლენინი ითხოვდა პარტიის პროგრამაში შეეტანათ მოთხოვნა მთელი მიწების ნაციონალიზაციისა და მისი სახელმწიფოს ხელში გადაცემის შესახებ.⁵⁹ პ. მასლოვმა თავისი მოთხოვნა ასე ჩამოაყალიბა: 1) აგრარული პროგრამა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს პროლეტარიატის ინტერესებს, რისთვისაც აუცილებელია მისი მონაწილეობა კონფისკაციაქმნილი მიწების გამგებლობაში; 2) აგრარულმა პროგრამამ არ უნდა შეაჩეროს მწარმოებლური ძალების განვითარება, რისთვისაც აუცილე-

ბელია მთელი კონფისკაციაქმნილი მიწების დანაწილება; 3) აგრარული პროგრამის განხორციელებამ არ უნდა გამოიწვიოს კონტრრევოლუცია.⁷⁰

მესამე თვალსაზრისი ყრილობაზე წამოაყენა იოსებ ჯულაშვილმა. მან მხარი დაუჭირა კონფისკაციაქმნილი მიწების დანაწილებას გლეხობაში.⁷¹ ამრიგად, ყრილობაზე აგრარული პროგრამის სამი ვარიანტი იქნა წარმოდგენილი: ნაციონალიზაცია (ვ. ლენინი), მუნიციპალიზაცია (პ. მასლოვი), დანაწილება (ი. ჯულაშვილი).

ქართულმა სოციალ-დემოკრატებმა მხარი დაუჭირა მუნიციპალიზაციის პროგრამას. ამ თვალსაზრისით საინტერესო შეხედულება წარმოადგინეს ისიდორე რამიშვილმა და ნიკოლოზ ჭიჭინაძემ. ვ. ლენინის აგრარული პროექტის დასაბუთებული კრიტიკა წარმოადგინა ნოე ჟორდანიამ. მან განაცხადა: „ნაციონალიზაცია წარმოადგენს მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობას და სახელმწიფოსათვის გადაცემას. ამრიგად, ამ რევოლუციაში ჩვენ გლეხობას უნდა წავართვათ კერძო საკუთრება და გამოვაცხადოთ მისი ნაციონალიზაცია. შესაძლებელია თუ არა ეს? გლეხთა მოძრაობა — ეს ერთი შტოა ბურჟუაზიული საზოგადოების მთელი მოძრაობისა; გლეხობა იბრძვის მემამულური საკუთრების წინააღმდეგ ბურჟუაზიული საკუთრებისათვის. რა გზით შეიძლება ბრძოლა საკუთრებისათვის გადაიქცეს საკუთრების წინააღმდეგ ბრძოლად? რა გზით შეიძლება გლეხმა, წერილმა მესაკუთრემ შეწყვიტოს წერილ ბურჟუად ყოფნა? ფანტაზია არ არის ეს, ამხანაგებო? ცხადია, ნაციონალიზაცია ეწინააღმდეგება მთელ განვითარებას და ამიტომაც იგი უტოპიაა. უტოპიაც არის და უტოპიაც! ზოგიერთი მათგანი სასარგებლოა, ზოგიერთი — საზიანო. ნაციონალიზაცია კი ყველაზე საზიანოა. გლეხობასთან ნაციონალიზაციით მისვლა ეს იმას ნიშნავს, რომ თავი გარიყო მაივან. გლეხთა მოძრაობა წავა ჩვენი გვერდის ავლით, ან ჩვენს წინააღმდეგ და ჩვენ რევოლუციისაგან მოშორებულნი აღმოვჩნდებით. ნაციონალიზაცია აუძლურებს სოციალ-დემოკრატის, მოჰყვეთ მას გლეხობისაგან და ამრიგად, დააუძლურებს რევოლუციასაც“.⁷² როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანიამ გააკრიტიკა ვ. ლენინის ნაციონალიზაციის გეგმა და მუნიციპალიზაციას დაუჭირა მხარი. მან განაცხადა: „კონფისკაციაქმნილი მიწები, რა თქმა უნდა, მუნიციპალიზებული უნდა იქნეს. გლეხური მეურნეობისათვის ბევრი მიწა აუცილებელი (ჩა-

მონაჭრები, ხიზნების და სხე.), ამიტომ კონფისკაციაქმნილი მიწების ნაწილი უნდა დაუბრუნდეს გლეხობას, ნაწილი უნდა გადაეცეს ადგილობრივ თვითმართველობას. ჩვენი მიზანია – დავიცვათ გლეხობა არა როგორც მესაკუთრე, არამედ როგორც მოქალაქე”.⁷³

საბოლოოდ ყრილობამ აგრარულ საკითხზე სამი დოკუმენტი მიიღო: „აგრარული პროგრამა“, „ტაქტიკური რეზოლუცია აგრარულ საკითხზე“ და „გლეხთა მოძრაობისადმი დამოკიდებულების შესახებ“.

ყრილობის მეოცე სხდომაზე თავმჯდომარემ დელეგატებს გააცნო წერილი თბილისიდან, რომელსაც ხელს აწერდა პარტიის 200 წევრი⁷⁴. წერილში აღნიშნული იყო, რომ რსდმპ IV ყრილობის დელეგატთა არჩევნები თბილისში ჩატარდა დარღვევებით, რაც გამოიხატებოდა შემდეგში: 1) შეგნებულად მოხდა პარტიის წევრთა რიცხვის გაზრდა 3000-ზე მეტ წევრამდე (პარტიის წევრებად ისეთი პიროვნებები ჩათვალეს, რომელნიც არა თუ არ აღიარებდნენ პარტიის პროგრამას, არამედ ბევრ მათგანს წარმოდგენაც არ ჰქონდა მასზე); 2) პარტიის წევრთა სიების შედგენა ბევრგან მოხდა უშუალოდ ყრილობის დელეგატების არჩევის წინ; 3) პარტიის წევრების დიდი ნაწილი არ გაცნობია მომავალი ყრილობის დღის წესრიგს და ამრიგად, ადგილებზე ერთი აზრიც არ შემუშავებულა. წერილის შემდგენელთა თვალსაზრისით, ყოველივე ეს გაკეთდა იმის გამო, რომ თბილისის ორგანიზაციას დელეგატთა რაც შეიძლება მეტი რაოდენობა ჰყოლოდა ყრილობაზე.⁷⁵ ნოე ჟორდანიამ მოითხოვა ყრილობაზე დაწყებულიყო დებატები თბილისის წერილის თაობაზე. დელეგატთა ნაწილმა განაცხადა, თბილისის წერილის განხილვა მოეხსნათ დღის წესრიგიდან. ელასა მგელაძემ მოითხოვა ყრილობას მოესმინა ნოე ჟორდანიასათვის, რათა დელეგატებს გაეგოთ, თუ რატომ იქნა არჩეული II დელეგატი თბილისიდან. საბოლოოდ, ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ემსჯელათ თბილისის წერილზე. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს გადაწყვეტილება მიღებული იქნა ორმორცდაროი ხმით ოცდაათოთხმეტის წინააღმდეგ.⁷⁶ ნოე ჟორდანიამ ყრილობას გააცნო რსდმპ თბილისის ორგანიზაციის აღმოცენების მოკლე ისტორია, მისი სტრუქტურა. მან აღნიშნა, რომ 1905 წლის დამდეგს თბილისში იყო პარტიის დაახლოებით 4000 წევრი, ხოლო რეაქციის დაწყების შემდეგ, რსდმპ IV ყრილობის წინა პერიოდში ჩატარებულმა აღრიცხვამ დაადგინა 3300 წევრი. ნოე ჟორდანიას განცხადების თანახმად, თბილისში იმჟამად სულ 300 ბოლშე-

ვიკი იყო.⁷¹ ამრიგად, რსდმპ თბილისის ორგანიზაციაში, თუ ნოე ჟორდანიას მიერ მიტანილ მასალას ვენდობით, სწორად იყო განსაზღვრული როგორც დელეგატთა საერთო რაოდენობა (11 კაცი), ისე მენშევიკთა და ბოლშევიკთა შეფარდებაც (10:1). ნოე ჟორდანიას შემდეგ გამოსვლა ითხოვა იოსებ ჯულაშვილმა, მაგრამ დელეგატთა უმრავლესობის მოთხოვნით კამათი შეწყდა.⁷²

ძალთა თანაფარდობა საქართველოს სოციალ-დემოკრატიის შიგნით არც რსდმპ IV (ვაძაერთიანებელი) ყრილობის შემდეგ შეცვლილა. ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა შეძლეს ის, რომ ბოლშევიკური მიმდინარეობა სრულიად უმნიშვნელო პოლიტიკურ ძალას წარმოადგენდა და თითქმის ვერავითარ გავლენას ვერ ახდენდა მოვლენათა განვითარებაზე. ბოლშევიზმი ასე საფუძვლიანად რუსეთის იმპერიის არც ერთ ნაწილში, არც საკუთრივ ველიკოროსიაში და არც კოლონიურ მხარეებში, არსად დაუსამარებიათ. ეს იყო ნოე ჟორდანიას დიდი დამსახურება საერთაშორისო სოციალ-დემოკრატიის წინაშე.

ნოე ჟორდანიასა და მისი თანამოაზრე ქართველი სოციალ-დემოკრატების გამარჯვება დაადასტურა რსდმპ V ყრილობის დელეგატთა არჩევნებმაც.

რსდმპ V (ლონდონის) ყრილობა მიმდინარეობდა 1907 წლის 30 აპრილიდან 19 მაისამდე (13 მაისიდან 1 ივნისამდე). ყრილობას ესწრებოდა 303 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 39 დელეგატი სათათბირო ხმით პარტიის 150 ათასი წევრისაგან. საქართველოდან დელეგატები არჩეულ იქნენ თბილისის, გურიის, ქუთაისის, ბათუმის, სამეგრელოს, ფოთის, თელავისა და ბორჩალოს ორგანიზაციებიდან. სულ არჩეულ იქნა 28 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 10 დელეგატი სათათბირო ხმით. გადამწყვეტი ხმის მქონე დელეგატებიდან 26 მენშევიკი და 2 ბოლშევიკი იყო, სათათბირო ხმის მქონეთაგან – 7 მენშევიკი 3 ბოლშევიკი. გადამწყვეტი ხმით ყრილობას ესწრებოდნენ თბილისის ორგანიზაციიდან მხოლოდ მენშევიკები: ვლასა მგელაძე (ტრია), ს. ბარკოსაძე (ტოკარევი), გრიგორიევი, პ. წელაია (დეპო), ნოე რამიშვილი (ბორცოვი), ა. ვარსკი (ადოლფი), გიორგი ერაძე (ბრადინი), გიორგი პლესანოვი, ნოე ჟორდანია (კოსტროვი), ანდრია ჭიაბრიშვილი (ჭრელი); გურიის ორგანიზაციიდან მხოლოდ მენშევიკები: ვ. ჯიბუტი (ვარდენი), ა. წითლიძე (შუბინი), რაფიელ ჩიხლაძე (ალექსიძე), ა. პოტრესოვი (სტაროვერი), ბიკენტი ლომთათიძე (შასანი), ს. პაიჭაძე (კრუკვი), პ.

აქსელროდი, ვ. კროხმალი (ზაგორსკი), ნიკოლაევი; ქუთაისის ორგანიზაციიდან მხოლოდ მენშევიკები: თევდორე კიკვიძე (ჭაღარა), მ. ნინიძე (ლეონიდე). გრიგოლ ლორთქიფანიძე (სპირიდონოვი); ბათუმის ორგანიზაციიდან მენშევიკი ბ. ნიკოლაევი (გილოსოვი); სამეგრელოს ორგანიზაციიდან მენშევიკი კ. ჩანავა (კოლზიდელი); ფიათის ორგანიზაციიდან მენშევიკი გრიგოლ ურატაძე (ვანო); თელავის ორგანიზაციიდან მენშევიკი ნიკოლაევი; ბორჩალოს ორგანიზაციიდან: ბოლშევიკები სტეფანე შაუშიანი (სურენინი) და ა. კახოიანი (ბორჩალისსკი). სათათბირო ხმით ყრილობას ესწრებოდნენ: თბილისის ორგანიზაციიდან ბოლშევიკი იოსებ ჯულაშვილი (ივანოვიჩი); ბორჩალოს ორგანიზაციიდან – ბოლშევიკები მიხა ცხაკაია (ბარსოვი) და მაქსიმ გორკი (პემკოვი), მენშევიკები ლევ ბრონშტეინი (ტროცკი) და ოსიპ პეტერბურგსკი; მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციიდან: ირაკლი წერეთელი, არჩილ ჯაფარიძე, სევერიან ჯულელი, კონსტანტინე კანდელაკი, გერასიმე მახარაძე. გარდა ამისა, ყრილობის მუშაობაში გადამწყვეტი ხმით მონაწილეობდნენ ქართველი დელეგატები: ბაქოს ორგანიზაციიდან მენშევიკი ისიდორე რამიშვილი (ბერიევი), მოსკოვის ორგანიზაციიდან მენშევიკი ი. ხუნდაძე (ალექსეი), ტაგანროგის ორგანიზაციიდან მენშევიკი სოსხაძე (ლეონოვი).⁷⁹

ყრილობის დღის წესრიგში იდგა შემდეგი საკითხები: ცენტრალური კომიტეტის ანგარიში, სახელმწიფო სათათბიროს ფრაქციის ანგარიში, დამოკიდებულება ბურჟუაზიულ პარტიებთან; სახელმწიფო სათათბირო და სხვ.

რსდმპ V ყრილობამ უკვე დღის წესრიგის დამტკიცებისას დაუშვა სერიოზული შეცდომა, როცა დებატების გარეშე დღის წესრიგიდან ამოიღეს ეროვნული საკითხი.⁸⁰ ასეთი მოქმედება მიუტევებელი იყო მისი უფრო, რომ ამ პერიოდისათვის ძალზე გამწვავდა ეროვნული საკითხი რუსეთის იმპერიაში. ეროვნული პრობლემის ყურადღების გარეშე დატოვება ხაზს უსვამს რუსული სოციალ-დემოკრატიის ორივე მიმდინარეობის – ბოლშევიზმისა და მენშევიზმის – ბუნებას, ააშკარავებდა რუსეთის იმპერიაში მცხოვრები სხვადასხვა ხალხების სოციალ-დემოკრატიის ეროვნულ ნიჰილიზმს.

ცენტრალური კომიტეტის პოლიტიკური მოღვაწეობის ანგარიში ყრილობას წარუდგინა იული ცედერბაუმი (ლ. მარტოემა). თანამოსწინებებით გამოვიდნენ ა. ბოგდანოვი (მაქსიმოვი) და რ. რეინი (აბრამ-

ოვინი). სამივე მოხსენება. ფრაქციულობის მიუხედავად, გაწეული მუშაობის ღრმა და სერიოზულ ანალიზს იძლეოდა. ცენტრალური კომიტეტის ანგარიშის გამო გამართულ კამათში ქართველი დელეგატებიდან პირველი გამოვიდა ნოე ჟორდანი (კოსტროვი). მისი სიტყვის მთავარი არსი იყო მენშევიკებისა და ბოლშევიკების ურთიერთობა საანგარიშო პერიოდში.⁸¹

ნოე ჟორდანი და ვლადიმერ ლენინი ამ ყრილობაზეც დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ორივენი დასახელებულნი იყვნენ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრად ასარჩევთა სიაში. არჩევნები ძალზე დამაბუღლად წარიმართა.

ყრილობის ოცდამეთხუთმეტე სხდომაზე გამოცხადდა რსდმპ ცენტრალური კომიტეტის არჩევნების შედეგები. არჩევნებში მონაწილე დელეგატებს ჰქონდათ 293 ხმა. ცენტრალურ კომიტეტში არჩევნების დროს ხმები ასე განაწილდა: ა. ს. პიკერი (მარტინოვი) – 150 ხმა; ნ. ნ. ჟორდანი (კოსტროვი) – 150 ხმა. კ. ხ. დანიშევსკი (გერმანი) – 149 ხმა; ა. ი. გუსევი (ნიკიფორი) – 148 ხმა; ი. ა. ისაევი (მიხაილი) – 140 ხმა; ნ. ა. როჟკოვი (ვიაჩესლავი) – 146 ხმა. ფ. დუბროვსკი (ინოკენტი) – 145 ხმა; ა. ს. ვარსკი (ადოლფი) – 145 ხმა; ი. ა. თეოდოროვიჩი (პანოვი) – 144 ხმა; ვ. პ. ნოგინი (ვერშინინი) – 144 ხმა; ი. დ. ლენცმანი (გრიკე) – 144 ხმა; ფ. ა. ძერჟინსკი (დომანსკი) – 144 ხმა; ა. ბუშევიცი (რიბაკი) – 144 ხმა; გ. ე. რადომისლსკი (ზინოვიევი) – 143 ხმა.⁸² არჩეულად ჩაითვალა პირველი ცხრა კანდიდატი (ა. ს. ვარსკის ჩათვლით). დაისვა საკითხი, თუ როგორ გადაეწყვიტათ იმ 5 კანდიდატის ბედი, რომელთაც მიიღეს თითოეულმა 144 ხმა.⁸³ საბოლოოდ, ხელახალი კენჭისყრის დროს, რომელიც 37 დელეგატი მონაწილეობდა, 5 კანდიდატიდან ცენტრალურ კომიტეტში აირჩიეს: ი. ა. თეოდოროვიჩი, ვ. პ. ნოგინი და ფ. ე. ძერჟინსკი.⁸⁴ ამ მარცხს ვ. ლენინი დიდხანს და მწარედ განიცდიდა...

პირველი რევოლუციის წლებში ქართველების აქტიურმა მონაწილეობამ რუსეთის პოლიტიკურ ცხოვრებაში ბევრი რუსი ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე უარყოფითად განაწყო. მათ შორის იყო ვლადიმერ ლენინიც. ვ. ლენინი განსაკუთრებით გაღიზიანებული იყო ნოე ჟორდანისა და ირაკლი წერეთლის ავტორიტეტით. რსდმპ V ყრილობის პერიოდიდან ნოე ჟორდანისას ასეთი მოგონება აქვს შემონახული:

„მივიღვარ ქუჩაზე ასე ხელ-ცარიელი, ხმა შემომესმა უკანადა: კოსტროვ (ეს ჩემი პსევდონიმი იყო), მოძიკადეთ ერთ წუთს. მოვიხედე — ლენინია. დაეცა და ერთად გადავედით ქუჩის მეორე ნახევარს. მან მითხრა სიტყვა-სიტყვით შემდეგი: ქართველები ნუ ერევით რუსების საქმეში, თქვენ არ იცნობთ ჩვენს ხალხს, მის პსიხოლოგიას, მათ ყოფა-ცხოვრებას და რატომ ხელს გვიშლით ჩვენ ჩვენი საქმეები ჩვენებურათ, რუსულათ მოვაგვაროთ. მიიღეთ ავტონომია, აკეთეთ საქართველოში რაც და როგორც გსურთ, ჩვენ არ ჩაგერევით, ნურც ჩვენ ჩაგვერევით! გამიკვირდა, გავოცდი, მეგონა მცდიდა, დავატყვე სერიოზულად მელაპარაკებოდა და განვუცხადე — პასუხს ახლავერ მოგცემ, შევეკითხები ამხანაგებს, სწორეთ ამ საღამოს გვაქვს კრება ქართველ სოციალ-დემოკრატებს. ძლიერ კარგი, დასვით ეს საკითხი, თუ გნებავთ მეც დამიძახეთ, დაიმახმორეთ ჩემი წინადადება: თქვენ, ქართველები ნუ ერევით ჩვენს პარტიულ საქმეებში, ჩვენ არ ჩავერევით თქვენსაში“.⁸⁵

ეს უკვე აღიარება იყო, აღიარება დიდი და საშიში მოწინააღმდეგის მხრიდან. ეს გამარჯვება იყო, გამარჯვება ვერაგ მტერზე... თუმცა მთავარი შერკინება ჯერ კიდევ წინ იყო.

ზედმეტი არ იქნება იმის აღნიშვნა, რომ ელადიმერ ლენინს, შეიძლება ითქვას, პანიკური შიში ჰქონდა ნოე ჟორდანიასი. ამის დამადასტურებელი მასალა ბევრია თვით ვ. ლენინის ნაწერებში, რომელიც კარგადაა ცნობილი საზოგადოებისათვის. არის ისეთი მასალაც, რომელსაც მკითხველი შეიძლება არ იცნობდეს. ეს დოკუმენტები 20-იანი წლების დამდეგს განეკუთვნება. 1921-1922 წლებში მოსკოვიდან თბილისში საქართველოს კ(ბ) ცენტრალურ კომიტეტში, უფრო ზუსტად, საქართველოს კ(ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ პარტიის ისტორიის კომისიაში (პარტისი) მოვიდა რამდენიმე ათეული წერილი. ეს წერილები შედგენილი იყო ვ. ლენინის მითითებით. ვ. ლენინი სიცოცხლის ბოლო წლებშიც კი ითხოვდა მიეწოდებინა მისთვის ნოე ჟორდანიას ყოველი წერილის, სტატიის, სიტყვისა თუ გამოსვლის რუსული თარგმანი, რომელიც ძირითადად განეკუთნებოდა 1917-1921 წლებს. ხშირად ვ. ლენინი ითხოვდა ნოე ჟორდანიას ისეთი სიტყვისა თუ გამოსვლის ტექსტს, რომლის სტენოგრამა ან საგაზეთო ვარიანტი არც კი არსებობდა. ვ. ლენინი ერთხანს ისე ღრმად დაინტერესდა თავისი ოპონენტის მსოფლმხედველობით, რომ გაზეთ „კვალში“ და

სხვა ქართულ ჟურნალ-გაზეთებში ნოე ჟორდანიას მიერ 1917 წლამდე გამოქვეყნებული წერილების რუსული თარგმანიც კი მოითხოვა!..

იქნებ ბოლშევიზმის იდეოლოგსა და საბჭოთა რუსეთის პოლიტიკურ ლიდერს, ქვეყანა პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ კატასტროფამდე რომ მიიყვანა, დროდადრო კიდევ ეჩვენებოდა, — ნოე ჟორდანია, რომელმაც ჯერ კიდევ 1903-1904 წლებში სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ლენინიზმს, მართალი იყო!

რუსეთის პირველი რევოლუციის წლებმა ნათელყო, რომ ნოე ჟორდანია, როგორც მოაზროვნე და როგორც პოლიტიკური მოღვაწე, უკვე რუსეთის იმპერიის მასშტაბით იქცევეს ყურადღებას. იგი რუსეთის სოციალ-დემოკრატიის მენშევიკური მიმდინარეობის ერთ-ერთი ლიდერია. საქართველოში კი ნოე ჟორდანია კიდევ უფრო პოპულარული ხდება.

* * *

ნოე ჟორდანიამ იდეური მოწინააღმდეგეებისაგან ბევრი უსაფუძვლო და უზნეო ცილისწამება განიცადა. საბჭოთა ისტორიოგრაფიამ კი თავის ერთ-ერთ მთავარ მიზნად ნოე ჟორდანიას სახელის ლაფში ამოსვრა გაიხადა. უკვე ცხრა ათეული წელია ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ ნოე ჟორდანიას დაკავშირებას ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან. მრავალი პროფესიონალი თუ არაპროფესიონალი, საქმეში ჩახედული თუ სრულიად უმეცარი ცდილობს დაამტკიცოს ის, რისი დამტკიცებაც არ შეიძლება.

ათ წელზე მეტი ხნის მანძილზე ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა დიდძალი საარქივო მასალა (დაახლოებით ათასზე მეტი საარქივო საქმე), აღარაფერს ვამბობთ საქართველოსა თუ უცხოეთში გამოქვეყნებულ საარქივო მასალებზე, მეშუარებსა და გამოკვლევებზე. ამ მასალის ანალიზის საფუძველზე შეიძლება გაკეთდეს მხოლოდ ერთადერთი დასკვნა: ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან არავითარი, არც იდეური და არც ორგანიზაციული, კავშირი არ ჰქონია. უფრო მეტიც. ქართველი სოციალ-დემოკრატები (მენშევიკები) სილიბისტრო ჯიბლაძე, ნოე რამიშვილი, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე, აკაკი ჩხენკელი, ივანე გიგეჭკორი და სხვ. ასევე არავითარ კავშირში არ არიან ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან.

წინამდებარე ნაშრომში შეუძლებელია ვრცლად გააშუქო ილია ჭავჭავაძის მკვლელობის მთელი ისტორია – ეს ცალკე მონოგრაფიის შექმნას მოითხოვს, ამიტომაც მხოლოდ მოკლედ მოგახსენებთ ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებს:

1. ილია ჭავჭავაძესა და ნოე ჟორდანიას შორის ცხარე პოლემიკა შეწყდა 1900 წელს. შემდგომ ხანებში (1901-1907 წწ.) ილიასა და ქართველ სოციალ-დემოკრატებს (მენშევიკებს) პოლემიკა, შესდგა-შემოხლა იდეურ ან სხვა საფუძველზე აღარ ჰქონიათ, პირიქით, გარკვეულწილად მათი დაახლოების ტენდენციაც კი იგრძნობა. რევოლუციის წლებში (1905-1907 წწ.) ილია ჭავჭავაძეს მკვეთრად დაუპირისპირდნენ ქართველი ბოლშევიკები. ბრძოლას ილიას წინააღმდეგ წარმართავდა ფილიპე მახარაძე. ცილისწამებამ ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა და ქართველი საზოგადოების ცხოველი ინტერესიც გამოიწვია. ამრიგად, როცა ლაპარაკობენ 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ილია ჭავჭავაძისა და ქართველი სოციალ-დემოკრატების დაპირისპირებაზე, სამართლიანობა მოითხოვს ცნება „სოციალ-დემოკრატები“ დაკონკრეტდეს და გაირკვეს: ვინ უპირისპირდებოდა ილიას – ქართველი მენშევიკები თუ ბოლშევიკები, რადგან დღეისათვის არსებული მასალების მიხედვით, ილია ჭავჭავაძეს რევოლუციის წლებში ქართველი ბოლშევიკები ებრძოდნენ.

2. ილია ჭავჭავაძის მკვლელობა, როგორც უმეტესი ნაწილი იმხანად და შემდგომშიც განხორციელებული პოლიტიკური მკვლელობებისა, ზედმიწევნით ზუსტად, ყველა წესის დაცვით არის განხორციელებული. პოლიტიკური მკვლელობის ორგანიზება კი აუცილებლად ითვალისწინებდა ორ მომენტს: ა) მკვლელობის კვალის დაფარვა, ბ) მკვლელობის სხვა ძალისათვის გადაბრალევა. ამ მხრივ ილია ჭავჭავაძის მკვლელობა უნაკლოდ იყო ორგანიზებული.

3. დღეს ძალზე ჭირს დადგენა იმისა, ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ ოფიციალური ძიება მკვლელობის უნაკლოდ ორგანიზებამ ჩააგდო მძიმე მდგომარეობაში, თუ სხვა რაიმე მოსაზრებით იყო გაპირობებული ძიების დაბალი დონე. ბევრი რამ, რისი დადგენა მხოლოდ იმხანად შეიძლებოდა, ძიებას არ დაუდგენია.

4. მკვლელობის ოფიციალური ძიება და სასამართლო პროცესი საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩატარდა ძალზე ჩაქარავად. მხედველობაში არ ყოფილა მიღებული დიდი რაოდენობით საარქივო მასა-

ლა. რომელიც თბილისში იყო დაცული და მისი შესწავლა დიდ სიძნელეს არ წარმოადგენდა. არ ვგულისხმობთ მხოლოდ ილიას მკვლევრობის შემდეგ ჩატარებული ძიების მასალებს, არამედ თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, თბილისის ოხრანკისა და კავკასიის ოხრანკის მასალებს. ასევე სხვა უწყებათა მასალებს, რომელთა შესწავლა უთუოდ წაადგებოდა ძიებას.

5. ბილო წლებში ილიას მკვლევრობის საიდუმლოების ახსნა ძირითადად უკვე ცნობილი მასალების ახალი ინტერპრეტაციის გზით მიდის. დიდი რაოდენობით საარქივო მასალა კვლავ ვერ მოხვდა სამეცნიერო ბრუნვაში. ეს მასალა კი იმდენად დიდი რაოდენობითაა შემორჩენილი, რომ მისი შესწავლისა და დასკვნების გაკეთებისათვის წლებია საჭირო. მხედველობაში გვაქვს არა მარტო თბილისში დაცული საარქივო მასალა, არამედ დღემდე მოსკოვისა და სანკტ-პეტერბურგის სხვადასხვა არქივში დაცული დოკუმენტები, რომელიც პრაქტიკულად მთლიანად ყურადღების გარეშეა დარჩენილი.

6. საარქივო მასალებზე მუშაობისას აშკარა ხდება ერთი რამ: მასალების ნაწილი განადგურებულია (გადამალულია), თანაც ეს გაკეთებულია ისეთი პროფესიონალის მიერ, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა, რა უნდა მიეხსო და რა დაეტოვებინა. დაბეჯითებით ვერ ვიტყვი, მაგრამ ზოგან აშკარად ჩანს კვალი მასალების ორი ძალის მიერ განადგურებისა. როდის გაკეთდა ეს? 1917 წლამდე, 1918-1921 წლებში, თუ 1921 წლის შემდეგ, ძნელი სათქმელია...

7. უკანასკნელ ხანებში დიდი ინტენსივობით ვსწავლობდით 1905-1914 წლებში პოლიტიკური მოტივით განხორციელებული ტერორისტული აქტების ისტორიას. დაწერილებით დავადგინეთ დღემდე ცნობილი, ნაკლებად ცნობილი, თუ საერთოდ უცნობი ტერორისტული აქტების ისეთი დეტალები, როგორიცაა: სიკვდილის განაჩენის გამომტანი ორგანო, ორგანოს პერსონალური შემადგენლობა. ტერორისტული აქტის დაფინანსების წყაროები, ტერორისტთა ვინაობა (ეროვნება, პარტიული კუთვნილება და სხვ.). ტერორისტული აქტის შენიღბვის მეთოდები (ხმების დარხევა, ძიების დეზორიენტაცია და სხვ.) და ა. შ. დღეს ამ მასალების განზოგადებისაგან თავს შევიკავებთ, მხოლოდ აღვნიშნავთ ერთს: ილია ჭავჭავაძე არ იყო ის პიროვნება, რომლის მოკვლის გადაწყვეტილება იმ ყბადაღებულ კომიტეტს (რსდმპ თბილისის კომიტეტს) მიეღო. ჩვენ სავსებით ვეთანხმებით უკვე გამოთქმულ

ვარაუდს, რომ გადაწყვეტილება ილიას ფიზიკურა მოსპობის შესახებ, თუ ასეთი გადაწყვეტილება ნამდვილად არსებობდა, მიღებული უნდა ყოფილიყო უფრო მაღალი პარტიული ინსტანციის მიერ.

8. ნოე ჟორდანიას ბრალმძებლებს დღემდე ისიც კი ვერ გაურკვევიათ, ვინ შედიოდა რსდმპ თბილისის კომიტეტში ილია ჭავჭავაძის მკვლელობის წინა პერიოდში. ჩვენ საქართველოს ცენტრალურ სახელმწიფო საისტორიო არქივში (თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, თბილისის ოხრანკის, კაკასიის ოხრანკის, რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის ფონდები) არსებულ სანდო მასალაზე დაყრდნობით დავადგინეთ, რომ ამ პერიოდში რსდმპ თბილისის გაერთიანებულ კომიტეტში (1906 წლის იანვრიდან 1907 წლის დეკემბრამდე კომიტეტში მენშევიკები და ბოლშევიკები ერთად მოღვაწეობდნენ) წევრებად არ ირიცხებოდნენ: ნოე ჟორდანია, ნოე რამიშვილი, ისიდორე რამიშვილი, სილიბისტრო ჯიბლაძე და სხვა ცნობილი ქართველი მენშევიკები.

10. სხდომები და თათბირები, რომლებზედაც თითქოსდა ილია ჭავჭავაძის მკვლელობის საკითხი იხილებოდა და გადაწყვეტილებაც იქნა მიღებული, თავიდან ბოლომდე გამოგონილია. არ არსებობს არც ერთი სანდო დოკუმენტი, რომელიც ასეთი სხდომისა თუ თათბირის გამართვას ადასტურებდეს.

11. ყოველი მასალა, რომლის საფუძველზეც მემუარისტები თუ მკვლევარები ილია ჭავჭავაძის მკვლელობასთან ნოე ჟორდანიას დაკავშირებას ცდილობენ, წყაროთმცოდნეობითი თვალსაზრისით ვერაუთარ კრიტიკას ვერ უძლებს და მასზე დაყრდნობა დილექტანტს ან ძალიან გულუბრყვილო ადამიანს თუ შეუძლია...

12. არსებობს სრულიად სანდო მასალა (რუსეთის იმპერიის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტის, თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს, თბილისის ოხრანკის, კაკასიის ოხრანკის მასალები) იმის დასამტკიცებლად, რომ 1907 წლის გაზაფხულიდან დეკემბრამდე ნოე ჟორდანია ამიერკაკასიაში საერთოდ არ ცხოვრობდა, ხოლო 1907 წელს, უშუალოდ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის წინა ხანებში, იგი პეტროპავლოვსკის ციხეში იმყოფება პატიმრობაში...

13. ვინც ნოე ჟორდანიას ცხოვრებასა და მოღვაწეობას ღრმად და საფუძვლიანად შეისწავლის, ვინც ზოგადად მაინც შეიცნობს მის

ფსიქოლოგიურ პროგრეტს. ადვილად დარწმუნდება, რომ ნოე ჟორდანას არ შეეძლო ადამიანისათვის სასიკვდილო განაჩენის გამოტანა, მით უმეტეს, თუ ეს პიროვნება ერის მამად აღიარებული, მრავალწლიან ბრძოლებში დაღლილი მოხუცი იქნებოდა. ნოე ჟორდანას, როგორც პოლიტიკოსს, თუ რამ ადამიანური სისუსტე ჰქონდა, ეს იყო მისი წრეგადასული ჰუმანიზმი და ლმობიერება...

ამრიგად, ნოე ჟორდანას ერთხელ და სამუდამოდ უნდა მოეხსნას ყალბი ბრალდება რაიმე ფორმით ილია ჭავჭავაძის მკვლელობაში მონაწილეობის შესახებ. სრული პასუხისმგებლობით უნდა განვაცხადო, რომ ეს ბრალდება უკადრისი ფანდია საზოგადოების დეზორიენტაციისა და ჭეშმარიტების გაუკუღმართებისათვის.

**„რელიგიის ადგილი ეროვნულმა საკითხმა დაიკავა...“
(რევოლუციის შემდგომი წლები)**

რუსეთის პირველი რევოლუციის დამარცხების შემდეგ შექმნილი ვითარება ძალზე ლაკონურად და, რაც მთავარია, ზუსტად შეაფასა ნოე ჟორდანიამ: „პოლიტიკას ქმნიან რეაქციონერები დუმის გარეშე, ხოლო დუმა ამ პოლიტიკის აღმსრულებელია, დუმა ტექნიკური აპარატია, პოლიტიკური აპარატი კი ძველებურად კაბინეტებში და სასახლეებშია.“⁸⁶

1905-1907 წლების რევოლუციის დამარცხებამ მორალური ოვალ-საზრისით, ცხადია, უარყოფითი გავლენა მოახდინა ქართულ სოციალ-დემოკრატიაზე. მომძლავრებულმა რეაქციამ მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო საქართველოს სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციები, თუმცა, ველიკოროსიისაგან განსხვავებით, საქართველოში საბრძოლო სულისკვეთება კვლავ ძლიერი იყო. ნოე ჟორდანიას იგონებს: „თფილისში დამხვდა გაუტეხელი სული, პარტიის ფართო ორგანიზაციები, საზოგადოების აწეული და მხნე სულისკვეთება. არავითარი შიში და დაბნეულობა“.⁸⁷ 1908 წლისათვის საქართველოში აღარ ფუნქციონირებდა არც ერთი ბოლშევიკური ორგანიზაცია თუ ჯგუფი იოსებ ჯულაშვილის თბილისიდან წასვლის შემდეგ (1907 წ.) ქართველი ბოლშევიკები მიმოიფანტნენ, ზოგიერთმა მათგანმა ბაქოს შეაფარა თავი.

1907-1910 წლებში ნოე ჟორდანიას კვლავ დიდ პოლიტიკურ-ორგანიზაციულ მუშაობას ეწევა. ეს შეუმჩნეველი არ დარჩენია ჟანდარმერიასა და ოზრანკას. 1910 წლის ბოლოს თბილისის ოზრანკას, ზემდგომი ორგანოების მოთხოვნით, შეუდგენია „ცნობა“ ნოე ჟორდანიას შესახებ. ეს „ცნობა“ იმდენად საინტერესოა, რომ თავს უფლება მიეცეთ მთლიანად შეგვეთავაზებინა იგი მკითხველისათვის:

ნოე ნიკოლოზის კე ჟორდანი, ქუთაისის გუბერნიის მფარველ, კაბლინისტი-მფარველი, I სახელმწიფო სათათბიროს ყოფილი წევრი

იძებნებოდა პოლიციის დეპარტამენტის 1903 წლის 1 ნოემბრის №10500 ცირკულიარით.

1894 წელს ქუთაისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში მიცემულ იქნა პასუხისგებაში „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ სახელწოდებით ცნობილი წრის საქმესთან დაკავშირებით. ეს საქმე შინაგან საქმეთა და იუსტიციის მინისტრების შეთანხმების საფუძველზე წარმოებით შეწყვეტილ იქნა, ჟორდანია კი დაუქვემდებარეს პოლიციის ფარულ მეთვალყურეობას. პოლიციის ფარული მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი ჟორდანია 1901 წელს თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოში კვლავ მიცემულ იქნა პასუხისგებაში სოციალ-დემოკრატიული წრის საქმესთან დაკავშირებით. იმყოფებოდა პატიმრობაში, ხოლო პატიმრობიდან გათავისუფლების შემდეგ დაუქვემდებარეს პოლიციის განსაკუთრებულ მეთვალყურეობას ქ. ელიზავეტოპოლში.

1903 წლის 9 ივლისს უმაღლესი ბრძანებულებით ჟორდანია 3 წლით დაუქვემდებარეს პოლიციის ფარულ მეთვალყურეობას ვიატკის გუბერნიაში. უმაღლეს ბრძანებულებამდე, საგანგებო თათბირის დადგენილებით, რომელიც დამტკიცებული იქნა შინაგან საქმეთა მინისტრის მიერ 1903 წლის 30 აპრილს, ჟორდანია ხსენებული საქმის დასრულებამდე უნდა გადაესახლებინათ ვიატკის გუბერნიაში პოლიციის აშკარა მეთვალყურეობის ქვეშ. ეს ღონისძიება სისრულეში ვერ იქნა მოყვანილი იმის გამო, რომ ჟორდანია 1903 წლის 22 ივნისს ქ. ელიზავეტოპოლიდან მიიძალა.

არსებული ცნობით, ჟორდანია, რომელიც იწოდებოდა „თავად პატრიარქად“ 1901-1903 წლებში წარმატებით ნერგავდა რევოლუციის იდეებს ელიზავეტოპოლში. 1903 წლის ზაფხულში აპირებდა ამიერკავკასიის კურორტებზე აგიტაციის წარმოებას, მაგრამ იძულებული შეიქნა გაქცეულიყო საზღვარგარეთ, სადაც გახდა მთავარი მოღვაწე ქართულ ენაზე დაწამაულებრივი ლიტერატურის გამოცემაში.

დაახლოებით 1905 წლის თებერვალში ჟორდანია გამოჩნდა თბილისში, შევიდა რსდმკ თბილისის კომიტეტის შემადგენლობაში („უმცირესობის“ ჯგუფში), ჩაიბარა მხოლოდ და მხოლოდ ლიტერ-

ატურული განყოფილება და თავის თავზე აიღო თბილისში ქართულ ენაზე გამოძავალი ადგილობრივი კომიტეტის ორგანოს – „სოციალ-დემოკრატიის“ – რედაქტორობა. ორგანიზაციაში ცნობილი იყო „ანდრეის“ ფსევდონიმით. 12 თებერვალს თავმჯდომარეობდა კრებას, რომელიც შედგა მუშა სოლომონ ქორიძის ბინაზე. კრებაზე მიმდინარეობდა დებატები „უმრავლესობისა“ და „უმცირესობის“ წარმომადგენელთა შორის „უმრავლესობის“ მიერ იმ ტექნიკის მიტაცების შესახებ, რომელიც განხეთქილებამდე ეკუთვნოდა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციას (იგულისხმება რსდმპ თბილისის ორგანიზაცია – ვ. გ.). 14-15 აპრილს მონაწილეობა მიიღო „უმცირესობის“ თბილისის კომიტეტის ინიციატივით მცხეთაში გამართული კავკასიის ყველა მთავარი სოციალ-დემოკრატიული მუშათა ორგანიზაციის კონფერენციაში. კონფერენციის მიზანი იყო პასუხი გაეცა იმ პრაქტიკული საკითხებისათვის, რომელიც წამოჭრა საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების უკანასკნელმა მოვლენებმა; ასევე ამ საკითხების გადაჭრის მიზნით ყველა ორგანიზაციის გაერთიანება. 26 თებერვალს მონაწილეობა მიიღო „სამხედრო საბჭოს“ მუშარბაში, სადაც იხილებოდა საკითხი იმ ლაბორატორიისათვის ადგილის შერჩევის შესახებ, რომელსაც უნდა დაემზადებინა ასაფეთქებელი ნივთიერება და ბომბები. ლაბორატორიის მოწყობა გადაწყდა ქ. თბილისის შემოგარენში. 5 მაისს ესწრებოდა ადგილობრივი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის ყველა პროპაგანდისტის კრებას, რომელიც გაიმართა მუშა კალისტრატე დოლიძის ბინაზე. კრებაზე ნოე რამიშვილმა წაიკითხა რეფერატი თემაზე „მოქმედების ახლად შემუშავებული სისტემა“. ჟორდანიას დავალებით „–“ ივლისს დიასამიძის სტამბაში დაიბეჭდა ჟურნალი „სოციალ-დემოკრატიის“ №3, „საკავშირო კომიტეტის პასუხი“, „კომუნისტური პარტიის მანიფესტი“. ეს გამოცემები შემდეგში გავრცელებული იქნა.

ს.-პეტერბურგის საოლქო სასამართლოს განსაკუთრებით მნიშვნელოვან საქმეთა გამოძიებლის ბელეცკოვის მიერ ჟორდანია მიცემულ იქნა პასუხისგებაში სისხლის სამართლის დებულების 129-ე მუხლის I ნაწილის I პარაგრაფით, რუსეთის მოსახლეობაში „ვიბორგის მოწოდების“ გავრცელების გამო (1907 წლის ივნისი – ვ. გ.). იძებნებოდა ამ საქმესთან დაკავშირებით.

ირიცხება პოლიციის დეპარტამენტის 1907 წლის 22 ივნისის №150033/10 ცირკულარში. ძებნა შეწყდა 1909 წლის 20 მარტის №151019/35 ცირკულარით.

1908 წლის 11 სექტემბერს ჟორდანია დააკავეს თავად ლევან რევაზის ძე ვახვახოვის სახელზე გაცემული პასპორტით.

იმავე წლის 4 ოქტომბერს ჟორდანია გაიგზავნა ს.-პეტერბურგის საოლქო სასამართლოს გამომძიებლის განკარგულებაში. თბილისის გუბერნიისა და ზაქათალის ოლქის დროებითი გენერალ-გუბერნატორის იმავე წლის 12 ნოემბრის №1185 დადგენილებით სხვისი სახელით ცხოვრებისათვის მიესაჯა 3 თვით პატიმრობა. ამ დადგენილების ასლი 24 ნოემბერს № 4292-ით ოხრანკის რაიონულმა განყოფილებამ გადაუგზავნა ხსენებულ გამომძიებელს.

აგენტურული მონაცემების მიხედვით 1909 წელს ჟორდანია პატიმრობიდან განთავისუფლდა და იმავე წლის 3 ივნისს ჩამოვიდა თბილისში, ხოლო ნოემბერში გაემგზავრა საზღვაო გარეთ. თბილისის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციიდან მას დაენიშნა სუბსიდია 50 მანეთი ყოველთვიურად.

იმავე ცნობით, ჟორდანია 1910 წელს იმყოფებოდა საზღვარგარეთ. სუბსიდიის სახით იღებდა 150 მანეთს; 50 მანეთს დავით სარაჯიშვილისაგან (წყლების ქარხნის მეპატრონე), 100 მანეთს ზუბალაშვილისაგან (სახალხო სახლის მეპატრონე). ამ პირთა ინიციატივით ჟორდანიას უნდა შეედგინა ისტორია (იგულისხმება ისტორიული ნარკვევი - ვ. გ.) - „საქართველო“.

პოლიციის დეპარტამენტის ცნობით (1910 წლის 4 ივლისის №112613 ცირკულარი), ჟორდანია იყო რსდმპ (მენშევიკების) ცენტრალურ კომიტეტში, ცენტრალურ კომიტეტთან ჰქონდა მეტნაკლებად ახლო ურთიერთობა.

თბილისის ოხრანკის რაიონული განყოფილების აგენტურული მონაცემებით, რომელიც განეკუთვნება 1910 წლის თებერვალსა და ივნისს, ჟორდანიას მონაწილეობა უნდა მიეღო 1910 წლის შემოდგომისათვის განსაზღვრულ კავკასიის სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციების საოლქო ყრილობაში.

აგვისტოს თვეში იმავე ოხრანკის განყოფილებამ მიიღო აგენტურული ცნობა იმის შესახებ, რომ ჟორდანია ცხოვრობდა ბაკურიაში. 21 აგვისტოს №11270-ით ოხრანკის რაიონულმა განყოფილებამ აცნობა

თბილისის გუბერნიის ჟანდარმერიის სამმართველოს უფროსის თანაშემწეს, როტმისტრ როზალიონ-სოშალსკის ჩხრეკისა და მისი შედეგების შესახებ: სოფ. ბაკურიანში ჟორდანია ვერ აღმოაჩინეს.

იმავე წლის (1910 - ვ. გ.) სექტემბერში ოხრანკის განყოფილების მიერ მიღებული იქნა ცნობა იმის შესახებ, რომ თვენახევრის წინ ჟორდანია დაპატიმრებას გადარჩენილი სოციალ-დემოკრატიული კომიტეტის (რსდმპ თბილისის კომიტეტი (მენშევიკებისა) - ვ. გ.) წევრების თხოვნით ოთხი დღე ცხოვრობდა თბილისში. ამ პერიოდში ჟორდანიამ შეძლო კომიტეტის ახალი შემადგენლობის ჩამოყალიბება.

1910 წლის 16 ოქტომბერს ქართული გაზეთის „ახალი აზრის“ რედაქციის შენობაში სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის წევრთა კრების დაპატიმრების დროს აღმოჩენილ იქნა 229 ეგზემპლარი ნოე ჟორდანიას თხზულებისა „გერმანიის ახალი ისტორიიდან“.⁸⁸

ოხრანკის მიერ შედგენილი „ცნობა“ ნოე ჟორდანიას შესახებ კომენტარს არ საჭიროებს. მხოლოდ ერთს დაეძინა: ბევრი რამ ნოე ჟორდანიას მოღვაწეობიდან ოხრანკას, რა თქმა უნდა, შეუძნეველი დარჩებოდა და ცხადია, ვერც სათანადოდ აისახებოდა მის მიერ შედგენილ დოსიეში.

* * *

ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ, რომ 1903 წელს ნოე ჟორდანიამ გარკვეული მოსაზრებით პოლიტიკურ მანევრს მიმართა - „მესამე დასის“ რსდმპ შემადგენლობაში გაერთიანებას დათანხმდა. ცხადია, გ. პლეხანოვი და ვ. ლენინი ასე გულუბრყვილოდ არ ენდობოდნენ ნოე ჟორდანიას. ამ უკანასკნელის მხრიდან აუცილებელი იყო დათმობები. პირველ რიგში კომპრომისი უნდა გამოხატულიყო დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიასთან ურთიერთობის შეცვლაში, ხოლო შემდეგ - რსდმპ ეროვნულ პროგრამასთან დამოკიდებულებაში.

1904 წელს, ჟენევაში ცხოვრების პერიოდში ნოე ჟორდანია წერს ნაშრომს „ქართელი ნაციონალისტები“, რომელიც იმავე 1904 წელს ცალკე წიგნადაც დაიბეჭდა ჟენევაში.⁸⁹ „ქართველი ნაციონალისტები“ ნოე ჟორდანიამ არჩილ ჯორჯაძის „საქართველოს“ (ფაქტობრივად, ქართველი სოციალისტ-ფედერალისტების) ეროვნული პროგრამის კრიტიკას მიუძღვნა, მაგრამ ნოე ჟორდანიამ სხვა პრობლემაზეც მიანიშნა. გ. პლეხანოვსა და ვ. ლენინს ამ ნაშრომით უნდა დაენახათ, რომ

მისი ავტორი ეროვნულ საკითხზე წინ სოციალურ საკითხს აყენებდა... უნდა ითქვას, რომ ეს ტაქტიკური მანევრი ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა ძალზე დამაჯერებლად განახორციელა.

1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში ნოე ჟორდანიას არ თანაუგრძნობდა საქართველოს ავტონომიის იდეას, თუმცა იმასაც ვერაზინ იტყვის, რომ იგი, როგორც, მაგალითად, ფილიპე მახარაძე, ან იოსებ ჯულაშვილი, თავგამოდებული მოწინააღმდეგე იყო ამ იდეისა. ნოე ჟორდანიას, რომელსაც უკვე რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტაში ქჷონდა ადგილი დამკვიდრებული, საქართველოს ავტონომიის იდეას ვერ დაუჭერდა მხარს. ეს ნიშნავდა კონფლიქტს არა მარტო ე. ლენინსა და ბოლშევიკებთან, არამედ გ. პლებანოვსა და მენშევიკებთანაც, ე. ი. მთელ რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან. ეს კი ქართულ სოციალ-დემოკრატთა ლიდერს აღარ შეეძლო: ნოე ჟორდანიას მიერ რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ელიტაში პოზიციის დაკარგვას დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა მისი გავლენის შესუსტება საქართველოს სოციალ-დემოკრატიაშიც. საქართველოში ნოე ჟორდანიას ლიდერობა კი ფაქტობრივად ერთადერთი გარანტი იყო ქართული სინამდვილიდან ბოლშევიზმის განდევნისა. ნოე ჟორდანიას, როგორც ლიდერის, დაცემა დაუყოვნებლივ გამოიწვევდა ბოლშევიზმის სწრაფ აღმავლობას საქართველოში. მისი თანამებრძოლებიდან (სილიბისტრო ჯიბლაძე, ისიდორე რამიშვილი, კარლო ჩხეიძე და სხვ.) არც ერთს არ ძალუძდა წინამძღოლის შეცვლა და ბოლშევიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ლიდერის როლის შესრულება.

ამავე კონტექსტში უნდა განვიხილოთ რეაქციის პერიოდში ნოე ჟორდანიას უთანხმოება ეროვნულ საკითხზე ვლადიმერ (ლადო) დარჩიაშვილსა და აკაკი ჩხენკელთან.

ვლადიმერ დარჩიაშვილის ოპოზიცია ეროვნულ საკითხში უპრეცედენტო მოვლენა იყო ქართული სოციალ-დემოკრატიის ისტორიაში. 1908 წლის 11 მაისს გამოვიდა ჟურნალ „ალიონის“ პირველი ნომერი. სარედაქციო წერილში ვლადიმერ დარჩიაშვილი პირდაპირ მიუთითებს, რომ მას არ აკმაყოფილებს რსდმპ ეროვნული პროგრამა, რადგან იგი პატარა ერებისათვის დამლუპველად მიაჩნია. ვლადიმერ დარჩიაშვილის კრიტიკით გამოვიდა ნოე ჟორდანიას. რით უნდა აიხსნას ეს? ნოე ჟორდანიას რომ რსდმპ ეროვნული პროგრამა არ მოსწონდა, ეს კარგად გამოჩნდა მისი გამოსვლებიდან რსდმპ II ყრი-

ლობაზე. მაგრამ 1908 წელს რსდმპ ელიტაში ყოფნა (ამ დროისათვის ნოე ჟორდანიას კვლავ რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრი იყო) და ამჟვე დროს პარტიის ეროვნული პროგრამის კრიტიკა შეუთავსებელი, არაბუნებრივი მოვლენა იქნებოდა. ისევე როგორც 1904 წელს, ან 1905-1907 წლების რევოლუციის პერიოდში, ნოე ჟორდანიას ამჯერადაც ანგარიში უნდა გაეწია რეალური ვითარებისათვის. მას, რა თქმა უნდა, შეეძლო მხარი დაეჭირა ვლადიმერ დარჩინაშვილისათვის – საჯაროდ დაეწუნებინა რსდმპ ეროვნული პროგრამა, მაგრამ ნოე ჟორდანიასათვის ვერ გაიტანდა. არა მარტო ვ. ლენინი, არამედ გ. პლეხანოვიც კი არ დაუჭერდა მხარს მის პოზიციას. ასეთ ვითარებაში ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერს ან უნდა ბოლომდე მიეყვანა 1903 წელს დაწყებული მოღვაწეობა – ქართული საქმის კეთება რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერის როლში, ან რსდმპ რიგების დატოვება და რომელიმე (სოციალ-დემოკრატიული ან არასოციალ-დემოკრატიული) პოლიტიკური მიმდინარეობის ლიდერობა, უმნიშვნელო პოლიტიკურ მოღვაწეობა ჩამოქვეითება. ცხადია, ნოე ჟორდანიამ პირველი გზა ირჩია...

სწორედ ასე უნდა აიხსნას ნოე ჟორდანიას ეროვნული საკითხისადმი მიძღვნილ ნაშრომებში: „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ (1908); „პარტიული ბრძოლა ჩვენში“ (1908); „სადაო კითხვები“ (1908); „კიდევ სადაო კითხვები“ (1908) – მოცემული დასკვნები. უფრო მნიშვნელოვანია მოგვიანებით შექმნილი ნაშრომები, რომლებიც კვლავ ეროვნული პრობლემის გადაჭრის ცდას წარმოადგენდა: „ძველი და ახალი“ (1912), „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ (1913).⁹⁰

ნაშრომში „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ ნოე ჟორდანიას წერს: „ნაციონალური კითხვის გამორკვევა და მისი დაწვრილებითი გათვალისწინება მიუცილებელია საჭიროებაა ჩვენებური პოლიტიკური მოღვაწისათვის. ეს ერთი შეხედვით სადაო არ კი უნდა იყოს. ნამდვილად კი ეს ასე არ არის. მთელი რიგი ჩვენ თანამოაზრეთა არ იზიარებს ამ შეხედულებას და იცავს ძველ საერთო დეკლარაციული ხასიათის ფორმულებს აღძრულ საკითხზე. ამ საერთო ფორმულის გარკვევა, მათში განსაზღვრული შინაარსის ჩადება და ადგილობრივ პირობათა მიხედვით პრაქტიკაში გატარება, ეს ბევრს ნაადრევად მიაჩნია. ჩვენი აზრით ასეთი შეხედულება მეტად შემცდარია და იმავე დროს მავნებელიცაა.“⁹¹ ნოე ჟორდანიას არ ეთანხმება იოსებ ჯულაშვილს, რომელსაც

მიზანშეუწონლად მიაჩნდა ეროვნული საკითხის ცალკე დაყენება. ნაშრომში ავტორი იძლევა ი. სტალინისა და ვ. ლენინის შეხედულებათა კრიტიკას: „ამბობენ რა საჭიროა ნაციონალური კითხვის წამოყენება, როცა მისი ცალკე გადაწყვეტა არ შეიძლება, ის ერთი რგოლია საერთო დემოკრატიული მოთხოვნების და როცა დემოკრატიული წყობილება დამყარდება, ამით თავის-თავათ ნაციონალური კითხვაც გადაიჭრება. ეს ერთიანათ ძველი ბოლშევიკური აზროვნებაა და გასაკვირველი არ არის, როცა ახლა იმას იმეორებენ იმავე მიმართულების ძველი მიმდევრები“.⁹² როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანიამ პირდაპირ ამხილა დემაგოგიური მტკიცება იმის შესახებ, რომ შესაძლებელი იყო ეროვნული საკითხის საერთო-დემოკრატიულ საკითხებთან ერთად გადაჭრა. ცოტა ქვემოთ ავტორი კიდევ უფრო აღრმავებს ამ აზრს. იგი აღნიშნავს, რომ თანამედროვე ეპოქაში რელიგიის ადგილი ეროვნულმა საკითხმა დაიკავა: „და აი დღეს, როცა რელიგიური კითხვა ჩამოშორდა სოციალურს და განმარტოვდა, მისი ალაგი დაიჭირა ნაციონალურმა კითხვამ“.⁹³ სხვა საკითხია, რამდენად მართებულია რელიგიასთან ეროვნული საკითხის ამგვარი შედარება, მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ ნოე ჟორდანიამ ეროვნული საკითხის განსაკუთრებულ მნიშვნელობას გაუსვა ხაზი.

მეტად საინტერესოა ნაშრომის ის ადგილი, სადაც ავტორი ამტკიცებს, რომ XIX საუკუნის დამდეგის აჯანყებანი საქართველოში სოციალური მოვლენა კი არ იყო, არამედ „ნაციონალური აჯანყებები“.⁹⁴

1908 წელს ნაშრომით „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ ნოე ჟორდანია ემიჯნება მოღვაწეთა იმ ნაწილს, ვინც საქართველოს ავტონომიის მოთხოვნას უპირისპირებდა ამიერკავკასიის ავტონომიის მოთხოვნას. იგივე მოსაზრება გამოთქმული ნაშრომებში: „ძველი და ახალი“ (1912) და „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ (1913). ნაშრომიდან „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ ჩანს, რომ საქართველოს ავტონომიის იდეა ნოე ჟორდანიას მიუღებლად კი არ მიაჩნდა, არამედ იმ ეტაპზე მისი განხორციელებას თვლიდა შეუძლებლად. მთავარი ხელისშემშლელი პირობა, ნოე ჟორდანიას აზრით, ამიერკავკასიის ერთიანი ეკონომიკური ორგანიზმის დარღვევის სიძნელე და მისგან გამომდინარე უარყოფითი შედეგები იქნებოდა.“⁹⁵ ასე რომ, ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერს ამიერკავკასიის ავტონომია მიაჩნდა საქართვე-

ლოს ავტონომიის მიღწევის გზაზე ერთ, მნიშვნელოვან ეტაპად. ასე ფიქრობდა ნოე ჟორდანიას 1908 წელს, ასე ფიქრობდა იგი 1912-1913 წლებშიაც.

ნაშრომში „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ ყურადღებას იმსახურებს ის ფაქტიც, რომ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა გააკრიტიკა ვ. ლენინისა და ი. სტალინის პოზიცია, რომლებიც ეროვნული საკითხის გაშუქებისას მაგალითად ამერიკის შვერთებულ შტატებსა და შვეიცარიას მოიშველიებდნენ ხოლმე. მან დამაჯერებლად აჩვენა ამ მსჯელობის მთელი დემაგოგია: „სტალინი ამბობს: აი დემოკრატიული შვეიცარია და ამერიკა, აქ ხომ არ არის ნაციონალური ბრძოლაო. ეს მართალია, მარა ამის მიზეზია არა მათი წყობილება, არამედ გაცილებით უფრო ღრმა გარემოება. აქ ასეთი ბრძოლა არ იყო მაშინაც, როცა დემოკრატიის ნასახიცი კი არ იყო, როცა ამერიკას ინგლისი ფლობდა თავისი არისტოკრატიული წყობილებით, როცა შვეიცარიაში ოლიგარხია ბატონობდა თავისი შეუზღუდველი ბატონობით. რა არის ამის მიზეზი? მიზეზი ცხადია: ორივე ქვეყანაში თავმოყრილია ისეთი ერები, რომელთა დედა ერნი სხვაგან ცხოვრობენ, შეადგენენ დიდ სახელმწიფოებს, ქმნიან იქ თავის ნაციონალურ კულტურას და მერე უზიარებენ მათ მონათესავე ნაწილებს“.⁹⁶ ნოე ჟორდანიას ი. სტალინს ასეთ კითხვას უსვამს: „დავეთანხმეთ ერთ წუთს სტალინს და ვიკითხოთ: ამერიკული წყობილება ეგება ვერ დავიარსეთ, მაშინ ერებმა ჭამონ ერთმანეთი?“⁹⁷

იოსებ სტალინს ამ კითხვისათვის არ გაუცია პასუხი, ვერც უპასუხებდა!

ნოე ჟორდანიას „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ მრავალმხრივია საყურადღებო. ნაშრომის ანალიზი გვარწმუნებს, რომ ამ პერიოდთან ნოე ჟორდანიას მსოფლმხედველობაში იწყება შემობრუნება „მესამე დასის“ საპროგრამო პრინციპებისაკენ. უპირველეს ყოვლისა, ამ მოვლენამ გამოხატულება ჰპოვა ეროვნული საკითხის გააზრებაში. 1913 წელს ცხადი გახდა, რომ დროებითი უკანდახევა, რსდმპ ეროვნულ პროგრამასთან იძულებითი შერიგების პერიოდი დამთავრდა. ნოე ჟორდანიამ პირდაპირ განაცხადა, რომ რსდმპ ეროვნული პროგრამა ქართველი ერის ინტერესების დაცვას ვერ უზრუნველყოფდა.

ეროვნულ პოზიციაზე ხელახლა მოქცევით ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერის „ბაბილონის ტყვეობა“ დასრულდა, უკვე მოახლოებული იყო ჟამი თავად ბაბილონის ნგრევისა.

პირველმა მსოფლიო ომმა ძირფესვიანად შეცვალა ვითარება. ქართველი ერი, ისევე როგორც დიდი იმპერიების (რუსეთის, ავსტრია-უნგრეთის, გერმანიის, თურქეთის) შემადგენლობაში მცხოვრები სხვა დაპყრობილი ერები, დიდ ისტორიულ გზაგასაყარს მიუახლოვდნენ. პირველი მსოფლიო ომის ფინალი ჯერ კიდევ შორს იყო. როდესაც ზოელს დედამიწაზე უკიდურესად პოპულარული გახდა ლოზუნგი ერთა თვითგამორკვევის (თვითგანსაზღვრის) შესახებ.

ქართველი ერის მომავალი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ რა გზას აირჩევდა იგი ამ უღერესად რთულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში. პოლიტიკურ ექსტრემიზმს შეიძლებოდა საერთოდ დაეღუპა ეროვნული მოძრაობის მთელი მონაპოვარი, დაწყებული XIX საუკუნის დამდეგიდან.

საბედნიეროდ, ქართველ ერს ისტორიის ამ დიდ გზაგასაყარზე ყავდა ისეთი მოაზროვნე და პოლიტიკოსი, როგორც ნოე ჟორდანიანი იყო. ნოე ჟორდანიანი არა მარტო ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერად მოგვევლინა, არამედ ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ იგი მთელი ქართული საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის, მთელი ქართველი ერის აღიარებულ წინამძღოლად იქცა. ნოე ჟორდანიანს ანგარიშს უწევდა საქართველოში არსებული ყველა პოლიტიკური პარტია და მიმდინარეობა.

ომის პერიოდში ნოე ჟორდანიანს მოუხდა წინ აღდგომოდა ქართული ემიგრაციის ექსტრემისტულ გეგმას — მოეწყოთ რუსეთის წინააღმდეგ აჯანყება გერმანიის დახმარებით. სწორედ ამ გეგმის განსახორციელებლად ჩამოვიდა საქართველოში ცნობილი პოლიტიკური მოღვაწე მიხეილ (მიხაკო) წერეთელი. გერმანიის ხელშეწყობით საჭართველოში რუსეთის წინააღმდეგ აჯანყების მზადების დაწყების წინადადებას ნოე ჟორდანიანმა კატეგორიული უარით უპასუხა. არა იმიტომ, რომ მისი პატრიოტული გრძნობები მოისუსტებდა, არამედ სწორედ იმიტომ, რომ მოქალაქეობრივი თვითშეგნება და ვალი იდგა მასში ყოველგვარ ემოციაზე მაღლა. ნოე ჟორდანიანს მთავარი არგუმენტი ის იყო, რომ იმხანად არ შეიძლებოდა ამოეცნოთ საომარი ოპერაციების შემდგომი განვითარება მსოფლიო ომის ფრონტებზე. გამოირიცხული არ იყო ისეთი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის

შექმნა, როცა გერმანია ვერ შეძლებდა საქართველოს დახმარებას. ეს კი რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული საქართველოს დიდ უბედურებას მოუტანდა.”⁹⁸ დიდ სახელმწიფოთა კვილიში საქართველო არ უნდა გასრესილიყო, რომელიმე სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ინტერესებს არ უნდა შესწირვოდა. არც რუსეთის იმპერიის გაბოროტება შეიძლებოდა და არც გერმანიის გაღიზიანება. ნოე ჟორდანიამ თავისი პოლიტიკური პლატფორმა ასე ჩამოაყალიბა: „ჩვენ ომს არ ვაწარმოებთ, არც ერთ კოალიციაში არ ვიმყოფებით“.⁹⁹

1916 წლის ბოლოსათვის პირველი მსოფლიო ომის ფრონტზე სამხედრო-პოლიტიკური ვითარება გაირკვა. რუსეთის იმპერიის პერსპექტივები ომში გამარჯვების თვალსაზრისით ძალზე მოკრძალებული იყო. ასეთ ვითარებაში ქართველ სოციალ-დემოკრატთა კონფერენცია 1917 დასაწყისში (იანვარ-თებერვალი) სახავს სამოქმედო ტაქტიკას. ნოე ჟორდანიას მემუარებს თუ დავეყრდნობით, კონფერენციის გადაწყვეტილება ასეთი შინაარსისა იყო: „დიდი დავა არ ყოფილა, მთავარ საკითხზედ საერთო აზრი იყო, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთ, თუ დადგება საამისო პირობები, ე. ი. რუსის ჯარი დატოვებს ჩვენს ქვეყანას“.¹⁰⁰

ეს იყო ერთადერთი სწორი ტაქტიკური გადაწყვეტილება. ქართველ ერს არ გააჩნდა ისეთი სამხედრო-ეკონომიკური პოტენციალი, რომ კავკასიის ფრონტზე მდგარი რუსეთის უზარმაზარი არმია დაემარცხებინა. 1914-1916 წლების გამძვინვარებამ დაადასტურა, რომ გერმანიის დახმარების იმედით საქართველო ვერ იქნებოდა. ქართველი ერი უნდა დალოდებოდა ხელსაყრელ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციას. მოქმედების გეგმაც ამ სიტუაციიდან გამომდინარე უნდა ყოფილიყო შედგენილი. მანამდე კი საჭირო იყო ზოგადი გადაწყვეტილების მიღება. ეს ზოგადი გადაწყვეტილება ნოე ჟორდანიასათვის საეისებით გარკვეული იყო და მისი ცხოვრების მთავარ სტრატეგიულ გეგმას წარმოადგენდა იმხანად: „საქართველოს დამოუკიდებლობა უნდა გამოვაცხადოთ!“

„საძართველო სრულუფლებოვანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოა...“

(საძართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
აღღებანა)

წინათქმაში ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ ნოე ჟორდანიას ილია ჭავჭავაძის მკვლელობის შემდეგ ქართველი ერის პოლიტიკური ლიდერის როლში მოგვევლინა. სულ რამდენიმე წელიწადში კი მან დაამტკიცა, რომ ერის პირველკაცობაში ვერავინ შეეცილებოდა.

1907-1913 წლები უაღრესად მნიშვნელოვანი პერიოდი იყო ჟორდანიას, პოლიტიკური მოღვაწის, ცხოვრებაში. სწორედ ამ წლებში იღებს იგი ყველაზე მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას. ამიერიდან ნოე ჟორდანიას მოღვაწეობას ილია ჭავჭავაძის მიერ დაწყებული დიდი ეროვნული საქმის გაგრძელება და მისი ბოლომდე მიყვანა ედება საფუძვლად. ეს გადაწყვეტილება ნოე ჟორდანიას ერთბაშად არ მიუღია. ადვილი არ იყო იმ ტვირთის ზიდვა, რომელიც თითქმის ორმოცი წელი მუხლჩაუხრელად ატარა ილიამ. მარტო გაფიქრებაც კი შიშის მომგვრელი იყო: ილიას ადგილზე დგომა, ილიას საფიქრალის ფიქრი, ილიას საკეთებლის კეთება! სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, აქ სიმამაცის, თავგანწირვის ნიჭიც იყო საჭირო. ვინც ილიას ადგილას დადგებოდა, ბუნებრივია, მას ახალი წინამურიც ელოდებოდა! ერის პირველი კაცის ტვირთი ყოველთვის მძიმე იყო საქართველოში. მით უფრო მაშინ, როცა ილია ჭავჭავაძის წინამძღოლობით ქართველი ერი სულ ახლოს მივიდა სანუკვარი ოცნების აცხადებასთან... ყველაფრიდან ჩანდა, რომ გადამწყვეტი შერკინების ჟამი ახლოვდებოდა. ერის პირველკაცობა სწორედ ამ დროს არგუნა განგებამ ქართველ სოციალ-დემოკრატთა ლიდერს.

ნოე ჟორდანიას ვერ მოახდენდა იმის რეკლამირებას, რომ იგი ილია ჭავჭავაძის საქმის გაგრძელებას აპირებდა. რსდმპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, რუსეთის სოციალ-დემოკრატიის ერთ-ერთი ლიდერს, მეორე ინტერნაციონალში მიღებულ და დაფასებულ პიროვნებას

ფრთხილად, მოზომილად უნდა ემოქმედა. ეს სიფრთხილე იგრძნობოდა ნოე ჟორდანიას ნაშრომებში: „ქართველი ხალხი და ნაციონალიზმი“ (1908), „სადაო კითხვები“ (1908), „კიდევ სადაო კითხვები“ (1908) და „ძველი და ახალი“ (1912). კონფლიქტი რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან და იქ პოზიციების დაკარგვა მხოლოდ პოლიტიკური სიბეცე იქნებოდა. არავინ იცოდა, ხვალ რა მოხდებოდა რუსეთში, ამიტომაც იყო ყოვლად მიუღებელი გზის მოჭრა რუსეთის ყველაზე ძლიერ პოლიტიკურ ძალასთან. რუსეთის სოციალ-დემოკრატიასთან, საერთოდ რუსეთის სახელმწიფოსთან ნორმალური ურთიერთობის შენარჩუნება ნოე ჟორდანიას პირადი კარიერისათვის კი არ სჭირდებოდა, არამედ ეს აუცილებელი იყო საქართველოსათვის, ერის მომავლისათვის. თუ საკითხს ასე გავიანზრებთ, ცხადი გახდება, რომ ნოე ჟორდანიას რუსოფილი კი არ ყოფილა, არამედ რეალისტი, შორსმჭვრეტელი პოლიტიკური მოღვაწე. იმ პოლიტიკურ კურსს, რომელსაც ნოე ჟორდანიას რუსეთის მიმართ 1917 წლამდე ატარებდა, უფრო ზუსტად, 1918 წლის მაისამდე, ილია ჭავჭავაძემ დაუღო სათავე. ამ პოლიტიკური კურსის ერთგული დარჩა თავად სიცოცხლის ბოლომდე. ილიას სიკვდილის შემდეგ იმავე პოლიტიკური კურსის გამგრძელებლად ნოე ჟორდანიას მოგვევლინა.

1913 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ნაციონალური კითხვა ჩვენში“ ავტორმა ძალზე ზომიერად, მისთვის დამახასიათებელ ტაქტიკითა და წინდახედულობით მიანიშნა იმაზე, რომ იგი აპირებდა ილია ჭავჭავაძის საქმის გაგრძელებას. ამიტომაც ალბათ სავსებით გასაგებია, რატომ მოჰყვა ამ ნაშრომს თავდასმები „მარჯენიდან“ და „მარცხნიდან“. ისინი, ვინც ერთ დროს ნოე ჟორდანიას ილიას კრიტიკისათვის ებრძოდნენ, ამჯერად დიდი აურზაურით შეხედნენ პოლიტიკოსის შედგომას ილიას კვალზე. მართლაც რომ ძნელია პირველი კაცის ტვირთის ტარება საქართველოში!..

ილიას ნაღვაწის მემკვიდრედ გახდომა ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება იყო ნოე ჟორდანიას ცხოვრებაში. აქ მთავარი მართო მისი ადამიანური სურვილი არ იყო. მთავარი აქ ის იყო, რომ ნოე ჟორდანიას მზად იყო ამ მისიის აღსრულებისათვის. სწორედ ილია ჭავჭავაძისათვის დამახასიათებელ სიბრძნესა და წინდახედულებას ვხედავთ, ნოე ჟორდანიას პირველი მსოფლიო ომის პერიოდის მოღვაწეობას რომ ვაანალიზებთ.

1917 წლის თებერვალ-მარტში რუსეთის იმპერიამ არსებობა შეწყვიტა. დადგა დრო ქართველი ერის მრავალწლიანი ოცნების, დიდი ეროვნული საკმის დაგვირგვინებისა. საქართველოს ისტორიაში იწყებოდა ახალი, დიდი ეპოქა.

ძალიან მალე გაირკვა, რომ რუსეთის იმპერიის დანგრევა არ ყოფილა საკმარისი იმისათვის, რათა საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა აღედგინა. ქართველ ერს ურთულეს სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში უნდა ეპოვა ერთადერთი სწორი გზა, უფრო ზუსტად, ეს გზა უნდა ეპოვა ერის მეწინამძღვარეს — ნოე ქორღანიას.

* * *

1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციამ რუსეთში ხელისუფლების ორგანიზაციის თვალსაზრისით ძალზე ორიგინალური სიტუაცია შექმნა. ეს თვით რევოლუციის ხასიათიდან გამომდინარეობდა. რევოლუცია მოულოდნელად მოხდა. არც ერთი პოლიტიკური პარტია (რსდმპ, ესერები, კადეტები) რევოლუციის დაწყებასა და მით უმეტეს, გამარჯვებას არ ელოდა. მსხვილი ბურჟუაზიის დაპირისპირება ცარიზმთან მხოლოდ სახელმწიფო სათათბიროს დარბაზში მთავრდებოდა. თვით მუშათა კლასიც ისე სუსტად იყო ორგანიზებული, რომ იგი ცარიზმის დამხობას ვერ შეძლებდა. ცარიზმის დამხობა შესაძლებელი გახდა მხოლოდ მას შემდეგ, რაც პეტროგრადში მუშათა ხანრგძლივ, მაგრამ რევოლუციის გამარჯვების თვალსაზრისით უპერსპექტივო, გამოსვლებს მხარი დაუჭირა არმიამ და ფლოტმა — ჯარისკაცებმა და მატროსებმა. ცარიზმი სოციალური საყრდენის გარეშე დარჩა და დაემხო. არმიის და ფლოტის ასეთი სწრაფი გადასვლა რევოლუციის მხარეზე კი შედეგი იყო გაჭიანურებული, მძიმე და თანაც უპერსპექტივო ომისა.

თვით რევოლუციის პროცესში, რევოლუციის გამარჯვებამდე რამდენიმე დღით ადრე აღმოცენებული ხელისუფლების რევოლუციური ორგანო — სხვადასხვა დონის მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატების საბჭოები პოლიტიკური თვალსაზრისით არ წარმოადგენდა იმ ძალას, რომელიც დამხობილი ცარიზმის ადგილას ახალ

სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებას შეძლებდა, მით უმეტეს, მსოფლიო ომისაგან გამოწვეულ საყოველთაო პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური კრიზისის ვითარებაში. მსხვილი ბურჟუაზია, რა თქმა უნდა, მეტ შანსს ფლობდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებისათვის, მაგრამ სამაგიეროდ, მას შიში ჰქონდა უზარმაზარი რევოლუციური მასისა — არმიისა და მუშათა კლასისა, რომელიც, ცხადია, არ ენდობოდა მსხვილ ბურჟუაზიას. არადა, ხელისუფლების გარეშე ქვეყანა ვერ იარსებებდა. ამ ურთულეს სიტუაციაში რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა მუშათა პარტიამ (მენშევიკურმა) გამოიჩინა დიდი პოლიტიკური ალღო. მენშევიკებმა მოხერხებულად შეარიგეს ხელისუფლების რეალურად მფლობელი მუშათა ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭოები, პირველ რიგში რუსეთის უმთავრესი საბჭო — პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭო (თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე) და მსხვილი ბურჟუაზია. გადაწყდა, რომ მთავრობას შექმნიდა ბურჟუაზია. 1917 წლის 2 მარტს რუსეთის დროებითი მთავრობის შემადგენლობა გამოცხადდა. 3 მარტს ნიკოლოზ მეორე ტახტიდან გადადგა. შეიქმნა ორიგინალური სიტუაცია: იურიდიულად სახელმწიფო ხელისუფლებას ფლობდა დროებითი მთავრობა (თავმჯდომარე თავადი გ. ლევი), მაგრამ არმია და ფლოტი ექვემდებარებოდა რევოლუციის შედეგად აღმოცენებულ ხელისუფლების ორგანოებს — სხვადასხვა დონის (ასეულის, პოლკის, დივიზიის, კორპუსის, არმიის, ფრონტის ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭოს, ასევე გემის, ესკადრელიის, ფლოტის მატროსთა საბჭოს) ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატთა საბჭოს. გუბერნიებში, ქალაქებსა და სოფლებში ხელისუფლების ორგანოს ფუნქციას ასრულებდა გუბერნიის, ქალაქისა და სოფლის დეპუტატთა საბჭოები. რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა მოკლებული იყო უნარს მოეხდინა დეპუტატთა საბჭოების ლიკვიდაცია და დაემყარებინა ერთხელისუფლებიანობა. დეპუტატთა საბჭოებს ნებისმიერ მომენტში შეეძლო დაემხო დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა, მაგრამ ამაზე არ მიდიოდა, რადგან გრძნობდა თავის უუნარობას სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზებაში. ამიტომაც ითმენდნენ ერთმანეთს რუსეთის დროებითი ბურჟუაზიული მთავრობა და დეპუტატთა საბჭოები რუსეთის უმთავრესი საბჭოს — პეტროგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დეპუტატთა საბჭოს სახით. რუსეთი ორხელისუფლებიანობის პირობებში ცხოვრობდა.

1917 წლის მარტში რუსეთის დროებითმა ბურჟუაზიულმა მთავრობამ დანიშნა ამიერკავკასიის სამხარეო ხელისუფლების ორგანო – ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი (ოზაკომი), რომელიც პარტიული პრინციპით დაკომპლექტდა. ოზაკომის წევრი საქართველოდან თავდაპირველად იყო სოციალისტ-ფედერალისტი კიტა აბაშიძე, ხოლო შემდეგ – სოციალ-დემოკრატი აკაკი ჩხენკელი. პარალელურად თბილისში მოღვაწეობდა ჯერ თბილისის მუშათა დეპატუტთა საბჭო, რომელიც მოგვიანებით თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოდ გადაკეთდა. იგი, ისევე როგორც რუსეთში პეტროგრაძის მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა საბჭო, გადამწყვეტ როლს ასულებდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში. ამიერკავკასიის მასშტაბით რევოლუციური ხელისუფლების ორგანოს როლში გამოდიოდა ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა სამხარეო ცენტრი. კავკასიაში განლაგებული რუსეთის არმიის რევოლუციური ხელისუფლების ორგანოს წარმოადგენდა კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭო. 1917 წლის აპრილის დამდეგს შეიქმნა ეროვნული ხელისუფლების ორგანოს ჩანასახი – საქართველოს ეროვნული ინტერპარტიული საბჭო.

შექმნილ სიტუაციაში სწორად გარკვევა ძალზე მწელი იყო, მეტიც, თითქმის შეუძლებელიც კი. მიუხედავად ამისა, ნოე ყორდანიძე მანც ყველაზე რეალურ გზას ირჩევს. მან ბრძნულად განჭვრიტა არსებული ვითარება და უკვე 1917 წლის მარტში მივიდა შემდეგ დასკვნამდე:

პირველი. აუცილებელი იყო რუსეთის დროებით მთავრობასთან კარგი ურთიერთობის შენარჩუნება, რადგან კავკასიის ფრონტზე მდგარი რუსეთის უზარმაზარი არმია დროებით მთავრობას საშუალებას მისცემდა ძალიან ადვილად ემართა სიტუაცია საქართველოში;

მეორე. აუცილებელი იყო მეგობრული ურთიერთობის დამყარება რუსეთის კავკასიის არმიასთან, მის სარდლობასა და არმიის ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოსთან. ეს გარდაუვალი იყო იმიტომ, რომ რუსეთში პოლიტიკური სიტუაციის შეცვლის შემთხვევაში მაქსიმალურად გამორიცხულიყო იმის საფრთხე, რომ კავკასიის არმიას ქართველი ერის ინტერესების წინააღმდეგ გამოიყენებდნენ. მოსალოდნელი იყო უარესიც. არ იყო გამორიცხული კავკასიის არმიის გადაქცევა უმართავ ძალად. ამ შემთხვევაში კი არმიასთან დამყარებული ტრადიციული, კარგი ურთიერთობა გადამწყვეტ როლს შეასრულებდა.

მისამ. რუსეთის რევოლუციის შემდეგ ყველგან განსაკუთრებულად დაიბაბა სოციალური სიტუაცია. ასე იყო საქართველოშიც. მწვავე სოციალური დაპირისპირების განმუხტვის, სამოქალაქო მშვიდობის მიღწევის გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ყურადღების კონცენტრირება, მთელი ძალების ორგანიზება ქართველი ერის სასიცოცხლო ინტერესების გადასაჭრელად.

მმრთხმ. საქართველოში დაძაბული სოციალური სიტუაციის განმუხტვა ბევრად იყო დამოკიდებული მთელ ამიერკავკასიაში შექმნილ სოციალურ ვითარებაზე.

მის უთმ. აუცილებელი იყო საქართველოში არსებული პოლიტიკური პარტიებისა და მიმდინარეობების გაერთიანება, ეროვნული მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის განსაზღვრა.

მეექვსსმ. შექმნილ სიტუაციაში საქართველოს პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა გამაერთიანებელ ორგანოს არ უნდა ჰქონოდა პრეტენზია პოლიტიკური ძალაუფლების აღებისა. წინააღმდეგ შემთხვევაში, გარდაუვალი იყო კონფლიქტი რუსეთის დროებით მთავრობასა და კავკასიის არმიასთან, რაც სრულიად არასასურველი იქნებოდა შექმნილ ვითარებაში.

ამ დასკვნებიდან გამომდინარეობდა ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული სამოქმედო პროგრამა.

სწორედ ამ პერიოდში ნოე ჟორდანია ხდება ჯერ თბილისის მუშათა დეპუტატთა საბჭოს, შემდეგ თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარე. ამ პოსტზე არჩევისთანავე იგი რიგ მნიშვნელოვან ნაბიჯს დგამს სოციალური სიტუაციის განმუხტვის მიზნით. ამავე მოსაზრებით თანხმდება ნოე ჟორდანია ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეო ცენტრის თავმჯდომარეობასაც. თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭო და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოს სამხარეო ცენტრი, ნოე ჟორდანიას გეგმის მიხედვით, ოპოზიციაში კი არ ჩაუდგნენ ოზაკოძის, არამედ მასთან თანამშრომლობის გზას დაადგნენ. ასეთი პოლიტიკური ხაზი მოწონებით იქნა მიღებული რუსეთის დროებითი მთავრობისა და ამიერკავკასიის არმიის მიერ. ასე ოსტატურად გაანეიტრალა ნოე ჟორდანიამ დესტაბილიზაციის გამოშწვევი რეალური გარეშე ფაქტორი. მანვე 1917 წლის აპრილის დამდეგს შექმნილ საქართველოს ეროვნულ ინტერპარტიულ საბჭოს დაუსახა ამოცანა: გარეგნულად

ინტერპარტიული საბჭო უნდა ყოფილიყო საკონსულტაციო ორგანო და არ უნდა შეექმნა შთაბეჭდილება, რომ იგი ცდილობდა ეროვნული ხელისუფლების ორგანიზებას. სინამდვილეში კი ეროვნული მოძრაობის სტრატეგიისა და ტაქტიკის შემუშავება იყო ინტერპარტიული საბჭოს მთავარი ამოცანა. ამ ამოცანას საქართველოს ეროვნულმა ინტერპარტიულმა საბჭომ (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი) კარგად გაართვა თავი.

1917 წლის გაზაფხულისათვის რუსეთსა და საქართველოში არსებული მდგომარეობის, მსოფლიო ომის მეოთხე წელს შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის შედეგად ნოე ჟორდანიამ დაასკვნა: საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება დაუყოვნებლივ მხოლოდ ავანტურისტული ნაბიჯი იქნებოდა, რასაც ქართველი ერისათვის გამოუსწორებელი, დამლუპველი შედეგები მოჰყვებოდა. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენა უნდა მომხდარიყო არა მარტო ქვეყნის ეროვნულ ძალთა კონსოლიდაციის იმედად და მასზე დაყრდნობით, არამედ ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარების აუცილებელი გათვალისწინებით — დამოუკიდებლობის ძლიერი გარანტი ქვეყნის მხარდაჭერის პირობებში.

ამ პოლიტიკური მრწამსით ხელმძღვანელობდა ნოე ჟორდანიას, როგორც ერის პოლიტიკური ლიდერი. მისი პოლიტიკური ალღოს სისწორე რეალურმა ვითარებამაც მალე დაადასტურა. სიტუაცია კარდინალურად შეიცვალა რუსეთში 1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკების მიერ განხორციელებული კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შედეგად.

რუსეთში ბოლშევიკების მოსვლამ ხელისუფლების სათავეში ნოე ჟორდანიას წინაშე ახალი რთული ამოცანა დააყენა: საჭირო იყო შექმნილი სიტუაციის ღრმა ანალიზი და ახალი, ოპტიმალური სტრატეგიული მიმართულების განსაზღვრა.

ნოე ჟორდანიას პირველი რეაქცია ასეთი იყო: აუცილებელია საბჭოთა რუსეთთან დაუყოვნებლი გამიჯვნა. ამ პოლიტიკური ხაზის გატარება გააადვილა იმან, რომ კავკასიის არმიის სარდლობამ და კავკასიის არმიის ჯარისკაცთა დეპუტატთა საბჭომ არ ცნეს 1917 წლის 25 ოქტომბრის ბოლშევიკური გადატრიალება და არმიას წესრიგისა და სიმშვიდისაკენ მოუწოდეს. ეს არ იყო უმნიშვნელო ფაქტორი. ნოე ჟორდანიამ შეძლო ამიერკავკასიის პოლიტიკურ პარტიებთან და სხვა პოლიტიკურ თუ საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან შეთანხმებ-

ის მიღწევა და 1917 წლის 15 ნოემბერს თბილისში მოღვაწეობა დაიწყო სამხარეო ხელისუფლების ორგანოში – ამიერკავკასიის კომისარიატმა (თავმჯდომარე ევგენი გეგეჭკორი). ნოე ჟორდანიამ დიდი პოლიტიკური წინდახედულება გამოიჩინა, როცა ამიერკავკასიის კომისარიატის ფუნქცია ასე განსაზღვრა: ამიერკავკასიის კომისარიატი სამხარეო ხელისუფლების ორგანოს ფუნქციას იმიტომ იღებდა თავის თავზე, რომ რუსეთის დროებითი მთავრობა ბოლშევიკებმა დაამხეს. თუ რუსეთში კანონიერი დროებითი მთავრობა აღდგებოდა, ამით ამიერკავკასიის კომისარიატის ფუნქციაც დასრულებულად ჩათვლებოდა. ამ მანევრით ნოე ჟორდანიამ ორ მიზანს მიაღწია: 1) მკვეთრად გაემიჯნა საბჭოთა რუსეთს; 2) ბოლშევიკების რეჟიმის დამხობის შემთხვევაში კვლავ აღდგებოდა კარგი ურთიერთობა რუსეთის დროებით მთავრობასთან.

1917 წლის მარტიდან მოყოლებული ნოე ჟორდანიას მრავალჯერ მოუხდა მოხსენებითა თუ სიტყვით გამოსვლა სხვადასხვა ფორუმზე. ამ მოხსენებებსა და სიტყვებში მოცემული იყო საქართველოში, რუსეთსა და მსოფლიოში შექმნილი პოლიტიკური სიტუაციის ღრმა ანალიზი, მკაფიოდ და გასაგებად იყო ჩამოყალიბებული ერის წინაშე მდგარი პრობლემების გადაჭრის პროგრამა. ნოე ჟორდანიას მიერ შემოთავაზებულ სამოქმედო გეგმას ახასიათებდა სიტუაციის შეფასება ცივი გონებით. ყოველი მისი სიტყვა ათასჯერ იყო აწონილი. იმზანად საქართველოში გამეფებულ ექსტრემიზმს, ურაპატრიოტულ ლოზუნგებსა და იდეალისტურ გეგმებს ნოე ჟორდანიამ დაუპირისპირა პრაგმატული აზროვნება, სასურველისა და შესაძლებლის მკვეთრი გამოიჯნა. ამასთან, ნოე ჟორდანიას ყოველი გამოსვლა გამსჭვალული იყო დიდი ჰუმანიზმითა და დემოკრატიზმით.¹⁰¹ საქართველოს იმზანად ბევრი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე ჰყავდა, მაგრამ ვერც ერთი მათგანის ნაწერებში ვერ იპოვით იმ დიდი სახელმწიფო სიბრძნესა და შორსმჭვრეტელობას, რაც გამოსჭვავის ნოე ჟორდანიას მოხსენებებსა და გამოსვლებში.

1917 წლის 25 ოქტომბერს ბოლშევიკების მიერ განხორციელებულმა კონტრრევოლუციურმა სახელმწიფო გადატრიალებამ მკვეთრად შეცვალა სიტუაცია, მათ შორის საქართველოშიც. საჭირო იყო ახალი ანალიზი, ახალი დასკვნები. ეს მისია დაეკისრა საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობას (1917 წლის 19-24 ნოემბერი), რომლის

წინაშეც მთავარი მოხსენებით — „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“ — ნოე ჟორდანიას წარსდგა. მომხსენებელი ყრილობაზე 20 ნოემბერს გამოვიდა. წინა დღეს, 19 ნოემბერს, საღამოს 10 საათზე, მუშაობა დაიწყო საქციალურმა ეროვნულ-პოლიტიკურმა სექციამ, რომელსაც უნდა შეემუშაებინა რეზოლუციის პროექტი ნოე ჟორდანიას 20 ნოემბრის მოხსენებასთან დაკავშირებით. ამ სექციაში შევიდნენ სოციალ-დემოკრატებიდან: ნოე ჟორდანია, გრიგოლ გიორგაძე, ვალიკო ჯუღელი, გრიგოლ ურატაძე, კონსტანტინე გვარჯალაძე, მიხეილ კლიმიძაშვილი, გოგიტა ფაღავა, დავით ონიაშვილი; სოციალისტ-ფედერალისტებიდან: გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, გრიგოლ გველესიანი, იასონ ბაქრაძე, იაკობ ფანცხავა, სამსონ ფირცხალავა, დიმიტრი უზნაძე, აკაკი ფაღავა; სოციალ-დემოკრატი ალიონელებიდან: პავლე საყვარელიძე, დავით სულიაშვილი, ლეო შენგელაია, ნიკოლოზ ქარცივაძე; სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან (ესერებისაგან): ივანე გობეჩია, იოსებ გობეჩია, პარმენ საბაშვილი; ეროვნულ-დემოკრატებისაგან: გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ვასილ წერეთელი, შალვა ამირეჯიბი, ტიციან ტაბიძე, ლევან ჯაფარიძე, დავით გურამიშვილი, ირაკლი ამირეჯიბი. სექციის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ივანე გობეჩია, მღივნად — აკაკი ფაღავა.¹⁰² სექციის სხდომაზე ნოე ჟორდანიამ წაიკითხა მის მიერ შემუშავებული რეზოლუციის პროექტი, რომელშიც მოცემული იყო მომავალი მოხსენების არსი (შეფასებანი, განზოგადებანი, დასკვნები, მოქმედების პროგრამა). ეს დოკუმენტი იმდენად დიდი მნიშვნელობისაა, რომ ჩვენ მას მთლიანად მოვიტანთ:

„ქართული ეროვნული ყრილობა, მოისმინა რა მოხსენება ნ. ჟორდანიასი შესახებ დღევანდელი მომენტისა და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობისა, ადგენს:

1. ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.

2. ქართულ დემოკრატებამ დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სუბილური მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატებისა და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს.

3. რუსეთის შუაგულში გაჩაღებული სამოქალაქო ომის შედეგებით დღეს არ არსებობს ცენტრალური რევოლუციური მთავრობა. ცნობი-

ლი მთელი რევოლუციური რუსეთის მიერ. ამ გარემოებამ აიძულა ყველა განაპირა ქვეყნები და მათ შორის ამიერკავკასიაც, თავისი შინაური საქმეები თავისივე ძალ-ღონით მოაგვარონ და შესაფერი დაწესებულებანი შექმნან.

4. ყრილობა მხარს უჭერს ამიერკავკასიის ახლად შემდგარ მმართველობის დროებით ორგანოს „ამიერკავკასიის კომისარიატს“.

5. ადგილობრივი მიმდინარე კითხვების სათანადო გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება აუცილებლად ხდის ამიერკავკასიის წარმომადგენელთა კრების მოწვევას იმ დეპუტატებისაგან, რომელშიც ახლად ირჩევიან რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის. რიცხვი დეპუტატებისა უნდა იქმნას გამრავლებული თანახმად პროპორციულად მიღებული ხმებისა სხვადასხვა პარტიების მიერ.

6. ყრილობა საჭიროდ სცნობს ამიერკავკასიის სეიმში შესდგეს ქართველ დეპუტატებისაგან ქართული ეროვნული საბჭო ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევათ, გასაძლოათ და ცხოვრებაში გასატარებლად.

7. ყველა ადგილობრივ ძალთა თავის მოყრა არა კმარა ყველა მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლათ. განსაკუთრებით საჭიროებანი კავკასიის ფრონტის შენახვისა, კითხვა ომისა და ზავისა, სასურსათო, ფინანსებისა და სხ. ჩვენი ძირითადი ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქნას რუსეთის რევოლუციური მთავრობა და მოწვეული იქნას დამფუძნებელი კრება.

8. რუსეთის დამფუძნებელ კრებას ჩვენ მოვთხოვთ შექმნას ისეთი ნაციონალური ნორმებისას ქართველი ერისათვის, რომელიც მას მისცემს საშუალებას თავისუფალ კულტურული განვითარებისას. ასეთ ნორმად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე. ტერიტორიის საზღვრები გაიმოქმედებინ დანტერესებულ მოსაზღვრე ერების თანხმობით. საქართველოში მომწვედელი ნაციონალური უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურული განვითარებისას. ყრილობა საჭიროთ აღიარებს ამ მთავარ კითხვაში მოხდეს შეთანხმება ამიერკავკასიის ერთა შორის საერთო ნაციონალური პლატფორმით დამფუძნებელი კრების წინაშე წარსადგომათ.

9. თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდება და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდება, უნდა იქმნას

მოწვეული ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები, რომლებიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წესწყობილებას, როგორც თვითიველ ეროვნულ ტერიტორიულ ერთეულში, ისე მთელ ამიერკავკასიაში.

10. საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე ზრუნვა და მისი მოწვევა ევალება ეროვნულ საბჭოს¹⁰³.

ამრიგად, ნოე ჟორდანიას 1917 წლის 19 ნოემბრისათვის აღიარება და შემდეგ:

პირველი. სანამ რუსეთის ჯარი (კავკასიის არმია) საქართველოში იმყოფება, სანამ ამიერკავკასია საერთაშორისო ასპარეზზე რუსეთის გავლენის სფეროდაა აღიარებული, საქართველოს არ შეუძლია უარი თქვას პრორუსულ ორიენტაციაზე;

მეორე. საქართველოს არ სურს ურთიერთობა საბჭოთა (ბოლშევიკურ) რუსეთთან, მაგრამ ითანამშრომლებს დემოკრატიულ რუსეთთან.

მესამე. ამიერკავკასიის მმართველობის სამხარეო ორგანოს – ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნა 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ იყო ერთადერთი სწორი პოლიტიკური გადაწყვეტილება;

მეოთხე. აუცილებელი გახდება ამიერკავკასიის საკანონმდებლო კრების (სეიმის) მოწვევა, რომელშიც შევლენ რუსეთის დამფუძნებელი კრებისათვის ამიერკავკასიიდან არჩეული დელეგატები;

მეხუთე. ამიერკავკასიის სეიმში აუცილებელი გახდება ქართველი ერის ინტერესების დაცვა, რაც თავის თავზე უნდა აიღოს ქართულმა ეროვნულმა ფრაქციამ.

მეექვსე. ამიერკავკასიის ერებმა რომ მათ წინაშე მდგარი პრობლემები მთლიანად გადაჭრან, აუცილებელია რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმის დაშობა და რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევა;

მეშვიდე. საქართველოს უნდა მიენიჭოს ფართო ეროვნული ავტონომია რუსეთის დემოკრატიული სახელმწიფოს შემადგენლობაში, რაც ითვალისწინებს თბილისში საქართველოს საკანონმდებლო კრების მოწვევას ადგილობრივი მნიშვნელობის კანონების მიღების უფლებით;

მერვე. თუ რუსეთში ბოლშევიკური რეჟიმი მალე არ დაემხო და ახლო მომავალში შესაძლებელი არ გახდა რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევა, მაშინ მოწვეული უნდა იყოს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის დამფუძნებელი კრებები.

მეცხრე. საქართველოს დამფუძნებელი კრების მოწვევის უფლება ეძლევა საქართველოს ეროვნულ საბჭოს.

ნოე ჟორდანიას მიერ შედგენილი რეზოლუციის პროექტი მოხსენებისათვის — „დღევანდელი მთხრობა და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“ — დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დოკუმენტი იყო. ამ დოკუმენტიდან იმდენი სახელმწიფოებრივი სიბრძნე გამოსჭვივების, რომ შეიძლება თამამად ითქვას: ნოე ჟორდანიას მიერ ქართველი ერის სამოქმედო პროგრამის დასახვა იყო ორგანული გაგრძელება ილია ჭავჭავაძის მიერ შემუშავებული ეროვნული მოძრაობის პროგრამისა, ცხადია, ახალ ეპოქაში, ახალი ვითარების გათვალისწინებით.

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებულ პროექტს სექციის სხდომაზე ბევრი ოპონენტი გამოუჩნდა. განსაკუთრებულად უარყოფითი რეაქცია გამოიწვია რუსეთთან დამოკიდებულების საკითხმა (გიორგი გვაზავა, გრიგოლ ვეშაპელი, ირაკლი ამირეჯიბი, გიორგი ლასხიშვილი და სხვ.). თუმცა, ამ საკითხზე ოპონენტთა არგუმენტები ღამაზ პატრიოტულ ფრაზეოლოგიას არ გასცდენია. რეზოლუციის პროექტის პირველი მუხლის თაობაზე ოპონენტთა გამოსვლების შემდეგ ნოე ჟორდანიამ აღნიშნა: „დღეს ობიექტური პირობები, გარდა პრინციპიალური მოსაზრებისა, ისეთია, რომ ჩვენ ცხადათ უნდა ვაღიაროთ რუსული ორიენტაცია. უმთავრესად ყურადსაღებია აქ ის გარემოება, რომ ჩვენს ფრონტზე სდგას ამდენი ჯარი, რომელიც, თუ ჩვენ სხვა გზას დავადექით, უკეთეს შემთხვევაში ხელს აიღებს ფრონტის დაცვაზე“.¹⁰⁴ როცა სექციის წევრები კვლავ დაესხნენ თავს რეზოლუციის პროექტის პირველ მუხლს, ნოე ჟორდანიამ განაცხადა: „პირველი მუხლი პოლიტიკაა“.¹⁰⁵ მიუხედავად ნოე ჟორდანიას არგუმენტირებული გამოსვლისა, სექციის სხდომაზე კვლავ გაისმა კრიტიკა რეზოლუციის პროექტის პირველი პუნქტის მიმართ. სოციალ-დემოკრატთა ლიდერმა ისევ მოუწოდა სექციის წევრებს ცივი გონებით შეეფასებინათ რეალური სიტუაცია: „დიდება ისაა, რომ ორ ფრონტს შუა ვართ: რუსეთისა და კავკასიის (იგულისხმება რუსეთის ჯარები ჩრდილო კავკასიაში, რუსეთის ჯარები ამიერკავკასიაში — რუსეთ-თურქეთის ფრონტზე — ვ. გ.). მარტო ამიერკავკასიის კომისარიატის დაარსებამ რა გამოიწვია ფრონტზე? — ისა, რომ ჯარებმა ეს ფაქტი გამოყოფად (რუსეთიდან გამოყოფად — ვ. გ.) მიიღეს და განაცხადეს: თუ ასეა, ჩვენ რაღას ვაკეთებთ აქ? თქვენ

დაიცავით თქვენი ფრონტიო. საჭირო შეიქნა დეპეშებითა და შიკრიკებით გაფანტვა ამ ბურუსისა“.¹⁰⁶ ნოე ჟორდანიას ვერც ერთმა ოპონენტმა ვერ უპასუხა კითხვას: პრორუსული ორიენტაციის უარყოფამ კავკასიის არმიის ფრონტიდან მოხსნა რომ გამოიწვიოს, რა ძალებით აპირებდნენ ისინი თურქეთის შემოტევის შეჩერებას? მით უმეტეს, არვის ჰქონდა პასუხი კითხვაზე: კავკასიის არმიის მიერ საქართველოს ოკუპაციის მცდელობის შემთხვევაში, რა ძალით უნდა აღდგომოდნენ წინ საბჭოთა რუსეთს?

ყველაზე ღიდი, რასაც ნოე ჟორდანიას ოპონენტებმა მიაღწიეს, იყო ის, რომ რეზოლუციის პირველი და მეორე პუნქტი გაერთიანდა.¹⁰⁷ ამის წინააღმდეგ, ცხადია, არც მომხსენებელი წასულა. ნოე ჟორდანიას მიერ შედგენილი და ეროვნულ-პოლიტიკური სექციის მიერ დამტკიცებული რეზოლუციის პროექტი საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ მთლიანად მიიღო. ეროვნულმა ყრილობამ თავის მისიას შესანიშნავად გაართვა თავი. ეროვნულ მოძრაობას სწორი გეზი მიეცა.

საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ 1917 წლის 22 ნოემბერს პარტიული პრინციპით აირჩია საქართველოს ეროვნული საბჭო. სულ საქართველოს ეროვნულ საბჭოში არჩეულ იქნა 66 წევრი და 61 წევრობის კანდიდატი, მათგან 28 სოციალ-დემოკრატი იყო (ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, სილიბისტრო ჯიბლაძე, ევგენი გეგეჭკორი, ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, ვლადიმერ (ვალეიკო) ჯუღელი, გრიგოლ ურატაძე, ბენია ჩხიკვიშვილი და სხვ.), 10 სოციალისტ-ფედერალისტი (გიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ რცხილაძე, შალვა მესხიშვილი, სამსონ ფირცხალავა, დიმიტრი უზნაძე და სხვ.), 9 ეროვნულ-დემოკრატი (ნიკო ნიკოლაძე, გრიგოლ გვახავა, სპირიდონ კვიციანი, გრიგოლ კეშელაძე და სხვ.), 7 სოციალისტ-რევოლუციონერი (კონსტანტინე მესხი, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ნათაძე, იოსებ გობეჩია და სხვ.), 4 სოციალ-დემოკრატი ალიონელი (პავლე საყვარელიძე, ნიკოლოზ ქარცივაძე და სხვ.), 2 უპარტიო (კონსტანტინე აფხაზი და კონსტანტინე მაყაშვილი). გარდა ამისა, ეროვნულ საბჭოში არჩეული იქნენ სამაჰმადიანო საქართველოს, საინგილოს (ზაქათალის ოლქის), სამაჩაბლოელი ოსების წარმომადგენლები.¹⁰⁸ საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარედ არჩეული იქნა ნოე ჟორდანია. იგი ასევე არჩეული იქნა ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარედ. ერის მეწინამძღვრის ადგილი ნოე ჟორდანიას ამიერიდან უკვე ოფიციალურადაც ეჭირა.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის შესახებ საუბარს ისე ვერ დავამთავრებთ, თუ არ შევხებით ერთ საკითხს, რომელიც დღემდე მრავალ სხვა პრობლემასთან ერთად, სამწუხაროდ, ობიექტურად არ შექცებოდა. ეროვნული საბჭოს შექმნის მომენტისათვის არავითარი ფულადი სახსარი არ გააჩნდა ქვეყანას. ეს კი წარმოუდგერელი სიძნელეების წინაშე აყენებდა მას. საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის წინა ხანებში გამოითქვა აზრი იმის შესახებ, რომ თბილისის გუბერნიის სათავადაზნაურო ბანკს მთელი თავისი ქონება გადაეცა ეროვნული საბჭოსათვის. ეს პატრიოტული წამოწყება რეალობად იქცა, გაკეთდა დიდი საქმე. თუმცა, დღემდე ყველას მხედველობიდან რჩება ერთი დეტალი. სათავადაზნაურო ბანკის ქონების ეროვნული საბჭოსათვის გადაცემას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა და ეს ამბავი თითქმის უიმედოდ გამოიყურებოდა, სანამ საქმეში ნოე ჟორდანიას ჩაეროდა. მან მთელი კატეგორიულობით განაცხადა: თუ სათავადაზნაურო ბანკი მთელ ქონებას ეროვნულ საბჭოს არ გადასცემს, ეროვნულ ყრილობას ჩაეშლიო. ასეთი რადიკალური მეთოდებითაც კი უხდებოდა ნოე ჟორდანიას ბრძოლა ეროვნული საქმის საკეთებლად. დაფნის გვირგვინი კი ხშირად სხვას რჩებოდა...

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული პოლიტიკური კურსის სისწორე სულ მალე დაადასტურა მოვლენათა განვითარებამ. 1917 წლის 8 დეკემბერს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტში შედგა შეხვედრა ამერიკის შეერთებული შტატების, ინგლისის, საფრანგეთისა და იტალიის ელჩებთან. ამ შეხვედრას ესწრებოდნენ: ნოე ჟორდანია, აკაკი ჩხენკელი, ვლადიმერ გობეჩია, გრიგოლ ვეშაპელი, ნოე რამიშვილი, ალექსანდრე ლომთათიძე, პაველ საყვარელიძე, სილიბისრო ჯიბლაძე, ნიკოლოზ ქარცივაძე, გიორგი გვაზავა, გრიგოლ რცხილაძე, ალექსანდრე ფარნიაშვილი, გიორგი ლასხიშვილი, ევგენი გეგეჭკორი. ანტანტის ქვეყნების ელჩებმა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს პირდაპირ განუცხადეს: „ჩვენ ვიცნობთ ერთს მთლიანს რუსეთს და მის დროებით მთავრობას, ცალკე ერებს კი — როგორც რუსეთის ნაწილებს, მით უმეტეს, რომ არც ქართველებს და არც სომხებს არა ჰყავთ თავიანთი საკუთარი მთავრობანი; ჩვენ ამიერკავკასიის კომისარიატი ვიცანით მთავრობათ და ურთიერთობა გვაქვს მასთან. ამიერკავკასია უნდა შეუთანხმდეს სამხრეთდასავლეთის კავშირს, სადაც შევლენ უკრაინა და ციმბირიც, მერე

რუსეთი აღსდგება როგორ ფედერატიული ერთეული“.¹⁰⁹ ამრიგად, ანტანტის ქვეყანათა ელჩები საქართველოს პრორუსული პოლიტიკისაკენ უბიძგებდნენ. საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ნოე ჟორდანიას სწორედ ამას ამტკიცებდა: პრორუსულ პოლიტიკურ ორიენტაციას ალტერნატივა არ გააჩნდა იმავედ შექმნილ სიტუაციაში. იმავე შეხვედრაზე ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის პოლიტიკური კურსის მოწინააღმდეგეთ, რომლებიც დასავლური პოლიტიკური ორიენტაციის აღიარებას მოითხოვდნენ, ცივი წყალი გადასხეს ანტანტის ქვეყნების ელჩებმა. რუსეთ-თურქეთის ფრონტზე შექმნილი მდგომარეობის შესახებ საუბრისას მათ პირდაპირ განაცხადეს: „ქართველები ჯარების შედგენას აგვიანებენ, უნდა დაეშურონ; დისციპლინა ჯარში სრულებით დაცემულია, უნდა აღდგენილ იქნას, მაშინ ჩვენც თქვენთან ვიქნებით; ჯარში შემდგარი კომიტეტები (ჯარისკაცთა კომიტეტები – არჩევითი ორგანოები – ვ. გ.) კი უნდა მოისპოს, რადგან საქმეს ენებენ; ჩვენ დახმარება შეგვიძლიან გაგიწიოთ ფულით, ხალხით (სპეციალისტებით – ვ. გ.) და მასალით, იარაღის მიწოდება კი არ შეგვიძლიან; ეხლანდელი ომის ფრონტი (რუსეთ-თურქეთის ფრონტი კავკასიაში – ვ. გ.) უნდა დაიცვათ ქართველებმა და სომხებმა იმ ხაზზედ, სადაც ეხლა თხრილებია (სანგრები – ვ. გ.) ჯარისა“.¹¹⁰ საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის წევრებმა ანტანტის ქვეყნების ელჩებს დაუსვეს კითხვა: „ჩვენ რომ ოსმალოს (თურქეთს – ვ. გ.) წინ დავედგეთ განმარტოებული ხომ არ დავრჩებით, ან მოკავშირენი (ანტანტა – ვ. გ.) რა გვარის დახმარებას გაგვიწვევენ?“¹¹¹ ამ კითხვაზე ელჩებმა არაფერი უპასუხეს. ცხადი იყო, რომ საქართველო, რუსეთის ჯარის ამიერკავკასიიდან წასვლის შემთხვევაში, თურქეთის წინააღმდეგ მარტო რჩებოდა. ეს კი ის საფრთხე იყო, რომელიც დიდი ხნით ადრე გააცნობიერა ნოე ჟორდანიამ. ამ მისალოდნელი უბედურების რეალობა მანამ არ ირწმუნეს ნოე ჟორდანიას პოლიტიკური კურსის მოწინააღმდეგეებმა, სანამ ლამის პირისპირ არ დადგნენ მის წინაშე.

საქართველოს ეროვნული საბჭო ურთულესი პრობლემის წინაშე აღმოჩნდებოდა საბჭოთა რუსეთისა და თურქეთის მოსალოდნელი აგრესიის შემთხვევაში. სერიოზული შეიარაღებული ძალის არ არსებობის პირობებში საქართველო უმკაცვშიროდ რჩებოდა. ანტანტის პოზიცია ნათელი იყო – იგი საქართველოს დაცვას არ აპირებდა. საჭირო იყო ძლიერი მოკავშირე, რომელიც რეალურ დახმარებას გაუწევდა ქვეყანას

როგორც რუსეთის, ისე თურქეთის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში. ნოე ჟორდანიას უკვე ფიქრობდა, რომ ასეთი ქვეყანა შეიძლებოდა გერმანია ყოფილიყო...

საბჭოთა რუსეთს იმხანად (1917 წლის ბოლო — 1918 წლის დამდეგ) არ შეეძლო აქტიურად ჩარეულიყო საქართველოს და საერთოდ ამიერკავკასიის საქმეებში. სამაგიეროდ, ვ. ლენინმა გადაწყვიტა რეგიონში რუსეთის ინტერესების დაცვის მიზნით გამოეყენებინა კავკასიის არმია. ვ. ლენინის გეგმების ამიერკავკასიაში განმახორციელებლად დაინიშნა ს. შაუმიანი. ამ უკანასკნელის გეგმა ასეთი იყო: რუსეთ-თურქეთის ფრონტიდან უნდა დაწყებულიყო ჯარების მოხსნა. წინასწარ უნდა გავრცელებულიყო ხმები იმის შესახებ, რომ რუსეთის ჯარები თბილისისა და ბათუმის გავლით ზღვით აპირებდნენ სამშობლოში დაბრუნებას. როგორც კი რუსეთის ჯარების ეშელონები ფრონტის ხაზიდან თბილის-ბათუმის რკინიგზის ხაზზე გაიჭიმებოდნენ, დაიწყებოდა საომარი ოპერაციები საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების, ფაქტობრივად, საქართველოს დაპყრობის მიზნით. ლენინ-შაუმიანის გეგმა ჩაიშალა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ საბჭოთა რუსეთის მთავრობის მზაკერული გეგმა ამოიციწო. რუსეთის ჯარების ეშელონები სპეციალურად სასწრაფოდ აგებული სარკინიგზო ხაზის საშუალებით ღამით თბილისის გვერდის ავლით ბაქოს მიმართულებით გაატარეს, ხოლო ის სამხედრო ნაწილები, რომლებმაც სცადეს თბილისის ოკუპაცია, 1918 წლის იანვრის პირველ ნახევარში ახლად შექმნილმა ქართულმა კორპუსმა სასტიკად დაამარცხა შამქორთან და სხვა ადგილებში.

რუსეთში მოვლენები სწორედ ისე განვითარდა, როგორც ნოე ჟორდანიას ვარაუდობდა. ბოლშევიკური რეჟიმი ვერ დაამხეს. 1918 წლის 5 იანვარს გახსნილი დამფუძნებელი კრება 6 იანვარს საბჭოთა ხელისუფლების მიერ გარეკილი იქნა. რუსეთში კანონიერი ხელისუფლების აღდგენის შანსები სულ უფრო და უფრო მცირდებოდა. ამიერკავკასიის სეიმის შექმნა აუცილებელი გახდა. 1918 წლის 22 იანვარს თბილისში შეიკრიბნენ რუსეთის დამფუძნებელი კრების ამიერკავკასიიდან არჩეული დეპუტატები. შეიქმნა ამიერკავკასიის სეიმი.

მოვლენათა განვითარებამ ნოე ჟორდანიას მეორე ვარაუდიც უკვეელი გახადა — აუცილებელი შეიქნა ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება. მას შემდეგ, რაც 1918 წლის 3

მარტს ბრესტ-ლიტოვსკის ზავით საბჭოთა რუსეთმა გერმანიის მოკავშირეს — თურქეთს — დაუთმო ბათუმის, ყარსისა და არდაგანის (არტანის) ოლქები, მდგომარეობის ხსნა მხოლოდ ამიერკავკასიის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადებას შეეძლო. მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა რეალური მოლაპარაკების დაწყება თურქეთთან. 1918 წლის 9 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს — ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმნა. ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს ფუნქცია დაეკისრა ამიერკავკასიის სეიმს (თავმჯდომარე კარლო ჩხეიძე). შეიქმნა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობა (თავმჯდომარე აკაკი ჩხენკელი).

თურქეთთან არც ამიერკავკასიის კომისარიატის და არც ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის საზავო დელეგაციების მოლაპარაკებას შედეგი არ მოჰყოლია. 1918 წლის მარტ-აპრილში თურქეთმა ბრესტის ზავით მიღებული ტერიტორია დაიკავა, შემდეგ კი აგრესიის სფერო გააფართოვა. სომხეთი თითქმის მთლიანად ოკუპირებული იყო. სერიოზული საფრთხე ემუქრებოდა თბილისსა და ქუთაისს. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შენარჩუნება შეუძლებელი ხდებოდა. თურქოფილური აზერბაიჯანი, ანგლოფილური სომხეთი და გერმანოფილური საქართველო ერთ სამოკავშირო სახელმწიფოში ვერ იარსებებდნენ. 1918 წლის მაისის შუა რიცხვებში გაირკვა, რომ საქართველოსა და გერმანიის ინტერესები თანხდებოდა ერთმანეთს. საქართველო გერმანიას გამოიყენებდა თავის მოკავშირედ, დამოუკიდებლობის გარანტად, გერმანიას საქართველო სჭირდებოდა აღმოსავლური პოლიტიკის ფორპოსტად. 1918 წლის 14 მაისს საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელმა კომიტეტმა ოფიციალურად დაადასტურა გერმანოფილური საგარეოპოლიტიკური კურსი, რის შესახებაც დაუწყებელივ ეცნობა ბათუმში ამიერკავკასია-თურქეთის საზავო მოლაპარაკებაზე დელეგაციის მეთაურს აკაკი ჩხენკელს.¹¹² 1918 წლის 22 მაისს აკაკი ჩხენკელმა ბათუმიდან აცნობა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელ კომიტეტს, რომ გერმანია დაიცავს საქართველოს ინტერესებს, თუ ამიერკავკასიის სამოკავშირეო სახელმწიფო დაიშლებოდა, საქართველო დამოუკიდებლობას გამოაცხადებდა და დახმარებას სთხოვდა გერმანიის მთავრობას.¹¹³ 23 მაისს აკაკი ჩხენკელი ბათუმიდან კვლავ ითხოვდა საქართველოს

დამოუკიდებლობის გამოცხადების დანიშნულებას. დამოუკიდებლობა უნდა გამოცხადებულიყო მანამ, სანამ თურქეთი საქართველოს ოკუპაციას მოახდენდა.¹⁴

ამ დამატებულ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში, როცა ყოველი წამით დაგვიანება სიკვდილის ტოლფასი იყო, 1918 წლის 25 მაისს შეიკრიბა საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის ისტორიული სხდომა. სხდომა გაიხსნა ღამის 11 საათზე, თბილისში, ფრეილინის (დღეს სულხან-საბას) ქუჩაზე მდებარე №11 სახლში, საქართველოს ეროვნული საბჭოს რეზიდენციაში. საბედნიეროდ, არქივში შემონახულია ამ სხდომის საოქმო ჩანაწერი. ქვემოთ მოგვაქვს ნაწყვეტი ამ დოკუმენტიდან:

**საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი
კომიტეტის სხდომა**

25 მაისს 1918 წ.

ღამის 11 საათზე

დაესწრნენ: ნ. ჟორდანიას, გ. ლასხიშვილი, პ. საყვარელიძე, კ. გვარჯალაძე, ნ. ხომერიკი, ალ. ლომთათიძე, ს. ჯიბლაძე, შ. მესხიშვილი, კ. მესხი, ნ. რამიშვილი, იას. ლორთქიფანიძე, გ. ვეშაპელი, გ. ჟურული, ალ. ასათიანი, ი. მაჭავარიანი, დ. ვაჩნაძე, გ. გვაზავა, ირ. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ვ. გოჭეჩია.

**თავმჯდომარე
მდივანი**

**ნ. ჟორდანიას
დ. ნახუცარიშვილი**

I. ნ. ჟორდანიას აცნობს დამსწრეთ ა. ჩხენკელის დეკლარაციას და წერილს, სადაც იგი თხოვლობს დანიშნულებულ იქნეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან გვიანდება და აუცილებელია კია.

შემდეგ თავმჯდომარე განმარტავს, რომ სურვილი იყო ამაღამ ათს საათზე შეკრებილიყო სეიმი, რომელიც გამოაცხადებდა სეიმს დაშლილად და შემდეგ საბჭო (საქართველოს ეროვნული საბჭო — ვ. გ.) გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ სეიმის ზოგიერთმა ფრაქციებმა შეკრებაზე უარი თქვეს, მაგალითად, მუსავეტმა განაცხადა, რომ მათ ჯერ არ განუხილავთ საკითხი და აზრი არ შეუშუშავებიათ, თუ ქართველებს სურთ დამოუკიდებლობის გამოცხ-

ადება, გამოაცხადონ, ჩვენ ხელს არ უშლით; სომხებმა განაცხადეს, რომ შესაძლებელი აქვთ თავიანთი განცხადება და თხოულობენ გადაიდოს სხდომა ხვალ დილით.

რადგანაც ჩვენ გვინდოდა მითთან (აზერბაიჯანელებთან და სომხებთან - ვ. გ.) თანხმობით საქმის გაკეთება, მაგრამ რადგან არ ხერხდება და არ სურთ, ჩვენ უნდა ცალკე ვიმსჯელოთ. სეიმის სხდომა დღეს არ მოხდება, დანიშნულია ხვალ დღის 12 საათზე. სეიმის შემდეგ საბჭო სასახლეშივე (კავკასიის მეფისნაცვლის რეზიდენცია გოლოვინის პროსპექტზე - ვ. გ.) გამოაცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას; რადგან ძალიან საჭიროა ამ აქტის გამოცხადება, რამდენიმე ორატორი იმ აზრისა იყო, რომ დღესვე გამოცხადებულიყო აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა:

მაგრამ ნ. ჟორდანიამ განმარტა, რომ დღევანდელი გამოცხადებით საქმე გართულდება, ვინაიდან სეიმი და მისი მთავრობა არსებობს, არ გაუქმებულა, მაშინ ორი მთავრობა იქნება, რაც შეუძლებელია; შეიძლება ზოგიერთებმა წინააღმდეგობა გაგვიწიონ, დამოუკიდებელი საქართველო არ სცნონ, მათთან შეტაკება მოგვიხდება; ამიტომ გამოცხადება გადაიდოს სახვალით.

რადგან შეთანხმება არ მოხდა, ამ ჯგუფებს შორის, კენჭი უყარა (ნოე ჟორდანიამ - ვ. გ.) საკითხს: „საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებას დღეს თუ ხვალ“.

პირველს მომხრე აღმოუჩნდა 6 ხმა
მცორეს ---- 4 ხმა

გადაწყდა გამოცხადებულიყო დღესვე; ამის გამო ნ. ჟორდანიამ განაცხადა: რაკი დღესვე გამოცხადდება საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი, იგი პასუხის მგებლობას არ კისრულობს მოსალოდნელ შედეგისას.

მაგრამ მცირე ხნის შემდეგ გაირკვა, რომ დამოუკიდებლობის აქტი ჯერ შემუშავებული არ არის და ვერ იქნება წაკითხული; რამაც გამოიწვია თაკის თავად აქტის გამოცხადების გადადება სახვალით.

ვინაიდან საქმე მაინც საშურია, ნ. რამიშვილის წინადადებით გადაწყდა: ხვალ, 26 მაისს, დილით 10 საათზე მოხდეს სეიმის სხდომა, ხოლო 12 საათზე საბჭოსი“.¹⁵

ამრიგად, ნოე ჟორდანიამ კიდევ ერთხელ გამოიჩინა ბრძნული წინდახედულება და ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ საქართვე-

ლოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება მომხდარიყო სამართლებრივი ნორმების სრული დაცვით — ამიერკავკასიის სეიმს უნდა გამოეცხადებინა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის, როგორც სახელმწიფოს, არსებობის შეწყვეტა. თვითონ სეიმს, როგორც უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს, უნდა მოეხსნა უფლებამოსილება, ხოლო ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობას, როგორც აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოს, შეეწყვიტა ფუნქციონირება. საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადება მხოლოდ ამის შემდეგ გახდებოდა შესაძლებელი. საქართველო მსოფლიოს სუვერენულ, დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ოჯახში შედიოდა და ყველაფერი საერთაშორისო სამართლის ნორმების მიხედვით უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილი.

საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1918 წლის 25 მაისის სხდომა რომ დასრულდა, ღამის 12 საათს ბევრი აღარ აკლდა. მეორე დღეს, კვირა, 26 მაისი თენდებოდა. დგებოდა ყველაზე დიდი დღესასწაულის უამი ნოე ჟორდანიას ცხოვრებაში...

1918 წლის 26 მაისს შედგა ამიერკავკასიის სეიმის უკანასკნელი სხდომა კარლო ჩხეიძის თავმჯდომარეობით. სეიმის სხდომამ 26 მაისის ნაშუადღევს 3 საათზე დაადასტურა ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის დაშლის ფაქტი და მოიხსნა თავისი უფლებამოსილება. სეიმის თავმჯდომარემ კარლო ჩხეიძემ მომხდარის შესახებ აცნობა მსოფლიოს ქვეყნების მთავრობებს.

საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა 1918 წლის 26 მაისს გაიხსნა გოლოვინის (ამჟამად რუსთაველის) პროსპექტის დასაწყისში მდებარე კავკასიის მეფისნაცვალის სასახლეში. სხდომას დაესწრო ეროვნული საბჭოს 42 წევრი და 36 წევრობის კანდიდატი. ეროვნული საბჭოს სხდომას დაესწრო თბილისის მიტროპოლიტი ლეონიდი, საქართველოში გერმანიის ჯარების მეთაური გრაფი შულენბურგი გერმანელი ოფიცრებითურთ, ასევე მრავალრიცხოვანი საზოგადოება. სასახლის წინ მდებარე მოედანი და მიმდებარე ქუჩები ხალხით იყო გადაჭვდილი. სასახლის თავზე აღმართული იყო საქართველოს ეროვნული დროშა. ეროვნული დროშა ამშვენებდა დარბაზის კედელს სხდომის პრეზდიუმის უკან.

ეროვნული საბჭოს სხდომას თავმჯდომარეობდა ნოე ჟორდანია. პრეზიდენტში მასთან ერთად იყვნენ: ვიორგი ლასხიშვილი, გრიგოლ

ვეშაპელი და პაკლე საყვარელით. სხდომაზე მდივნის მოვალეობას ასრულებდა ეროვნული საბჭოს მდივანი ილია ზურაბიშვილი.

ნაშუადღევს 4 საათსა და 50 წუთზე საქართველოს ეროვნული საბჭოს სხდომა გახსნა ნოე ჟორდანიამ. სხდომის გახსნის შემდეგ ეროვნული საბჭოს წინაშე სიტყვა წარმოთქვა ნოე ჟორდანიამ. სიტყვის ბოლოს მანვე წაიკითხა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. დამოუკიდებლობის აქტი რუსულად წაიკითხა გრიგოლ ვეშაპელმა. საქართველოს ეროვნულმა საბჭომ ერთხმად დაამტკიცა „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი“. დამოუკიდებლობის აქტის დამტკიცების შემდეგ ეროვნულმა საბჭომ დაამტკიცა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა ნოე რამიშვილის თავმჯდომარეობით. ეროვნული საბჭოს სხდომის დახურვის შემდეგ ნოე რამიშვილმა მსოფლიოს ქვეყნების სახელმწიფოებს ტელეგრამით ამცნო ახალი დამოუკიდებელი სახელმწიფოს – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის – დაბადება.

საქართველოს ეროვნული საბჭოს 26 მაისის სხდომა დაიხურა ნაშუადღევს 5 საათსა და 55 წუთზე.¹¹⁶

საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პირველ მუხლში ჩაწერილი სიტყვები – „საქართველო სრულუფლებოვანი დამოუკიდებელი სახელმწიფოა“ – წარმოადგენდა ილია ჭავჭავაძის ოცნების – „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუნეს“ – აღსრულებას. თუმცა ამის შესახებ, სამწუხაროდ, ეროვნული საბჭოს სხდომაზე არავის არაფერი უთქვამს (ყოველ შემთხვევაში, დოკუმენტებში ეს არაა დაფიქსირებული), მაგრამ ამას არც ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა. მთავარი ის იყო, რომ ილიას ოცნება აღსრულდა!

ილიას გზაზე ქართველ ერს ნოე ჟორდანია მიუძღოდა!

„ჩვენ მივდიოდით სწორი გზით...“

(საპარტიველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ხანა)

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ნოე ჟორდანიას მოღვაწეობაში ახალი, სრულიად განსაკუთრებული პერიოდი იწყება. 1918 წლის 26 მაისიდან ნოე ჟორდანია კვლავ საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარეა, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით ეროვნულ საბჭოს – ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს – პარლამენტის ფუნქცია მიენიჭა. (1918 წლის 8 ოქტომბერს საქართველოს ეროვნულ საბჭოს ოფიციალურად ეწოდა „საქართველოს პარლამენტი“). 1918 წლის 24 ივნისს ნოე ჟორდანია გახდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე, ეროვნული საბჭოს თავმჯდომარის პოსტზე იგი კარლო ჩხეიძემ შეცვალა.

ნოე ჟორდანია, როგორც პოლიტიკური მოღვაწე, ცხადია, განსაკუთრებით საინტერესოა 1918-1921 წლებში, როცა იგი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე იყო, ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებსაც განსაზღვრავდა და მის პრაქტიკულ რეალიზაციასაც ხელმძღვანელობდა. ამ მრავალმხრივი მოღვაწეობის ყველა ასპექტს ჩვენ ვერ ამოვწურავთ, ამას რამდენიმე სქელტანიანი მონოგრაფია დასჭირდებოდა. შეეჩერდებით მხოლოდ რამდენიმე საკითხზე:

პირველი. პოლიტიკური სისტემა;

მეორე. ეკონომიკური სისტემა;

მესამე. სოციალური სისტემა;

მეოთხე. საგარეო-პოლიტიკური ორიენტაცია.

ცხადია, პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემა იმდენადაა გადაჯაჭვული ერთმანეთთან, რომ მათი ცალ-ცალკე განხილვის შემთხვევაში განმეორებას თავს ვერ დავაღწევდით. სწორედ ამიტომ ნოე ჟორდანიას შეხედულებებს სამივე საკითხზე ჩვენ ერთად გაუანალიზებთ.

ამ პრობლემებზე ფიქრს მოახდომა ნოე ჟორდანიამ რამდენიმე თვე. 1918 წლის 4 აგვისტოსათვის საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს უკვე მზად ჰქონდა ქვეყნის პოლიტიკური სისტემის კონცეფცია. ამ დღეს თბილისში ნოე ჟორდანიამ წაიკითხა ვრცელი მოხსენება – „სოციალ-დემოკრატია და საქართველოს სახელმწიფოს ორგანიზაცია“.¹⁷

ნოე ჟორდანიას მიერ შემუშავებული საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური სისტემის კონცეფცია ემყარებოდა მსოფლიოს დემოკრატიული ქვეყნებისა და საბჭოთა რუსეთის გამოცდილებათა ანალიზს. ცხადია, დასავლეთის დემოკრატიული ქვეყნების გამოცდილება ნოე ჟორდანიასათვის სანიმუშო და მისაღები იყო, ხოლო საბჭოთა რუსეთისა – მიუღებელი, რომლის პრინციპების გადმოტანა საქართველოში ავტორს დამღუპველად მიაჩნდა. ნოე ჟორდანია თვით დასავლეთის ქვეყნების გამოცდილებიდანაც ყველაფერს როდი იწონებდა, იგი საქართველოსათვის შესაფერისს არჩევდა, ქართული სინამდვილისათვის ყველაზე უფრო მისაღებზე ჩერდებოდა.

პოლიტიკური სისტემის ფორმაზე ნოე ჟორდანია საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენამდე კარგა ხნით ადრე ფიქრობდა. დემოკრატიული რესპუბლიკა მას ადრეულ წლებშიც სახელმწიფოებრივი მოწყობის სხვა ფორმაზე მისაღებად მიაჩნდა. სწორედ ამიტომ, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტით საქართველო დემოკრატიულ რესპუბლიკად გამოცხადდა. აქედან გამომდინარეობდა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანიზაციის შინაარსიც.

ნოე ჟორდანია სოციალ-დემოკრატი იყო. იგი ჯერ კიდევ XIX საუკუნის 90-იან წლებში მკვეთრად გაეზიჟნა რუსულ სოციალ-დემოკრატია და დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატის პლატფორმაზე დადგა. როგორც აღვნიშნეთ, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, ნოე ჟორდანია 1903-1904 წლებში რუსულ სოციალ-დემოკრატიაში მიემხრო. უფრო ზუსტად, მის მენშევიკურ მიმდინარეობას. ცხადია, ამ შემთხვევაშიც იგი დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატის მიმდევრად რჩებოდა, ოღონდ თავის მრწამსის რეკლამირებას არ ახდენდა – რუსული სოციალ-დემოკრატის ელიტაში ყოფნა და დასავლეთის სოციალ-დემოკრატის იდეებისადმი აშკარა ერთგულება შეუთავსებელი იყო. 1918 წლის 26 მაისიდან ნოე ჟორდანიას ხელს არაფერი უშლიდა თავისი კომპარტი მრწამსის გასამყდევნებლად. ქართული

სოციალ-დემოკრატია აშკარად დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის პლატფორმაზე იდგა. ყოველივე ეს ცხადად დადასტურდა ჯერ კიდევ საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მოწვევის წინა ხანებში.

საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა, როგორც ცნობილია, საარჩევნო კანონის საფუძველზე არ ყოფილა მოწვეული. ყრილობის დელეგატების პარტიული და სოციალური შემადგენლობა ნოე ჟორდანიამ განსაზღვრა. ამ პერიოდში იგი თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს თავმჯდომარე და ამიერკავკასიის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სამხარეთ ცენტრის თავმჯდომარეა. ნოე ჟორდანიას შეეძლო საქართველოს ეროვნული ყრილობის ნაცვლად მხარი დაეჭირა საქართველოს მუშათა და გლეხთა დეპუტატთა საბჭოების ყრილობის მოწვევისათვის. იმ ეპოქაში ეს იდეა ძალზე პოპულარული იყო, ნოე ჟორდანიაც უთუოდ მიაღწევდა მიზანს. ეს იქნებოდა ბოლშევიზმის პრინციპების გადმოტანა ქართულ სინამდვილეში — ქართველი ერის ხელოვნურად გაყოფა ორ მტრულ, შეურიგებელ ნაწილად. ერთი ნაწილი (მუშათა და გლეხთა კლასი) ერის ბედის გამგებელი ხდებოდა, მეორე (ინტელიგენცია, თავადაზნაურობა, ბურჟუაზია) მოკლებული იქნებოდა პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის უფლებას. სწორედ ამიტომ დაუჭირა მხარი ნოე ჟორდანიამ საქართველოს ეროვნული ყრილობის იდეას. საბოლოოდ, მანვე განსაზღვრა საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის პარტიული, სოციალური და პროფესიული შემადგენლობა.

სულ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო 324 დელეგატი გადამწყვეტი ხმით და 19 დელეგატი სათათბირო ხმით. აქედან პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა წარმომადგენელი იყო 67, მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოების — 15, ქალაქთა თვითმართველობების — 33, საგუბერნიო, სამაზრო და სათემო (სასოფლო) აღმასრულებელი კომიტეტის — 89, ქართული ჯარის — 20, კოოპერატივების — 8, მასწავლებელთა კავშირის — 9, ქართული პრესის — 9, კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების — 35, ვაჭრობა-მრეწველობისა და ბანკების — 26, თავადაზნაურობის — 20, სხვადასხვა ქვეყნებში არსებული ქართული საზოგადოებების — 6, საქართველოს ეკლესიის საბჭოსი — 1, სხვადასხვა დაწესებულებების — 8, ქართველ კათოლიკეთა და ქართველ მაჰმადიანთა — 7, საქართველოში მცხოვრებ ებრაელ-

თა - 3, აფხაზეთის - 2 დელეგატი.¹¹⁸ როგორც ვხედავთ, ეროვნულ ყრილობაზე წარმოდგენილი იყო საქართველოში იმხანად არსებული ოთხი სოციალური ფენა (კლასი): თავადაზნაურობა, ბურჟუაზია, გლეხობა და მუშათა კლასი. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა რუსეთის 1917 წლის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდგომ პერიოდში იკრიბებოდა, რუსეთის მოვლენებმა გავლენა ვერ იქონია ნოე ჟორდანიასზე. მან უპირატესობა არ მისცა მუშათა კლასსა და ჯარისკაცებს (გლეხობას) (სულ 15 ადგილი), ხოლო თავადაზნაურობას ცალკე კვოტა გამოეყო (20 ადგილი). ცალკე კვოტა დაუწესეს ბურჟუაზიასაც (26 ადგილი). ამდენად, შეფარდება 15:20:26 სულაც არ იყო მუშათა კლასისა და გლეხობის სასარგებლოდ. შეიძლება ვიფიქროთ, რომ მუშათა კლასისა და გლეხობის წარმომადგენლები იქნებოდნენ საგუბერნიო, სამაზრო და სათემო (სასოფლო) აღმასრულებელი კომიტეტის (89 ადგილი) და ქალაქთა თვითმართველობების (33 ადგილი) დელეგატებში. ცხადია, ეს ასეც იქნებოდა, მაგრამ თავადაზნაურობის წარმომადგენლები ხომ მრავლად იყვნენ პოლიტიკურ პარტიათა და მიმდინარეობათა (67 ადგილი), ქართული ჯარის (20 ადგილი), მასწავლებელთა კავშირის (9 ადგილი), ქართული პრესის (9 ადგილი), კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების (35 ადგილი) დელეგატთა შორის. ასე რომ, საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე მუშათა კლასსა და გლეხობას არავითარი უპირატესობა არ ჰქონია. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ეროვნულ ყრილობაზე ფართოდ იყო წარმოდგენილი ქართველი ინტელიგენცია. უპირატესად ინტელიგენციით იყო წარმოდგენილი პოლიტიკური პარტიები და მიმდინარეობანი (67 ადგილი). გონებრივ მუშაკთა წარმომადგენლები მრავლად იყვნენ ასევე მასწავლებელთა კავშირის (9 ადგილი), ქალაქთა თვითმართველობების (33 ადგილი) და საგუბერნიო, სამაზრო და სათემო (სასოფლო) აღმასრულებელი კომიტეტების (89 ადგილი) დელეგატთა შორის.

ამრიგად, საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობა განასახიერებდა სრულიად საქართველოს, ყველა კლასსა და სოციალურ ფენას, რომელთაგან უპირატესობა ინტელიგენციას ჰქონდა. სოციალურ ძალთა თანაფარდობა დაახლოებით იგივე დარჩა 1917 წლის 22 ნოემბერს საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის მიერ არჩეულ ეროვნულ საბჭოში და 1918 წლის 30 მაისს განახლებულ ეროვნულ

საბჭოში, იმ განსხვავებით, რომ კიდევ უფრო გაიზარდა ინტელიგენციის ხვედრითი წილი. ამ თვალსაზრისით სურათი არ შეცვლილა არც საქართველოს დამფუძნებელ კრებაში. რომლის პირველი სხდომა გაიხსნა 1919 წლის 12 მარტს. სოციალურ ძალთა ზემოთ ხსენებული თანაფარდობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის პერიოდში არ დარღვეულა არც ქალაქთა თვითმმართველობებში. სამაზრო და სათემო (სასოფლო) ხელისუფლების ორგანოებში. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ნოე ჟორდანიამ და მისმა თანამოაზრეებმა უზრუნველყვეს დემოკრატიის პრინციპების დაცვა დაწყებული საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების უმაღლესი რგოლიდან (ეროვნული საბჭო, პარლამენტი, დამფუძნებელი კრება, მთავრობა) და დამთავრებული ყველაზე დაბალი რგოლით. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი მიზეზი იმისა, რომ საქართველომ თავიდან აიცილა დამღუპველი სოციალური კონფრონტაცია და სამოქალაქო ომი. სოციალური დაპირისპირება არ იყო, რადგან ხელისუფლება ეკუთვნოდა არა რომელიმე სოციალურ ფენას, არამედ მთელ ქართველ ერს.

ქვეყნის პოლიტიკურ მმართველობის ფორმა რომ რესპუბლიკა უნდა ყოფილიყო, ამაზე იმხანად საქართველოში არაინ არ დაეობდა. პოლემიკას იწვევდა მხოლოდ ის, თუ როგორი რესპუბლიკა უნდა ყოფილიყო – დემოკრატიული თუ პარლამენტარული. ნოე ჟორდანიამ დემოკრატიული რესპუბლიკის მომხრე იყო. პარლამენტარული რესპუბლიკა, მთავრობის მეთაურის აზრით, გარკვეული ნაკლით ხასიათდებოდა. ნოე ჟორდანიამ ასე წარმოსახავდა მმართველობის ამ ფორმას: „პარლამენტარული რესპუბლიკა გულისხმობს ისეთ პოლიტიკურ წყობილებას, როცა მთელი ძალა-უფლება პარლამენტის ხელშია, რომელიც არ ითმენს არავითარ ცვლილებას, როგორც ადმინისტრაციის სფეროში ისე სამმართველო და საკანონმდებლო ორგანოებში თუ სათანადო ნებართვა და ბრძანება არ არის ცენტრიდან. ხალხმა თუ დეპუტატები ამოირჩია და პარლამენტში გაგზავნა, შემდეგ მას (ხალხს) არაფერს არ ჰკითხავენ, ის მართვა-გამგეობაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობს. ხოლო მისი ადგილობრივი თვითმმართველობა იმყოფება ცენტრის სასტიკ ოპიკის ქვეშ. ერთი სიტყვით, პარლამენტარული მმართველობა არ ითმენს ხალხის პოლიტიკურ თვითმმართველობას“.¹¹⁹ რაც შეეხება დემოკრატიულ რესპუბლიკას, მას, ნოე ჟორდანიას აზრით, ბევრი უპირატესობა აქვს: „დემოკრატიულ რესპუბლიკას საფუძვლად

ედება პრინციპი ხალხის პოლიტიკური თვითმართველობისა. აქ ძალაუფლება მარტო ცენტრში არ არის მოგროვილი, არამედ განაწილებულია ცენტრსა და პერიფერიას შორის. ხალხი ირჩევს არა მარტო დეპუტატებს პარლამენტისათვის, არამედ კანონების აღმასრულებლებსაც, ადმინისტრატორებს, მოსამართლეებს და სხვ. ხალხი პირდაპირ მონაწილეობას იღებს კანონების გამოცემაში. ასე რომ, დამახასიათებელი თვისება დემოკრატიული რესპუბლიკისა ის არის, რომ აქ ხალხი პირდაპირ მონაწილეობას ღებულობს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეებში. ამისათვის კი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რომ ხალხს თვითონ ჰქონდეს დამოუკიდებელი საკუთარი მართვა-გამგეობის ორგანოები. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ ცენტრალურმა ორგანომ შესძლო გაუქმება მოქალაქეთა ამა თუ იმ გადაწყვეტილებისა, მაშინ რესპუბლიკა იქნება არა დემოკრატიული, არამედ პარლამენტარული“.¹²⁰ იქვე ნოე ჟორდანიას ეხება ფედერალიზმისა და უნიტარიზმის პრობლემას და მხარს უჭერს საქართველოს სახელმწიფოს უნიტარულ მოწყობას: „დემოკრატიული რესპუბლიკა შეიძლება იყოს ორი სისტემის: ფედერაციული და უნიტარული... საქართველოს პირობებში კი ფედერალიზმის პრინციპი სრულიად მიუღებელია, შეიძლება მხოლოდ შევწერდეთ უნიტარულ დემოკრატიულ რესპუბლიკაზე“.¹²¹ უნიტარული სახელმწიფოს აუცილებლობის აღიარებას სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი ერისათვის.

ნოე ჟორდანიამ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ეკონომიკური სისტემის გასაზღვრისას მთლიანად დაიცვა „მესამე დასის“ პროგრამაში (1893 წ.), ანუ ნაშრომში „ეკონომიური წარმატება და ეროვნობა“ (1894 წ.), ასევე ნაშრომებში „მომამე“, „ივერია“, და ეროვნობა“ (1895 წ.) და „გაზ. ივერია“ და ეროვნობა“ (1897 წ.) მოცემული დასკვნები. მოდიო, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ ის ეკონომიკური პრინციპები, რომლებიც საფუძვლად უნდა დადებოდა ახალი ქვეყნის ძლიერებას: 1) კერძო საკუთრება საზოგადოების განვითარების უმთავრესი პირობაა; 2) პოლიტიკური თავისუფლება, პიროვნების თავისუფლება არ არსებობს ეკონომიკური თავისუფლების გარეშე; 3) ქართული ერის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროგრესი სულაც არ მოითხოვს ბურჟუაზიული საზოგადოების მოსპობას.

ნოე ჟორდანიას 1918-1921 წლებში პრინციპული წინააღმდეგი იყო სახალხო მეურნეობის ნაციონალიზაციის ბოლშევიკური (საბჭო-

თა) გაგებისა. ნაციონალიზაცია მას ესმოდა ისევე, როგორც დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიულ პარტიებს. ნაციონალიზებული და კერძო სექტორის თანაფარდობა ნოე ჟორდანიას ისევე წარმოედგინა, როგორც ეს ხორციელდებოდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებში. იგი გადაჭრით ილაშქრებდა სახელმწიფოს სასარგებლოდ მთელი მატერიალური ფასეულობების კონფისკაციისა და ეკონომიკაში სახელმწიფო მონოპოლიზმის წინააღმდეგ. ცოტა მოგვიანებით, 1924 წელს გამოცემულ ნაშრომში „საბჭოთა წყობილება“ ნოე ჟორდანია წერდა, რომ საბჭოთა წყობილებას ახასიათებს „მთელი წარმოების ერთი დაკვრით კონფისკაცია, მისი დანგრევა, სიმდიდრის განიავება, საზოგადოების გალატაკება“.¹²² ეს კი, ავტორის აზრით, შესაძლებელი ხდება იქ, სადაც „საზოგადოება არაფერია, კლასები დაბეჩავებულია, ხოლო პოლიტიკური წყობილება ყველაფერია, ხელისუფლება ყოველად შემძლებელია“.¹²³ მთელი მატერიალური ფასეულობის ნაციონალიზაცია და მისი სახელმწიფოს ხელში გადასვლა ნოე ჟორდანიას რეგრესულ მოვლენად მიაჩნდა. 1922 წელს იგი წერდა: „მთელი ნივთიერი ქიჩების ნაციონალიზაცია იყო ყოველთვის საფუძველი აღმოსავლეთის დესპოტიზმის, მათ შორის რუსულისაც“.¹²⁴ სწორედ ამ მოსაზრებებით ხელმძღვანელობდა სახელმწიფოს მეთაური, როცა უარი თქვა საქართველოში მთელი მატერიალური ფასეულობის ნაციონალიზაციაზე და ეკონომიკაში სახელმწიფო მონოპოლიზაციაზე. ნოე ჟორდანია მოითხოვდა სახელმწიფო და კერძო სექტორთა ისეთი თანაფარდობა დაეკვათ, რომ არც საშუალო ფენა გალატაკებულიყო და არც ქვეყნის ეკონომიკის განვითარების საფუძველი — კერძო საკუთრება მოსპობილიყო. მოგვიანებით ნოე ჟორდანია წერდა: „საქართველოში დამყარდა კოორდინაცია, შეთანხმება სახელმწიფო და კერძო ეკონომიკას შორის. მსხვილი ნაციონალური და წერილი კერძო საკუთრება შეიქმნა ახალი საქართველოს სოციალურ ფუძეთ“.¹²⁵ ამ პრინციპის ერთგულება მან დაამტკიცა არა მარტო მრეწველობაში ეკონომიკური სტრატეგიის განსაზღვრისას, არამედ საქართველოში აგრარული რეფორმის გატარებისას. ნოე ჟორდანიას შეეძლო მხარი დაეჭირა მთელი მიწების ნაციონალიზაციისა და სახელმწიფოს საკუთრებაში გადასვლისათვის. ამას შედეგად ორი რამ მოჰყვებოდა: 1. საშუალო ფენის გალატაკება; 2. სამოქალაქო ომი პოლიტიკურ ხელისუფლებასა და ყოფილ მიწაფლობელებს შორის, ანუ საქართველოში განმეორდებოდა ის, რაც მოჰყვა რუსეთში ბოლშე-

ვიკების აგრარულ პოლიტიკას. ნოე ჟორდანიას ამ გზით არ წავიდა. საქართველოში გატარებული აგრარული რეფორმის შედეგად სულ ჩამორთმეულ იქნა 340.000 ჰექტარი მიწა. ამ ფონდიდან კერძო და იურიდიულ პირს შეეძლო საკუთრებაში ჰქონოდა 7 დესენტიანიდან 14 დესენტინამდე მიწა (მისი ვარგისიანობის მიხედვით).¹²⁶ ამრიგად, საშუალო ფენის ინტერესები დაცული იქნა. მიწის გარეშე არ დარჩენილან არც დიდი მამულების მფობელები (თავადაზნაურობა და სხვ.). სამაგიეროდ, სახელმწიფოს მიიღო მონოპოლია ტყის მასივებზე (2 მილიონი დესენტინა) და საზამთრო და საზაფხულო საძოვრებზე (756 046 დესენტინა).¹²⁷ როგორც ვხედავთ, აგრარული რეფორმის გატარების დროსაც დაცული იქნა კერძო და სახელმწიფო სექტორის თანაფარდობის პრინციპი, როგორც გარანტია სამოქალაქო მშვიდობისა და ეკონომიკური აღმავლობისა.

1918-1921 წლებში ნოე ჟორდანიას შეხედულება პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ სისტემებზე უფრო ნათელი იქნება, თუ ვიტყვით, რომ ნოე ჟორდანიას, მართალია სოციალ-დემოკრატი იყო, მაგრამ, მისი ღრმა რწმენით, საშუალო ფენის ინტერესების დაცვა და სხვა სოციალური პრობლემების მოგვარება სავსებით შესაძლებელი იყო ბურჟუაზიული წყობილების არსებობის პირობებშიც. ისტორიული პროცესის ფორსირება და ბურჟუაზიული წყობილების მოსპობისათვის ბრძოლა ნოე ჟორდანიას უტოპიად მიაჩნდა: „ეჭვი არ არის, რომ ყველა სახელმწიფო ბურჟუაზიულ საზოგადოების ფარგლებში, ასე თუ ისე, ემსახურება ბურჟუაზიის ინტერესებს. ამას ვერას გზით თავს ვერ დააღწევს საქართველოს სახელმწიფო. ამისათვის თავის დაღწევა — ეს უტოპიაა და ამიტომ ჩვენ მას სრულიად არ ვცდილობთ. მაგრამ არა უტოპიას, არამედ რეალურ შესაძლებლობას ვისახავთ მიზნათ — ავაშენოთ ისეთი სახელმწიფო, რომელიც რაც შეიძლება მეტს იმოქმედებს ღარიბი კლასების ინტერესებისათვის“.¹²⁸

* * *

ყველაზე რთული ნოე ჟორდანიასათვის მანც საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა იყო. ეს მარტო რთული კი არა, როგორც ვაირკვა, გადაუჭრელი და საბედისწერო პრობლემა ყოფილა.

საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემა ნოე ჟორდანიას ფიქრის საგანი ადრევე გახდა. „მესამე დასის“ შექმნის პერი-

ოდისათვის (1892-1893წწ.) ნოე ჟორდანიას ამკარად დასავლური ორიენტაციის მომხრე იყო. დასავლური ორიენტაციის თავგამოდებულ დამცველი რჩებოდა იგი თითქმის მთელი ათი წელი. ჩვენ ზეპოთ აღვნიშნეთ, რომ 1903 წელს, გარკვეული პოლიტიკური მოსაზრებით, „მესამე დასი“ რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას შეერწყა. ამ დროიდან ნოე ჟორდანიას ფორმალურად უარი უნდა ეთქვა როგორც დასავლეთ ევროპის სოციალ-დემოკრატიის იდეებზე, ისე დასავლურ ორიენტაციაზე და პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის მომხრე გამხდარიყო. დასავლური ორიენტაციის სასარგებლოდ ნოე ჟორდანიას აზრი აღარ გამოუთქვამს 1903-1913 წლებში. 1914 წელს, პირველი მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ ნოე ჟორდანიას უკვე ახალი სამხედრო-პოლიტიკური ვითარების პირობებში ფიქრობს საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის პრობლემის გადაჭრის გზებზე. იმხანად საქართველოში გერმანოფილური პოლიტიკური ორიენტაცია გახდა ძალზე პოპულარული. მის თავგამოდებულ დამცველებად მოგვევლინენ ეროვნულ-დემოკრატები. გერმანოფილური პოლიტიკური ორიენტაციის პოპულარიზაციაში დიდი წვლილი მიუძღვის ქართველი ემიგრანტების მიერ მსოფლიო ომის დაწყების შემდეგ გერმანიაში შექმნილ პატრიოტულ ორგანიზაციას – „საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტს“ (მიხაკო წრეთელი, გიორგი მანაბელი, პეტრე სურგულაძე და სხვ.). გერმანოფილურ პოლიტიკურ კურსს უმთავრესად განსაზღვრავდა შემდეგი ვითარება: რუსეთი და გერმანია მსოფლიო ომში ერთმანეთს ებრძოდნენ, ქართველები კი რუსეთის მოწინააღმდეგეს თავის მოკავშირედ სახავდნენ. ეს სავსებით ლოგიკური იყო. მაგრამ ამასთან ერთად ბოლომდე გარკვეული არ იყო მთავარი საკითხი: გერმანიას რამდენად სჭირდებოდა რუსეთის დასამარცხებლად საქართველოს მოკავშირეობა; კიდევ რომ მონედომებიანა გერმანიას რუსეთის წინააღმდეგ აჯანყებული საქართველოსათვის დახმარების გაწევა, შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში რამდენად ფეფქტურად შეძლებდა იგი ამ დახმარების გაწევას? ამოსაცნობი იყო ისიც, თუ რა როლს ითამაშებდა ამ პროცესში თურქეთი. რუსეთის განდევნას ამიერკავკასიიდან ხომ არ მოჰყვებოდა ამ რეგიონში თურქეთის გააქტიურება? პრობლემები არ ილევოდა... გასარკვევი იყო საკითხი: რუსეთის განდევნას ამიერკავკასიიდან და იქ გერმანიის დამკვირდებლას დაუშვებდა თუ არა ანტანტა? გერმანიის შეჭრა ამიერკავ-

კასიაში ხომ საფრთხეს ექმნოდა ინგლისის ინტერესებს მახლობელ აღმოსავლეთში. სწორედ ამ კითხვებზე პასუხის არარსებობის გამო ვერ შეხვდა ნოე ჟორდანიას ბრმა ალტაცებით გერმანოფილური პოლიტიკური ორიენტაციის მომხრეთა გააქტიურებას. საქართველოს პოლიტიკურ ლიდერს აფიქრებდა ის, რომ რუსეთი ადვილად არ დათმობდა ამიერკავკასიის რეგიონს და თუ შესაძლებლობა ექნებოდა, სასტიკადც დასჯოდა გერმანიასთან დამეგობრების მოსურნე საქართველოს. და ბოლოს, მხედველობაში მისაღები იყო ისიც, რომ ამიერკავკასიაში ძალზე ჭრელი ეთნიკური და რელიგიური სურათი იშლებოდა. ამიტომაც, დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა იმას, თუ როგორ შეხვდებოდნენ სხვა ეროვნების ხალხები საქართველოს ახალი პოლიტიკური ორიენტაციის არჩევანს.

ამრიგად, პირველი მსოფლიო ომის პირობებში, უფრო ზუსტად, 1914-1916 წლებისათვის ნოე ჟორდანიას საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრისას შემდეგ მოსაზრებებს ეყრდნობოდა:

1. საქართველოს დამოუკიდებლობისათვის აუცილებელი იყო ძლიერი მოკავშირე, რომელიც ქართველ ერს დაეხმარებოდა რუსეთის ფაქტორის დაძლევაში;

2. რუსეთის პრობლემის გადაჭრა დღის წესრიგში დაუყოვნებლივ დააყენებდა თურქეთის საკითხს, ე. ი. აუცილებელი გახდებოდა თურქეთის გამაუვნებელი ძალის პოვნაც;

3. საქართველოდან რუსეთის წასვლა და აქ ნებისმიერი დიდი სახელმწიფოს დამკვიდრება დაუყოვნებლივ გამოიწვევდა მახლობელ აღმოსავლეთში გაბატონებით დაინტერესებული ქვეყნების რეაქციას;

4. საქართველოს ახალი პოლიტიკური ორიენტაცია გარკვეულ წინააღმდეგობას წარმოშობდა ამიერკავკასიის სხვა ეროვნების ხალხებში;

5. სანამ რუსეთის რევულარული არმია ამიერკავკასიაში. რუსეთ-თურქეთის ფრონტზე, იდგა, სანამ რუსეთი ბატონობდა შაკ ზღვაზე. ანტირუსული პოლიტიკური ორიენტაციის აღიარება დიდი პოლიტიკური შეცდომა იქნებოდა.

ნოე ჟორდანიას ასე ფრთხილად. ასე თავდაჭერილად იმიტომ მოქმედებდა, საქართველოს პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრისას იმიტომ არ იყო გრძნობებს აყოლილი, რომ მტკიცედ სწამდა ერთი ჭეშმარიტება. რომელიც გვიან შემდეგი სიტყვებით გამოხატა: „პოლი-

ტიკაში ის მიღწევას მკვიდრი, და საფუძვლიანი, რომელიც აგებულია ინტერესებზე, რეალურ სარგებლობაზე. ყველაფერი ის, რაც კთდება ინტერესების გარეშე, ხათრით, პროტექციით, სიმპათიით, წარმავალია. უძირო მცენარეა“.¹²⁹

1917 წლის რუსეთის თებერვალ-მარტის რევოლუციის შემდეგ საერთოდ მთელს ქართულ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მოძრაობაში შესამჩნევად იკლო ანტირუსულმა განწყობილებამ. რუსეთის იმპერია, რომელმაც XIX საუკუნის დამდეგს მოახდინა ქართული სამეფო-სამთავროების დაპყრობა, აღარ არსებობდა. რუსეთის დროებითი მთავრობა ქართველ ერს აღარ აგონებდა რუსეთის საიმპერატორო კარს, არც ოზაკობი ცდილობდა მეფისნაცვლის კანცელარიის როლში გამოსვლას, წარსულს ჩაბარდა რუსი ჩინოვნიკების, ჟანდარმერიისა და ოხრანკის ბატონობის ავადმოსაგონარი ხანა. რუსეთის დემოკრატიზაცია რეალური ჩანდა, ხოლო იმ ცნობილი რუსი დემოკრატებიდან, რომელნიც რევოლუციის შემდეგ რუსეთის პოლიტიკური ცხოვრების სათავეში აღმოჩნდნენ, დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ პერტოგრადის მუშათა, ჯარისკაცთა და მატროსთა დემუტატების საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე, ხოლო შემდეგში (1917 წლის ივნისიდან) სრულიად რუსეთის საბჭოების პირველი ყრილობის მიერ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის (ცაკის) თავმჯდომარედ არჩეული კარლო ჩხეიძე, რუსეთის კოალიციური დროებითი მთავრობის მინისტრი ირაკლი წერეთელი. ყოველივე ეს ბუნებრივად იწვევდა საქართველოში ანტირუსული განწყობილების შესუსტებას...

1917 წლის დამდეგს ამერიკის შეერთებული შტატების ჩაბმამ მსოფლიო ომში ანტანტის მხარეზე გერმანიის შანსები, ცხადია, შეამცირა, თუმცა გერმანიას ჯერ კიდევ გააჩნდა უძლიერესი სამხედრო მანქანა, რომელიც ომს წარმატებით აგრძელებდა, განსაკურებით აღმოსავლეთის (რუსეთის) ფრონტზე. კავკასიის ფრონტზე მდგარი რუსეთის არმია ისე ღრმად შეჭრილიყო თურქეთის ტერიტორიაზე, რომ თურქეთის მთავრობას ბევრ საზრუნავს უჩნდა. ასეთ ვითარებაში ნოე ჟორდანიაც რუსული პოლიტიკური ორიენტაციის მხარის დამჭერად მოგვევლინა. 1917 წლის 25 ოქტომბერს რუსეთში ბოლშევიკების მიერ განხორციელებულმა კონტრრევოლუციურმა სახელმწიფო გადატრიალებამ ნოე ჟორდანია სერიოზულად შეაშფოთა. მას გაგონებაც კი არ სურდა საბჭოთა რუსეთთან, ვ. ლენინთან რაიმე

ურთიერთობის დამყარებაზე. მაგრამ სანამ რუსეთში რჩებოდა შანსი კანონიერი დროებითი მთავრობის აღდგენისა და დემოკრატიული საარჩევნო კანონით არჩეული რუსეთის დამფუძნებელი კრების მოწვევისა, ე. ი. რუსეთის დემოკრატიზაციისა, ნოე ჟორდანიას არ ჩქარობდა რუსული ორიენტაციის შეცვლას. ეს დადასტურდა ამიერკავკასიის კომისარიატის შექმნის ფაქტით 1917 წლის 15 ნოემბერს და 1917 წლის 19-24 ნოემბერს გამართული საქართველოს პირველი ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებებით.

1918 წლის 6 იანვარს ბოლშევიკებმა გარეკეს რუსეთის დამფუძნებელი კრება. იმავე იანვრის შუა რიცხვებში კავკასიის ფრონტიდან მოხსნილი რუსეთის ჯარების მიერ საქართველოს ოკუპაციის მცდელობა და მისი ჩაშლის შემდეგ საქართველოდან რუსეთის არმიის წასვლა უკვე ნიშნავდა რუსული ორიენტაციის დასასრულს. აუცილებელი შეიქნა ახალი პოლიტიკური ორიენტაციის განსაზღვრა.

მსოფლიო ომის პირობებში შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის შედეგად და 1918 წლის იანვრის მოვლენების შემდეგ ნოე ჟორდანიამ ასეთი დასკვნები გააკეთა:

1. უახლოეს ხანებში რუსეთი საქართველოში პოზიციას ვეღარ აღიდგენდა. ამაზე მეტყველებდა საბჭოთა რუსეთის მიერ პოზიციების დაკარგვა ჩრდილო კავკასიაში და გერმანიის წარმატებული შეტევა რუსეთის სიღრმეში;

2. რუსეთის არმიის წასვლა ამიერკავკასიიდან აუცილებლად გამოიწვევდა თურქეთის აგრესიას, რასაც მხარს უჭერდა თურქოფილური აზერბაიჯანი. რეგულარული არმიის არარსებობის პირობებში საქართველო ვერ შეაჩერებდა თურქეთის შემოტევას;

3. ანტანტა, რამდენადაც კი შეძლებდა, ხელს შეუშლიდა საქართველოს გადაქცევას გერმანიის გავლენის სფეროდ. ეს განპირობებული იყო ორი მიზეზით: ა) ანტანტა საქართველოსა და მთლიანად ამიერკავკასიას რუსეთის (არაბოლშევიკურის) შემადგენელ ნაწილად თვლიდა, ბ) საქართველოს გადაქცევა გერმანიის გავლენის სფეროდ საფრთხეს უქმნიდა ინგლისის ინტერესებს მასლობელ აღმოსავლეთში.

აი. ამ ურთულეს სიტუაციაში უნდა ეპოვა ნოე ჟორდანიას საქართველოს დამოუკიდებლობის გარანტი ქვეყანა. შექმნილ ვითარებაში ნოე ჟორდანიას ყველაზე მისაღებად გერმანიასთან დაახლოებას თვლის. ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის შექმ-

ნის შემდეგ (1918 წლის 9 აპრილს) გერმანოფილური საგარეო-პოლიტიკური კურსის გატარება შეუძლებელი იყო. ამას არ დაუძეებდნენ ანგლოფილური სომხეთი და თურქოფილური აზერბაიჯანი...

1918 წლის მაისის შუა ხანებში უკვე აშკარა გახდა გერმანიისა და საქართველოს ინტერესების თანხვედრა. ბრესტ-ლიტოვსკის ზავის (1918 წლის 3 მარტი) შემდეგ შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ სიტუაციაში საქართველოს არ შეეძლო თურქეთის აგრესიას წინ აღდგომოდა. თუ გერმანიის სახელმწიფო თავის მოკავშირეს — თურქეთს დაიყოლიებდა საქართველოს მიმართ დამპყრობლური პოლიტიკის შეწყვეტაზე, გერმანიას უჩნდებოდა შანსი საქართველოში პოზიციების მოპოვებისა, საქართველო შეიძლებოდა ქცეულიყო გერმანიის ფორპოსტად მახლობელ აღმოსავლეთში. გერმანიის ხელისუფლება, ბუნებრივია, ითვალისწინებდა იმასაც, რომ აზერბაიჯანი თურქოფილურ ორიენტაციას არ შეცვლიდა, სომხეთშიც ძლიერი იყო ანგლოფილური განწყობილება. ან გერმანიას უნდა დაეცვა საქართველოს ინტერესები, ან ხელი უნდა აეღო მახლობელ აღმოსავლეთში სამომავლოდ აქტიური პოლიტიკის წარმოებაზე.

გერმანოფილური პოლიტიკური კურსი წარმატებული გამოდგა. საქართველოს ერთადერთი მოკავშირე სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის გამოცხადების მომენტში — 1918 წლის 26 მაისს — გერმანია იყო. გერმანიამვე შეძლო თურქეთის აგრესიის აღკვეთა.

გერმანოფილური პოლიტიკური კურსი წარმატებით ხორციელდებოდა 1918 წლის მაისიდან ნოემბრამდე. 1918 წლის 11 ნოემბერს გერმანიამ ანტანტის წინაშე კაპიტულაცია გამოაცხადა — გერმანია მსოფლიო ომში დამარცხდა. ომში მარცხს გერმანიაში რევოლუცია მოჰყვა, იმპერია დაეშო. მსოფლიოს ახალი პოლიტიკური რუკა ვერსალის საზავო კონფერენციას უნდა დაედგინა. გამარჯვებულმა ანტანტამ გადაწყვიტა მკაცრად დაესაჯა დამარცხებული გერმანია. ცხადია, გერმანიის ახალ ხელისუფლებას საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვა აღარ შეეძლო. საჭირო იყო ახალი მოკავშირის ძიება. ნოე ჟორდანიას, აკაკი ჩხენკელის, ევგენი გეგეჭკორის, კარლო ჩხეიძის, ირაკლი წერეთლის და სხვათა მცდელობას შედეგი არ გამოუღია: ვერსალის კონფერენციამ უკვე მუშაობის დასაწყისშივე მიიღო საქართველოსათვის საბედისწერო საიღუმლო პოლიტიკური გადაწყვეტილება: რუსეთი, მისი პოლიტიკური რეჟიმის მიუხედავად, უნდა

დარჩენილიყო ძველ საზღვრებში. რუსეთის დანაწილება ეროვნულ სახელმწიფოებად ანტანტამ იმხანად, თავისივე ინტერესებიდან გამომდინარე, მიუღებლად მიიჩნია. მიუხედავად ამისა, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, ქართულმა დიპლომატიამ დიდ წარმატებებს მიაღწია. 1920 წლის 11 იანვარს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დე ფაქტო ცნო ვერსალის საზავო კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ, თუმცა, ამ გადაწყვეტილების მიუხედავად, ვერსალის კონფერენციის ზემოთ ხსენებული საიდუმლო შეთანხმება ძალაში დარჩა. დიდ წარმატებად უნდა მივიჩნიოთ ის, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა 1918 წლის 10 ივნისს დე ფაქტო და დე იურე ცნო თურქეთმა, ხოლო 1918 წლის 10 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა დე ფაქტო ცნო გერმანიამ. 1920 წლის 7 მაისს რუსეთ-საქართველოს ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დე იურე სცნო. რუსეთის კვალდაკვალ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დე იურე სცნო გერმანიამ, სულ კი 1918-1921 წლებში საქართველოს დამოუკიდებლობა დე იურე ცნო 21 სახემწიფომ. ეს სახელმწიფოები იყო: საბჭოთა რუსეთი, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია, პოლონეთი, რუმინეთი, ლუქსემბურგი, გერმანია, ავსტრია, არგენტინა, მექსიკა, პანამა, ჰაიტი, თურქეთი, სიამი, ლიბერია, სომხეთი, აზერბაიჯანი, უკრაინა. ამის მიუხედავად, დიდი ხნის ბრძოლის შემდეგ 1920 წლის 16 დეკემბერს საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას მაინც უარი ეთქვა ერთა ლიგაში მიღებაზე. ამის მთავარი მიზეზი ვერსალის საზავო კონფერენციის უმაღლესი საბჭოს პოზიცია იყო.

საერთაშორისო პოლიტიკამ, მსოფლიო დიპლომატიამ მრავალი ფარისევლური აქტი იცის, რომელთა შორისაა ვერსალის საზავო კონფერენციის უმაღლესი საბჭოს 1921 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურე ცნობის შესახებ. ეს იმას ნიშნავდა, რომ ინგლისმა ჯერ საბჭოთა რუსეთს მისცა დასტური საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციაზე. ხოლო შემდეგ ვერსალის საზავო კონფერენციაზე უმაღლეს საბჭოში მხარი დაუჭირა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დე იურე ცნობას...

აი, ასეთ პოლიტიკას შეეწირა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა, ისევე როგორც აზერბაიჯანი და სომხეთი. მაგრამ რატომ მოხდა, რომ იმავე ანტანტამ მხარი დაუჭირა ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის, ფინეთისა და პოლონეთის დამოუკიდებლობას? რატომ დაიცვა მან ეს ქვეყნები რუსეთის აგრესიისაგან?

„ახალ აღორძინებულ ნაციონალურ ერთეულებში (დამოუკიდებელ სახელმწიფოებში – ვ. გ.) დამოუკიდებლობა შეინარჩუნეს მხოლოდ იმათ, რომელნიც მდებარეობენ რუსეთსა და ევროპას შორის. ამის მთავარი მიზეზია არა მათი განსაკუთრებული ღირსება და უნარიანობა, არა მათი საკუთარი თვისებები, არამედ მათი გეოგრაფიული მდებარეობა და ამიტომ მათ არსებობაში ევროპის დაინტერესება. მას შემდეგ რაც ევროპის ექსპედიცია რუსეთში თეთრი ძალების დასახმარებლად (ე. ი. სამოქალაქო ომი და ინტერვენცია – ვ. გ.) დამარცხდა და იძულებული გახდა სამშობლოში დაბრუნებულიყო (ე. ი. ჯარები გაეყვანა რუსეთიდან – ვ. გ.), აშკარა ხდება ევროპიელთათვის, რომ ბოლშევიზმი რჩება რუსეთის განვითარების აუცილებელ საფეხურათ და საჭიროა მხოლოდ ამ ჭირისაგან დასავლეთის დაზღვევა. ამერიკის ელჩის ცნობილი სიტყვა ვერსალის კონგრესზე „სანიტარული კორღონის“ გავლებაზე რუსეთ-ევროპის შორის ხდება ამ მიმდინარეობის ოფიციალურ გამოხატულებათ. ბოლშევიკური რუსეთის და ევროპის შორის ბუფერი – სახელმწიფოთა შექმნა შედის ევროპის მსოფლიო პოლიტიკის სისტემაში; ეს ახალი კარანტინი ხდება ამ სისტემის წონასწორობის მიუცილებელ ელემენტათ. ბოლშევიზმი იკეტება ამით თავის სამშობლოში და ის ცხადდება რუსულ წყობილებათ“.¹³⁰ – ასე აფასებს ნოე ჟორდანიას დასავლეთ ევროპის ქვეყნების, უფრო ზუსტად, ანტანტის ქვეყნების პოზიციას 1934 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში – „საქართველოს საგარეო პოლიტიკა“. ნაშრომი არაერთ ასეთ პოლიტიკური გამჭრიახობის მანიშნებელ მსჯელობას შეიცავს. ანტანტის ქვეყანათა პოზიციასზე რუსეთის რეაქციას ავტორი ასე ხსნის: „... ამავ დროს გამოჩნდა, რომ ასეთი კარანტინის შექმნაში დაინტერესებულია თვით ბოლშევიკური ხელისუფლება. ის, შეშინებული მუდმივი ინტერვენციით, ცდილობს თავიდან აიცილოს ეს ევროპული ჭირი (ე. ი. ინტერვენცია – ვ. გ.) საზღვრების შეცვლით, ახალი ნეიტრალური სახელმწიფოების აღორძინებით დასავლეთის გასწვრივ და მით უზრუნველყოფა ამ მხრით თავისი არსებობის“.¹³¹

როგორც ვხედავთ, ნოე ჟორდანიამ სავსებით სწორად გაიაზრა ლიტვის, ლატვიის, ესტონეთის, ფინეთისა და პოლონეთის დამოუკიდებლობის შესარჩუნების მიზეზები. მან ასევე ლოგიკურად, დამაჯერებლად და, რაც მთავარია, სწორად ახსნა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაცემის მიზეზები: „ახლა გადავხედოთ კავკასიის მდებარეობას და მის მეზობელ სახელმწიფოთ. ერთადერთი მეზობელი, რომლის ინტერესში შედიოდა უეჭველად ჩვენი დამოუკიდებლობა – ეს იყო ოსმალეთი. ეს ოდესმე დიდი სახელმწიფო დღეს პატარათ ქცეული საკუთარი ძალღონით ვერ დაიფარავს თავის თავს დიდი მოსაზღვრე რუსეთისაგან. ის ადრე თუ გვიან უნდა გახდეს მსხვერპლი ამ ვეშაპისა. აქ გაისკვნა ორი მოპირდაპირე ინტერესი: ოსმალეთის, რუსეთის წინააღმდეგ საფარი – კავკასია, რუსეთის, ასეთი საფრის მოშლა და ოსმალეთთან საერთო საზღვარი, რომ ამით მას პქონდეს მუდმივი შესაძლებლობა მასზე მოახდინოს პირდაპირი გაელენა. რაკი ოსმალეთის გზით მოსკოვს არ მოელოდა ინტერვენცია, მსგავსათ ევროპის გზისა, ცხადია, მის ანგარიშში აღარ შედიოდა ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა. არ შედიოდა ეს (საქართველოს დამოუკიდებლობა – ვ. გ.) არც ევროპის „სანიტარული კორდონის“ სფეროში, ვინაიდან ჩვენ დიდათ დაშორებული ვართ მისგან გეოგრაფიულათ და ამ მხრივ მას არ მოელოდა ბოლშევიზმის საშიშროება. ეს მით უფრო, რომ ევროპა იჯდა კონსტანტინეპოლში და სრუტეების გზას ფხიზლად იცავდა, იქით არ უშვებდა მოსკოვის სენს, ზოლო აქეთ ვისაც ის მოედებოდა – არ დაგიდევდა“.¹³² იქვე ნოე ჟორდანიამ მიუთითებს ანტანტის და კერძოდ, ინგლისის პოლიტიკაზე მახლობელ აღმოსავლეთში, უფრო ზუსტად, თურქეთის მიმართ, რომელმაც დააჩქარა საქართველოს, ასევე აზერბაიჯანისა და სომხეთის დამოუკიდებლობა: „ამნაირათ, ამიერკავკასიის დამოუკიდებლობას ითხოვდა ერთადერთი ოსმალეთის (რამდენიმეთ სპარსეთის) ინტერესი, ძალა ერთობ მცირე და გაელენით სუსტი. მაგრამ ეს მცირე ძალაც კიდევ უფრო დამცირდა იმ მდგომარეობით, რომელშიაც ის მოემწყვდა. მას (თურქეთს – ვ. გ.) გადაეკიდა ევროპა, მის წინააღმდეგ დარაზმეს საბერძნეთი, მის გზებსა და დედაქალაქს დაეპატრონენ ევროპელები და ამით აიძულეს ის ჩრდილოეთში მოენახა დამხმარე და მფარველი. განსაკუთრებით ლოიდ ჯორჯის მთავრობამ ითამაშა ამ მხრით გადამჭრელი როლი და ოსმალეთი დააჩოქა მოსკოვის წინაშე: მოსკოვის აგენტი, ლიოდ ჯორჯის პირადი მდივანი,

უაზი ერთი მხრით აახლოვებდა თავის მთავრობას მოსკოვთან, ხოლო მეორე მხრით აღიზიანებდა მას ოსმალეთის წინააღმდეგ; შუილი ოსმალეთს და ევროპას შორის შედიოდა მხოლოდ რუსეთის ანგარიშში, რომ ამით ის ჩამოეთრია ანტი-ევროპიულ ბლოკში და გაბატონებულიყო კავკასიაში მისივე დახმარებით. ამ მიმდინარეობას ხელს უწყობდა ინგლისის ლიბერალიზმის ტრადიციული ანტიოსმალური პოლიტიკა, რომლის სადავე ლოიდ ჯორჯს ხელთ ეყარა და ის ეძლეოდა ძველებურ ილუზიას — რუსეთის ოსმალეთის წინააღმდეგ დარაზმვას. მისთვის მისაღები იყო თუნდაც კაციჭამია რუსეთი, თუ კი მას ამ ხაზზე აამუშავებდა და მამასადამე ბუფერ-სახელმწიფოს შექმნა ოსმალეთს და რუსეთს შორის მის ანგარიშში არ შედიოდა. სწორედ ამიტომ 1920 წელს შემოდგომაზე ლოიდ ჯორჯი უცხადებს კრასინს, რომ ამიერკავკასიაში ინგლისი არ არის დაინტერესებული, როგორც ეს შემდეგ ჩიჩერინმა გამოამჟღავნა. მხოლოდ ამ აშკარა ნებართვის მიღების შემდეგ, რუსეთი შემოგვესია. ასე დაუგეს მახე ოსმალეთს და ისიც შიგ ხელაღებ ჩავარდა. აზერბაიჯანი დაეცა სწორეთ ოსმალთა მეოხებით, ძალდატანებით და რჩევით, იგივე ოსმალეთი დაესხა საქართველოს ზურგიდან რუსეთის შემოსვლის დროს — ერთი სიტყვით, მიიღო აქტიური მონაწილეობა ამიერკავკასიის რესპუბლიკათა დაცემაში“.¹³³ ნოე ჟორდანიას დიდ სახელმწიფოთა პოლიტიკურ თამაშებს ასეთ შეჯამებას უკეთებს: „საერთაშორისო ურთიერთობა დასავლეთით მიიმართა ბალტიკის სასარგებლოთ, ხოლო აღმოსავლეთით ამიერკავკასიის წინააღმდეგ. ჩვენი საგარეო პოლიტიკა მოეძწყდა აი ამ ობიექტურ ჩვენს სამტროთ მომართულ პირობებში, რომლის გარღვევა პატარა ერის ძალღონეს აღემატებოდა“.¹³⁴ უფრო ზოგადი, მაგრამ აბსოლუტურად ჭეშმარიტი დასკვნა კი ასეთია: „საქართველოს დამოუკიდებლობის დაცემის მთავარი მიზეზია ჩვენი იზოლაცია კავკასიაში, აზიაში, ევროპაში. დაერჩით მარტო, ჩვენ წინააღმდეგ მოიმართა ყველა საგარეო ძალები“.¹³⁵ ეს სულაც არ ნიშნავდა იმას, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა მისი მთავრობის უმოქმედობის ან შეცდომების წყალობით მოექცა იზოლაციაში. მთავრობა აკეთებდა ყველაფერს, რაც მას ძალუძდა და საერთოდ, რაც შესაძლებელი იყო. ნოე ჟორდანიას აღნიშნავს, რომ საქართველოს იზოლაცია „გახდა შედეგი არა ჩვენი (ე. ი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის — ე. გ.) მუშაობის და პოლიტიკისა, არამედ გარეშე ობიექტურ პირობებისა“.¹³⁶

ნოე ჟორდანიამ 1918 წლის 4 აგვისტოს წარმოთქვა წინასწარმეტყველური სიტყვები, რომელშიც საოცარი სიცხადით იკვეთება ტრაგიზმი ეპოქისა და ტრაგიზმი ამგვარ ეპოქაში მოღვაწე პიროვნებისა:

„და თუ ჩვენ მიზანს მაინც ვერ მივაღწევთ და დავმარცხდით, ერთი მაინც უეჭველი იქნება და ამას პირუთენელი ისტორია აუცილებლათ იტყვის – ჩვენ მივდიოდით სწორე გზით და გავაკეთეთ, რის გაკეთებაც შეგვეძლო“.¹³⁷

ჩვენც ამ სიტყვებით დავამთვროთ!

**„თუ საქართველო არ მინახოს თავისუფალი...“
(ემიგრაციის წლები)**

1921 წლის 16 თებერვალს ნოე ჟორდანიამ ხელი მოაწერა მოწოდებას: „ერობებს, თემებს და გვარდიის შტაბებს!“ მოწოდება ცალკე ფურცლის სახით სტამბურად დაიბეჭდა და მალე თბილისსა და სხვა ადგილებში გაავრცელეს. ეს მოწოდება ისტორიული დოკუმენტია. მოვიტანთ მას მთლიანად:

**მთავრობის და თავდაცვის კომიტატის
თავმჯდომარის ნოე ჟორდანიას
მოწოდება**

ერობებს, თემებს და გვარდიის შტაბებს!

მოხდა უსაზიზღრესი მუხანათური თავდასხმა: გაბოროტებულ სომხეთს მიემხრო ადერბეიჯანი და იქ მდგომ ბოლშევიკურმა ჯარებმა შემოგვიტია აღმოსავლეთით; იცოდეთ რომ მათი გამარჯვება ნიშნავს ერის თავისუფლების, ხალხის ნაშრომისა და ნაამაგარიის საშუალოთ დაღუპვას და ჩვენი ბოლშევიკთა მშვიერი ბრბოების უსაშინელეს ტირანიაში ჩაყარდნას.

დადგა ჟამი ჩვენი ყოფნისა და არ ყოფნისა, ჩვენი ბედი ჩვენ ხელთ არის. გამოვიჩინოთ ძველებური ქართული მამაცობა: თავის დადება, ერთობა და მტერი ძლეული იქნება. საქართველოს არა ერთხელ განუცდია უცხო ლაშქართა შემოსევა, მაგრამ ისინი უკანვე გაურეკნიათ. აიღეთ ხმალი ხელში და აამუშავეთ ქალი და კაცი: შექმენით ახალი რაზმები, დაიცავით შიგნით სასტიკი წესიერება, ალაგმეთ მოღალატენი და ორგულნი, იცოდეთ, რომ გამარჯვებული ბოლშევიკები გაგცარცვავენ და გაგჟლეტენ. მათ გასტეხს მხოლოდ თქვენი მხნეობა და თავის დადება. შეაჩერეთ ჩვეულებრივი სახელმწიფო და საზოგადოებრივი მუშაობა და მოკიდეთ ხელი მარტო თავის დაცვას. მეტი მეომარი, მეტი იარაღი, მეტი სურსათი, აი, რას ითხოვს თქვენგან სამშობლო და ეს მოგვაწოდეთ ყოველ დღე — გამარჯვებამდე. ამ ბრძოლაში ჩვენ მარტო არ დავრჩებით. შევექმნათ ერთი მთლიანი თავგანწირული ძალა და ჩვენ ირგვლივ შემოიკრიბებიან მშველენი.

ქართველო ხალხო, „ხელი ხმაღს იკარ, მტერთა ისმიან ხმანი“.
საქართველო მოკედება, მაგრამ მტერს არ დანებდება.

მთავრობის და თავდაცვის

საბჭოს თავმჯდომარე

ნოე ჟორდანია

თფილისი

16 თებერვალი 1921 წ.¹³⁸

ნოე ჟორდანიას მატარებელი უკანასკნელი გავიდა თბილისიდან 1921 წლის 24 თებერვალს, ნაშუალამევს... საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარეს კიდევ ჰქონდა იმედი, რომ ქუთაისში გამაგრდებოდა, იქიდან გააგრძელებდა ბრძოლას საბჭოთა რუსეთის აგრესიის წინააღმდეგ. ყოველ წუთს კი შემაშფოთებელი სიმართლისაკენ მიჰყავდა მთავრობის მეთაური — თანდათან ნათელი ხდებოდა, რომ ბრძოლის გაგრძელება შეუძლებელი იყო. ხაშურიდან მე-11 არმიას უღობას ცხენოსანი კორპუსი გამოეყო. რუსთა კავალერია გოდერძის უღელტეხილით ბათუმში უნდა შესულიყო და, ამრიგად, გზა მოეჭრა ქართული ჯარისათვის. მე-11 არმიის სარდლობას ნაბრძანები ჰქონდა არ დაეშვა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრთა ემიგრაცია. ვ. ლენინის გეგმა ასეთი იყო: საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების დაპატიმრების შემდეგ ნოე ჟორდანიას უნდა აემუღებინათ მთავრობის სახელით ხელი მოეწერა კაპიტულაციის აქტზე და გამოეცხადებინა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის გადადგომა. პარალელურად დამფუძნებელი კრება, ქვეყნის უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო, მოიხსნიდა თავის უფლებამოსილებას. ამ ორი დოკუმენტის — მთავრობის განცხადება გადადგომის შესახებ და დამფუძნებელი კრების განცხადება უფლებამოსილების მოხსნის შესახებ — ძალით საქართველოს რეგკომის მიერ ძალაუფლების აღება კანონიერ აქტად გამოცხადდებოდა, საბჭოთა რუსეთის აგრესიაც შეინიღებოდა. სწორედ ამიტომ მიიჩქაროდა ბათუმისაკენ: უღობას კავალერია გოდერძის უღელტეხილით, ხოლო მე-11 არმიის ძირითადი ნაწილები — ლიხის ქედით. შექმნილ სიტუაციაში ნოე ჟორდანიას ქუთაისში აღარ გაჩერებულა და ბათუმს ჩავიდა. იქვე მოიყარეს ოავი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და დამფუძნებელი კრების წევრებმა.

ნოე ჟორდანიამ, ცხადია, ამოიცნო საბჭოთა რუსეთის ვერაგული გეგმები. მალე მასთან გამოცხადდა ბოლშევიკი სერგო ქავთარაძე, რომელმაც შემდეგი განუცხადა საქართველოს მთავრობის მეთაურს:

– თქვენ დამარცხდით, ჩვენ გავიმარჯვეთ, ზედმეტი ხოცვა-ჟლეტის თავიდან აცილების მიზნით გამოაცხადე თქვენი მთვარობის გადადგომა, ხელისუფლებას ჩვენ (ე. ი. საქართველოს რევკომი – ვ. გ.) ავიღებთ, ბოლოს და ბოლოს ჩვენც ქართველები ვართ!

ნოე ჟორდანიამ სერგო ქავთარაძის წინადადებაზე კატეგორიული უარით უპასუხია:

– მე არ გავაკეთებ განცხადებას მთავრობის გადადგომის შესახებ. თქვენ უნდა დარჩეთ ოკუპანტებად!

ბათუმში შედგა საქართველოს დამფუძნებელი კრების უკანასკნელი სხდომა, რომელმაც მიიღო დადგენილება საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ემიგრაციაში წასვლისა და იქიდან ბრძოლის გაგრძელების შესახებ. დამტკიცდა მთავრობის შემცირებული შემადგენლობა ნოე ჟორდანიას თავმჯდომარეობით.

1921 წლის 17 მარტს იტალიის გემით ნოე ჟორდანიამ ბათუმი დატოვა. ბოლშევიკების გეგმა ჩაიშალა. საბჭოთა რუსეთი ისტორიაში შევიდა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპანტად.

ნოე ჟორდანიას მხრიდან ეს იყო არა უბრალოდ პატრიოტული უესტი, არამედ წინდახედული ნაბიჯი. 1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის უკანონობას ემყარებოდა შემდეგში ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერთა მოთხოვნა: საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას ეცნო საბჭოთა რუსეთის მიერ 1921 წელს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ოკუპაციისა და ანექსიის ფაქტი. ეს იყო ნოე ჟორდანიას დიდი დამსახურება ქართველი ერის წინაშე. ნოე ჟორდანიამ საქართველოს დაუტოვა სამართლებრივი უფლება ებრძოლა დამოუკიდებლობისათვის.

დემოკრატიული საქართველოს მთავრობის მეთაური ემიგრაციაში მიდიოდა და საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას იწყებდა არა ცარიელ ნიადაგზე, არამედ საკმაოდ ძლიერი არგუმენტებით:

პირველი. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დე იურე ცნო რუსეთის იმპერიის სამართალმემკვიდრემ – საბჭოთა რუსეთმა;

მეორამ. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა დე იურე ცნო მსოფლიოს 21 ქვეყანამ.

მესამე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დამოუკიდებლობა ჯერ დე ფაქტო, ხოლო შემდეგ დე იურე ცნო ვერსალის საზავო კონფერენციის უმაღლესმა საბჭომ;

მეოთხე. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰქონდა დემოკრატიული საარჩევნო კანონის საფუძველზე არჩეული უმაღლესი საკანონმდებლო ორგანო – დამფუძნებელი კრება, ჰყავდა კანონიერი მთავრობა;

მეხუთე. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას ჰქონდა თავისი კონსტიტუცია.

მეექვსე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა და დამფუძნებელი კრება არ შერიგებია საბჭოთა რუსეთის მიერ ქვეყნის ოკუპაციასა და ანექსიას, მას ხელი არ მოუწერია კაპიტულაციას, მეტიც, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლების ამ უმაღლეს ორგანოებს არ შეუწყვეტიათ ფუნქციონირება.

მეშვიდე. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, მის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას, სხვა გამოჩენილ სოციალ-დემოკრატებს (ირაკლი წერეთელს, კარლო ჩხეიძეს და სხვ.) დიდი ავტორიტეტი ჰქონდათ დასავლეთ ევროპის ქვეყნების სოციალისტურ და მუშათა პარტიებში, ასევე მეორე ინტერნაციონალში.

და მაინც, ყოველივე ეს გადაწონა დიდი სახელმწიფოების პოლიტიკურმა ეგოიზმმა, ვერსალის საზავო კონფერენციის უმაღლესი საბჭოსა და ერთა ლიგის უარყოფითმა პოზიციამ.

ცხადია, აქტიურად მოქმედებდა საბჭოთა რუსეთის დიპლომატია და დაზვერვა. ომის შემდგომ ევროპას ძალზე ესაჭიროებოდა რუსეთთან (თუნდაც საბჭოთა რუსეთთან!) ურთიერთობა, ესაჭიროებოდა მისი ნედლეული და ბაზარი. საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით დასავლეთ ევროპის დიდი ქვეყნები რუსეთთან ურთიერთობას არ დაძაბავდნენ. ეს ძალზე უადვილებდა მოქმედებას რუსეთის დაზვერვასა და დიპლომატიას.

ბათუმიდან სტამბოლში ჩასული ნოე ჟორდანიას ინახულებს საფრანგეთისა და იტალიის ელჩებმა და თავიანთი მთავრობების სახელით სამშობლოში მიიპატიჟეს. ემიგრაციული მთავრობის მეთაურმა მიიღო საფრანგეთის ელჩის მიწვევა და 1921 წლის აპრილის დამდეგს ქარ-

თული პოლიტიკური ემიგრაცია პარიზს ჩავიდა, თურქეთში საფრანგეთის ელჩის შევალის თანხლებით. ნოე ჟორდანი იხსენებს: „სადგურზე მისვლისთანავე გული გამიტყდა, არავინ ოფიციალური წარმომადგენელი მთავრობისა არ შეგვხვდებოდა; შევალისეც გაოცებული იყო, თუმცა არა უთქვამს რა. ეს მივიღე გლახა ნიშნით, არა ოფიციალურ მიღებით, მაშასადამე, კერძო პირათ“.¹³⁹ მიუხედავად ამისა, ნოე ჟორდანიას ფარხმალი არ დაუყრია.

საფრანგეთის პრეზიდენტსა და პრემიერ-მინისტრთან უშედეგო შეხვედრის შემდეგ იგი ბელგიაში ჩავიდა. ფრანგი სოციალისტების მსგავსად, ბელგიელმა სოციალისტებმაც და პირადად ემილ ვანდერკელდემაც ნოე ჟორდანიას კარგად მიიღეს, მაგრამ ბელგიის საგარეო საქმეთა მინისტრთან შეხვედრისას გაირკვა, რომ ბელგიას საქართველოს მიმართ არავითარი ინტერესები არ ამოძრავებდა. ნოე ჟორდანიას ბელგიაში ვიზიტის შედეგებს ასე გადმოგვცემს: „გარდა ზრდილობიანი მოპყრობისა — არაფერი“.¹⁴⁰ ბელგიიდან ემიგრაციული მთავრობის მეთაურმა ინგლისს დააპირა წასვლა: „იქიდან ლონდონის ვიზა ვითხოვე საელჩოში. ლონდონმა უარი მითხრა, არც კი მიშვებდა ინგლისში. საკითხი ნათელი იყო, ლოიდ ჯორჯს ჩვენი ქვეყანა აღარ აინტერესებდა“.¹⁴¹ ნოე ჟორდანიას ლონდონში მაინც ჩავიდა, ოღონდ ინგლისის მუშათა პარტიის მიწვევით: „ჩაკვლი, ვინახულე, პირველ ყოვლისა, ერთა ლიგის დიდი მოღვაწე და ჩვენი დიდი ქომაგი ლორდ სესილი. როცა გავათავე ჩემი მოკლე მოხსენება. შემომეკითხა: ახლა რაღა გნებავთ ბატონო, საქმე გათავებულათ უნდა ჩაითვალოს“.¹⁴²

გულგატეხილი ნოე ჟორდანიას პარიზში დაბრუნდა. მის მოგონებებში ვკითხულობთ: „არავინ არავითარი ინტერესს არ იჩენდა, გარდა სოციალისტებისა. არც ერთ სხვა პარტიას თანაგრძნობის რეზოლუციაც კი არ გამოუტანია. არც ერთ მთავრობაზე ახალგაზრდა სახელმწიფოს დაპყრობას და მოსპობას შთაბეჭდილება არ მოუხდენია. ამჟამად იყო ჩვენთვის, რომ ევროპის საზოგადოება დაღალულია, სხვისი სატკივარი მათ არ სტკივა, არც კი ამჩნევს მას და ცდილობს მხოლოდ ერთს — იყოს თავისთვის წყნარად, უდარდელათ“.¹⁴³

შექმნილი უმძიმესი სიტუაციის მიუხედავად, ნოე ჟორდანიას არ ემჩნევა გულგატეხილობა. იგი ცვლის ბრძოლის ტაქტიკას: „ამ დღიდან ჩემი მუშაობის ხაზი გამოვსცვალე; დეე, სხეებმა განაგრძონ ამ წრეებში (ე. ი. ოფიციალურ წრეებში — ვ. გ.), კერძო საზოგადოე-

ბაში, საპროპაგანდო მუშაობა. ჩემთვის მთავარი იყო ქართველი ხალხის მებრძოლი სულისკვეთების შენახვა, მისთვის ხელისშეწყობა, იქაური არა-ლეგალურ ორგანიზაციებთან დაკავშირება და მათი საშუალებით მუდმივი კონტაქტი ერთან. ეს იყო მთავარი, თუ ერი არ გატყდებოდა, საერთაშორისო მდგომარეობა ოდესმე მის სასარგებლოთ შეიძლება შემობრუნდეს და ამით ისარგებლოს“.¹⁴⁴

ეს იყო უაღრესად სწორი, ღიღმიშენელოვანი გადაწყვეტილება. კუროპის ქვეყნების ოფიციალურ წრეებთან უშედეგო ურთიერთობას და ილუზიებით კვებას, რა თქმა უნდა, სჯობდა ქართველი ერის მებრძოლი სულის, ეროვნული თვითშეგნების შენარჩუნებისა და გაძლიერებისათვის ბრძოლა. ამ გადაწყვეტილებისა და მის შესაბამისად გატარებული ღონისძიებების შედეგი იყო 1921-1924 წლებში საქართველოში ბოლშევიკური რეჟიმის წინააღმდეგ მიმართული დიდი ეროვნული მოძრაობა. მართალია, 1924 წელს საბჭოთა ხელისუფლებამ უთანასწორო ბრძოლაში შეძლო სამოქალაქო ომის თავის სასარგებლოდ დამთავრება და ეროვნული ძალთა დროებით დათრგუნვა, მაგრამ ამ წლებმა ეროვნული თვითშეგნების განმტკიცების, დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის თვალსაზრისით წარუშლელი კვალი დასტოვა საქართველოს ისტორიაში, ქართულ ეროვნულ ცნობიერებაში... ნოე ჟორდანიას მიზანიც ეს იყო.

საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენისათვის ბრძოლა კი შედეგს ვერ აღწევდა. 1934 წელს სსრ კავშირის ერთა ლიგაში მიღებით ცხადი გახდა, რომ ეს საერთაშორისო ორგანიზაცია სსრ კავშირს ცნობდა 1934 წლისათვის არსებულ საზღვრებში, ე. ი. საქართველოც ერთა ლიგამ სსრ კავშირის განუყოფელ ნაწილად მიიჩნია. ცოტა უფრო უდრე, 1933 წელს გაუქმდა საქართველოს ლეგაცია საფრანგეთში.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა უპერსპექტივო გახდა. თუ 1934 წლამდე თეორიულად მაინც არსებობდა შანსი იმის აღდგენისა, რაც 1921 წლის თებერვალ-მარტში დაიკარგა, სსრ კავშირის ერთა ლიგაში მიღებით ეს უკანასკნელი ხელჩასაჭიდი იმედიც მოისპო.

ნოე ჟორდანიამ სცადა, შთამომავლობისათვის დაეტოვებინა კიდევ ერთი შანსი დამოუკიდებლობისათვის ბრძოლისა. 1934 წელს მან წამოაყენა იდეა კავკასიის კონფედერაციის შექმნისა. კონფედერაციის

შექმნის მიზნით მუშაობა დიდი ენთუზიაზმით მიმდინარეობდა. 1934 წლის ივლისში ბრიუსელში შეიკრიბნენ საქართველოს, აზერბაიჯანისა და ჩრდილო კავკასიის ხალხების წარმომადგენლები (არ გამოცხადდა მხოლოდ სომხეთის წარმომადგენელი) და 14 ივლისს ხელი მოაწერეს „კავკასიის კონფედერაციის პაქტს“. პაქტს ხელი მოაწერეს: აზერბაიჯანის სახელით – აზერბაიჯანის ეროვნული საბჭოს ყოფილმა თავმჯდომარემ და ემიგრაციაში აზერბაიჯანის ეროვნული ცენტრის თავმჯდომარემ ე. რასულ ზადემ, აზერბაიჯანის დელეგაციის თავმჯდომარემ და მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ ალი მარდან თოფჩიბაშევმა; ჩრდილო კავკასიის ხალხების სახელით – გირი სუნშმა; საქართველოს სახელით – საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის ყოფილმა თავმჯდომარემ და ემიგრაციაში საქართველოს ეროვნული ცენტრის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ და საქართველოს ყოფილმა სრულუფლებიანმა ელჩმა საფრანგეთში აკაკი ჩხენკელმა. 1934 წლის ივლისშივე შეიქმნა „კავკასიის დამოუკიდებლობის კომიტეტი“, რომელმაც გამოაქვეყნა მოწოდება „კავკასიის ყველა მამულიშვილს“.¹⁴⁵ გაზეთმა „ბრძოლის ხმა“ იმავე ნომერში, რომელშიც დაიბეჭდა „კავკასიის კონფედერაციის პაქტი“, გამოაქვეყნა ნოე ჟორდანიას წერილი „კავკასიის კონფედერაცია“.¹⁴⁶ 1935 წლის მარტში შედგა კავკასიის კონფედერაციის პაქტზე ხელისმომწერი მხარეების კონფერენცია, რომელმაც აირჩია „კავკასიის კონფედერაციის საბჭო“.¹⁴⁷

ცხადია, შექმნილ საერთაშორისო ვითარებაში „კავკასიის კონფედერაციის“ დაარსებას რეალური შედეგები არ შეიძლებოდა მოჰყოლოდა. მას მხოლოდ სიმბოლური მნიშვნელობა ჰქონდა...

ჩვენ საშუალება არ მოგვეცა დაწვრილებით შეეჩერებულებოდა ნოე ჟორდანიას პოლიტიკურ მოღვაწეობაზე ემიგრაციაში. ვიმედოვნებთ, რომ მკითხველი იცნობს კონსტანტინე გვარჯალაძის ნაშრომს „საქართველოს სოც.-დემ. მუშათა პარტიის მუშაობა საზღვარ-გარეთ“ (პარიზი, 1936), რომელიც მეორედ გამოიცა სათაურით „საქართველოს მთავრობა ემიგრაციაში“ (თბილისი, 1991). ნოე ჟორდანიას იძულებითი ემიგრაციის მძიმე წლების შესახებ ბევრ საინტერესო ფაქტობრივ მასალას ამ წიგნში იპოვის მკითხველი.

ნოე ჟორდანია ემიგრაციის წლებში ძალიან ბევრს წერდა. ზოგიერთი მისი ნაშრომი დღესაც მზის შუქს ელოდება. გამოქვეყნებული ნაშრომები ძირითადად თავმოყრილია ნოე ჟორდანიას თხზულებათა

შემდეგ გამოცემებში: „ახალი ნაწერები“ (პარიზი, 1948), „რჩეული ნაწერები ემიგრაციაში“ (პარიზი, 1950) და „რჩეული ნაწერები“ (თბილისი, 1990). ის ნაშრომები, რომლებიც ზეპირ ჩამოთვლილ კრებულებში ვერ მოხვდა, გაბნეულია ემიგრაციაში გამოძვალ პერიოდულ გამოცემებში. ჟურნალი „ბრძოლა“, გაზეთი „ბრძოლის ხმა“, ჟურნალი „ჩვენი დროშა“ და სხვ. ნოე ჟორდანიას წერილები და სტატიები დაიბეჭდა ფრანგულ და ინგლისურ პერიოდულ გამოცემებში. ეს ნაშრომები, მართალია, იმ ეპოქის (20-40-იანი წლები) პრობლემებს ეხებოდა და, ამდენად, სადღეისოდ მათში დასმული საკითხები შეიძლება აქტუალურად არც კი ჩანდეს. მიუხედავად ამისა, ნოე ჟორდანიას მიერ ემიგრაციაში გამოქვეყნებული ნაშრომები ძალზე საინტერესოა სულ მცირე სამი გაგებით: პირველი, ამ ნაშრომებში დასმული საკითხები იმხანად ძალზე მწვავე, მნიშვნელოვან საკითხთა წრეს განეკუთვნებოდა; მეორე, ყველა ნაშრომი საინტერესოა, როგორც ერთი ეტაპი, ერთი მიმართულება ქართული საზოგადოებრივი აზრისა; მესამე, ნაშრომების შესწავლისა და შეფასების გარეშე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შევიქმნით ნოე ჟორდანიასზე, როგორც მოაზროვნესა და პოლიტიკურ მოღვაწეზე, გაჭირდება მისი მსოფლმხედველობის სრულყოფილი აღქმა...

1925 წელს ჟურნალ „ბრძოლის“ მეხუთე და მეექვსე ნომრებში დაიბეჭდა ნოე ჟორდანიას უაღრესად საინტერესო ნაშრომი „ჩვენი ტაქტიკა“.¹⁴⁸ 1926 წელს ეს ნაშრომი ცალკე ბროშურად გამოიცა პარიზში. სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის წინაშე მდგარ ამოცანებს ნოე ჟორდანიას ორ ნაწილად ჰყოფს:

„სადღეისო – საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა და დემოკრატიული წყობილების დამყარება;

სასვალთო – კლასთა განსხვავების მოსპობა და სოციალიზმის დამკვიდრება“.¹⁴⁹

ამრიგად, ეროვნული საკითხი ავტორმა ამჟღავნადაც სოციალურზე წინ დააყენა, რადგან მას მიაჩნდა, რომ შემქნილ ვითარებაშიც კი არ შეიძლებოდა უარის თქმა საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაზე და მიმდინარე საკითხებით თავის მოტყუება: „საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნა არის არა უტოპია, არა გამოგონილი ოცნება, არამედ ის სრული რეალური მოთხოვნაა. ის დეკლარაციის ისტორიის შარა-გზაზე, როგორც აუცილებელი, შემოუვლელი საფეხური. უტოპიაში ვარდება მხოლოდ ამ საფეხურის მოწინააღმდეგე, მისი გვერდის

ამელეონი და „პატარა საქმეების“ მღალ-ღებელნი“.¹⁵⁰ ნაშრომში ნოე ჟორდანიას სვამს მეტად საჭირობოროტო კითხვას: „შესაძლებელია დღევანდელ რეალურ პირობებში საქართველოს სუვერენიტეტის აღდგენა?“ და იქვე პასუხობს: „საქართველოს განთავისუფლება შესაძლებელია, როგორც შედეგი შინაგანი და საგარეო კონფლიქტებისა... ასეთი კონფლიქტების წარმოშობა დამოკიდებულია არ ჩვენს ნება-სურვილზე, არა მის ნატვრაზე, ან მის უარისყოფაზე, არამედ სრულიად ობიექტურ, აუცილებელ პირობებზე“.¹⁵¹ ე. ი. ნოე ჟორდანიას მიიჩნევდა, რომ საქართველოს გათავისუფლება შესაძლებელი გახდება მხოლოდ მაშინ, თუ სსრ კავშირში შექმნილ კრიზისულ სიტუაციას დაემთხვეოდა ხელსაყრელი საერთაშორისო ვითარება.

ნოე ჟორდანიას „ჩვენი ტაქტიკის“ ჟურნალ „ბრძოლაში“ გამოქვეყნებამდე რამდენიმე თვით ადრე დაიბეჭდა ირაკლი წერეთლის ნაშრომი „ეროვნული მოძრაობა და სოციალური იდეალი“.¹⁵² ნაშრომიდან ჩანდა, რომ მისი ავტორი კვლავ მყარად იდგა ეროვნულისა და სოციალურის თანაფარდობის იმ გაგებაზე, რომელსაც ტრადიციულად აღიარებდა რუსული სოციალ-დემოკრატია. ირაკლი წერეთელი ამკარად გამოთქვამდა შიშს იმის თაობაზე, რომ სოციალურთან შედარებით ეროვნული საკითხის წინ დაყენება საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიას ნაციონალიზმად არ ჩათვლიდა, რაც, ავტორის აზრით, გამოიწვევდა ევროპის სოციალისტური პარტიების მხრიდან მხარდაჭერის დაკარგვას.¹⁵³ როგორც ვხედავთ, ქართულ სოციალ-დემოკრატიაში ერთმანთს დაუპირისპირდა ორი პოზიცია, ნოე ჟორდანიასა და ირაკლი წერეთლის მიმდინარეობა. 1925-1926 წლებში დაპირისპირება ამკარა და მძაფრი არ ყოფილა. უთანხმოებამ თავი იჩინა 1927 წელს.

1927 წელს ირაკლი წერეთელმა ქართულ ენაზე გამოსცა ბროშურა „ჩვენი ტაქტიკის ძირითადი საკითხები“.¹⁵⁴ ბროშურა გამოიცა ფრანგულ და რუსულ ენებზეც. ირაკლი წერეთელი არ მალავდა, რომ მას მცდარად მიაჩნდა ის ტაქტიკა, რომელსაც ნოე ჟორდანიას და ნოე რამიშვილი იცავდნენ, ე. ი. არ ეთანხმებოდა ეროვნული საკითხის პრიმატის აღიარებას. ირაკლი წერეთელს ნოე ჟორდანიას ტაქტიკის კრიტიკაში მხარი დაუჭირეს რ. აბრამოვიჩმა, ვ. ჩერნოვმა, ა. პოტრესოვმა, ა. კერენსკიმ და სხვებმა. ნოე ჟორდანიას წინააღმდეგ წამოყენებული ბრალდებები შეიძლება ორ ჯგუფად გაიყოს: 1) თითქოს ნოე ჟორდანიას საქართველოს გათავისუფლების ერთადერთ გზად ქართვე-

ლი ერის შეიარაღებულ აჯანყებას მიიჩნევდა; 2) თითქოს ნოე ჟორდანიას ორიენტაცია აღებული ჰქონდა იმპერიალისტურ კონფლიქტებზე და საქართველოს გათავისუფლებას უკავშირებდა ომს, რომელსაც უნდა მოჰყოლოდა ბოლშევიკური რეჟიმის დაცემა და საბჭოთა კავშირის დაშლა ეროვნულ სახელმწიფოებად.¹⁵⁵

აუცილებელი იყო ქართული სოციალ-დემოკრატიის ავტორიტეტის დაცვა. ეს მისია ბრწყინვალედ შეასრულა მისმა აღიარებულმა და შეუცვლელმა ლიდერმა. 1927 წლის აგვისტოში ჟურნალ „ბრძოლაში“ დაიბეჭდა ნოე ჟორდანიას პასუხი ირაკლი წერეთლის ბროშურაზე სათაურით „ტაქტიკაზე“,¹⁵⁶ ხოლო 1928 წელს რუსულ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე გამოიცა ნოე ჟორდანიას პოლემიკური ხასიათის ბროშურა „ჩვენი უთანხმოება“. პოლემიკა დასრულდა 1928 წელს ნოე ჟორდანიას მიერ რუსულ ენაზე გამოცემული ბროშურით „ИТОГИ“.¹⁵⁷ ქართული სოციალ-დემოკრატიის ლიდერის ეს უკანასკნელი ბროშურა იმითაც არის საინტერესო, რომ ავტორმა დამაჯერებელი პასუხი გასცა რუს სოციალ-დემოკრატებს. კერძოდ, ნოე ჟორდანიამ ნათლად აჩვენა: ბოლშევიკებისაგან დევნილი რუსი სოციალ-დემოკრატები ემიგრაციაშიც ვერ გათავისუფლდნენ კელიკორუსული შოვინიზმის გავლენისაგან.¹⁵⁸

განსაკუთრებულად გამოყოფისა და შეფასების ღირსია ნოე ჟორდანიას ნაშრომი „დემოკრატიის კრიზისი“, რომელიც ჟურნალ „ბრძოლაში“ გამოქვეყნდა 1927 წელს.¹⁵⁹ ეს ნაშრომი მანამდე ფრანგულ ენაზე გამოიცა. ნოე ჟორდანია მასში ასეთ უაღრესად საინტერესო დასკვნას აკეთებს: „ევროპა ამჟამათ იმყოფება ტირანიის ხანაში, მსგავსათ ძველი საბერძნეთისა მეექვსე საუკუნეში. კლასიკური მმართველობა იშლება, ჯგუფური მმართველობა წესდება. ეს ტალღა ძლიერდება, ახალ-ახალ ქვეყნებში გორდება და დემოკრატიას მესაფლავედ ეკლინება“.¹⁶⁰ ნოე ჟორდანიამ გამოთქვა ძალიან საყურადღებო მოსაზრება, რომ მოსალოდნელია ევროპის ქვეყნები რუსეთისა (ე. ი. ბოლშევიზმის) და იტალიის (ე. ი. ფაშიზმის) გზით წავიდნენ, თუმცა აქვე ოპტიმისტურად დასძენს: „ევროპა საკმაოდ ხალი სოციალური ერთეულია, რომ რუსების ექსპერიმენტს არ გააყვეს“.¹⁶¹ რარიც ძვირფასი და ანგარიშგასაწევია ნოე ჟორდანიას სხვა მიგნებებიც, თუნდაც, ასეთი: ავტორს მიაჩნია, რომ „ფაშიზმი, ისე როგორც ბოლშევიზმი, აღორძინდა დემოკრატიის უკლურებაზე გამოვიდა მისი იდეური და პოლიტიკური კრიზისიდან. ყველგან, სადაც

კი გაბატონდა სიტყვიერი დემოკრატია, ფაშიზმს გზა გაეხსნა. დემოკრატების მიერ დატოვებულ პოზიციებს ფაშისტები ეპატრონებიან“.¹⁶² როგორც ეხებადვთ, ნოე ჟორდანიამ სავსებით სწორად, შეუმცდარად იწინასწარმეტყველა ევროპის პოლიტიკური განვითარების ძირითადი მიმართულება იმ დროისათვის. თუ გავითვალისწინებთ, რომ ეს აღმოჩენა გაკეთდა 1927 წელს, დავრწმუნდებით, რა დიდ მოაზროვნესა და შორსმჭვრეტელ პოლიტიკოსთან გვქონია საქმე ნოე ჟორდანიას სახით...

იმავე პრობლემას შეესო მკვლევარი ნაშრომში „დემოკრატია“¹⁶³

მეორე მსოფლიო ომისა და ომის შემდგომ პერიოდში ნოე ჟორდანიას ლიტერატურული მემკვიდრეობა კვლავ გამდიდრდა რამდენიმე საინტერესო ნაშრომით, რომელთაგან აღსანიშნავია: „ჩვენი გზა“ (1941), „დღეს, ხვალ“ (1941), „ევროპა და კაცობრიობა“ (1943), „რა ხდება მსოფლიოში“ (1946), „ორი ქვეყანა“ (1950) და სხვ.

1941 წლის მაისში დაწერილ ნაშრომში „ჩვენი გზა“ ნოე ჟორდანიამ გამოთქვა რწმენა სსრ კავშირში ბოლშევიკური რეჟიმის დაცემისა. ეს ვარაუდი მკვლევარისა არ გამართლდა... მაგრამ ნაშრომში ეს არაა მთავარი. გაცუბასა და აღფრთოვანებას იწვევს ავტორის განუზომელი ერთადიცა და პოლიტიკური შორსმჭვრეტის ნიჭი. როგორ ზუსტად მიანიშნა მან საქართველოში ბოლშევიზმის რეჟიმის, ე. ი. საბჭოთა წყობილების დაცემის შემდეგ მოსალოდნელ დიდი ეროვნულ საფრთხეზე:

„ქართველი ხალხის საფრთხე გამომდინარეობს არა შინაგანი ძალთა-განწყობილებისაგან, არამედ უცხო ძალთა შემოსევისაგან შინაური ანტიხალხური ელემენტების წინამძღოლობით. გაბატონების მძიებელი ჯგუფი, თავის ერში მოკლებულნი ნიადაგს, ეძებენ დამხმარეთ გარეთ, ანაცვლებენ ერს უცხო იმპერიალისტებს, ოღონდ კი თვითონ ამით ხელი მოითბონ. საქართველო არაერთხელ დააქცია ამ მეთოდმა, ამ ვაჟბატონებმა და მოსალოდნელია განმეორება ამავე საშუალების ბოლშევიზმის დაცემის ხანაში, იუ კი ქართველობა, მთელი ერი თავის თავის სადარაჯოზე ფხიზლათ, მდგურათ არ დადგა“.¹⁶⁴

დაკვირვებული მკითხველი ამ მოკლე ამონაწერიდანაც კი ნათლად დაინახავს, თუ როგორი დიდი სიზუსტით იწინასწარმეტყველა ნოე ჟორდანიამ ორმოცი წლის შემდგომი პოლიტიკური და სოციალური პროცესები საქართველოში. ეს ფაქტი ნათელყოფს იმასაც, რომ მკვლევარი ეროვნული ფსიქოლოგიის და სულიერ მისწრაფებათა უარესად კარგი მცოდნე ყოფილა...

ევროპის პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური პროცესების ანალიზს ეძღვნება ნოე ჟორდანიას ვრცელი ნარკვევი „დღეს, ხვალ“, დაწერილი 1941 წლის სექტემბერში.¹⁶⁵ დღევანდელი ტერმინოლოგია რომ მოვიშველიოთ, ესაა შესანიშნავი პოლიტოლოგიური გამოკვლევა, დაწერილი მცირე მსოფლიო ომის ორი წლის თავზე. ნოე ჟორდანია გერმანულ ნაციონალურ-სოციალიზმსა და ბოლშევიზმს შორის ვერაერთარ განსხვავებას ვერ ხედავდა — ორივე ერთნაირად სძულდა. მას სურდა გერმანიის დამარცხება, მაგრამ ამავე დროს, სურდა სსრ კავშირის განადგურებაც... სწორედ ამიტომ მიიჩნევდა იგი მცდარ პოლიტიკურ კურსად ინგლის-ამერიკის დაახლოვებას სსრ კავშირთან. მოკლედ რომ ვთქვათ, ნოე ჟორდანიას სურდა ომში საფრანგეთის, ინგლისისა და ამერიკის შეერთებული შტატების გამარჯვება, გერმანიისა და სსრ კავშირის დამარცხება. ინგლის-ამერიკის კავშირი მოსკოვთან, ნოე ჟორდანიას აზრით, ევროპისათვის ცუდად დამთავრდებოდა: „შედგეი იქნება მთელი ევროპის კონტინენტის გასაბჭოება“.¹⁶⁶ ნოე ჟორდანიას წინასწარმეტყველება მთელი ევროპის გასაბჭოების შესახებ არ გამართლდა, მაგრამ გერმანიის სახელმწიფოს ორად გაყოფა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნა, ასევე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში ე.წ. სოციალისტური და სახალხო-დემოკრატიული წყობილების დამყარება სწორედ ის შედეგები იყო, რომელზეც 1941 წლის სექტემბერში დამარწმუნებელი არგუმენტაციით წინასწარმეტყველებდა ნოე ჟორდანია. საქართველოს დიდი გულშემატკივარს ურყევად სწამდა, რომ ევროპა ომებითა და ნგრევით დაადგებოდა ჭეშმარიტების გზას: „ახლა კაცობრიობა ბევრი ცდის და მარცხის შემდეგ მიაღება ისევ ძველ გზას — ინდივიდუალური წყობის შეცვლას სოციალურით. ოჯახი რჩება ძველებურათ, საგვარეულო წყობილება ფართოვდება ნაციონალურ წყობილებათ იმავე ძველი დრომით და შინაარსით: დაეხმაროს ადამიანს მიუცლებელი სასიცოცხლო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. ამ ხაზზე იარსებებს სამი მოქმედი საფეხური: ოჯახი, თემი, ერი. ამათი მოღვაწეობა ცალ-ცალკე თავის სფეროში და ერთად საერთო ამოცანებისათვის, ურთიერთის დახმარება და ხელის შეწყობა მოგვცემს მკვიდრ ურყევ საფუძველს, რომელზედაც აეგება თანამედროვე ნაციონალურ და ინტერნაციონალური სოციალური წყობილება“.¹⁶⁷

საყურადღებოა ისიც, რომ ნოე ჟორდანია ასეთი წყობილების აღმოცენებაზე ოცნებობდა თავისი მასშტაბებით არნახული ომისა და ნგრევის პირობებში.

ნარკვევში „დღეს, ხვალ“ დასმულ პრობლემებზე ნოე ჟორდანიას შემდგომშიც ბევრს ფიქრობდა. ამ განსჯისა და ანალიზის შედეგი იყო კიდევ ორი ნარკვევი: „ევროპა და კაცობრიობა“¹⁶⁸ და „რა ხდება მსოფლიოში“.¹⁶⁹ ამ ნაშრომებში ნოე ჟორდანიამ ღრმად გაანალიზა ომისშემდგომი ევროპის ქვეყანათა ბედი და პოლიტიკური, ეკონომიკური და სოციალური ინტეგრაციის პროცესები და მისი შედეგები. მკვლევარს სწამდა, რომ საბოლოოდ ევროპა მივა იმ იდეალურ ერთობამდე, როცა „ევროპას ყველა მიიღებს, ყველა დაენდობა და მის გზაკვალს გაყვება“.¹⁷⁰ დღეს ევროპის სახელმწიფოები თანაცხოვრების სწორედ ამ მოდელისაკენ მიისწრაფიან...

ცხადია, ნოე ჟორდანიას მიერ ემიგრაციაში დაწერილი ყველა ნაშრომის შეფასება ჩვენ ვერ შევძელით. მცირე ნარკვევის ფარგლებში ეს შეუძლებელიც იყო. ჩვენ მხოლოდ მივანიშნეთ ამ დიდი პოლიტიკური მოღვაწის ემიგრანტული პერიოდის სულიერი ცხოვრების ძირითად, მაგისტრალურ მიმართულებაზე.

და ბოლოს, გვინდა აღვნიშნოთ ხაზგასმით: ემიგრაციის მძიმე წლებში ნოე ჟორდანია სულით არ დაცემულა, სრულიად უიმედო სიტუაციაშიც კი თავის იდეალებზე უარი არ უთქვამს, სამშობლოს მტრებთან შერიგება გულშიაც არ გაუვლია. მისი ყოველი სიტყვა, ყოველი საქმე საქართველოს საკეთილდღეოდ იყო გაბიზნული. ასეთი ცხოვრება ერთეულების ხვედრია.

**„ბოლშევიზმი ამ ძველად დასტოვებს
მხოლოდ საზღავნის ძვას...“
(სოვეტოლოგიური მემკვიდრეობიდან)**

ნოე ჟორდანია საბჭოთა (კომუნისტური) სისტემის პირველი მეცნიერ-კრიტიკოსი იყო. ის, რასაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და ამერიკის შეერთებული შტატების ცნობილი სოვეტოლოგები და პოლიტიკოსები მეორე მსოფლიო ომის შემდგომ წლებში წერდნენ, ნოე ჟორდიანის დაწერილი და გამოქვეყნებული ჰქონდა უკვე 20-იანი წლების დამდეგსა და შუა ხანებში. სამწუხაროდ, ნოე ჟორდიანის სოვეტოლოგიური ნაშრომები მხოლოდ ქართულ ენაზე იბეჭდებოდა. რის გამოც ისინი ხელმიუწვდომელი დარჩა პოლიტიკოსთა და მეცნიერთათვის. დასაწყისია, რომ საბჭოთა სისტემის განვითარების გზები და პერსპექტივები, მისი გარდაუვალი კრახი ნოე ჟორდიანიმ დასავლეთის სოვეტოლოგებზე, სულ მცირე, 30 წლით ადრე მაინც იწინასწარმეტყველა დიდი მეცნიერული სიზუსტით, მაგრამ დაფნის გვირგვინი მას არ ერგო. ეს პატარა ერის შვილის ბუნებრივი, მაგრამ ტრაგიკული ხედვრია...

ჩვენ, ცხადია, ვერ შევძლებთ ყველა იმ გამოკვლევის მიმოხილვას, რომელშიც ნოე ჟორდანია საბჭოთა სისტემის კრიტიკას იძლევა. შევჩერდებით მხოლოდ შემდეგ ძირითად ნაშრომებზე: „ბოლშევიზმი“ (პარიზი, 1922), „ჩვენ და ისინი“ (პარიზი, 1924), „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“ (პარიზი, 1925). გარდა ამისა, ნოე ჟორდიანის სოვეტოლოგიური მემკვიდრეობის შესწავლის თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა სტატიები და წერილები: „სოციალური დესპოტია“ (1926), „ნაციონალური სოციალიზმი“ (1926), „საბჭოთა ეკონომიკა“ (1926), „ინდუსტრიალიზაცია“ (1926), „საბჭოთა წყობილების ახალი პერსპექტივები“ (1927) და სხვ.¹⁷¹

1922 წელს პარიზში ქართულ ენაზე გამოიცა ნოე ჟორდიანის ნაშრომი „ბოლშევიზმი“.¹⁷² ამ დროს 1917 წლის 25 ოქტომბრის კონტრრევოლუციური სახელმწიფო გადატრიალებიდან ხუთი წელი

იყო გასული. ბოლშევიკების რეჟიმმა გაუძლო სამოქალაქო ომსა და ინტერვენციას. მსოფლიო იძულებული გახდა შერიგებოდა საბჭოთა ქვეყნის არსებობას. მიუხედავად ამისა, ნოე ჟორდანიას ეჭვიც კი არ შეჰპარვია, რომ საბჭოთა სისტემა განწირული იყო. საბჭოთა წყობილების აღსასრული მას ასე წარმოედგინა: „საწარმოო ძალთა სრული განადგურება, წინეთ დაგროვილი სიმდიდრის გაფლანგვა და მოსპობა, კულტურის საერთო დაცემა, ლიტერატურული და სულიერი გაღატაკება, სახელმწიფოს სრული უმწეობა და მისი უცხო კაპიტალის საჯიჯგნად გადაქცევა“.¹⁷³ დიდი დაკვირვება არ არის იმისათვის საჭირო, რომ მიხედვით: 80-იანი წლების სსრ კავშირს მთლიანად და ზუსტად აუსრულდა ნოე ჟორდანიას წინასწარმეტყველება. მკვლევარი აღნიშნავს, რომ ბოლშევიკების მიერ განხორციელებული მთელი მატერიალური ფასეულობის ნაციონალიზაცია არაფერ საერთოს არ ატარებდა სოციალიზმთან: „მთელი ნივთიერი ქონების ნაციონალიზაცია იყო ყოველთვის საფუძველი აღმოსავლეთის დესპოტიზმის, მათ შორის რუსულისაც“.¹⁷⁴ ამ სიტყვების ჭეშმარიტება საბჭოთა ცხოვრების სინამდვილემ უფრო ადრე, უკვე 30-იანი წლების შუა ხანებისათვის დაადასტურა. საბჭოეთის იდეოლოგიური მესაფლავე რუსეთის ხსნის გზებსაც იკვლევდა... გამოსავალს უზარმაზარი ქვეყნისათვის ნოე ჟორდანია შემდეგში ხედავდა: „რუსის ხალხმა პირველათ თავის ისტორიის განმავლობაში მიიღო თვალსაჩინო გაკვეთილი და მრავალი ტანჯვისა და წვალების საფასურით შეიძინა ის სიბრძნე, რომ გარეშე ევროპული ცხოვრების ფორმებისა მისი ხსნა არსადაა; შეიგნო, რომ, მართალია, რუსეთი ევროპა არ არის, მაგრამ უნდა გახდეს, უნდა მის ხატად და სახედ გარდაიქმნას“.¹⁷⁵ როგორც ვხედავთ, ის, რაც ნოე ჟორდანიასათვის სავსებით ნათელი და უდავო იყო 1922 წლისათვის, რუსმა პოლიტიკოსებმა სამოცდაათი წლის შემდეგ ძლივს შეიგნეს. ბოლო წლებში რუსი პოლიტიკოსების ნაწილი ცდილობს რუსეთი ევროპულ ქვეყანად აქციოს, მაგრამ, როგორც ჩანს, მათ ჯერ კიდევ მრავალი ბრძოლის გადახდა მოუწევთ ამ გზაზე. ნოე ჟორდანიას მტკიცედ სწამდა, რომ ბოლშევიზმი ამქვეყნად დატოვებდა მხოლოდ საფლავის ქვას, რომელზედაც შთამომავლობა ასეთ წარწერას გააკეთებდა: „აქ განისვენებს რუსული ნილილიზმი“.¹⁷⁶ ნოე ჟორდანიას ეს კატეგორიული დასკვნაც ჭეშმარიტი აღმოჩნდა.

ბილშევიზმისა და საბჭოთა სისტემის კრიტიკა საინტერესოდ და ორიგინალურად არის მოცემული ნოე ჟორდანიას ნაშრომში „ჩვენ და ისინი“.¹⁷⁷ მკვლევარი ანალიზებს ბილშევიზმის სისხლიან ისტორიას და დაასკვნის: „ბანდიტიზმი ბილშევიკების თანდაყოლილი სენია, მისი განუყოფელი თვისებაა. როგორც კი სახელმწიფო ძალა-უფლება ხელში ჩაიგდეს, ეს მათი სანაქებო მცნება გამოცხადდა სახელმწიფო მცნებათ, ბანდიტიზმი საბჭოთა პოლიტიკად“.¹⁷⁸ საბჭოთა ეკონომიკური სისტემის ღრმა ანალიზის შედეგად ნოე ჟორდანიამ გააკეთა უაღრესად სწორი და დამაჯერებელი დასკვნა: „რუსეთი სულდგმულობს კერძო ეკონომიკით, სახელმწიფო ეკონომიკა დაცემულია; ის თანდათან სუსტდება, ქრება ან ტვირთად აწევს კერძო ეკონომიკას. ამ კერძო ნივთიერ საძირკველზე აგებულია ისეთი პოლიტიკური წყობილება, რომელიც უარყოფს მთელ ამ საძირკველს – მათ შორის მკაცრი წინააღმდეგობაა. აქედან წარმოსდგება კომუნისტური პარტიის მთელი ტრაგედია, მისი დაუცხრომელი, მოუსვენარი მეცადინეობა წყალზე ფეხით გაჩერდეს, სული კბილით შეინარჩუნოს. ვინაიდან კომუნიზმის არაერთგვაროვანი რეალური საფუძველი არა აქვს, ამიტომ ის იღებს ორ ფორმას – ეკონომიკაში ბანდიტურს, პოლიტიკაში ტერორისტულს“.¹⁷⁹ საბჭოთა ეკონომიკური სისტემა, ნოე ჟორდანიას აზრით, აუცილებლად მოვიდოდა კონფლიქტში მსოფლიოს ეკონომიკასთან. ყოველი მცდელობა საბჭოთა და ევროპის ქვეყნების ეკონომიკათა შეჯახების თავიდან აცილებისა ამაო იქნებოდა: „უნდა მოხდეს ორში ერთი: ან საბჭოთა რუსეთი არღვევს მის წინააღმდეგ ამართულ ევროპის კედელს, ან ევროპა არღვევს საბჭოთა კედელს; ან ევროპა უნდა გარუსდეს, ან რუსეთი გაევროპელდეს“.¹⁸⁰ იქვე ნოე ჟორდანია იმასაც დასძენს, რომ რუსეთის არაერთგვაროვანი შანსი არა აქვს ევროპის გარუსებისა.¹⁸¹ ამ შემთხვევაშიც საკვებით სწორი აღმოჩნდა ნოე ჟორდანიის: ევროპამ დაარღვია, უფრო სწორად, საბჭოთა წყობილება აიძულა თვითონ დაერღვია მის მიერვე აგებული კედელი.

1924 წელს გამოცემულ ნაშრომში „საბჭოთა წყობილება“ ნოე ჟორდანია სსრ კავშირში შექმნილ სიტუაციას ასე ახასიათებს: „ყველა კლასი, ყველა საზოგადოებრივი წრე შეეწროვებული და შეწუხებულია, არავის არაერთგვაროვანი უფლება არა აქვს, არც პოლიტიკური, არც მოქალაქეობრივი, არც ეკონომიკური. მთელი უფლება მისიაკუთრა სახელმწიფო აპარატმა, ის სჭრას და კერავს სურვილისამებრ.

საზოგადოების ჩაყლაპვა სახელმწიფოს მიერ სრულია“.¹⁸² მოლიანად საბჭოთა სისტემას კი ნოე ჟორდანიამ ასეთი მომავალი უწინასწარმეტყველა: „საბჭოთა საწარმოო მონოპოლიის შენახვა ეკონომიურად ყოველად შეუძლებელია. მოსკოვის სამეფოს ეკონომიკას მეოცე საუკუნეში სიცოცხლე არ უწერია, და თუ ის არსებობს – ამის მიზეზია არა ეს საწარმოო ფორმა, არამედ წინ ჩდელი, კაპიტალისტური საწარმოო ფორმა, რომელმაც საკმაო სიმდიდრე დააგროვა და საბჭოთა ბატონებს დაუტოვა. აი ამ სამკვიდროს უკანსკნელი ნაშთები დღეს იხარჯება; საბჭოთა მონოპოლია იძულებულია თავისი თავი შეინახოს და აქ იწყება მისი კრიზისი, მისი გატეხა. მოისპობა ის შიგნიდან თუ გარედან. უცხო კაპიტალის კარნახით თუ ხალხის ძალდატანებით – შედეგი ერთი და იგივე იქნება. მონოპოლიის დაცემა ნიშნავს საბჭოთა სისტემის დაცემას და რუსეთის მსოფლიო საწარმოო სისტემაში შებრუნებას“.¹⁸³ მკითხველმა შეიძლება თქვას, რომ ნოე ჟორდანიას „დღეს“ საკმაოდ დიდხანს, თითქმის სამოცდაათი წელიწადი გაგრძელდა. ჯერ ერთი, სამოცდაათი წელი არც თუ ისე დიდი პერიოდია ისტორიისათვის და მეორეც, ნოე ჟორდანიას სიტყვა „დღეს“ მისი პირდაპირი გაგებით არ უხმარია, იგი გულისხმობდა გარკვეულ ეპოქას. მის დასკვნებში მთავარი ისაა, რომ საბჭოთა ეკონომიკური სისტემა აუცილებლად მოისპობა და რუსეთი იძულებული გახდება მსოფლიო ეკონომიკურ სისტემას დაუბრუნდეს. ეს მიგნება სავსებით სწორი აღმოჩნდა. კიდევ უფრო მნიშვნელოვანია ავტორის დასკვნა იმის შესახებ, რომ საბჭოთა ეკონომიკური სისტემის კრახის შემდეგ რუსეთის მსოფლიო ეკონომიკურ სისტემაში დაბრუნება ადვილი არ იქნებოდა, ეს იქნებოდა ხანგრძლივი და მტკივნეული პროცესი: „ეს პროცესი მწყობრათ, რასაკვირველია, არ იწარმოებს. მონოპოლიის დაცემის შემდეგაც რუსეთი დიდხანს იბადუნებს სლავიანოფილურ ჩიხებში, აგრარიულ და პოლიტიკურ უტოპიებში. ამით დაიწყება ახალი ხანა რუსეთის სოციალური და პოლიტიკური ქარტეხილებისა“.¹⁸⁴ ეს სიტყვები იმდენად ზუსტად გამოხატავს რუსეთის ცხოვრების დღევანდელობას, რომ ეჭვიც კი შეიძლება შეეპაროს ადამიანს ნაშრომის დაწერის თარიღში. ფაქტი ერთია: ეს სიტყვები იწერებოდა 1924 წელს, იწერებოდა ავტორის უტყუარი პოლიტიკური ალლოსა და საოცარი წინასწარმეტყველური განჭკერების მეოხებით...

ნოე ჟორდანიას თვლიდა, რომ სსრ კავშირში სოციალიზმი არ შენდებოდა. ბოლშევიკების მიერ, სოციალისტურად წოდებულ სისტემას იგი „მუჟიკურ კომუნიზმს“ უწოდებს, რომელსაც არაფერი ჰქონდა საერთო ჭეშმარიტი სოციალიზმის იდეებთან. ქართველი სოვეტოლოგი დარწმუნებული იყო: სოციალიზმის იდეები ფეხს ვერ მოიკიდებდა რუსეთში, რადგან მისი განვითარების დონე საამისოდ ძალიან დაბალი იყო. 1925 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“ ნოე ჟორდანიას საბჭოთა სისტემის გამარჯვების მიზეზს კვლავ რუსი ხალხის ჩამორჩენილობაში ხედავს: „რუსეთის ველურ აუდიტორიას ველური წინამძღოლი შეეფერება. უეცი ხალხის დაჯერება ადვილია, როცა ის თავისუფლებას მოკლებულია“.¹⁸⁵ რუსეთის „ველურ წინამძღოლებს“, ანუ ბოლშევიკებს კი ნოე ჟორდანია ასე ახასიათებს: „როცა ბარბაროსი გერმანელი რომის იმპერიას შეესივნ, დაიწყეს პირველ ყოვლისა ქალაქების დაბნევა. ტყის ხალხს ტყე ურჩევნოდა. როცა რუსის ბარბაროსები — ბოლშევიკები — შეესივნ რუსეთს, დაიწყეს მრეწველობის დანგრევა, პროლეტარიატის დარღვევა და ხმლის რეჟიმის დამკვიდრება. ველურს ველურობა ურჩევნია“.¹⁸⁶

და ბოლოს, ნოე ჟორდანიას პოლიტოლოგიურ მემკვიდრეობაზე საუბარი გვინდა დავამთავროთ წინასწარმეტყველური სიტყვებით ნაშრომიდან „ნამდვილი და ყალბი კომუნიზმი“. პირველ რიგში, კიდევ ერთხელ უნდა გავიძიოროთ, რომ მკვლევარის საუკეთესო აღმოჩენად მიგვაჩნია საბჭოთა სისტემის მისეული შეფასება, გამოხატული ტერმინით „მუჟიკური კომუნიზმი“. სწორედ ამ „მუჟიკური კომუნიზმის“ შესახებ წერდა ნოე ჟორდანია, რომ იგი („მუჟიკური კომუნიზმი“) „ორ-ღობეში მიჩინულთა ნაცოდვილევი, წარმავალი ეპიზოდია, რომელიც გაქრება მაშინვე, როგორც კი რუსეთი ევროპისაკენ პირს იბრუნებს“¹⁸⁷ პერუსტროვიკის წლებში სსრ კავშირმა დასავლეთისაკენ (კაპიტალისტური სამყაროსაკენ) პირი იბრუნა და ნოე ჟორდანიას მიერ სამოცი წლის წინ ნათქვამიც სიტყვა-სიტყვით აღსრულდა: საბჭოთა წყობილება „გაქრა“.

სამწუხაროდ, ნოე ჟორდანიას ამ დღეს ვერ მოესწრო, კიდევ უფრო სამწუხაროა, ის, რომ ჩვენ მხოლოდ დღეს ვიწყებთ ნოე ჟორდანიას უმდიდრესი სოვეტოლოგიური მემკვიდრეობის გააზრებას. დღეს ამგვარ კვლევას მხოლოდ ის მნიშვნელობა აქვს, რომ მისი მეშვეობით ჩვენ სრულეყოფით ნოე ჟორდანიას პოლიტიკური პორტრეტი.

ის, რითაც უნდა გვეამაყა, დიდი ხნის მანძილზე დავიწყებული გვექონდა.

„ჩვენი ნოე ჟორდანია ძალაქს დაბრუნდებოდეს...“

(ბოლოთქია)

გასრულდა ბობოქარი დღენი სიცოცხლისა. გასრულდა შემოქმედებითი ნააზრევის კკალდაკვალ სულაც... საცაა, ჩვენი საოქმელიც გასრულდება, ამიტომ გვინდა კიდევ ერთხელ შევეცადოთ ნოე ჟორდანია მონუმენტური პიროვნების როლის განჭვრეტას.

ილია ჭავჭავაძის შემდეგ ქართველთაგან იმ ქვეყნად ყველაზე ვალდებულნი ნოე ჟორდანია წავიდა. მიუხედავად ამისა, მისი აღიარება, მისი ნააზრევისა და ნაღვაწის ობიექტურად შეფასება უსაშველოდ დაგვიანდა. მთელი ცხოვრების მანძილზე ნოე ჟორდანია ორმხრივ თავდასხმას განიცდიდა. მას ერთნაირი თავდავიწყებით ებრძოდნენ ბოლშევიკები და ეროვნულ-დემოკრატები. პირველნი ნოე ჟორდანიას „ნაციონალისტობასა“ და „წვრილი ბურჟუაზიის იდეოლოგობას“ სდებდნენ ბრალად, მეორენი – გადაჭარბებულ „ინტერნაციონალიზმს“. ან ერთნი იყვნენ მართალნი და ან – მეორენი. ორივენი მართალნი ვერ იქნებოდნენ. ორივენი პარტიულ პოზიციას გამოხატავდნენ, ორივენი რაღაც მიზნისკენ მიდიოდნენ.

ქართველ ერს არ ჰქონია არავითარი პარტიული მიზანი. ერი ყოველ პარტიაზე მალა დგას. მისი სიყვარული და სიძულვილი ყველაზე უტყუარი საბუთია პოლიტიკური მოღვაწის შეფასებისას...

1921 წლის თებერვალ-მარტში თბილისის ქუჩებში საბჭოთა რუსეთის მე-11 არმიის „საგანგებო განყოფილებისა“ და „საქართველოს საგანგებო კომისიის“ განუკითხავი თარეშის პირობებში მომხდარისაგან დაზაფრული ხალხი მოდარაგე თვალისაგან ძალუღად ასე მღეროდა:

„ნატვრა მომცა, ნატვრა მომცა, ნატვრა ამიხდებოდეს,
ლენინ-ტროცკი-მახარაძე სახრჩობელას სწევოდეს,
ჩვენი ნოე ჟორდანია ქალაქს დაბრუნდებოდეს...“

ასეთი ალაღმართალი, გულწრფელი ნატვრით აღბეჭდილი ფოლკლორული ნიმუში ალბათ არაერთი შეიქმნებოდა მაშინ. კიდევ

ერთი სიმღერა იყო თურმე მაშინ ძალზე პოპულარული, რომელიც ასე მოაეროდებოდა:

„ჟორდანიას უთხარი, მალე ჩამობრძანდით...“

სამწუხაროდ, ძალზე დაგვიანდა ნოე ჟორდანიას საქართველოში „ჩამობრძანება“. რატომ დააჩაღლეს მას მთაწმინდის ან, ბოლოსდაბოლოს, მშობლიური ლანჩხუთის მიწა, – მამა-პაპათა საქვალე? ნუთუ შორეული ლევილის მიწაში უნდა განისვენებდეს საქართველოზე ფიქრში სვედამწარებელი კაცის ძეგლები? ან რატომ არ უნდა გვექონდეს თბილისში დიდი მამულიშვილის სახელობის ქუჩა ან მოედანი? მევანი და მევანი ვისზე და რატომ იძიებს შურს ასე დაუსრულებლად, ასე უსამართლოდ? ან რატომ აშინებს ნოე ჟორდანიას პოპულარობა?

ამ კითხვებს პასუხი უნდა გაეცეს. ჩვენ კი გვწამს, რომ ნოე ჟორდანია – „მესამე დასის“ დამაარსებელი, ახალი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მიძრაობის იდეოლოგი და ხელმძღვანელი, საქართველოს ეროვნული საბჭოს თავმჯდომარე, ილია ჭავჭავაძის საქმის დამგვირგვინებელი, საქართველოს დამოუკიდებლობის უმთავრესი შემოქმედი, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე და ქართული ემიგრაციის ლიდერი, სამშობლოს მტრებთან შეურიგებელი პოლიტიკური მოღვაწე, უსაზღვრო დემოკრატი და ჰუმანიზტი – საქართველოს ისტორიის განუყოფელი ნაწილია.

ამიტომაც მისი დაბრუნება, მისი აღიარება გარდაუვალია!

VAKHTANG GOUROULI

NOÉ JORDANIA

PORTRAIT POLITIQUE (résumée)

L'avant propos – Noé Jordania est entré dans les annales de la nouvelle histoire de Géorgie en tant qu'un penseur éminent et qu'un homme d'Etat de grand renom. Après l'assassinat d'Ilia Tchavtchavadzé c'est lui qui assume le rôle d'un leader politique, dont il s'aquitte dignement. Comme penseur, il attira l'attention de la société géorgienne depuis les années 90 du XIX^e siècle quand il élaborait le programme de *messamé dassi* et publia ses premiers ouvrages. Avant et pendant la révolution de 1905-1907 le nom de cet homme politique est connu dans tout l'Empire russe. Il est considéré comme un des chefs incontestables du mouvement socio-politique géorgien. En même temps il jouit l'estime de l'élite social-démocrate russe. Dans les années qui suivent la révolution il se signala comme un penseur et un homme politique hors du commun. Dans les années 1917-1921 cette grande figure politique fait des preuves de toute sa vigueur. C'est grâce à la stratégie et à la tactique conçues par lui que la Géorgie obtint son indépendance le 26 mai 1918. Jusqu'à sa mort il resta le leader de l'émigration géorgienne, qui répugnait à l'idée de pactiser avec les ennemis et les détracteurs de sa patrie.

Malgré cela les historiens avaient mis assez de temps à comprendre et à apprécier cet homme d'Etat, à lui attribuer la place qui lui revenait de droit.

Les repères – La vie de Noé Jordania est tellement mal étudiée qu'on est actuellement dans l'impossibilité de situer avec justesse sa date de naissance: on a à choisir entre deux dates : le 2 janvier 1868 ou 1870. On ne saurait dire à laquelle de ces deux témoignages il faut se fier. Les documents que nous avons pu trouver dans l'Archive historique d'Etat nous permettent de prétendre que Noé Jordania aurait été né le 3 mai 1869. Il était le fils d'un propriétaire foncier du district de Koutaïssi. Sa famille vivait dans le village de Lantchkhouti. Après avoir fait ses études secondaires, d'abord dans une séminaire orthodoxe de Koutaïssi et ensuite dans celle de Tbilissi, Jordania s'inscrit à l'institut vétérinaire de Varsovie qu'il abandonna sans peine à cause d'une maladie. Il passa quatre ans en Europe. Durant ces années, il suivait des cours aux Universités de Berlin, de Munich et de Genève. A l'âge de 27 ans, à Genève, il obtint un diplôme d'orientaliste.

Le début de la carrière politique – D'habitude, en parlant des premiers pas de Jordania sur l'arène politique on fait mention de la création de *messamé dassi* (une organisation politique géorgienne – « troisième groupe »). Mais les documents historiques conservés dans l'Archive démontrent nettement qu'un peu avant cette date il était déjà un membre actif de la *Ligue de la libération de la Géorgie*, une organisation à l'orientation nationale-démocrate. Il est à noter qu'au départ il adhéra au mouvement dirigé par Ilia Tchavtchavadzé et collaborait dans son journal *Ivéria*. Un peu plus tard, étant un des correspondants du journal *Kvali*, il continuait sa coopération avec *Ivéria*. C'est à la demande de Tchavtchavadzé qu'il écrivit en 1895 un vaste article intitulé *Création des parties politiques en Allemagne*.

Le chef de la ligue de la social-démocratie géorgienne – En fondant *messamé dassi* et en rédigeant le programme de cette organisation Noé Jordania posa les fondements d'un nouveau mouvement politique – la social-démocratie géorgienne. *Messamé dassi* prit les dimensions d'une partie politique à l'échelle nationale. En préparant son programme Noé Jordania se guidait sur les idées des grands penseurs géorgiens contemporains (Ilia Tchavtchavadzé, Niko Nikoladzé, Guiorgui Tsérééli, Serguëi Meskhi). En même temps il se référait aux conceptions de sociaux-démocrates européens développées dans leurs programmes politiques. On peut citer en l'occurrence les noms d'Edouard Bernstein et de Karl Kautsky. Noé Jordania prit d'emblée ses distances vis-à-vis de la social-démocratie russe. Son activité dans les années 90 du XIX^e s. mit en relief son orientation idéologique occidentale. Il s'imposa la grande mission d'établir en Géorgie l'ordre social et politique semblable à celui de l'Europe occidentale. Mais en souhaitant l'euro-péisme il refusait de sacrifier à ce processus historique l'indépendance et l'originalité de son pays natal. « La Géorgie et l'Europe », « L'esprit géorgien joint à l'esprit européen ». Voilà ses mots d'ordre. L'idée de forcer le processus naturel de l'histoire le révoltait toujours. Selon lui, la révolution socialiste et l'anéantissement de la bourgeoisie ne profitaient en aucun cas aux intérêts de la classe moyenne. Il était persuadé que les grands problèmes sociaux cuisant pouvaient être résolus au sein même de la classe bourgeoise.

Cette époque de son activité voit paraître toute une série de ses ouvrages : *Le succès économique et la nationalité*; *Les publications de la revue « Moambé »* ; *« Ivéria » et le problème de nationalité* ; *Les hommes d'Etat des années 60 et l'actualité*.

La controverse avec Ilia Tchavtchavadzé – Le début de la carrière de Noé Jordania (les années 90 du XIX^e s.) est imprégné de l'influence plus ou moins considérable d'Ilia Tchavtchavadzé.

Le programme national-démocrate (1892) qui reste introuvable, aurait dû être élaboré dans l'esprit d'idée de Tchavtchavadzé. Mais un lecteur attentif aurait pu déceler une assez grande divergence d'opinions. En 1893 Ilia Tchavtchavadzé renonça à publier dans son journal l'article de Jordania *Le succès économique et la nationalité*, en outre, en 1895 il interrompit la publication de la *Création des parties politiques en Allemagne*. Mais tout cela n'aggravait pas encore l'opposition qui existait entre eux. Par la suite, malgré l'incompatibilité idéologique, tous les deux essayaient d'éviter de s'affronter la visière levée et de se lancer des flèches de critique amère. Tout au contraire, vers la fin de 1897, Tchavtchavadzé proposa au jeune publiciste le poste de corédacteur d'*Ivéria*, mais Jordania déclina cette offre prestigieuse. La polémique fut engagée par la série d'articles de Jordania *la Presse* qu'il publiait dans la revue *Kvali*. La même année cette série prit corps d'une édition séparée sous le titre de *La presse géorgienne*. En guise de riposte, qui ne tarda pas, Ilia Tchavtchavadzé sous un nom d'emprunt de « nouveau venu », publia quatre articles dans son journal. Nous devons souligner que contrairement à ce que prétendent de maintes ouvrages historiographiques, les invectives de Jordania n'avaient pas pour but de dénigrer l'importance littéraire ou politique de l'œuvre de Tchavtchavadzé, ni de noircir la personnalité du grand écrivain et penseur géorgien. La critique menée par Jordania portait sur ce qui lui paraissait erroné dans la pensée de son rival opposant. Cette polémique fait état de l'opposition de visions du monde qui caractérisent deux époques différentes, de deux manières de concevoir des événements historiques ou politiques et cela nous paraît tout à fait naturel et normal compte tenu du développement historique, politique et économique de la Géorgie: à la limite de deux siècles Jordania était loin de se prendre pour celui qui détenait la vérité objective de la plus haute instance. A preuve, cette phrase finale de son ouvrage: « Que l'histoire soit notre juge ».

Les relations avec la social-démocratie russe – Des le début de sa carrière politique Noé Jordania décida de se tenir à l'écart du mouvement social-démocrate russe représentée à l'époque par Plékhanov et Lénine. *Messamé dassi* en tant qu'une organisation socio-politique nationale n'entretenaient aucuns rapports idéologiques avec des centres politiques russes : *La libération du travail*, un parti constitué par Plékhanov et *L'Union de lutte pour la libération de la classe ouvrière* fondée par Lénine et Martov. Des responsables du parti social-démocrate géorgien ne prient pas part à la préparation et au travail du I Congrès du parti ouvrier social-démocrate de Russie (1889). Il est évident que la positions de Jordania était inadmissible pour les leaders sociaux-démocrates russes bourrés d'un chauvinisme outrancier (Plekhanov, Akselrod, Lénine, Martov etc.). Ceux-ci avaient l'intention de rassembler tous les partis sociaux-démocrates parsemés sur le territoire de l'Empire pour en faire une organisation sociale-démocrate unifiée qui aurait eu une orientation purement et nettement russe, tandis que les dirigeants de *messamé dassi* n'avaient pas d'yeux que pour l'Europe et son chef ne souffrait aucune atteinte à l'indépendance de son parti. Conformément aux visées des sociaux-démocrates russes de nombreux messages russes et étrangers affluaient en Géorgie avec une mission spéciale qui avait pour l'objectif propagation et la diffusion des idées de la social-démocratie russe. *Messamé dassi* avait su tenir tête aux attaques et aux menées de ces intrus mais à partir de 1901 une organisation récemment surgie à la surface politique et dirigée par Josephe Djougachvili, Lado Ketskhoveli, Abèle Enoukidzé et d'autres entra en lice pour faire opposition au parti de Jordania. Malgré le renforcement évident de l'emprise idéologique russe en Géogegie Noé Jordania ne cède pas le terrain et ne change pas de plate-forme politique. Il ne participe pas au II Congrès de parti ouvrier social-démocrate russe qui eût lieu dans les années 1900-1903. En 1903 la situation entra dans une phase critique : l'attitude de sociaux-démocrates russes

15. გოგიტა ფალავა
16. პორფილე წირქვაძე
17. გიორგი აფხაზავა

18. ნიკო იობაშვილი
19. ალექსანდრე ბადრიძე
20. ილიკო გოგელია
21. თედორე კიკვაძე
22. არსენ მამულაშვილი
23. პავლე წულგია
24. გიზო ანჯაფარიძე
25. კარპე მოღებაძე
26. ალექსანდრე ჯაფარიძე
27. ვლადიმერ ქუთათელაძე
28. გიორგი ცინცაძე
29. იუნუს წულუკიძე

**სამახმადიანო საქართველო
წევრები:**

1. ჯამალ-ბეგ ხიმშიაშვილდი
2. მემედ-ბეგ აბაშიძე
3. რე(ჯ)ებ-ბეგ ნიჟარაძე

კანდიდატები:

1. პასან-ეფენდი ლორთქიფანიძე
2. ისაკი-ეფენდი ხალვაში
3. სულეიმან-ეფენდი ტაბახიძე

სოხუმის ოლქი – ორი

ქართ. ოსებს – ერთი

ზაქათალის ოლქს – ერთი

თავმ. ნ. შორღანიას

[1917 წლის 22 ნოემბრამდე]

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საინსტორიო არქივი, შონდი 1836, აღწერა 1, საქმე 124, ფურცლები 1-2. შენეკრით ნაწერი. დედანი. ნომ შორღანიას ავტობრაფი და ხელრთვა.

**№10. საქართველოს პირველ ეროვნულ ყრილობაზე ნოე
ჟორდანიას მოხსენების – „დღევანდელი მომენტი და
ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობა“ – გამო
მისაღები რეზოლუციის პროექტის შემოშუაგებელი
ეროვნულ-პოლიტიკური სემციის სხდომის ოქმი.
1917 წლის 19 ნოემბერი**

19 ნოემბერი 1917 წელი

**პირველი ქართული ეროვნული ყრილობა
ეროვნულ-პოლიტიკური სექციის სხდომის ოქმი**

ინტერპარტიული საბჭოს დავლებით ნ. ჟორდანიას მიერ წაკითხული მოხსენების – „დღევანდელი მომენტი და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობის“ – გამო რეზოლუციების შესამუშავებლად საქართველოს პირველმა ეროვნულმა ყრილობამ გამოყო ეროვნულ-პოლიტიკური სექცია, რომელშიაც შევიდნენ ყველა პოლიტიკურ ფრაქციათა წარმომადგენლები:

სოციალ-დემოკრატებისაგან: *ნ. ჟორდანია, გრ. გიორგაძე, ე. ჯუჯული, გრ. ურატაძე, კ. გვარჯალაძე, მ. კლიძიაშვილი, გ. ფაღაუა, დ. ონიაშვილი.*

სოციალისტ-ფედერალისტებისაგან: *გიორგი ლახსიშვილი, გრ. რტხილაძე, გრ. გველეხიანი, იასონ ბაქრაძე, ი. ფანცხავა, ს. ფირცხალავა, დიტო უზნაძე, აკაკი ფაღაუა.*

სოციალ-დემოკრატებისაგან (აღიონელებისაგან): *პ. საყვარელიძე, დ. სულიაშვილი, ლეო შენგელაია, ნიკ. ქარცივაძე.*

სოციალისტ-რევოლუციონერებისაგან: *ივ. გობერია, იოსებ გობერია, პარ. საბაშვილი.*

ნაციონალ-დემოკრატებისაგან: *გიორგი გვაზავა, გრ. ვეშაქელი, ვას. წერეთელი, მალუა ამირეჯიბი, ტ. ტაბიძე, ლ. ჯაფარიძე, დ. გურამიშვილი, ირ. ამირეჯიბი.*

სექციის თავმჯდომარეთ ყრილობის მიერ არჩეული იყო *ივ. გობერია*, მდინად სექციამ აირჩია *აკაკი ფაღაუა* პირველი სხდომა დაიწყო საღამოს 10 ს. საკრებულოს დარბაზში.

პირველად რეზოლუციის პროექტს კითხულობს *ნ. ჟორდანია*:

„ქართული ეროვნული ყრილობა, მოისმინა რა მოხსენება ნ. ჟორდანიასი შესახებ დღევანდელი მომენტისა და ქართველი ერის პოლიტიკური მდგომარეობისა, ადგენს:

1. ქართველი ერი, როგორც ამ ასი წლის განმავლობაში, სდგას რუსეთის ორიენტაციის ნიადაგზე.

2. ქართველ დემოკრატამ დღიდან თავისი პოლიტიკური არსებობისა თავისი სვებელი მჭიდროდ დაუკავშირა რუსეთის დემოკრატის და მასთან ერთად მოქმედებით ფიქრობს თავისი პოლიტიკური, ეკონომიური და ნაციონალური მისწრაფებანი განახორციელოს.

3. რუსეთის შუაგულში გაჩაღებული სამოქალაქო ომის მეოხებით დღეს არ არსებობს ერთი ცენტრალური რევოლუციური მთავრობა, ცნობილი მთელი რევოლუციური რუსეთის მიერ. ამ გარემოებამ აიძულა ყველა განაპირა ქვეყნები და მათ შორის ამიერკავკასიაც თავისი შინაური საქმეები თავისივე ძალ-ღონით მოაგვარონ და შესაფერი დაწესებულებანი შექმნან.

4. ყრილობა მხარს უჭერს ამიერკავკასიის ახლად შემდგარ მმართველობის ღროებით ორგანოს „ამიერკავკასიის კომისარიატს“.

5. ადგილობრივი მიმდინარე კითხვების სათანადო გადაწყვეტა და ცხოვრებაში გატარება აუცილებლად ხდის ამიერკავკასიის წარმომადგენელთა კრების მოწვევას იმ დეპუტატებისაგან, რომელშიც ახლად ირჩევიან რუსეთის დამფუძნებელ კრებისათვის. რიცხვი დეპუტატებისა უნდა იქმნას გამრავლებული თანახმად პროპორციულად მიღებული ხმებისა სხვადასხვა პარტიების მიერ.

6. ყრილობა საჭიროდ სცნობს ამიერკავკასიის სეიმში შესდგეს ქართველ დეპუტატებისაგან ქართული ეროვნული საბჭო ნაციონალურ კითხვათა და საჭიროებათა გასარკვევად, გასაძლოლად და ცხოვრებაში გასატარებლად.

7. ყველა ამ ადგილობრივ ძალთა თავის მოყრა არა კმარა ყველა მიმდინარე საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად. განსაკუთრებით საჭიროებანი კავკასიის ფრონტის შენახვისა, კითხვა ომისა და ზავისა, სასურსათო, ფინანსებისა და სხ. ჩენი ძირითადი ინტერესები მოითხოვენ დაუყოვნებლივ აღდგენილ იქმნას რუსეთის რევოლუციური მთავრობა და მოწვეული დამფუძნებელი კრება.

8. რუსეთის დამფუძნებელ კრებას ჩვენ მოეთხოვთ შექმნას ისეთი ნაციონალური ნორმებისას ქართველი ერისათვის, რომელიც მას მისცემს საშვალებას თავისუფალ კულტურული განვითარებისას. ასეთ ნორმად მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით ადგილობრივ კითხვებზე. ტერიტორიის საზღვრები გაიმიჯნებინ დანიტკრესებულ მოსაზღვრე ერების თანხმობით. საქართველოში მომწყვდეული ნაციონალური

უმცირესობანი მიიღებენ სრულ უფლებრივ გარანტიას კულტურული განვითარებისას. ყრილობა საჭიროთ აღიარებს ამ მთავარ კითხვაში მოხდეს შეთანხმება ამიერკავკასიის ერთა შორის საერთო ნაციონალური პოლატფორმით დამფუძნებელ კრების წინაშე წარსადგომად.

9. თუ რუსეთის სამოქალაქო ომი გაგრძელდება და დამფუძნებელი კრების მოწვევა ახლო მომავალში ვერ მოხერხდა უნდა იქმნას მოწვეული ადგილობრივი დამფუძნებელი კრებები, რომელიც ურთიერთის თანხმობით დაამყარებენ შესაფერ დემოკრატიულ და ნაციონალურ წესწყობილებას, როგორც თვითოეულ ეროვნულ ტერიტორიულ ერთეულში, ისე მთელ ამიერკავკასიაში.

10. საქართველოს დამფუძნებელ კრებაზე ზრუნვა და მისი მოწვევა ეკალება ეროვნულ საბჭოს“.

ამ პროექტის წაკითხვის შემდეგ სიტყვა ეძლევა **გ. ჯვაჭავაძს**. იგი აცხადებს: ზოგიერთი მუხლი პროექტისა მეზამუშება. უმჯობესია პირველი და მეორე მუხლი გაკვირით იყოს გამოთქმული. ამის გარდა ამიერკავკასიის სეიმში სექციის გამოყოფა ვერ არის სახეირო ერისა და თვით სოციალ-დემოკრატიისათვისაც. ამიერკავკასიის საარჩევნო ოლქში არეულია ჯარები, უცხო მოსახლეობა ქართველ ერში. თუ ყურადღებას მივაქცევთ აბსენტეიზმსაც მაშინ სეიმის ქართული სექცია ვერ იქნება ნამდვილი წარმომადგენლობა ქართველი ერისა. მეორე კიდევ, სეიმში ჩვენს სექციას სათანადო მნიშვნელობა არ ექნება. აუცილებელია საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომლის მოწვევამდი ყრილობის მიერ არჩეული საბჭო უნდა მოქმედებდეს.

გრ. რეხილაძე წინადადებას იძლევა შევუდგეთ პროექტის მუხლებრივ განხილვას. ამას მხარს უჭერენ ვას. წერეთელი, კ. გვარჯალაძე, წინააღმდეგია გრ. ვეშაპელი. გადის რეხილაძის წინადადება.

მომსენებელი კითხულობს პირველ მუხლს და განმარტავს, თუ რად არის ასე ცხადათ გატარებული რუსული ორიენტაცია. იგი ამბობს: დღეს ობიექტური პირობები, გარდა პრინციპიალური მოსაზრებისა, ისეთია, რომ ჩვენ ცხადათ უნდა ვაღიაროთ რუსული ორიენტაცია. უმთავრესად ყურადღებაა აქ ის გარემოება, რომ ჩვენს ფრონტზე სდგას ამდენი ჯარი, რომელიც თუ ჩვენ სხვა გზას დავადექით, უკეთეს შემთხვევაში ხელს აიღებს ფრონტის დაცვაზე.

გ. ლასხიშვილი ეთანხმება ჟორდანიას მოსაზრებას, მაგრამ ზედმეტათ მაინცა ხაზგასმად ამ მდგომარეობისა, მით უფრო, რომ რუსეთთან კავშირი გამოთქმულია მეორე მუხლში.

მომხსენებელი კითხულობს მეორე მუხლს.

ვეშაქელი: რეზოლიუციებში ვილაპარაკოთ ისეთ რამეებზე, რაც ყველას გვაერთებს, ფრონტისათვის ჩვენს რეზოლიუციას იმდენი მნიშვნელობა არა აქვს. წმინდა რუსული ორიენტაცია შეგვზღუდავს, რადგანაც ჩვენის ყრილობის რეზოლუცია მარტო შინ და ფრონტზე არ გაიტანება; ამას გარემენიც გაიგებენ და თუ ჩვენ იძულებული შევიქნებით ორიენტაცია შევცვალოთ მომავალში, მაშინ ასეთი რეზოლიუცია გვაენებს.

ა. ბაქრაძე მოითხოვს ისეთი რეზოლიუციები გამოვიტანოთ, რაც ფაქტიურად გატარდება ჩვენს ცხოვრებაში, სხვას თავი დაეანებოთ.

გრ. რეზილაძე ავტორის რედაქციით პირველი მუხლი მიუღებელია: ფრონტი იფიქრებს ამათ გამარჯვება უნდათო. ეს რეზოლიუცია იწერება არა ფრონტისათვის და საგარეო სახელმწიფოებისათვის არამედ ქართველი ხალხისათვის. ჯერ ჩვენი საჭიროებანი უნდა ვლიაოთ და მერე ვთქვათ ვისი დახმარებით გავანაღლებთ მას.

კონიაშვილი იძლევა წინადადებას ამოიშალოს პირველი მუხლი და შესწორდეს მეორე.

ჯორჯანია: პირველი მუხლი პოლიტიკაა, მეორე ემპირიზმი.

ბ. ვობერია: პირველი მუხლის წინააღმდეგი არა ვარ, თუ დაემატება: „რევოლუციურ რუსეთთან“.

ბოლოს შეთანხმებით პირველი მუხლი უარყოფილია და მეორე ხდება პირველ მუხლად. მეორე მუხლი უკამათოდ მიღებულია.

მესამე მუხლის შესახებ გრ. ვეშაქელი აცხადებს, რომ ჩვენ პარტიას (ნ. დ.) უნდა ქონდეს ადგილი ამიერკავკასიის კომისარიატში, ვინაიდან ჩვენ საპატიო ადგილი გვიჭირავს რეალურ ცხოვრებაში.

რეზილაძე წინადადებას იძლევა მხარი დაუჭიროთ ამიერკავკასიის კომისარიატს იმდენათ, რამდენათაც იგი განახორციელებს რევოლუციონური ცენტრების დადგენილებებს.

ს. მღვიანი: კომისარიატს მხარი დაუჭიროთ, თუ იგი ადგილობრივ ერთა პოლიტიკურად ჩამოყალიბებას ხელს შეუწყობს.

ჯორჯანია: ამ მუხლში პრინციპიალური მხარეა გამოთქმული.

ბოლოს ეს მუხლიც მიღებულია.

გრ. რეზილაძე აცხადებს: სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციამ განიხილა პროექტი და შემდეგი შესწორებანი შეიტანა (კითხულობს პროექტს შეცვლილი სახით). ამას გარდა ფრაქციამ დაადგინა: გამოვიდეს ხმის მიცემის დროს საკუთარის განცხადებით.

გვაზავა: საჭიროა შეთანხმება, ამიტომ ჩვენ მხოლოდ ისეთი რეზოლიუცია უნდა მივიღოთ, რაც გამომდინარეობს ჟორდანიას მოხსენებიდან, რომელიც ჩვენ მოვიწონეთ. თუ დეკლარაციები წავიკითხეთ, ჩვენ ავირევით, რადგანაც შემდეგმა ორატორებმა შეიძლება წინა ორატორები გააკრიტიკონ და მაშინ დაუსრულებელი კამათი უნდა გაიმართოს. 1 პუნქტი (ორიენტაციისა) უნდა მოიხსნას, როგორც არა გამომდინარე მოხსენებიდან. 2 და 3, როგორც გამომდინარე მოხსენებებიდან და მომენტიცა და ძალთა განწყობილების შესაფერისი, უნდა დარჩეს.

ვრ. ურატაძე: ტაქტიკა გვაკვლავს ორიენტაცია რუსეთისა ვალიაროთ დღეს. ეს სრულებითაც არ შეგვიშლის ხელს ხვალ შეცვლილ პირობების გამო სხვა დავადგინოთ.

ჯუღელი: დათმობა არ შეგვიძლია. ან მოტივებიც მიიღეთ, ან მოტივებიც უარყავით და პრაქტიკული რეზოლიუციებიც... ავირჩიოთ მხოლოდ საბჭო და ამით გავათაოთ. პირველი მუხლი ჩვენ არ გვაკვლავს საშუადათ რუსეთის ორიენტაციას შევრჩეთ. 1 მუხლი გამომდინარეა მოხსენებიდან. თუ გვინდა საქმე გავაკეთოთ და დაეაშინებინოთ ადგილობრივი რუსული ელემენტები და პეტროგრადიც (სადაც კავკასიის გამოყოფაზე ლაპარაკობენ), ტაქტიკური მოსაზრებით დარჩეს მოტივაციაც.

პ. საყვარელიძე: ვინც დაკვირვებით წაიკითხავს პროექტს, ის სწორეთ გაიგებს კიდევ. ორიენტაციაზე იყო ლაპარაკი მოხსენებაში და ჩვენც უნდა აღვნიშნოთ ეს რეზოლიუციებში. დეკლარაციამ შეიძლება დაუსრულებელი კამათი გამოიწვიოს. უნდა შეიქმნას ერთი ეროვნული ფრონტი. ორიენტაცია დარჩეს. ამას მოითხოვს პოლიტიკური სიბრძნე. დეკლარაციები არ იქნეს, ე. ი. დარჩეს პროექტი ისე, როგორც არის. მოხსენებამ ჩვენ შეგვაერთა. ხალხმა მოიწონა. ჩვენ უნდა დავადასტუროთ ეს.

ივ. ამირჯეიძე: საჭიროა ზურგს უკან მოვიხედოთ. საქართველოს მთელი აღმოსავლეთი ბრალსა სდებს კარების გაღებაში. უნდა ვიზრუნოთ, რომ ზარალმა არ გადააჭარბოს სარგებლობას.

ალ. წერეთელი: ჩვენი ფრაქცია ძლიერ აფასებს შეთანხმებას. თუ ჩვენ არ გამოვედით საკუთარი აზრით იმიტომ, რომ დისონანსი არ გვინდოდა შეგვეტანა. პრაქტიკული მუხლები ყველას გვაერთებს. მოტივაცია კი ვერა. 1 მუხლის წინააღმდეგ არ შეიძლება რაიმე გვექონდეს. მესამე მუხლი არსებითად წინააღმდეგია ერთი ფრაქციის მსოფლ მხედვე-

ლობისა. ეს მუხლი ხალხზე ცუდ შთაბეჭდილებას მოახდენს და თუ რუსეთში მოისპო ანარქია, მაშინ ამ მუხლით ჩვენვე ვსპობთ საშვალებას. ჩვენს საჭიროებაზე ვილაპარაკოთ... თუ მოტივაცია დარჩა, მაშინ აუცილებელია დეკლარაცია, თუ არა და მაშინ დეკლარაციასაც არ წავიკითხავთ.

მისურაძე მოითხოვს დარჩეს მოტივაცია და აღიარებულ იქმნას რუსეთის ორიენტაცია.

გვაჭავაძე: აქ რაღაც გაუგებრობაა. უწინ დასავლეთთან კავშირი თუ რუსეთის საშვალეებით გვექონდა, დღეს შეგვიძლიან პირდაპირ, უშუალო დამოკიდებულება ვიქონიოთ დასავ. ევროპასთან. ამიტომ მხოლოდ რუსული ორიენტაცია ტაქტიკურად მიუღებელია. რა არის რუსეთი ამ მომენტში? რა შთაბეჭდილებას მოახდენს ეს ფილიანდიაზე, უკრაინაზე, ყუბანზე, მთიულესა, აღერბაიფანზე და სხვაზე. ჩვენ გვინდა კავშირი რუსეთის დემოკრატიასთან, მაგრამ რუსეთის ორიენტაცია სხვაგვარად იქნება გაგებელი. არ იქნება ეს სხვა ერებისათვის ბრძოლის გამოცხადება?

ამიერკავკასიაში, გარდა რუსეთისა, ესლებიან გერმანიის, საფრანგეთის, ოსმალეთის და სხვათა ინტერესები. სჯობს გაჩუმება. საკმარისია მე-2 მუხლი. მოტივაციის სულ მოხსნაში არ ვეთანხმები სოციალისტ-ფედერალისტებს. მოტივაცია საჭიროა შეთანხმებისათვის.

ნ. ჟორდანიას: მე და ჩემს პარტიულ ამხანაგებსა არა გვაქვს სურვილი ვინმეს მოვახვიოთ ჩვენი აზრი. ეს მოტივაცია მარტო ჩვენი არაა — ყველასია. დილემა ისაა, რომ ორ ფრონტს შუა ვართ: რუსეთისა და კავკასიის. მარტო ამიერკავკასიის კომისარიატის დაარსებამ რა გამოიწვია ფრონტზე? — ისა, რომ ჯარებმა ეს ფაქტორ გამოყოფად მიიღეს და განაცხადეს: თუ ასეა ჩვენ რაღას ვაკეთებთ აქ? თქვენ დაიცავით თქვენი ფრონტიო. საჭირო შეიქმნა დებულებითა და შიკრიკებით გაფანტვა ამ ბურუსისა.

ქარუმიძე: დეკლარაციები, რომ უარყავით კარგი იყო, მაგრამ პირველი მუხლი ნამდვილი კვინტენსეციაა დეკლარაციის. უწინ რუსეთი ძლიერი იყო, დღეს იგი უსასოა. დღეს რუსეთში არა თუ არ არის, არც მოჩანს ისეთი ძალები, რომლებმაც მოაგვარონ რაიმე. რუსეთის საღი ელემენტები სხვაგან, ევროპაში ეძებენ ხსნას. თუ რუსეთის ორიენტაცია გვარგებს ფრონტთან, გვაზარალებს ამ ორიენტაციის მოწინააღმდეგე ხალხებთან. თუ აქ ოსმალეთი შემოვიდა, ხომ ჯავრს ამოიყრის ჩვენზე ამის გულისათვის.

კამათი დასრულებულად გამოცხადდა და შეთანხმებით მიღებულ იქნა 1 მუხლი: „ქართველი ერი, ღესაც როგორც მთელს გასულ საუკუნის

განმავლობაში, ღვას რუსეთის ორიენტაციაზე“. ამასთან გადაწყდა 1 და 2 მუხლი შეერთდეს. ეს დაევალა სარედაქციო კომისიას, რომელშიც შედიან: ჟორდანია, რცხილაძე, ვეშაპელი და ივ. გობეჩია.

მერვე მუხლში სოციალისტ-ფედერალისტთა ფრაქციამ მოითხოვა იქ, სადაც ნათქვამია: „ასეთ ნორმათ მიგვაჩნია საქართველოს ტერიტორიის სრული თვითმართველობა საკუთარი საკანონმდებლო კრებით“, შეტანილიყო კიდევ: „ანუ ავტონომია“. ამ მოთხოვნამ წინააღმდეგობა გამოიწვია სოციალ-დემოკრატების ზოგიერთი წარმომადგენლების მხრით, რომელნიც თავიანთ აზრს იმით ასაბუთებდნენ, რომ შინაარსით აღიარებულია ავტონომია, ხოლო ეს ტერმინი მეტია, რადგანაც ჩვენი მასსა ამას ვერ გაიგებს სათანადოთ და აგვიმხედრდებაო. ასეთ აზრს იცავენ ჯუღელი, მაისურაძე, გრ. ურატაძე და სხ. ნ. ჟორდანია მომხრეა შეტანილ იქნას „ანუ ავტონომია“-ც. იგი აცხადებს: ჩვენ შეიძლება ფედერაციაც შევკრათ. ავტონომიის აღიარება კი დღეს მომწიფებულია და ვაღიარებთ კიდეთ ამ მუხლით. ჩემი აზრით, „ანუ ავტონომიაც“ რომ ჩაერთოთ, არა უშავს, რადგანაც ნამდვილად დღეს უკვე ვაღიარებთ ავტონომიას.

ავტონომიის შეტანას იცავენ სოციალისტ-რევოლუციონერებიც. წინააღმდეგი არიან ამ შესწორების ნაციონალ-დემოკრატები და რადიკალ-დემოკრატები. რადგანაც ნაწილი სოციალ-დემოკრატების დაჟინებით წინააღმდეგია ამ შესწორების და მათ მხარი დაუჭირეს დასახელებულმა ჯგუფებმა ეს შესწორება მოიხსნა.

მერვე მუხლის ბოლოს ამოიშალა სოციალისტ-ფედერალისტთა წინადადებით: „საერთო ნაციონალური პლატფორმით დამფუძნებელი კრების წინაშე წარსადგომათ“.

შემდეგ აღიძრა საკითხი სამაჰმადიანო საქართველოს შესახებ და ერთხმად აღიარეს, რომ სამაჰმადიანო საქართველოს თვითმმართველობის აღიარება შეტანილ იქნას რეზოლიუციებში.

სმეცციის თავმჯდომარე

ივ. გობეჩია

მღივანი

აჰაკი ფაღავა

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 29, ფურცლები 21-24. მანძანაზე ნაბეჭდი. დედანი. ივანე გობეჩიასა და აჰაკი ფაღავას ხელრთვა.

**№11. საომრო ჩანაწერი საქართველოს ეროვნული საბჭოს
აღმასრულებელი კომიტეტის წევრებისა და ანტანტის
(ინგლისის, საფრანგეთის, ამიერიკის შეერთებული
შტატების, იტალიის) დიპლომატიკის შესახებ.**

1917 წლის 8 დეკემბერი

**საქართველოს ეროვნული საბჭო
აღმასრულებელი კომიტეტი
სხდომის მუხრანი
№9**

8 დეკემბერს 1917 წ.

დაესწრნენ: ნ. ჟორდანი, ჩხენკელი, მესხი, გობერი, ვეშაპელი, რაშიშვილი, ლომთათიძე, საყვარელიძე, ს.ჯიბლაძე, ქარცივაძე, გვაზავა, რეხილაძე, ფარნიაშვილი, ლასხიშვილი, გეგეჭკორი.

მოწვეულნი: ელჩები ამერიკისა, ინგლისის, საფრანგეთისა, იტალიისა, გენერ. შორი.

თავმჯდომარეობდა

ნ. ჟორდანი

პლიენობდა

დ. ნახუტრიშვილი

განსახილველი საგანი: ნ. ჟორდანი მიესალმება ელჩებს. მათაც უპასუხეს მისალმებაზე. შემდეგ დაიწყო აზრთა გაცვლა-გამოცვლა, რომლის დროსაც გამოირკვა თუ რა აზრისანი არიან თანამედროვე პოლიტიკურ და სტრატეგიულ მდგომარეობის შესახებ როგორც ქართველობა, აგრეთვე უცხო სახელმწიფოთა ელჩები. უცხოელ ელჩების აზრი ასეთი იყო: ქართველები ჯარების შედგენას აგვიანებენ, უნდა დააშურონ; დისციპლინა ჯარში სრულებით დაცემულია, უნდა აღდგენილ იქნას, მაშინ ჩვენც თქვენთან ვიქნებით; ჯარში შემდგარი კომიტეტები კი უნდა მოისპოს, რადგან სეაქმეს ვნებენ; ჩვენ დახმარება შეგვიძლიან გავაწიოთ ფულით, ხალხით და მასალით, იარაღის მოწოდება კი არ შეგვიძლიან; ეხლანდელი ომის ფრონტი უნდა დაიცვათ ქართველებმა და სომხებმა იმ ხაზზედ, სადაც ეხლა თხრილებია ჯარისა; მთავარსარდალი თქვენი (კავკასიის) და ჩვენი (მოკავშირეთა) ჯარებისა ერთი უნდა იყოს და იმაზედ იქნება დამოკიდებული ჯარების განაწილება

ფრონტზე, პოზიციების ნაციონალურად განაწილება შეუძლებელია; ჩვენ ვიცნობთ ერთს მთლიანს რუსეთს და მის დროებითს მთავრობას, ცალკე ერებს კი – როგორც რუსეთის ნაწილებს, მით უმეტეს, რომ არც ქართველებს და არც სომხებს არა ჰყავთ თავიანთი საკუთარი მთავრობანი, ჩვენ ამიერკავკასიის კომისარიატი ვიცანით მთავრობათ და ურთიერთობაც გვაქვს მასთან; ამიერკავკასია უნდა შეუთანხმდეს სამხრეთ-დასავლეთის კავშირს, სადაც შევლენ უკრაინა და ციმბირიც, მერე რუსეთი აღსდგება როგორც ფედერატიული ერთეული.

რუმინეთის ფრონტიდან მოდიან უცხოელი აფიცრები, რომელნიც გამოდგებიან ინსტრუქტორებად ქართულ ჯარში და შევიძლიათ ისარგებლოთ. რაც შეეხება მობილიზაციას უნდა მოხდეს იგი ნაწილ-ნაწილ რაიონებად: ჯერ ქართველებისა და სომხებისა და შემდეგ თათრებისა, ამ უკანასკნელთა გვიან მოხდეს, მათი გაწყობა და გამართვაც შეგვიანდება დიპლომატიურად, მანამდის კი ქართული და სომხური ჯარები პოზიციაზედ უნდა წავიდნენ.

ჩვენების მოხსენება ასეთია მოკლედ: ჩვენ ჯარი გვეყოლება მალე საკმაო, მაგრამ იარაღი არა გვაქვს საკმაო, იარაღი თქვენ მოგვეცით, ჩვენ დავიცავთ ჩვენს ტერიტორიას; ჩვენ რომ ოსმალოს წინ დაუდგეთ განმარტოებული ხომ არ დავრჩებით, ან მოკავშირენი რა გვარის დახმარებას გაგვიწივენ? ჩვენი აფიცრები შესაფერისნი არიან თავიანთი მოვალეობა-მდგომარეობისა; მობილიზაციას ჩვენ ვერ მოვახდენთ, შემოვიღებთ სახალხო მილიციას, რომლისათვისაც მაინც იარაღი გვჭირია; სცნობენ საქართველოს, როგორც პოლიტიკურს ერთეულს, თუ არა?

შემდეგ მოლაპარაკებისა, სჯა-ბაასი ამავე საგანზედ კომიტეტმა გადასდო შემდეგ, ამისთვის დანიშნულ საგანგებო სხდომაზე.

თავმჯდომარე
გაგმა
ფილიპანი

6. შორდანი
3. საყვარელიძე
დ. ნახ უცრიშვილი

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცლები 14-15. მანძანაზე ნაბეჭდი საქართველოს მროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომათა შურნალში. დედანი.

№12. საპარტიველოს ეროვნული საბჭოს შემოკმ კრეზბა
ძარტულ ჯარში შემენილი მღმრმარემობის შესახებ.
1917 წლის 10 დემემბერი

საპარტიველოს ეროვნული საბჭო
მმ-2 კრეზბა
10 დემემბერი 1917 წ. ქ. ტფილისი

თავმჯდომარეობს: აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე ნოე
ჭორღანია.

პრეზიდენტში არიან: აკაკი ჩხენკელი, კოტე მესხი, გიორგი
ლასხიშვილი, გრიგოლ ვეშაპელი, ჰველე საყვარელიძე.

მდივანი: დავით ნახუცრიშვილი

... თავმჯდომარემ სთხოვა გარეშე დამსწრეთ და პრესის წამრომად-
გენელთ დარბაზი დაეტოვებინათ, რადგან სამხედრო სექციის
წარმომადგენელს უნდა მოეხსენებინა კრებისათვის თავისი მუშაობის
შესახებ.

რადგანაც სამხედრო სექციის გამგე ნ. რამიშვილი კრებაზედ არ
იყო, ამიტომ მოხსენება კრებას წარუდგინა სექციის წევრმა დ. ვაწაბუძე.

როდესაც სამხედრო სექციამ ჩაიბარა ქართულ ჯარის საქმე, ნახა,
რომ შედგენილი იყო ორი პოლკი, მესამე და მეხუთე კი სდგებოდა,
ისიც ძალიან მძიმედ. ამის გარდა, ზოგიერთი ზომებიც შეიმუშავა
ჯარისათვის: მაგალითად, წესიერების აღდგენა ჯარში, კულტურულ-
გამანათლებელი მუშაობის დაწყება და სახალხო მილიციის პროექტის
შემუშავება, რომელიც მუდმივი საფუძველი იქნება საქართველოს
მომავალი ჯარისა. ჯარის ნაწილების შეესება ფერხდება, რადგან
ფრონტიდან ჩენი ჯარი მძიმედ მოდის, არ იციან ჩენი ქვეყნის
ვითარება, ამიტომ მოწოდება იგზავნება ჯარებში, რომ გამოემურნენ
საქართველოსაკენ. მაგრამ როგორც ჩანს, ბევრი დამაბრკოლებელი
მიზეზი ელობებათ ქართველ ჯარისკაცებს წამოსასვლელად. ჩენთვის
დემობილიზაცია არ არის სასურველი. ამ კითხვის მოგვარება
დავალებული აქვს შტაბის ნაწილს. უნდა ვეცადოთ, რომ ჩენი ჯარის
გადმოსვლას დასავლეთ ფრონტიდან პიეტეს წესიერი ხასიათი...

... ამ ცნობებს იოს. გულევანიშვილმა დაუმატა კიდევ, რომ კორპუსის
შედგენა ფერხდება იმით, რომ ხალხი ნელა მოდის ნაწილების შესავსებად.
მთავრობაც, უფროსებიც გვისრულებენ ყოველივე მოთხოვნილებას, მაგრამ

ქვევით ერთეულებში არ ასრულებენ განკარგულებებს, მეტადრე დაბალი ოფიცრები, ქართველი ჯარისკაცები ტერორის ქვეშ ჰყავთ, რადგან ნაწილების დაშლა აფიცრების უადგილოდ დარჩენას მოასწავებს და მათი ინტერესი ეწინააღმდეგება ჯარის ნაციონალიზაციას. იარაღი მიღებული გვაქვს. მთავარსარდალმა გასცა ბრძანება ქართველ ჯარისკაცების საქართველოში გადმოყვანის შესახებ. სპარსეთიდან ცხენოსანთა პოლკი მალე უნდა ჩამოვიდეს და დაიჭერს ავღაბარში ნიჟეგოროდის პოლკის ყაზარმებს. ზემგორის ქონება უნდა გადმოეცეს ეროვნულ ერთეულებს, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს ავტომობილები და ველოსიპედები. შეგვიძლიან მივიღოთ ძალით, მაგრამ არასასურველს შედეგს მოიტანს. ქუთაისის რუსის ჯარის ქონება ჩვენს ჯარს უნდა გადმოეცეს, მაგრამ სალდათები ქონებას არ იძლევიან, ჩვენია და თან უნდა წავიღოთ. დასრულებულია ცხენოსანთა ბატარეა. ზარბაზნები სულ მიღებული გვაქვს...

შემდეგ დაიწყო შეკითხვების მიცემა და მცირე კამათი მოხსენებულის გამო, რის შემდეგ გამოირკვა ზოგიერთი არანორმალური მოვლენა ქართულს ჯარში, რომლის თავიდან აცილებას სცდილობს ქართველ ჯარის მთავრობა...

**თავმჯდომარე
მღიპანი**

**ნ. ჟორდანია
დ. ნახუცრიშვილი**

**საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო
არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 9, ფურცლები 19-22.
მანძანაჴმ ნაბეჴდი საქართველოს ეროვნული საბჭოს
პრეზიუმის შურნალში. დედანი.**

**№13. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი
კომიტეტი ქართული ჯარის თურქეთის წინააღმდეგ
საბრძოლველად გაგზავნის შესახებ.
1917 წლის 21 დეკემბერი**

**საქართველოს ეროვნული საბჭო
აღმასრულებელი კომიტეტი
სსდომის მუხრანალი
21 დეკემბერი 1917 წ.**

დაესწრნენ: *ა. ჩხენკელი, ალ. ლომთათიძე, გრ. რეხილაძე, კ. მესხი,
ვლ. ვობეჩია, გ. გვაზავა, ნ. რამიშვილი, გ. ლასხიშვილი, შ. მესხიშვილი,
გრ. კეშაპელი, ევ. გეგეჭკორი, ნ. ჟორდანიას, ნ. ქარცივაძე, ის. რამიშვილი*
თავმჯდომარეობდა **ა. ი. ჩხენკელი,**
მდივანი **დ. ნახუცრიშვილი**

განსახილველი საგანი: ბ. ნ. ჟორდანიას წინადადებით კომიტეტმა მსჯელობა გამართა ომის და ზავის შესახებ. ომის მდგომარეობის შესახებ მოახსენეს შტაბის უფროსმა გედევანიშვილმა და შემდეგ სამხედრო სექციის გამგემ რამიშვილმა, რომელთაც დახატეს არასასურველი მდგომარეობა ჯერ ფრონტისა, მისი ჯარისა, სურსათის მიწოდებისა და შემდეგ ქართულ პოლკებისა, სადაც ხალხი ძალიან ნაკლებად მოდის ჩასაწერად. დასკვნა ასეთი იყო: ან ზავი უნდა მოხდეს ძალიან მალე, ან დაეიცვათ მხოლოდ ჩვენი მახლობელი შემოკლებული ფრონტი. ამ საკითხზე მსჯელობამ გასტანა კარგა ხანს და მიიღო ფიცხი ხასიათი. გამოირკვა, რომ საჭიროა ამ მოკლე ხანში შეკრულ იქმნეს მოპირდაპირესთან საბოლოო ზავი, რადგანაც ყოველად შეუძლებელი ხდება მრავალ მოსაზრებათა გამო ომის წარმოება.

განაჩენი: ვინაიდან ჩვენი ჯარი მომზადებული არ არის საომრად და არც გვსურს ვისმე ვეომოთ, ამიტომ ჩვენი ჯარი არ გაიგზავნოს ძველი პოზიციების დასაცავად.

თავმჯდომარე

საქმეთა მმართველი

მდივანი

ა. ჩხენკელი

ბ. საყვარელიძე

დ. ნახუცრიშვილი

**საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო
არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 24-25.
მანქანაზე ნაბეჭდი საქართველოს ეროვნული საბჭოს
აღმასრულებელი კომიტეტის სსდომის მუხრანალში. დედანი.**

**№14. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი
კომიტეტის დადგენილება საქართველოს
სახელმწიფოთმობრივი დამოუკიდებლობის
აღდგენისათვის ბრძოლაში გერმანოფილური
საზარემოპოლიტიკური კურსის აღიარებისა და
კონკრეტული სამომავლო პროგრამის განსაზღვრის
შესახებ.**

1918 წლის 14 მაისი

**საქართველოს ეროვნული საბჭო
აღმასრულებელი კომიტეტი
სსდომის ჟურნალი
№58, 14 მაისს 1918 წ.**

დაესწრნენ წევრნი: გ. ლასხიშვილი, გ. გვაზავა, ვ. გობერია, გ.
ვეშაპელი, ნ. ხომერიკი, პ. საყვარელიძე, გ. რცხილაძე, ს. ჯიბლაძე;
სტუმრები: შ. მესხიშვილი, გ. ქიქოძე, ბ. პაპავა.

**თავმჯდომარეობდა
მდივნობდა**

**ბ. ლასხიშვილი
დ. ნახუცრიშვილი**

განსახილველი საგანი: ბ. გვაზავამ მოახსენა კომიტეტს გერმანიის
სამხედრო უწყების წარმომადგენელ ბ. კაიზერთან და ადგილობრივ
მოსახლე გერმანელთა ეროვნულ საბჭოს წარმომადგენლებთან კერძო
საუბრის შესახებ. ამ საუბრის დროს შემუშავებულ იქნა ოთხი მუხლი
პირობებისა, რომელიც მოსაუბრეთა აზრით სასურველია აღმასრულე-
ბელმა კომიტეტმა გაუგზავნოს საზოგადოებრივი თავმჯდომარეს ბ.
ა. ჩხენკელს ცნობად და სახელმძღვანელოდ. ეს არის:

1. ეცნობოს გერმანიის საზოგადოებრივი თავმჯდომარეს გენ-
ერალ ლოსოვს, რომ საქართველოს ეროვნულ საბჭოს სურვილი და
თხოვნა, ყოველნაირად ზელი შეუწყოს გერმანიამ საქართველოს
საერთაშორისო და პოლიტიკურ-სახელმწიფოებრივ საკითხებს, რაც
შეიძლება უმტკივნეულოდ გადაწყვეტას.

2. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს მიიღოს სათანადო ღონისძიება,
რომ გერმანიის ჯარმა განავრძოს სელა ჩრდილო-კავკასიაში, რათა
იმდენად დაუახლოვდეს საქართველოს საზღვრებს, რომ შესაძლებელი

იყოს მასთან კონტაქტის დაჭერა და საქართველო უზრუნველყოფილი იქნას გარედან მოსალოდნელი რაიმე საფრთხისაგან.

3. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ხელი შეუწყოს გერმანიაში მყოფ ქართველ სამხედრო ტყვეებს, რაც შეიძლება მალე სამშობლოში სამხედრო წესით დარაზმულად დაბრუნებას.

4. ეთხოვოს გენერალ ლოსოვს, ვიდრე ეს საქმე მოხერხდებოდეს, დასტოვოს საქართველოში მყოფი გერმანელი ტყვეები და მიანდოს გერმანიის ოფიცერთ მათი სამხედრო ორგანიზაცია, რათა საქართველოს მთავრობას შეეძლოს საჭირო შემთხვევაში გამოიყენოს ეს ჯარი შინაურ წესრიგის დასაცავად და ანარქიასთან საბრძოლველად.

თავმჯდომარე

საქმეთა მმართველი

მდივანი

ბ. ლასხიშვილი

პ. საყვარელიძე

დ. ნახუცარიშვილი

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცელი 67. მანქანაზე ნაბეჭდი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სსდომის უზრუნველ. დედანი.

**№15. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი
კომიტეტის დადგენილება საქართველოს
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის
გამოცხადებასთან დაკავშირებული ღონისძიებების
შესახებ.
1918 წლის 16 მაისი**

**საქართველოს ეროვნული საბჭო
აღმასრულებელი კომიტეტი
სხდომის ჟურნალი
№59, 16 მაისს 1918 წ.**

სხდომა დაიწყო საღამოს 7 საათზე

დაესწრნენ: ნ. ჟორდანიას, გ. ლასხიშვილი, ნ. ხომერიკი, გ. გვაზავა,
გ. ვეშაპელი, ჰაიდარ ბეგ აბაშიძე, პ. საყვარელიძე, ვ. გობერიას, კ. მესხი;
სტუმრები: იას. ლორთქიფანიძე, შ. მესხიშვილი.

**თავმჯდომარეობდა
ვიცივნობდა**

**ნ. ჟორდანიას
დ. ნახუცარიშვილი**

განსახილველი საგანი: წინადადება პ. საყვარელიძისა, რომ მიენდოს
აღმასრულებელ კომიტეტს ან ცალკე კომისიას საქართველოს
დამოუკიდებლობის გამოცხადებისათვის მოამზადოს ყოველნაირი ნიადაგი.

აზრთა გაზიარების შემდეგ მიღებულ იქნა ის წინადადება, რომ
პრეზიდიუმის წევრებს ნ. ჟორდანიას, გ. ლასხიშვილს და გ. ვეშაპელს
დაეკალთ დაასახელონ სამი წევრი დამოუკიდებლობის მოსამზადებელ
კომისიისა, რომელთაც თათბირის შემდეგ დაასახელებს შემდეგი პირნი:
ნ. რამიშვილი, დ. ვაჩნაძე და შ. მესხიშვილი.

განაჩენი: არჩეულ იქნას კომისია სამი კაცისაგან, რომელსაც
დაეკალოს: 1. მთავრობასთან მოლაპარაკება და შეთანხმება ლტოლვილთა
საქართველოში დენის შესაჩერებელ ზომების მისაღებად; შეიარაღებულ
ლტოლვილებს იარაღი აეყაროთ; 2. ქართულ ჯართან და სამხედრო
სექციასთან კონტაქტი იქონიოს და 3. სომეხთა ეროვნულ საბჭოს
აცნობოს, თუ რამდენად რთულდება საქმე ლტოლვილთა საქართველოში
გადმოხვეწით და რა ზომების მიღებას ფიქრობს იგი სირთულის
თავიდან ასაცილებლად.

ამ კომისიის წევრებად არჩეულ იქნენ: ვლ. გობეჩია, შალვა მესხიშვილი, და გრ. ვეშაპელი, რომელთაც ევალუბათ ზემომყვანილი დადგენილების შესრულება.

თავმჯდომარე

საქმეთა მმართველი

მდივანი

ნ. ჟორდანიას

პ. საყვარელიძე

დ. ნახუცრიშვილი

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 2, ფურცლები 68-69. მანქანაზე ნაბეჭდი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სსდოვის შურნალში. დედანი.

**№16. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი
კომიტეტის დადგენილება საქართველოს
დამოუკიდებლობის გამოცხადების მოსამზადებლად
შემდგენილი სამთა კომისიის შესახებ.
1918 წლის 17 მაისი**

**საქართველოს ეროვნული საბჭო
აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმის
სსდომის მუხრანლი
№61, 17 მაის 1918 წ.**

დაესწრნენ: გ. ვეშაპელი, კ. მესხი, პ. საყვარელიძე, გ. გვაზავა;
სტუმრები: დ. ვაჩაძე, შ. მესხიშვილი, გენ. გაბაშვილი, პოლკ. კარგარეთელი,
პოდპ. ზაქარიაძე.

განსახილველი საგანი: მოხსენება საქართველოს დამოუკიდებლობის
გამოცხადების სამთა კომისიის მოქმედების შესახებ.

ამავე კომისიამ წარმოადგინა გადასაწყვეტად კითხვები: 1.
ქთბილისის დაცვა ვის ჩაპბარდეს; 2. საქართველოს დამოუკიდებლობის
გამოცხადების ხელმძღვანელი ორგანო.

განჩენი: 1. უნდა გამოცხადდეს სამხედრო (ან საალყო) წესები ქ.
თბილისში.

2. თბილისის კომენდანტად და გარნიზონის უფროსად დაინიშნოს
გენერალი ახმეტელი, მის თანაშემწედ პოლკ. ნაქერელიძე, რომელთაც
უნდა იმუშაონ ქართულ კორპუსის უფროსის გენ. გაბაშვილის
ხელმძღვანელობით.

ხელმძღვანელ ორგანოდ ითვლება იგივე კომისია და მოქმედებს
აღმასრულებელ კომიტეტის პრეზიდიუმის ხელმძღვანელობით.

თავმჯდომარე

**სამმეთა მმართველი
მდივანი**

**პ. საყვარელი
დ. ნახ უცრიშვილი**

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო
არქივი, ფონდი 1836, აღფარა 1, სამე 2, ფურცელი 71 განმანახე
ნაბეჭდი საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრუ-
ლებელი კომიტეტის სსდომის მუხრანლში. დედანი.

**№17. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი
კომიტეტის მიერ შემუშავებული დღის წესრიგი და
დადგენილების პროექტი ეროვნული საბჭოს 1918 წლის
26 მაისის სხდომისათვის.
1918 წლის 24-25 მაისი**

**საბჭომ რა დადგენილებანი მიიღოს
26 მაისის სხდომაზე**

1. საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი

2. კანონების შესახებ:

დროებით ძალაში დარჩეს ძველი კანონები და სემის დადგენილებანი

3. ფინანსები:

ა) დროებით დარჩეს ძველი წესი ფულის ბეჭდვისა, სანამ შემუშავდება ჩვენი ფინანსური სისტემა.

ბ) ფინანსთა მინისტრი იქნება ქართველი. ექსპედიციაც მის განკარგულებაში იქნება. ის გაანაწილებს ფულის ნიშნებს პროვინციაში და მეზობლებისათვის, ნაციონალურ საბჭოებთან შეთანხმებით; ექსპედიციაში თათრებსა და სომხებს ცყოლებათ თითო წარმომადგენელი.

4. რკინის გზა:

ჩვენს ხელში იქნება მთელი სამმართველო, სადაო რაც იქნება, გამოირკვევა შეთანხმებით.

5. ეროვნული საბჭო:

ა) აღმასრულებელი კომიტეტი უქმდება.

ბ) საბჭო ირჩევს თავის ახალ პრეზიდიუმს მეორე კრებაზე.

გ) დადასტურებულ იქნეს წევრთა და კანდიდატთა სია, საბჭოს რეორგანიზაციის საკითხი მიენდოს განსახილველად სამანდატო კომისიას, რომელსაც დაევალება საბჭოს წევრთა და კანდიდატთა სიის გადასინჯვა, სამანდატო კომისიის არჩევა.

6. დაარსდეს რვა სამინისტრო: საკონტროლო ორგანო ცალკე იქნება. უქმდება სასურსათო და მზრუნველობის სამინისტროები. შეერთებულია ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათმოქმედების და შრომის სამინისტროები.

შემდეგი სამინისტროები იქნება:

1. შინაგან საქმეთა
2. საგარეო
3. სამხედრო
4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის
5. განათლების
6. მიწათმოქმედების და შრომისა
7. იუსტიციისა
8. გზათა

მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა:

- | | |
|-------------------------------------|---------------------|
| 1. თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა | – ნოე რამიშვილი |
| 2. საგარეო | – აკაკი ჩხენკელი |
| 3. სამხედრო | – გრიგ. გიორგაძე |
| 4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა | – გიორგი ჟურული |
| 5. განათლებისა | – გიორგი ლასხიშვილი |
| 6. მიწათმოქმედებისა და შრომისა | – ნოე ხომერიკი |
| 7. იუსტიციისა | – შალვა მესხიშვილი |
| 8. გზათა | – ივ. ლორთქიფანიძე |

[1918 წლის 24-25 მაისი]

საძარტველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო
არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 12, ფურცლები 127-128.
მანძანაზე ნაბეჭდი. დედანი.

№18. თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების
საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა,
მიმდინეილი ბათუმის საჯარო კონფერენციის
მიმდინარეობისა და საქართველოს საერთაშორისო
აღმორაგებობის შეფასებებისადმი
1918 წლის 24 მაისი

**ЗАСЕДАНИЕ ИСПОЛНИТЕЛЬНОГО КОМИТЕТА СОВЕТА
РАБОЧИХ И СОЛДАТСКИХ ДЕПУТАТОВ Г. ТИФЛИСА.
24 мая 1918 г.**

СЛУШАЛИ: Доклад о ходе мирных переговоров в Батуме.

Т. Жордания сообщает, что в Батуми сейчас находится 3 делегации - турецкая, закавказская и германская, которые работают по вопросу о мире и войне. Каждая делегация имеет свои инструкции. Пока идут частные переговоры и совещания. Как выяснилось в Турции существуют три течения о мирных переговорах с Закавказьем: 1) Заключение мира на основе Брест-Литовского договора; 2) Расширение Брест-Литовского договора; 3) Мнение Энвера-Паши вообще о завоевании всего Закавказья.

Турция требует аннексии целой части территории уездов Ахалцихского, Ахалкалакского, Александропольского, Эчмиадзинского и Сурмалинского.

Турки требуют передачи им всей сети Закавказских железных дорог, якобы на время войны, а также снабжения их фуражем и другими материалами.

На этот меморандум Чхенкели им сообщил, что мы стоим на почве Брест-Литовского договора и других требований не признаем. Турки же Брест-Литовский договор сейчас совсем не признают.

О какой-либо самостоятельности армянского народа турки и слышать не хотят, а потому и требуют аннексии вышесказанных уездов, неселенных исключительно армянами.

В настоящее время в Батуми кроме нашей делегации имеется ряд неофициальных, никем не уполномоченных

делегаций. Они усиленно ходатайствуют о присоединении Закавказья к Турции.

Находящаяся в Батуми немецкая делегация расходится мнениями с турецкой делегацией и стоит на почве Бергского договора.

Немецкая делегация предложила нашей делегации свое посредничество в переговорах.

Сейчас ожидается ультиматум турок. В случае подписания его Закавказское Правительство распадается и произойдет полный распад страны.

Местные татары говорят, что подпишут ультиматум, так как это в их интересах.

Закавказье в настоящее время переживает свои последние дни. Может быть в будущем оно возродится и станет а твердый путь.

Постановили: принять к сведению.

**ПРЕДСЕДАТЕЛЬ
СЕКРЕТАРЬ**

**ЖОРДАНИЯ
МУХАРИНСКИЙ**

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო
არქივი, ფონდი 1844, აღწერა 2, საქმე 7, ფურცლები 52-53.
განმანახვე ნაბეჭდი. დედანი. ნომ შორდანიას ხელრთვა.

**№19. საქართველოს ეროვნული საბჭოს აღმასრულებელი
კომიტეტის სსდომა, მიმღვნილი საქართველოს
სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისადმი.
1918 წლის 25 მაისი**

**საქართველოს ეროვნული საბჭოს
აღმასრულებელი კომიტეტის სსდომა**

25 მაისს 1918 წ.

ღამის 11 საათზე

დაესწრნენ: ნ. ჟორდანიას, გ. ლასხიშვილი, პ. საყვარელიძე, კ. გვარჯალაძე, ნ. ხომერიკი, ალ. ლომთათიძე, ს. ჯიბლაძე, შ. მესხიშვილი, კ. მესხი, ნ. რამიშვილი, იას. ლორთქიფანიძე, გ. ვეშაპელი, გ. ჟურული, ალ. ასათიანი, ი. მაჭავარიანი, დ. ვაჩნაძე, გ. გვაზავა, ირ. წერეთელი, ე. გეგეჭკორი, კ. ჩხეიძე, ვ. გობეჩია.

თავმჯდომარე

ნ. ჟორდანიას

მდივანი

დ. ნახუცრიშვილი

ნ. ჟორდანიას აცნობს დამსწრეთ ა. ჩხენკელის დეპეშას და წერილს, სადაც იგი თხოულობს დაჩქარებულ იქნეს საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება, რადგან გვიანდება და აუცილებელი კია.

შემდეგ თავმჯდომარე განმარტავს, რომ სურვილი იყო ამაღამ ათს საათზე შეკრებულიყო სეიმი, რომელიც გამოაცხადებდა სეიმს დაშლილად და შემდეგ საბჭო გამოაცხადებდა საქართველოს დამოუკიდებლობას, მაგრამ სეიმის ზოგიერთმა ფრაქციებმა შეკრებაზე უარი სთქვეს, მაგალითად მუსავატმა განაცხადა, რომ მათ ჯერ არ განუხილავთ საკითხი და აზრი არ შეუშუშავენიათ, თუ ქართველებს სურთ დამოუკიდებლობის გამოცხადება, გამოაცხადონ, ჩვენ ხელს არ უშლით; სომხებმა განაცხადეს, რომ შესამუშავებელი აქვთ თავიანთი განცხადება და თხოულობენ გადაიდოს სეიმის სხდომა ხვალ დილით.

რადგანაც ჩვენ გვინდოდა მათთან თანხმობით საქმის გაკეთება, მაგრამ რადგან არ ხერხდება და არ სურთ, ჩვენ უნდა ცალკე ვიმსჯელოთ. სეიმის კრება დღეს არ მოხდება, დანიშნულია ხვალ დღის 12 საათზე. სეიმის შემდეგ საბჭო სასახლეშივე გამოაცხადებს საქართველოს დამოუკიდებლობას.

შემდეგ გაიმართა სჯა ბაასი იმის შესახებ, თუ როდის გამოცხადდეს დამოუკიდებლობა; რადგან ძალიან საჭიროა ამ აქტის გამოცხადება. რამდენიმე ორატორი იმ აზრისა იყო, რომ ღლესვე გამოცხადებულყო აქტი საქართველოს დამოუკიდებლობისა.

მაგრამ ნ. ჟორდანიამ განმარტა, რომ ღლევანდელი გამოცხადებით საქმე გართულდება, ვინაიდან სეიმი და მისი მთავრობა არსებობს, არ გაუქმებულა, მაშინ ორი მთავრობა იქნება, რაც შეუძლებელია; შეიძლება ზოგიერთმა წინააღმდეგობა გაგვიწიონ, დამოუკიდებელი საქართველო არ სცნონ, მათთან შეტაკება მოგვიხდება; ამიტომ გამოცხადება გადაიდება სახვალით.

რადგან შეთანხმება არ მოხდა, ამ ორ ჯგუფს შორის, კენჭი უყარა საკითხს: „საქართველოს დამოუკიდებლობა გამოცხადდეს ღლეს თუ ხვალ.“

პირველს მომხრე აღმოუჩნდა 6 ხმა

მეორეს 4 ხმა

გადაწყდა გამოცხადებულყო ღლესვე; ამის გამო ნ. ჟორდანიამ განაცხადა: რაკი ღლესვე გამოცხადდება დამოუკიდებლობის აქტი, იგი პასუხისმგებლობას არ კისრულობს მოსალოდნელ შედეგებისას.

მაგრამ მცირე ხნის შემდეგ გამოირკვა, რომ დამოუკიდებლობის აქტი ჯერ შემუშავებული არ არის და ვერ იქნება წაკითხული; რამაც გამოიწვია თავის თავად აქტის გამოცხადების გადადება სახვალით.

ვინაიდან საქმე მაინც საშურია, ნ. რამიშვილის წინადადებით გადაწყდა: ხვალ, 26 მაისს, დღით 10 საათზე მოხდეს სეიმის სხდომა, ხოლო 12 საათზე საბჭოსი.

ნ. ჟორდანიამ შემოიტანა წინადადება: გარკვეულ იქნეს ის საკითხები, რომლებიცა ხვალინდელ საბჭოს სხდომაზე, დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, უნდა იქნეს განხილულ-დადასტურებული:

1. რა კანონები იქნება საქართველოში.

დამოუკიდებელ საქართველოში დროებით იმოქმედებს ყველა ის ძველი კანონები და სეიმის დადგენილებანი, რომელნიც მოქმედებდნენ ღლევანდლაშლის ამიერკავკასიაში.

2. ფინანსები.

ა) ფულის ბეჭდვის წესი დარჩეს დროებით ძველი, ვიდრე შემუშავდებოდეს ჩვენი საკუთარი ფინანსური სისტემა.

ბ) ჩვენს საფინანსო დაწესებულებაში წარმოდგენილი ეკოლობათ თათრებს და სომხებს, სანამ ფულის სისტემა იქნება ძველი.

3. რკინის გზა.

რკინის გზის სამმართველო ჩვენს ხელში იქნება, მხოლოდ რაც სადაოა, ის გამოირკვევა შეთანხმებით მეზობლებთან.

4. ეროვნული საბჭოს ორგანიზაცია.

ა) აღმასრულებელი კომიტეტი უქმდება.

ბ) საბჭო ირჩევს თავის ახალ პრეზიდენტს მეორე კრებაზე.

გ) არჩეულ იქნას სამანდატო კომისია, რომელსაც დაევალოს საბჭოს რეორგანიზაციის საკითხის განხილვა, წვერთა და კანდიდატთა სიის გადასინჯვა.

5. მთავრობის რეორგანიზაცია.

ა) დაარსდეს რვა სამინისტრო, საკონტროლო ორგანო დაარსდეს ცალკე.

ბ) უქმდება სასურსათო და მზრუნველობის სამინისტროები.

გ) შეერთებულია: ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის, მიწათმოქმედების და შრომის სამინისტროები.

დ) სამინისტროები იქნება შემდეგი:

1. შინაგან საქმეთა
2. საგარეო
3. სამხედრო
4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა
5. განათლების
6. მიწათმოქმედების და შრომის
7. იუსტიციის
8. გზათა
- ე) მინისტრთა კაბინეტის შემადგენლობა:
 1. თავმჯდომარე და შინაგან საქმეთა
 2. საგარეო
 3. სამხედრო
 4. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობისა
 5. განათლების
 6. მიწათმოქმედების და შრომის
 7. იუსტიციის
 8. გზათა

- ნოე რამიშვილი
- აკაკი ჩხენკელი
- გრიგოლ გიორგაძე
- გიორგი ჟურული
- გიორგი ლასხიშვილი
- ნოე ხომერიკი
- შალვა მესხიშვილი
- ფანე ლორთქიფანიძე

მცირე კამათის შემდეგ ყველა ეს წინადადება მიღებულ იქნა.

წაკითხულ იქნა საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის პროექტი, შემუშავებული კომისიის მიერ.

ამ პროექტის შესახებ გაიმართა კამათი, რომელიც დასრულდა იმით, რომ პროექტი შესწორებულ იქნეს კამათის დროს გამოთქმული აზრების თანახმად. შესწორება აქტის პროექტისა დაევალა ბ. ნ. ჟორდანიას.

კრება გათავდა 11 1/2 საათზე.

თავმჯდომარე

საქმეთა მმართველი

მდივანი

ნ. ჟორდანიას

პ. საყვარელიძე

დ. ნახ უცრიშვილი

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმე 49, ფურცლები 1-4. მანძანაში ნაბეჭდი. დედანი.

№20. ნომ შორაღანიას სიტყვა მროვნული საბჭოს
სსდროგაჴმ სატართვილოს სახემლწიფოებრივი
დამოუკიდებლობის აღღგენის დღემ.
1918 წლის 26 მაისი

მოქალაქენო! დღემ თქვენ აქ მოწმე იყავით ერთი ისტორიულის, იშვიათის და ამავე დროს ტრაგიკული აქტისა. ამ დარბაზში მოკვდა ერთი სახელმწიფო და აი, ახლა ამავე დარბაზში ეყრება საფუძველი მეორე სახელმწიფოს.

ამ ორი სახელმწიფოს შორის, რომელთაგანაც ერთი მოკვდა და მეორე იბადება, შეუძლებელია ყოფილიყო ინტერესთა წინააღმდეგობა. და თუ ოდესმე პირველი აღსდგება მკედრეთით, დარწმუნებული უნდა ვიყოთ, მათ შორის მუდამ იქნება ინტერესთა თანხმობა (ტაში).

საქართველოს ახალი სახელმწიფო, რომელიც დღემ არსდება, არ იქნება მიმართული არც ერთის ერის, არც ერთის ხალხის, არც ერთის სახელმწიფოს წინააღმდეგ.

მისი მიზანია დღევანდელი ისტორიული ქართველებისაგან დაიფაროს თავისი თავი და როცა ამას მოახერხებს, იგი დაეხმარება სხვებსაც, ვინც ჩვენს ქვეყანასთან ერთად ჩავარდა დიდი განსაცდელში (ტაში).

თქვენ კარგად იცით, საქართველო ჩვეულია ბრძოლას თავისის არსებობის დასაცველად. ის საუკუნოებით იბრძოდა, რათა თავისი სულიერი ვინაობა, ნაციონალური ორგანიზმი და ტერიტორია შეენარჩუნებინა. მაგრამ იგი იბრძოდა მხოლოდ თავის დასაცავად და არ ებრძოდა სხვის არსებობას.

ამასთანავე იგი იბრძოდა არა მარტო ქართველთათვის, არამედ იმ ერებისათვისაც, რომელნიც მოსახლეობდნენ მის სახელმწიფოებრივ ფარგლებში.

მეტსაც ვიტყვი, ის იბრძოდა თავისი ფარგლების გარეც აგრეთვე სხვების დასაცველად.

ეს დიადი ისტორიული მაგალითი ცხოველმყოფელ ანდერძად დარჩა ქართველ ხალხს და ეს სრული გარანტიაა იმისა, რომ დღევანდელ ქართველ ერს შერჩენილი აქვს მისი ძირითადი ისტორიული მიდრეკილება – შეუსაბამოს თავისი ინტერესები სხვა ერთა ინტერესებს.

სწორედ ამიტომ არც ერთი ერი — ჩვენს ქვეყანაში მცხოვრები, თუ ჩვენი სახელმწიფოს გარე მყოფი, არ უნდა განიცდიდეს ჩვენ გამო რაიმე აღელვებას, სულიერ მტკივნეულობას და წყენას.

განა დღეს შეიძენი არ განაცხადეს ორატორებმა, რომ არ არის ისეთი ერი, რომელიც ცუდად იხსენიებდეს ქართველ ერს?

ეს არის იმის თავმდები, რომ ახალი სახელმწიფო, ახალი მთავრობა საუსვებით გაამართლებენ ამ იმედებს.

მსურს ვიქონიოთ მეგობრული ურთიერთობა ჩვენს გარეთ და ჩვენს შორის მყოფ ერებთან.

განსაკუთრებულ ყურადღებას მივაქცევთ იმ ერის დიდ ტრაგედიას, რომლის ერთი ნაწილი ჩვენს ტერიტორიაზე ცხოვრობს, ხოლო მეორე ნაწილი — ჩვენს გარეთ.

ეს არის სომხობა.

ძველს ანდერძს დღევანდელი ქართველობაც გაიხსენებს და სომხის ერი იმავე მფარველობას პოუვებს ჩვენში, რომელსაც პოუვებდა იგი ქართველ მეფეთა შორის (ზანგრძლივი ტაში).

ჩვენ გვსურს კეთილგანწყობაში ვიყოთ ამიერკავკასიის მოსახლეობის დიდ უმრავლესობასთან — მუსულმანებთან. ჩვენ გვინდა, რომ მათ მოგვბაძონ, დაიარსონ ასეთივე სახელმწიფო და შეერთების ხელი გამოგვიწოდონ (მსურვალე ტაში).

ამასთანავე ეს მეგობრული დამოკიდებულება ჩვენს გარშემო მყოფი ერებისა იქნება მკვიდრი საფუძველი, რომელიც გაამაგრებს ჩვენს ნორჩ სახელმწიფოს და აგრეთვე ამ ერებსაც და საშუალებას მოუსპობს ჩვენს საერთო მოქიშპეთ წიხლი ჩაგვცენ და დაგვანგრიონ.

ჩვენს სახელმწიფო ფარგლებში მოსახლეობს სხვადასხვა ერის უმცირესობა. ვაცხადებთ, რომ ეროვნული უმცირესობანი იქნებიან ისევე უფლებამოსილნი, როგორც იქნება ჩვენი სახელმწიფოს ეროვნული უმრავლესობა — ქართველობა.

ეს ერნი, შეერთებულნი ერთის დრომის ქვეშ, შეჰკრავენ კავშირს იმ ერებთან, რამელნიც ჩვენის ქვეყნის ფარგლების გარეთ იმყოფებიან, და ამით წარმოიშვება ის სახელმწიფოებრივი კავშირი, რომელიც აღადგენს აქ ჩვენს წინაშე დაღუპულს სახელმწიფოს.

ეს სახელმწიფო იქნება კავკასიის კონფედერაციული კავშირი (ზანგრძლივი ტაში მთელის დარბაზისა).

ამრიგად, ჩვენი სავალი გზა, ჩვენი იდეალი უნდა იყოს ამ კავშირის შედგენა. ეს კავშირი იქნება ის სახელმწიფოებრივი ორგანიზმი – სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც საერთო ძალ-ღონე შეკრებილი, მთლიანი წარსდგება გარეშე მტრის წინაშე და დაიცავს თავის თავს (ტაში).

აი, მაშინ შეიძლება აღსრულდეს ის, რაც სეიმმა ვერ შექმნა.

და ის, ვინც ახლა შეუგნებლად მიდის ამიერკავკასიის ფარგების გარეთ, შესაძლებელია კვალად მოუბრუნდეს და საერთო დროშის ქვეშ დადგეს.

ამით დამყარდება ამიერკავკასიის ერთობა და აქ მოსახლე ერების ძლიერება. (ხანგრძლივი ტაში და ოვაციები).

თავმჯდომარე: ახლა მომეცით ნება გადავიდეთ იმ საგანზე, რომელიც ახლა იქნება წაკითხული.

თავმჯდომარე კითხულობს „საქართველოს დამოუკიდებლობის აქტს“, შემდეგის შინაარსისას:

„მრავალ საუკუნეთა განმავლობაში საქართველო არსებობდა, როგორც დამოუკიდებელი და თავისუფალი სახელმწიფო.

მეთვრამეტე საუკუნის დასასრულს ყოველ მხრით მტრისაგან შევიწროვებული საქართველო თავისის ნებით შეუერთდა რუსეთს იმ პირობით, რომ რუსეთი ვალდებული იყო საქართველო გარეშე მტრისაგან დაეცვა.

რუსეთის დიდი რევოლუციის მსვლელობამ რუსეთში ისეთი შინაგანი წყობილება შექმნა, რომ მთელი საომარი ფრონტი, სრულიად დაიშალა და რუსის ჯარმაც დატოვა ამიერკავკასია.

დარჩნენ. რა თავიანთი ძალ-ღონის ამარა, საქართველომ და მასთან ერთად ამიერკავკასიამ თვით იღვეს თავს საკუთარი საქმეების გაძლოლა და პატრონობა და შესაფერი ორგანოებიც შექმნეს, მაგრამ გარეშე ძალთა ზეგავლენით ამიერკავკასიის ერთა შემაერთებული კავშირი დაირღვა და ამით ამიერკავკასიის პოლიტიკური მთლიანობაც დაიშალა.

ქართველი ერის ღლეანდელი მდგომარეობა აუცილებლად მოითხოვს, რომ საქართველომ საკუთარი სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია შექმნას, მისი საშუალებით გარეშე ძალის მიერ დაპყრობისაგან თავი გადაირჩინოს და დამოუკიდებელი განვითარების მტკიცე საფუძველი აავოს.

ამისდა თანახმად, საქართველოს ეროვნული საბჭო, 1917 წლის 22 ნოემბერს არჩეული, საქართველოს ეროვნული ყრილობის მიერ, დღეს საყოველთაოდ აცხადებს:

1. ამიერიდან საქართველოს ხალხი სუვერენულ უფლებათა მატარებელია და საქართველო სრულუფლებოვანი, დამოუკიდებელი სახელმწიფოა.

2. დამოუკიდებელი საქართველოს პოლიტიკური ფორმა დემოკრატიული რესპუბლიკაა.

3. საერთაშორისო ომიანობაში საქართველო მუდმივი ნეიტრალური სახელმწიფოა.

4. საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას სურს საერთაშორისო ურთიერთობის ყველა წევრთან კეთილმეზობლური განწყობილება დაამყაროს, განსაკუთრებით კი მოსაზღვრე სახელმწიფოებთან და ერებთან.

5. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა თავის საზღვრებში თანასწორად უზრუნველყოფს ყველა მოქალაქის სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, განურჩევლად ეროვნებისა, სარწმუნოებისა, სოციალური მდგომარეობისა და სქესისა.

6. საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა განვითარების თავისუფალ ასპარეზს გაუხსნის მის ტერიტორიაზედ მოსახლე ყველა ერს.

7. დამფუძნებელ კრების შეკრებამდე მთელი საქართველოს მართვა-გამგეობის საქმეს უძღვება ეროვნული საბჭო, რომელიც შევსებული იქნება ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებით და დროებითი მთავრობა პასუხისმგებელია საბჭოს წინაშე“.

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო არქივი, ფონდი 1836, აღწერა 1, საქმი 43, ფურცლები 1-3. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი.

**№21. რსდგპ აგიმერკავკასიის მუშათა ორგანიზაციების
საოლქო კომიტეტის მიერ საქართველოს ეროვნული
საბჭოს სამანდატო კომისიისათვის წარდგენილი
ეროვნული საბჭოს წევრებისა და კანდიდატების სია.
1918 წლის 29 მაისი**

29 მაისი 1918

**აგიმერკავკასიის
მუშათა ორგანიზაციების**

საოლქო კომიტეტი

რსდგპ

ტელეფონი 16-62

ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნულ

საბჭოს სამანდატო კომისიას

საოლქო კომიტეტი სოც. დემოკ. მუშათა პარტიისა საქართველოს
ეროვნულ საბჭოს წევრებათ ადგენს შემდეგ პირთ:

- 1) ჟორდანია ნოე
- 2) წერეთელი ირაკლი
- 3) ჩხეიძე ნიკოლოზ
- 4) გვგეჭკორი ევგენი
- 5) რამიშვილი ნოე
- 6) რამიშვილი ისიდორე
- 7) ჩხენკელი აკაკი
- 8) ჯიბლაძე ვლადიმერ
- 9) გეორგაძე გრიგოლ
- 10) ლომთათიძე ალექსანდრე
- 11) მახარაძე გერასიმე
- 12) არსენიძე რაფუენ
- 13) თევზაია ბიკტორ
- 14) ჯიბლაძე სილობისტრო
- 15) ხომერიკი ნოე
- 16) ერაძე გიორგი
- 17) ანდრონიკაშვილი კონსტანტინე
- 18) ონიაშვილი დავით
- 19) ანჯაფარიძე გიორგი
- 20) ჩიხლაძე რაფიელ

- 21) აბაშიძე გაიდარ
- 22) გაგლოევი გიორგი
- 23) ჯუღელი ვლადიმერ
- 24) ახმეტელაშვილი ვლადიმერ
- 25) გვარჯალაძე კონსტანტინე
- 26) მაისურაძე ალექსანდრე
- 27) ჭიაბერაშვილი ანდრია
- 28) გელიშვილი პეტრე
- 29) კანდელაკი კოწია
- 30) ელიავა ნიკოლოზ
- 31) ტორიშელიძე მინადორა
- 32) ცინცაძე გიორგი
- 33) ჯაფარიძე სერგო
- 34) სალუქვაძე ანანია
- 35) სალაყაია იოსებ
- 36) კლიშიაშვილი შიხეილ
- 37) ნინიძე კირილე
- 38) ფარნიევი ალექსანდრე
- 39) თოფურიძე დიომიდე
- 40) დგებუაძე ალექსანდრე
- 41) ნათაძე ლეო
- 42) მამულაიშვილი არსენ
- 43) ცინცაძე ნოე
- 44) მგელაძე ელასა
- 45) წულაძე ვასილ
- 46) რუსია მელიტონ
- 47) მაჭარაძე ნიკოლოზ
- 48) ლორია ფილიპე
- 49) ჟღენტბი ბიკტორ
- 50) ბადრიძე ილია
- 51) ბარამიძე დავით
- 52) ნინიძე ბიკტორ
- 53) ცაბაძე ვასილ
- 54) იობაშვილი ნიკოლოზ
- 55) გოგელია ილია

- 56) კიკვაძე თედორე
- 57) საბახტარაშვილი კონსტანტინე
- 58) ურატაძე გრიგოლ
- 59) წულუკიძე იუნუს
- 60) თევზაძე სარდიონ
- 61) მარუაშვილი იოსებ
- 62) დოლიძე სოლომონ
- 63) სადაგაშვილი გიორგი
- 64) ელიაძე სტეფანე
- 65) მიკირტუმოვ ბაგრატ
- 66) ცინცაბაძე გრიგოლ
- 67) ვარდოიანცი მიკირტიჩ
- 68) სოლოგაშვილი ოლია

თავმჯდომარე
მდივნის მაგიერ

ნ. შორღანია
ვ. ჭულაძე

საქართველოს ცენტრალური სახელმწიფო საისტორიო
არქივი, შონდი 1836, აღწერა 1, საქმე 123, ფურცელი 1.
მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი. ნოე შორღანიას ხელრთვა.

№22. თბილისის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების
საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის სხდომა,
მიკლვნილი საქართველოს სახელმწიფოებრივი
დამოუკიდებლობის აღდგენის შერდებ შერდენილი
პითარების შერდახებისადგი.
1918 წლის 29 მაისი

ЗАСЕДАНИЕ ИСПОЛНИТЕЛЬНОГО КОМИТЕТА СОВЕТА
РАБОЧИХ И СОЛДАТСКИХ ДЕПУТАТОВ Г. ТИФЛИСА
29 мая 1918 г.

СЛУШАЛИ: Доклад о текущем моменте.

Т. Церетели докладывает, что во время мирных переговоров с Турцией обнаружилось, что единой Закавказской Республики не было. Мусульманская часть мирной делегации все время вела двойственную политику. В последние дни ясностью обнаружилось, что мир этой делегацией Закавказью дан быть не может, ибо слишком различны были интересы членов делегации Закавказской Республики. К этому времени значительная часть территории, занятой армянами, была отторгнута силой оружия, другая часть территории Закавказья, населенная мусульманами, добровольно перешла к туркам. Остался единый, нетронутый уголок от Закавказской Республики - Грузия. Грузинский национальный совет, обсудив создавшееся положение, решил объявить самостоятельную Грузию, дабы с одной стороны вести переговоры от единого народа, а с другой, чтобы спасти хоть часть революционного Закавказья от разгрома беспощадного турецкого империализма, надеясь, что этот уголок Закавказья в последующия времена послужил оплотом для возрождения Закавказской федеративной Республики. Маленькая Грузия отстоять своими силами свое существование, конечно, не могла надеяться, а посему ей пришлось искать защитников в лице народов обладающих реальной силой. Армянский народ этой силы не имеет, мусульманский народ не пожелает, российский народ в эту

